

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU

დიალექტოლოგიური
კრებული

2019

The Collection of
Dialectological Papers

თბილისი 2019 Tbilisi

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში არნ. ჩიკობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი გამოსცემდა „დიალექტოლოგიურ კრებულს“. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა, აღდგეს „დიალექტოლოგიური კრებული“. მასში გამოქვეყნდება ქართველური ენების დიალექტების შესახებ გამოკვლევები, სალექსიკონო მასალა და ტექსტები. კრებული გამოვა ორ წელიწადში ერთხელ.

In the 80s of the 20th century Arnold Chikobava Institute of Linguistics published “The Collection of Dialectological Papers”. The Scientific Board of the Institute decided to start publishing the collection again. It will include researches about the dialects of Kartvelian languages, lexical material and texts. The collection will be published every two years.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ არაბული, მარინე ბერიძე, მანანა ბუკია, ლელა გიგლემიანი, **გიორგი გოგლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), ნანა მაჭავარიანი, მამია ფაღავა, ვაჟა შენგელია, მერაბ ჩუხუა, ნინო ციხიშვილი (სწავლული მდივანი), გიორგი ცოცანიძე, რიტა ჯაიანი (ინგლისური ნაწილის რედაქტორი)

Editorial Board:

Avtandil Arabuli, Marine Beridze, Manana Bukia, Lela Giglemiani, **Giorgi Gogolashvili** (editor-in-chief), Nana Machavariani, Mamia Paghava, Vazha Shengelia, Merab Chukhua, Nino Tsikhishvili (scientific secretary), Giorgi Tsotsanidze, Rita Jaiani (editor for English texts)

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019
არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2019

მანანა ბუკია

მესაქონლეობის პროდუქტების აღმნიშვნელი
ლექსიკა მებრუნში (მატყლი და ტყავი)

მესაქონლეობა სამეგრელოში მეურნეობის უმთავრესი დარგი იყო, შესაბამისად, განვითარებული იყო მასთან დაკავშირებული ლექსიკა. ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიულ წყაროებში, ლექსიკონებში დადასტურებულმა და ველზე მოპოვებულმა მასალამ რამდენიმე ათასი სიტყვა-ფორმა შეადგინა, რომლებიც საინტერესოა, ერთი მხრივ, მეგრული ლექსიკური ფონდის გასაცნობად, მეორე მხრივ, ქართველურ ენათა ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევებისთვის.

მეგრული მწყემსური (მესაქონლეობის) ლექსიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მესაქონლეობის პროდუქტის აღმნიშვნელ სიტყვებს. მათ შორის გამოირჩევა მატყლისა და ტყავის, მათი სახეობების, დამუშავების აღმნიშვნელი ფორმები.

საკუთრივ მატყლი აღინიშნება საერთოქართველური მონტყორი ფორმით: ქართ. მატყლი : მეგრ.-ლაზ. მონტყორი / მონტკორი / მონტკოი : სვან. მატყ / მატყ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 319).

მატყლის სინონიმად გამოიყენება ბონძორი / ბოდორი (ყიფშიძე 1914, 207) – ათე ბორჯის ბონძორცე ქემანტუუ დაჩხერქე (ყიფშიძე 1914, 62) „ამ დროს ბეწვს, მატყლს მოეკიდა ცეცხლი“; ნაღაჭა (ჯვ.) – თხას ნაღაჭა ვაულუდუა დო შხურს არზენდუა „თხას ნაკრეჭი (მატყლი) არ ჰქონდა და ცხვარს აძლევდაო“ (სახოკია 1989, 248); ბურდდა ბეწვი, მატყლი (ყიფშიძე 1914, 210) – ეფერი მართახი ქიგმაშქვია, ბურდლაქ მუკოცუასიე (ხუბუა 1937, 49) „ისეთი მართახი დამარტყი, რომ ბალანი გაცვივდესო“.

ხარისხის მიხედვით განარჩევდნენ გაზაფხულსა და შემოდგომაზე განაკრეჭ მატყლს. შემოდგომის მატყლი კარგი ხარისხისა იყო, გაზაფხულის განაკრეჭი კი – ნაკლები ღირებულებისა.

შემოდგომაზე, ენკენისთვეში მთიდან ჩამოსვლის შემდეგ ნაკრეჭი მატყლი იყო ნაგვალუ / ნაგვალე მონტყორი, ზედმ. „ნამთვეი

მატყლი“ (ჭარაია 1997, 99), ასევე **ჯგერ მონტყორი** (წალენჯ.), ზედმ. „კარგი მატყლი“.

კარგ მატყლად ითვლებოდა **ბეწვა / ბეჭვა მონტყორი** „ბეწვა მატყლი“ (ქაჯაია 2001, 238), **ბუთქი** „ხშირი და გრძელი ბეწვი“ (ქობალია 2010, 68). შდრ. ხევს. **ბუთუთი** ხშირმატყლიანის ეპითეტი (დლონტი 1984: 91); ფშ. **ბუთქვი** ხშირი და გრძელი ბეწვის მქონე (ქეგლ 2008, 1087), **ბუჟუჟი** „ცხვრის ნაზი მატყლი“ (ქობალია 2010, 68). შდრ. **ბუჟუჟი** „ცხვრის ტყავი დაგრუზვილი“ (საბა 1991, 121).

შედარებით დაბალი ხარისხის იყო გაზაფხულზე განაკრეჭი **ბუთა / ნაბუთუ / ნაბუთი**. იმავე სემანტიკის მატარებელია აფხაზური **ა-ბთა** (ჯანაშია 1954, 68). მეგრული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1997, 44). მ. ჩუხუას თვალსაზრისით, აფხაზური ფორმა პარალელს პოულობს, ერთი მხრივ, ქართ. **ფთილა / ფითილა** „ბამბის წნული“ : სვან. **ფით** „ნამცეცი; თოვლის ფთილა“, **ფთ / ფათ** „თმა“ და მეორე მხრივ ბაცბ. **ფათარ**, ჩაჩნ. **ფათარ**, ინგ. **ფათრ** „ბუმბული, თივთიკი (თხისა)“ ფორმებთან, ხოლო ზანური შესატყვისი არ მოეპოვება (ჩუხუა 2000-2003, 236). ვვარაუდობთ, რომ მეგრული **ბუთა** აფხაზური **ა-ბთა**-დან მომდინარეობს, ხოლო **ნაბუთუ** წინა ვითარების სახელია და ძირი აფხაზური ფორმიდან არის მიღებული (ბუკია 2013, 231).

დაბალი ხარისხის მატყლს აღნიშნავს მეგრული **დამორჩილგ გუშულირი მონტყორი** (წალენჯ.) ზედმ. „შემოდგომამამოვლილი მატყლი“, **ნაზოთგ მონტყორი** (ქაჯაია 2009, 388) ზედმ. „ნაზამთრალი მატყლი“ (შდრ. რაჭ. **ნაზამთრი** „ზამთარგამოვლილი საქონლის გრძელი ბეწვი“ (კობახიძე 1987, 80). შედარებით დაბალი ხარისხისა იყო აგრეთვე **ბუღალი მონტყორი** „ნაცრისფერი მატყლი“ (წალენჯ.), ეტიმ. „ჟღალი“ მატყლი.

უვარგისი იყო **ბაკვა მონტყორი** „უხეში მატყლი“ (ქაჯაია 2001, 214). ლექსიკოგრაფის განმარტებით, თხას გორცხოხუნა წმინდა ორცხოხჯითინი, გიშედანს თომას. ათეს უმახუნა **ბაკვას** „თხას რომ დავარცხნიან წმინდა სავარცხლით, გამოიტანს თმას. ამას ეძახიან ბაკვას“ (იქვე); **ბაკვა-ბაკვა** „ნაგლეჯ-ნაგლეჯ შეთელილი, დამურკლული მატყლი“ (ქობალია 2010, 55); **გაცახი** „მსხვილბეწვიანი, უვარგისი მატყლი“ (წალენჯ.); **კვირტი / კვირტელი / კვირტ-მონტყორი**

„ე. წ. ნაკვირვალ მატყლი – უვარგისი“ (ქობალია 2010, 361); **ფაცახი** „მსხვილბუნჯიანი უვარგისი, ხმელი მატყლი“ (ქობალია 2010, 624).

გაზაფხულზე გაცენილ ბალანს **ნარცხვი** (წალენჯ.) / **ნარცვი** (ქობალია 2010, 510) „გაცენილი“ ეწოდებოდა.

მატყლის ბუნწუნს ჰქვია **ბოწოწია** – თხას ქვარას **ბოწოწია** გითაბუ „თხას მუცელზე ბუნწუწი ჰკიდა“ (ქაჯაია 2001, 256).

ერთი ცხვრის განაპარსი მატყლი იყო **ართნაღაჭა**, ზედმ. „ერთი განაკრეჭი“, **კანძი** (შდრ. **კანძი** „ერთი ცხოვარის ნაპარსი“ საბა (1991, 351); იმერ. **კანძი** „ერთი აღება მატყლი“ (გაჩეჩილაძე 1976, 79); აჭარ. **კანძი** „ერთი ცხვრის განაპარსი მატყლი“ (ფუტკარაძე 1990, 33); ქიზიყ. **კანძი** „ნაპარსი, ერთი ცხვრის ნაკრეჭი მატყლი“ (მენტემაშვილი 1943, 86); **ქიტა / ქეტა** – „ერთი კანძი მატყლი ერთი **ქიტა** გამოდის ანუ წონით ერთი ლადარკონი (1/2 გირვ.), და ათ შაურად იყიდება“ (სახოკია 1985, 368). მატყლის ნარჩენი გაპენტვის შემდეგ არის **ბარჭო** (ქობალია 2010, 57).

მატყლის დამუშავება რამდენიმე ეტაპს მოიცავდა: ცხვარს **ღაჭუნა** „კრეჭენ“ – **ღაჭუა** „კრეჭა“ (ყიფშიძე 1914, 349), **კანძუნა** „კრეჭენ“ – **კანძუა** „გაკრეჭა ცხვრისა“ (ქობალია 2010, 353), გაზაფხულზე **ბუთუნა** – საგაზაფხულო კრეჭას **ბუთუა** ერქვა (ქობალია 2010, 67).

გაკრეჭილ მატყლს **პენტუნა** „პენტავენ“ – **პენტუა** „პენტვა“ (ქაჯაია 2002, 494), **წეწუნა** „წეწავენ“ – **წეწუა** „მატყლის დაწეწვა“ (ყიფშიძე 1914, 378) – მონტყორს **წეწუნა**, უკული ოთალეშით ფეთუნა „მატყლს წეწავენ, შემდეგ სათელავით თელავენ“ (ქაჯაია 2002-ა, 408), **ფეთუნა** „ჩეჩავენ“ – **ფეთუა / ფეტუა** „დაჩეჩვა, ჩეჩვა“ – ოფეთაშეთ მონტყორს **ფეთუნს** „საჩეჩლით მატყლს ჩეჩავს“ (ქაჯაია 2002-ა, 93), **ჩეჩუნა** „ჩეჩავენ“ – **ჩეჩუა** „ჩეჩვა; წეწა მატყლისა“ – ოჩეჩეშით მონტყორს **ჩეჩუნს** „საჩეჩელით მატყლს ჩეჩავს“ (ქაჯაია 2002-ა, 301), **თალუნა** „თელავენ“ – **თალუა** „თელვა, თრიმლვა“ – მონტყორს დიო **თალუნა** ოთალეშით დო უკული თუხუნა „მატყლს ჯერ თელავენ სათელავით და შემდეგ ართავენ“ (ქაჯაია 2002, 34). **თალუა** საერთო-ქართველური ფორმა ჩანს: ქართ. **თელ-ვ-ა**, **გა-თელ-ა**, **თელ-ვ-ა** „შენაბდვა“ (საბა); ზან. (მეგრ.) **თალ-უ-ა // ნთალ-უ-ა** „გათელა, თელვა“, **მო-ნთალ-ირი** „მოთელილი“, ლაზ. **ნთალ-უფ-ს / ნთალ-უმ-ს** „თელავს, უჭერს“, **ო-ნთალ-უ** „თელვა“, სვან. **თელ-**, **ლი-თელ-ა / ლი-**

თელ-ე „მოჭერა“ (ჩუხუა 2017, 211); **თუხუნა** „ართავენ“ – **თუხუა** „რთვა (მაფისა), მაფის გრეხით გამოყვანა – მონტყორს ოფეთალით ფეთუნა ჯგირო დო ჩერიათი **თუხუნა** მაფის „მატყელს საჩეჩლით ჩეჩავენ კარგად და თითისტარით ართავენ მაფს“ (ქაჯაია 2002, 68), **გოწკარწკანტანა** „გაწმენდენ, წმინდად დაართავენ“ – **გოწკარწკანტუა** „წმინდად დართვა მაფისა“ (ქობალია 2010, 212), **თხისუნა** „თელავენ“ – **თხისუა** „ჩეჩვა, პენტვა, თხის ნაკრეჭის მოთელვა, თექის დამზადება“ (ქობალია 2010, 322), **ტაბაკანა** „თელავენ“ – **ტაბაკუა** „მოთელვა“ (ქობალია 2010, 599).

დამუშავებული მატყელი არის **კვერცხი მონტყორი** „დაჩეჩილი მატყელის სახეობა“ (წალენჯ.). ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, **კვერცხი** მატყელის წონის საზომი ერთეული იყო. ს. მაკალათიას განმარტებით, ერთი კვერცხი უდრის 50 გრამს (მაკალათია 2006, 290); **ნაწეწა მონტყორი** „გაწეწილი მატყელი“ (ჭარაია 1997, 165); **პენტილი** „დაპენტილი“, **ფეთილგ მონტყორი** „დაჩეჩილი მატყელი“ (ქობალია 2010, 624), **წეწილი მონტყორი** „დაჩეჩილი მატყელის სახეობა“; **თხისილი** „გაჩეჩილი, გაპენტილი; თხის ბალნის ქეჩა, თექა (ქობალია 2010, 322).

მატყელის ფთილა გადმოიცემა სიტყვებით: **გვიგვილი** (ყიფშიძე 1914, 216), **ფარტა** (ქობალია 2010, 622), **ფატალა / ფატანა** (ჭარაია 1997, 132; ქაჯაია 2002-ა, 89). ეს უკანასკნელი **ფანტელა / ფარტენა** ფორმით გვხვდება საბასთან და ქართულ დიალექტებში: **ფარტენა** „მატყელის ფთილა“ (საბა 1993, 184), **ფანტელა/ეც** (იმერ.) „ფთილა“ (ზერიძე 1912, 56); **ფარტენა** (მთიულ.) „მატყელის მესამე დაჩეჩვით მიღებული ფთილა“ (კაიშაური 1967, 234); **ფარტენა** (ფშ.) „დასართავად გამზადებული მატყელის ფთილა“ (ცოცანიძე 1978, 236).

მატყელის ნართი არის **გაროზი** (ქაჯაია 2009, 62), **თხვირი** (ელიავა 1997, 175), **თხორი** – ხეს **თხორი** ქომუჩას, სოფელ დუმოლინუას (ყიფშიძე 1914, 129) „ხელში ნართი მომცა, სოფელი მომატარა; **კვიკვი** – მაფის დოფთუხუნდით, **კვიკვო** ქიგვორთანდით დო ფშუნდით „მაფს დავართავდით, მორგვად დავახვევდით და ვქსოვდით“ (ქაჯაია 2002, 131), **კვირკვი** – გეჭოფუ დო ართი **კვირკვი** ქიმეჩგ „აილო და ერთი გორგალი (მაფი) მისცა“ (ხუბუა 1937, 108) **კვირკვალი** (წალენჯ.), **კვირკვილი** (შდრ. აფხ. ა-**კუკუკა** „მრგვლად დახვეული მაფი, მორგვი“ (ჯანაშია 1954, 153). აფხაზური სიტყვის ამოსავალ ფორ-

მად ვთვლით მეგრულ რედუპლიცირებულ კომპოზიტს **კვირკვი** „მაფის გორგალი“ (ბუკია 2013, 230), შდრ. აგრეთვე **კვარკვაშა** „მატყლის ქულა“, ქართული (მთიულ.) **კვირსლი** „ბეწვი შალისა“, სვანური **კუნკს** „ნართი, შულო ძაფისა“. ფუძის უძველესი სახეობა დაცულია ქართულში, სადაც მარტივი, გაუორკვეცებელი არქეტიპია შემორჩენილი. ე. ი. სვან. კუნკს < *კირ-კემ-ა < *კირმ-კირმ-ა, მეგრ. კვარკვაშ-ა < *კურ-კუმ-ა < *კირმ-კირმ-ა (ჩუხუა 2000-2003, 130); **მორგვი** (ელიავა 1997, 229), შდრ. გურ. **მურგი** მრგვლად დახვეული ძაფი ან თოკი (დლონტი 1984, 377); ლაზ. **მურგი** გორგალი, მორგვი (მარი 1910, 170); **ნათუხა** (ქაჯაია 2002, 252), **ნართი** (ქაჯაია 2002, 362), მატყლის ძაფი კი – **ძიგა / ძგგა** (შდრ. აფხ. **ა-ძგგა** „მატყლის გრებილი ძაფი“ (ჯანაშია 1954, 376). ეს უკანასკნელი მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ბუკია 2013, 231), **ლანდი**, **ლანდძაფი** (ქობალია 2010, 379).

დამუშავებულ მატყლს **თუხუნა** „ართავენ“; **გიორთანა** „ართავენ“ – **გერთაფა** „მაფის დახვევა“ (ჭარაია 1997, 48); **შილუნა** „შულოდ ართავენ“ – **შილუა** „შულოდ დართვა ძაფისა“ (ქობალია 2010, 661), **კვირკვუნა** „გორგლად ახვევენ“, **ხვეწუნა** „წმენდენ“ – **ხვეწუა** „მაფის დასუფთავება“ (ჭარაია 1997, 178) – ძაფის ოკო **ხვეწუა** „მაფს უნდა ხვეწა“ (ქაჯაია 2002-ა, 547), **მიოთუხანა** „ორ ძაფს აერთებენ“ – ბამბე მონტყორს **ქიმიოთუხუ** „ბამბა მატყლს მიართო“ (ქაჯაია 2002, 241), **აკაშქვანა** „მახავენ“ – ჩერია დო წყურიშით დოთუხუნდეს ართ ფათ, უკული **აკაშქვანდეს** ჟირფათ დო უკული დოწკონდუნდეს „თითისტრითა და კვირისთავით დაართავდენ ერთ ფად, შემდეგ ორფად შეაერთებდენ, დამახავდენ და მერე დაწმენდდენ“ (ქაჯაია 2001, 174), **წკონდუნა** „ორ ძაფს აერთებენ“ – **წკონდუა** რე ჟირი-ფა ძაფიში აკომქვაფა „მახვა არის ორი წვერი (კეცი) ძაფის შეერთება“ (ქაჯაია 2002-ა, 81).

მატყლის დასამუშავებლად გამოიყენებოდა **ოფეთალი / ოფეთაშე / ოფეთაში / ოფეთეში** „საჩეჩელი“ – **ოფეთაშეთი** (/ოფეთეშით) ფეთუნა მონტყორს „საჩეჩლით ჩეჩ[ავ]ენ მატყლს“ (ქაჯაია 2002, 453). სიტყვის ძირად გამოიყენებულა საერთოქართველური ს.-ქართვ. *ფეთ- „ჩეჩვა“ ქართ. **ფეთ-**, **სა-ფეთ-** „საჩეჩი, საპენტი“, ზან. (მეგრ.) **ფეთ**, **ო-ფეთ-აშ-ე** „საჩეჩელი, საფეთი“, სვან. **ფეთ-ფთ-**, **ლი-ფთ-**, **ლი-ფეთ-ე** (ლნტ.) „ჩეჩვა“ (ჩუხუა 2017, 375). მატყლს თელავდენ და

ჩეჩავდნენ **ოთალეშით** – **ოთალეშით** თალუნდეს (//ფენტუნდენს) მონტყორს „საჩეელით ჩეჩავდნენ (წეწდნენ) მატყლს“ (ქაჯაია 2002, 426). იმავე ფუნქციის იყო **ოჩეჩეში** (ქაჯაია 2002-ა, 301), **საეჩელი** (ქაჯაია 2009, 468), **სეჩელი** „საჩეელი“ (ჭარაია 1997, 124). მომდინარეობს ქართული **საჩეელი**-იდან. მატყლს პენტავდნენ **ოპენტეშ**-ით (ქაჯაია 2002, 440). დაპენტელ მატყლს ართავდნენ **ჩერია**-თი. **ჩერია** „თითისტარი“ (ციფშიძე 1914, 364) – მეთუხუნს **ჩერიათ** მონტყორს (ხუბუა 1937, 140) „ართავს თითისტარით მატყლს“. თითისტარზე დამაგრებული იყო **წყურიში** / **კყურიში** „კვირისტავი“ (ციფშიძე 1914, 385; ქაჯაია 2002-ა, 506) – ართ ინჭაწკვმა გამოლვ **წყურიშიქ** (ხუბუა 1937: 140) „ერთ ჭასთან წამვრა კვირისტავი“.

მატყლს და მისგან დამზადებულ სამოსს მეგრელები თავადაც მოიხმარდნენ და ყიდდნენ. ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით „მთიან სამეგრელოში, სოფ. ჯვარში და ხუდონში, ქალები აკეთებდნენ ნაბდებსა და ნაბდის ქუდებს. სანაბდედ არჩევენ შავ მატყლს, თუ მატყლი ფერადია, მას შავად ღებავენ. გარჩეულ მატყლს ჯერ კარგად გარეცხავენ, შემდეგ შავად ღებავენ და ლასტზე ან ფიცარზე ხელით მოთელავენ. საქუდე მატყლს უფრო ნაცრისფრად ღებავენ, შემდეგ მას ხელით მოთელავენ და კალაპოტზე ამრგვალებენ“ (მაკა-ლათია 2006, 291)

„წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში დღესაც ახსოვთ, რომ „თურმე ჩქვალერის უბნის მკვიდრები თელავდნენ შედარებით მოკლე და მხრებგანიერ, გარშემო ტყავის ან აბრეშუმის ძაფის გრეხილისაგან დამზადებულ თასმაშემოვლებულ ტყავის შესაკრავიან „ქეჩა ნაბდებს“. მენაბდეობის ოსტატები იმიტომაც იყვნენ აღნიშნული რაიონის ამ სოფელში, რომ მთის რეგიონის ცხვრის მატყლი „საუკეთესოა“ ნაბდისთვის. დაჩეჩილ მატყლს დაპენტავდნენ, დაახვედნენ წვრილ-წვრილად, აშრობდნენ და ამ პროცესს იმეორებენ რამდენჯერმე, რომ ნაბდის მასალა გამხდარიყო მტკიცე და მოქნილი. შემდეგ ხარშავდნენ ქვაბში და ხარშვისას უმატებდნენ წებოს და სხვადასხვა საშუალებებს უფრო მეტი სიმტკიცისთვის. ნაბდის დამზადების განსაკუთრებული წესი უზრუნველყოფს მის დამცველუნარიანობას, მოხდენილობასა და სიმსუბუქეს, რომ მისი ტარება მოსახერხებელი და იოლი ყოფილიყო“ (შავიანიძე 2015, 132-133).

„მატყელისაგანვე აკეთებენ საჩოხე და საძიქვე შალებსა, თუმცა დაბალი ხარისხისას. წყრთა აქაური შალისა იყიდება შაურად, ყაბა-ლახი – მანეთად და ექვს აბაზად“ (სახოკია 1985, 368).

ტყავი მეგრულში გადმოიცემა საერთო ქართველურ-ზანური ფორმით **ტყებ-** ფორმით: ქართ. **ტყავი** : მეგრ. **ტყები** : ლაზ. **ტკები / ტები** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 443).

ხარისხისა და დანიშნულების მიხედვით განარჩევდნენ სხვადასხვა სახის ტყავს: ხბოს ტყავის საქალამნეს ერქვა **ბალაღია** (ქობაღია 2010, 56). საქალამნე ტყავი იყოს ასევე **სამგე / სამუგე** „თხის ტყავისგან დამზადებული საფეხსაცმლე ტყავი“ (ქაჯაია 2002, 573, 574). შდრ. **მოგუ** „ჩექმა“ (აბულაძე 1973, 261), მეგრ. **მაგუია** „ჩექმა, ბანდულა“, სვან. **სამეგუ** „ტყავი“, (ჩუხუა 2000-2003, 151). შესაბამისად, სამგე / სამუგე „საჩექმო (ტყავს)“ ნიშნავს.

ცხვრის ტყავს **მეში** ერქვა (ქაჯაია 2002, 255). შდრ. იმერ. **მეში** „დაუმუშავებელი ტყავი“ (გაჩეჩილაძე 1976: 93). სხვა ლექსიკოგრაფთან **მეში** „უბრალო გამოუქნელი ტყავი და მისგან შეკერილი ფეხსაცმელია“ (ქობაღია 2010, 413).

ქანდაქი „საქალამნე, გამოყვანილი და შოლტებად აჭრილი ტყავი ღორისა“ (ქობაღია 2010, 631). იგივე სახელი ერქვა ერთგვარ გადასახადს ძვ. სამეგრელოში ე.წ. ხმელი ბეგარა გადაიხდებოდა საშაშხე ღორით და ტყავით (იქვე).

რამე ნივთის გადასაკრავად გამოსაყენებელ ტყავს ერქვა **რშვენი** (წალენჯ.), **ფეკალი** (ზუგდი.).

სხვადასხვა დანიშნულების იყო **ოკვახჩე** „ხბოს, თხის ან ცხვრის მთლიანად გამრობილი ტყავი, რომელსაც იყენებენ **კვახჩის** (იხ. ქვემოთ) გასაკეთებლად“ (ქაჯაია 2002, 430), **ოლაგუჯე** „მთლიანად გამრობილი ხბოს, თხის ან ცხვრის ტყავი, რომლისგანაც აკეთებენ **ლაგუჯს** (იხ. ქვემოთ), **კვახჩას**“ (ქაჯაია 2009, 424). ამავე დანიშნულებით გამოიყენებოდა **ნაქვარიშა კვახჩა** „მუცლის გამხმარი ტყავი“.

საქონლის ზურგის, ხერხემლის ტყავი იყო **ნაგორგალი** (ქაჯაია 2002, 348). შდრ. მეგრ. **გორგალი** „ხერხემალი“ (ციფშიძე 1914, 219). ზედმიწ. **ნაგორგალი** „ნახერხემლარს“ ნიშნავს.

ფენტხელა „ცხოველის ფერდის უნეკნო ნაწილის ტყავია“ (ქობაღია 2010, 624).

შორტი „საქონლის ტყავის ანაჭერი მთელ სიგრძეზე, ერთი ფენა ტყავი, საქალამნე ტყავი (ქაჯაია 2002-ა, 267) – მაჟირა ცურე მაჟირა **შორტი** ტყები გემონწყია (ყიფშიძე 1914, 77) „მეორე მხარეს მეორე შოლტი ტყავი ამადგერო“. **შორტი** საზომი ერთეულიცაა ტყავისა (ერთი ძროხის ტყავი 8-14 შორტია, შორტისგან 6-7 ქალამანი გამოდის) (ქობალია 2010, 662).

ტყავს სხვადასხვანაირად ამუშავებდნენ.

ტყაბარუა „გატყავება“ (ყიფშიძე 1914, 330) – კოჩქ ხოჯი **გოტყა-ბარუა** დო კუდეღს ხამუ ქეკატახუა „კაცმა ხარი გაატყავაო და კუდს დანა მიატეხაო“ (სიბრძნე 1994, 15).

გოქამარუა / ქამარუა „გატყავება“ (ქაჯაია 2001, 394; ქაჯაია 2002-ა, 124) – ქუდვორაგუანდით დო გოფქამანჩანდით „წამოვაქცევით და გავატყავებდით“ (ჯვ.).

ქემერუა „გატყავება“ – ხოჯი დოქემერუუ „ხარი გაატყავა“ (ელიავა 1997, 317).

გორტყიპუა „დამდუღვრით გაქუცვა (წვრილფეხა საქონლის ტყავს ჩაახურებდნენ, რომ ფორები გაფართოებულიყო და ბეწვი იოლად გასცლოდა)“ (ქობალია 2010, 197); **რტყიპუა** „გაყვლეფა“ – ტყების ქოღოლანა ტუტას დო **რტყიპუნა** „ტყავს უზამენ ნაცარს და ყვლეფენ“; ტყების **ბრტყიპუნდითინი**, თიმწყმა ფხვარენდით ტუტას „ტყავს რომ ვყვლეფდით, მაშინ ვხმარობდით ნაცარს“ (ქაჯაია 2002, 541).

გოჩხაბაკუა „გატყავება, გამოშიგნა; გასახმოზად გაჭიმვა ტყავისა“ (ქობალია 2010, 209).

ხაკარუა / ხეკერუა „ფხეკა, ტყავზე ბალნის გაფხეკა – ტყები **გოხაკარუ** „ტყავი (საქალამნე) გაფხიკა“ (ქაჯაია 2002-ა, 509). შდრ. ლაზ. **ოხაკარუ** „ფხეკა“ (თანდილავა 2013, 696)

შორტუა „ფენა-ფენა აჭრა, აქნა; გამოღტვა“ (ქობალია 2010, 662).

ტყავისგან ამზადებდნენ სხვადასხვა ნივთებს:

გუდა „საქონლის ტყავისაგან დამზადებული ჭურჭელი“ (ყიფშიძე 1914, 219). კოჩი დო **გუდა** გომზარილი ართი რენია „კაცი და გაბერილი გუდა ერთი არისო“ (სიბრძნე 1994, 71). იგივე ტერმინი გვაქვს ლაზურში: **გუდა** „გუდა“ (მარი 1910, 136). შდრ. **გუდა** „ოთხში

ამოღებული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის პარკი (ჩვეულებრივ ზურგზე ან მხარზე გადასაკიდებელი)“ (ქეგლ II, 1492); სიტყვა ქართული ენის თითქმის ყველა მიკროსისტემაშია წარმოდგენილი: **გუდა** „გაუჭრელად გაძრობილი ტყავი ხვასტატა შთასადებელად რისმე. იმერნი უხმობენ კუპრიელსა ტიკსაც“ (ჩუბინაშვილი 1961, 182); **გუდა** „ვარშაკანი“, პარკი“ (აბულაძე 1973, 98); სვან. **გუდრა / გუიდრა** „გუდა“ (თოფურია 2000, 175); **გუდა** „ხბოს, თხის ან ცხვრის ტყავი მთლიანად ამოღებული. ხმარობენ სხვადასხვა მიზნით. ცხვრის გუდას მხოლოდ ყველის შესანახად, ხბოს და თხისას კი – ფქვილისათვის, მარილისათვის და სხვ.“ (ლეონიძე 1925, 16); ზემოაჭარ. **გუდა** „თხის, ცხვრის და ხბოს ტყავი, ჭურჭლად გაკეთებული“ (ნიჟარაძე 1957, 139); ქიზიყ. **გუდა** „ყველის ჩასადები ტყავი“ (მენტეშაშვილი 1943: 42).

ლაგუჯი „გუდა“ (ყიფშიძე 1914, 270); „ცხვრის ან თხის ტყავი-საგან გაკეთებული ხალთა. ტყაპუჭი“ (ქაჯაია 2002, 178) – შონქ თქუ-უა: დინახალე ვენაჯინენ ეში ჩქიმი **ლაგუჯის** ვაგორავა „სვანმა თქვაო: შიგნით რომ არ ჩაიხედო, ისე ჩემი ხურჯინი (გუდა) არ აძაგო“ (სიბრძნე 1994, 158). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართველურ ფორმებში **ლა-** პრეფიქსის სვანურიდან შესხების მიჩნევა აუცილებელი არ არის (ჩუბუა 2000-2003, 77). ასეთ შემთხვევაში **ლა-გუჯ-** ადვილად დაუკავშირდება ქართ. **გუდა**-ს. შდრ. ქართ. **ხიდი** : მეგრ. **ხინჯი** „ხიდი“.

კვახჩა / ცვახჩა მეგრულში გარდამავალი სემანტიკით გვხვდება: ი. ყიფშიძის განმარტებით ესაა „თხის ტყავი, მწყემსები იყენებენ დასაგებად“ (ყიფშიძე 1914, 255), პ. ჭარაიასთან „ცხვრის მოქნილი ტყავი, მწყემსები იყენებენ დასაგებად“ (ჭარაია 1997, 78), ვ. შამილადის ეთნოგრაფიულ მასალებში „ხის ტახტი მწყემსის კარავში“ (შამილაძე 1974, 69), ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით „მწყემსის ქურქი“ (ჯვ.). ეს ტერმინი იგივეა, რაც ქართული ქეჩხო: **ქეჩხო** „1. (ძვ.) თხის ან ცხვრის მოქნილი ბეწვიანი ტყავი. 2. (კუთხ.) იგივეა, რაც გუდა“ (ქეგლ VII, 293); ძვ. ქართ. **ქეჩხო** „მოქნილი ცხვრის ტყავი ბეწვიანი“ (საბა 1993, 222); **ქეჩხო** „მარილგაცლილი და დამუშავებული, გაკეთებული ტყავი“ (ლეონიძე 1925, 77); გურ. **ქეჩხო** „ქურქი, ტყავი რისამე. ეძახიან აგრეთვე ტყავის პარკს, რომელშიაც საჭმელს დებენ და ზურგზე იკიდებენ“ (ჟღენტე 1936, 243);

იმერ. **ქეჩხო** „პატარა ხალთა მწყემსის საგზლის შესანახ-სატარებლად“ (გაჩეჩილაძე 1976, 140); აჭარ. **ქეჩხო** „ხბოს ტყავი“; „თხის ან ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ჟილეტისებური მოსაცმელი“ (ფუტკარაძე 1990, 42). ტერმინი მეგრულიდან შეთვისებული აქვს აფხაზურ ენას: **ა-კაჩჩა** „ბეწვის მოუქნელი ტყავი ქვეშაგებად ხმარებული, ქეჩხო“ (ჯანაშია 1954, 153).

ხართა „გუდა“ (ყიფშიძე 1914, 398), „ციკნის ტყავისაგან გაკეთებული გუდა“ (ჯავახიშვილი 1986, 218); „ცხვრისა და თხის ტყავისაგან გაკეთებული ტანსაცმელი“ (ჭარაია 1997, 84). „ხალთა, გუდა, ტომარა“ (ქაჯაია 2002-ა, 517) – მით ხეს კინიკართანცია, თინა იფშანც **ხართასია** „ვინც ხელს წაიკაპიწებსო, ხალთას ის გაივებსო“ (გუდავა 1975, 156). ეს ტერმინი გვხვდება სამსავე ქართველურ ენაში: ქართ. **ხალთა** „ტყავის ტომარა, გუდა“ (ქეგლ VIII, 1322); სვან. **ხალთა** / **ხალთ** „ხალთა, გუდა“ (თოფურია 2000, 867), აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში: **ხალთა** (ლექხ.) „ხბოს გუდა საფეკილედ, სახორბლედ და სხვ.“ (ლეონიძე 1925, 94). გურ. **ხალთა** „ბეწვიანი ტყავი“ (ჟღენტა 1936, 260); ზემოიმერ. **ხალთა** „თხის ან ცხვრის ტყავის ჭურჭელი – გუდა“ (მოწენიძე 1974, 501); იმერ. **ხალთა** „თხის ტყავი თოფრაკივით გაკეთებული, ზურგზე მოსაკიდებელი გუდა“ (გაჩეჩილაძე 1976, 173). სიტყვა მეგრულიდან არის შეთვისებული აფხაზურ-ჩერქეზულში: აფხ. **ა-ჩათრა** (ჯანაშია 1954, 441).

გუდის, ლაგუჯის სინონიმად ინფორმატორები ასახელებენ **ხეც**-ს (ჯვ.). იქნებ გაფხევილი ტყავი იგულისხმება? მეგრულში გაფხევილი **ხევილ**-ია. ამ ეტაპზე სხვა მოსაზრება აქ გვაქვს.

კუპრული „თხის ტყავისაგან გაკეთებული გუდა“ (ჯვ.). შდრ. **კუპრიელი** „1. ტიკი, ტიკჭორა (მოკუპრული). 2. საქალამნე ძველი რუმბისა“ (ქეგლ IV, 1434); **კუპრიელი** „იმერულად ტიკი“ (ჩუბინაშვილი 1991, 255); გურ. **კუპრიელა** „მამალი თხის ტყავისაგან გაკეთებული გუდა, ტიკი“ (ჟღენტა 1936, 230); ზემოიმერ. **კუპრიელი** „პატარა ტიკი, ტიკჭორა“ (მოწენიძე 1974, 212); მთიულ. **კუპრიელა** „გადაბრუნებული ტყავი ბეწვით შიგნით“ (კაიშაური 1978, 212). იგულისხმება კუპრით ამოგლესილი გუდა. ქართულიდან ნასესხობის სახით გვაქვს ოსურში **კუპრუ** / **კუპრული** (აბავეი 1958, 641).

ქასლაშია „ჭურჭელი, თხის ტყავისაგან გაკეთებული. შიგნით და გარეთ გაფხევილია. შიგ ასხამენ მაწონს და მგზავრობის დროს

დააკეთ“ (სახოკია 1985, 350). ნაგენეტივარი სახელი მეგრულში სხვა-დასხვა ფორმით გვხვდება: **ქასლაში** (ყიფშიძე 1914, 342), **ქაცელაში** (ჯავახიშვილი 1986, 217), **ქაცლაში** (ჭარაია 1997, 140), **ქაცლაშია** (ფიფია 1999, 45). **ქაცლა** (ელიავა 1997, 317).

ზამთრის სამოსელს შორის აქტიურად იყენებდნენ საქონლის ტყავისაგან დამზადებულ **კანჩაფლას** (შავიანიძე 2015, 131).

ლიტერატურა

აბაევი 1958 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 1. Москва-Ленинград, 1958.

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973

ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912.

ბუკია 2013 – ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვო-კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან I, თბილისი, 2013.

გაჩეჩილაძე 1976 – პ. გაჩეჩილაძე. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი, 1976.

გუდავა 1975 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ. თბილისი, 1975.

ელიავა 1997 – გ. ელიავა, 1997, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი – თბილისი, 1997.

თანდილავა 2013 – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013.

თოფურია 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

კაიშაური 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 1967.

კობახიძე 1987 – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1987.

ლეონიძე 1925 – ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბილისი, 1925.

მაკალათია 2006 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 2006.

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб., 1910.

მენტეშაშვილი 1943 – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, II, თბილისი, 1943.

ნიჭარაძე 1957 – შ. ნიჭარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ. ბათუმი, 1957.

ჟღენტი 1936 – ს. ჟღენტი, გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 1936.

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, 1991.

საბა 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი

სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.

სახოკია 1989 – თედო სახოკიას არქივიდან, II. მეგრული ანდაზები და გამოთქმები, იკე, XXVIII, თბილისი, 1989.

სიბრძნე 1994 – ხალხური სიბრძნე. I. მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები რ. შეროზია და ო. მემიშიში, თბილისი, 1994.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ფიფია 1999 – დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბილისი, 1999.

ფუტკარაძე 1990 – შ. ფუტკარაძე, მეცხვარეობის ლექსიკისათვის აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VII, თბილისი, 1990.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 2001.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი, 2002.

ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი, 2002-ა.

ქაჯაია 2009 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი, 2009.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლ 2008 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1 (ახალი რედაქცია), თბილისი, 2008.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

ყიფშიძე, 1914 – И Кипшидзе Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем С-Пб. 1914.

შავიანიძე 2015 – დ. შავიანიძე, სამეგრელო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, ქუთაისი, 2015.

შამილაძე 1974 – ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, II, თბილისი, 1974.

ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი, 1961.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2017.

ცოცანიძე 1978 – გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978.

მოწენიძე 1974 – ქ. მოწენიძე, ზემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1974.

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997.

ხუბუა 1937 – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937.

ჯავახიშვილი 1986 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. I. მესაქონლეობა, თბილისი, 1986.

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

**The Vocabulary Related to Products Made from Cattle
in Megrelian (Fleece and Pelt)**

Abstract

The terms denoting products from cattle (fleece, pelt) take a significant part in a herdsman's vocabulary in Megrelian.

The paper deals with up to 150 word forms representing types of fleece and pelt, their processing, purpose, tools, etc.

A part of the words is specific just for Megrelian language while others are used in the common Kartvelian vocabulary. A part of the word forms is adopted from Megrelian (or Kartvelian) by neighboring languages.

ლელა გიგლემიანი

**ფერთა ამნიშვნელი ლექსიკა სვანურ
ტოპონიმებში**

გეოგრაფიულ სახელთა აღნუსხვა, მათი გენეზისი და სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ეხმარება ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს, არქეოლოგებს ხალხთა ისტორიის, მათი ყოფა-ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევაში. ტოპონიმთა, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად, იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გადმოცემის შუქი ვერ სწვდება“ (ჯანაშია 1959, 117-123).

ცნობილია, რომ ზოგადად ტოპონიმური მასალის სიუხვეს განაპირობებს აღნიშნული რეგიონის რელიეფის სპეციფიკა. ლანდშაფტურად მრავალფეროვან სვანეთში, მთა-გორები, დიდი თუ პატარა მდინარეები, შენაკადები, ღელეები, ტბები, მთები, სათიბები... სახელდებულია ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ და მდიდარ მასალას წარმოადგენს ტოპონიმური კვლევისთვის.

სვანურ ტოპონიმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკას.

ამჯერად ჩვენი საანალიზო მასალა გახლავთ ა. ჭკადუას ხელნაწერი ნაშრომი „სვანეთის ტოპონიმთა“ (მასალა დამუშავებულია კომპიუტერულად და მზადდება გამოსაცემად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში, შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით), სწორედ ამ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით გავაკეთოთ ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის შემცველი სვანური ტოპონიმების სტრუქტურული ანალიზი. როგორც გარკვეულია, სვანურში, მეგრულისა და ლაზურის მსგავსად, გვაქვს, საკუთრივ სვანური და, აგრეთვე, ნასესხები ფერის ტერმინებიც. თუ ლაზურში ტერმინები ნასესხებია თურქულიდან, სვანურში, ისევე როგორც მეგრულში, ტერმინები ნასესხებია ქართულიდან. საკუთრივ სვანური

წარმოშობის ტერმინებია: თუთუტუნე (თეთრი), მეშხე (შავი), წგრნი (წითელი). სამივე ეს ტერმინი ბაზისურობის კრიტერიუმის ყველა პუნქტს აკმაყოფილებს და უდავოდ ბაზისური ფერის ტერმინებია [სოსელია 2009, 132]. სწორედ ეს ლექსიკური ერთეულები გვხდება ძირითადად სვანურ ტოპონიმებში.

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

ა)უაფიქსო, მარტივი სახელები; ბ)აფიქსებით ნაწარმოები, წარმოქმნილი სახელები (დერივატები); გ) კომპოზიტები ; დ) რთული შედგენილობის სიტყვა-შეერთებანი.

ა)უაფიქსო მარტივი სახელებიდან ძირითადად გვხდება : მეშხე (შავი), წგრნი (წითელი).

თუთუტუნე (თეთრი) როგორც მარტივი ტოპონიმი არ შეგხვედრია, ამბავო ჭკადუას მასალაში.

მეშხე „შავი“ – კლდის სახელწოდებად გვხვდება მესტიაში, კერძოდ სოფ. ცალდაში. ეს არის მდინარე წანერგლას მარცხენა კალთის სანადირო კლდე, რომელიც შავი ფერის შთაბეჭდილებას იძლევა.

წგრან „წითელი“, როგორც მარტივი ტოპონიმი გვხვდება როგორც მთის, ასევე კლდის სახელწოდებად.

წგრან – სამოვარი, მთა, სოფ. კიჩხულდაში. ამ ადგილას ტყეც და კლდეც მოწითალოა.

წგრან – კლდის სახელად გვხვდება სოფ. უსგვირში, ჭალაის მარჯვენა კალთაზე. ეს კლდე კი წითელი ფერისაა.

ბ)რაც შეხება წარმოქმნილ სახელებს, მათ ძირითადად სუფიქსური წარმოება ახასიათებთ, გვხვდება:

1. ნათესაობითი ბრუნვის -**წშ**, -**აშ**, -**წშ** ფორმანტით ნაწარმოები ტოპონიმები:

თეთნ-წშ – „თეთრისა“, სამოვარის სახელია;

მეშხ-წშ – „შავისა“, სათიბი, საზაფხულო მთა, შავთიხიანი ადგილია;

მეშხ-წშ – „შავის“, სათიბები, ლემსიის მთაში;

წგრნ-აშ – „წითლის“, სამოვარი, სასაშის სამხრეთით, აქვე მოედინება მჟავე წყალი;

წერნი-აშ – „წითლის“, კლდე სოფ. ივარის მხარეს, მოწითალო ფერის.

წერანი-აშ – „წითლის“, სამოვარი, სოფ. დურაშისა და საყდრის მთაში წყლის მიერ გაწითლებული ადგილია.

2. მრავლობითი რიცხვის -არ//-არ, -ალ ფორმანტიანი წარმოება:

თეთროლ-არ „თეთრები“ – კლდის სახელწოდება;

მეშხ-არ „შავები“ – კლდე სოფ. უსგვირში, სანადირო კლდეებია, შავი ფერის;

მეშხ-აღ – კლდე (მესტია, ცალდეში) შავი ფერის კლდე, საჯიხვე.

წერნი-ალ –კლდე „წითლები“ – კლდე (სოფ. ტვიბი), ალპურ ზონაში მოწითალო ფერის კლდიანი მხარე;

წერნ-არ//წერნი-არ//წერნიაღ – კლდე, სოფ. მულახი, მოწითალო ფერის კლდე.

3) საყურადღებოა ასევე კნინობით-სუფიქსიანი (-ილდ, -გლდ, -ულდ, -ილ, -ილ, -გლ) სახელები:

თეთნ-ულდ-აშ ზედმიწ. „თეთრუკასი“ – სამოვარია ზესხოში;

მეშხ-ილ ზედმიწ. „შავუკა“ – დეღე მესტია ყაზაყის ტერიტორიაზე. მდინარე არის შავი ფერის;

მეშხ-ოლ ზედმიწ. „შავუკა“ – დეღე, სოფ. ხევრა. დეღე და კლდე ორივე შავი ფერისაა;

წერნელდ – ზედმიწ. „წითლუკა“ – გზა სოფ. იელიში. აქ თიხა წითელი ფერისაა.

გ) კომპოზიტური წარმოების მხოლოდ ორი მაგალითი დაფიქსირდა: **თეთრნახშირა //თეთნაშგრა** – მდინარე, დეღე, მოიპოვება მოთეთრო სალესი ქვა. შესაძლოა მომდინარეობდეს თეთნა + შირადან.

თეთრიღალა „ზედმიწ. თეთრიღელე“ – დეღე, ლენტეხი, რცხმელური.

დ) რაც შეეხება შესიტყვებებს, ისინი შედგება მსაზღვრელ-საზღვრულისაგან, სადაც მსაზღვრელი სახელი აზუსტებს, მეტ ინფორმაციას გვაწვდის საზღვრული სახელის შესახებ.

აღნიშნულ შესიტყვებებში მსაზღვრელი სახელი ფერთა აღმნიშვნელი (თუთნე „თეთრი“, მეშხე „შავი“, წერნი „წითელი“) სი-

ტყვებია, საზღვრული სახელები კი მრავალფეროვანია, აღნიშნავენ: ჰიდრონიმებს, ორონიმულ ტერმინებს, სხვადასხვა ობიექტის სახელებს, სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ადგილთა სახელებს და ა.შ.

საანალიზო მასალაში კომპოზიტთა ნაწილი ატრიბუტულ-მსაზღვრელიანია, ნაწილი კი გენეტიურმსაზღვრელიანი.

ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტებია:

თეთნე ტობ „თეთრი ტბა“ – ტბა სოფ. ყარში;

თეთნე ფოქ „თეთრი გამოქვაბული“ – გამოქვაბული, რომელიც თეთრი ფერისაა, კირიანი ადგილია.

თეთნე ლიც „თეთრი წყალი“ – ჭალა, სოფ გულაში;

მეშხე ტუბ „შავი ტბა“ – დეღე, მდინარე მესტიაში. შავი ფერის;

მეშხე დელა – „შავი დეღე“ – დეღე სოფ. ხელედში;

მეშხე ყუმბილ – „შავი კომბალი“ – კლდე, მესტია, მულახში. შავი ფერის კლდეებია;

წგრნი ტობ „წითელი ტბა“ – მუქი ფერის ნიადაგია ამ ადგილას;

წგრნი სგიმნლ „წითელი მჟავე წყალი“ – სათიბი, სოფ. ნაცულში. მოედინება წყალი, წითელი ფერის;

წგრნი ქუან – „წითელიკლდე“ – წითელი ჭიუხვი ყანები, წითელი ქვებით და კლდეებით;

ყუთთელ ტობ „ყვითელი ტბა“ – ტბა მესტიაში.

რაც შეეხება რიცხვში შეთანხმების საკითხს ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში, როგორც მოსალოდნელი იყო (სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც პრეპოზიციური მსაზღვრელი რიცხვში არ ეთანხმება საზღვრულს). მსაზღვრელი მხოლოდით-შია, საზღვრული მრავლობითში:

თეთნე კოჯარ „თეთრი კლდეები“ – კლდე, თეთრი ფერის, კირიანი კლდე.

წგრნი კვლგლდარ „წითელი ქვები“ – კლდეები, კლდიანი მხარე. ნადირთ ჩასაკეტი (სოფ. ზესხო)

წგრნი ლვცარ „წითელი წყლები“ – წყაროები, სოფ. ხევრა.

მეშხეკოჯარ „შავი კლდეები“ – კლდე (მესტია, სოფ. ფარი);

მეშხე ლეცვარ „შავი წყლები“ – ყანები. სოფ. გულიდაში მოედინება წყლები, სადაც შავი თიხაა.

ჭკრელ შუკურ „ჭრელი გზები“ – გზა, საცალფეხო ბილიკი...

მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციის მიხედვითაც არ გამოირჩევა სვანური სხვა ქართველური ენებისგან, სიტყვათშეერთებით მიღებულ ტოპონიმებში (სხვა ქართველური ენების მსგავსად) პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი სვანურში მეტად იშვიათია, საანალიზო მასალის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანური პრეპოზიციურ წყობას ანიჭებს უპირატესობას (რაც ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებშიც ნათლად ჩანს).

ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები გენეტიურ მსაზღვრელად უხვად გვხვდება კომპოზიტებში:

მეშხოლშ წესხოლ „შავის ძირი“ – კლდის ძირი, სოფ. ხევრაში

მეშხოლშ სტიკუტ „შავის ბილიკი“ – ქედი სოფ. ხევრა.

მეშხაში ტუბრა „შავის ტბა“ – დეღე, მესტია, ჰადიში.

წგრნიშ გორაგ „წითლის გორა“ – სამოვარი სოფ. ეცერში

წგრნიშ ნატიციტუ „წითლის ჩამონაწყვეტი“ – ხრამი, მოწითალო ფერის თიხით.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, შედგენილობის მიხედვით მსაზღვრელად გვხვდება მარტივი ან ნაწარმოები სიტყვები, ხოლო კომპოზიტი მსაზღვრელი ძალზე იშვიათია, დავასახელებთ ერთ მაგალითს:

თუთენე-მეშხე ლალყურ ქაშან „თეთრ-შავი დასაწოლი ქაშანი“ – ბილიკი, ჯიხვების სამყოფ-დასაწოლი (მესტია)...

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში საკმაოდ ხშირია ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები ტოპონიმებში. ისინი გვხვდება როგორც მარტივი ფუძეების, ისე დერივატების სახით, ასევე ატრიბუტულ და გენეტიურ შესიტყვებებში. არსებული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით აფასებს ან ახასიათებს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტს და ამ შეფასებაში ნათლად ჩანს სახელდების განმაპირობებელი თუ გამომწვევი მიზეზი.

ლიტერატურა

ზურაბაშვილი 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, 1961.

სოსელია 2009 – სემანტიკური უნივერსალები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, თბილსი, 2009.

შავრეშიანი 2019 – ნ. შავრეშიანი, ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმები სვანურში, იკე, 2019.

ცხადაია 1985 – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, 1985.

ჭკადუა 2018 – რ. ჭკადუა, ზოგი ოდენპრეფიქსიანი და კონფიქსიანი მიკროტოპონიმების შესახებ სვანურში, XIV ტ. 2018.

LELA GIGLEMIANI

The Vocabulary Denoting Colors in Svan Toponyms

Abstract

In Svan toponyms, the basic color terms are attested: **twetwne** (white), **mešxe** (black), **čərni** (red). They can be found as a simple base, a compound or a derivate as well as in attributive and genitive syntagms. The existing material is quite diverse and describes geographical features in different ways giving the reasons of denominating.

გიორგი გობოლაშვილი

„ხალხური კომუნიის ენა“...
(ციკლიდან: ფიქრები ანა კალანდაძეზე)

* * *

შესაძლებლობა მომეცა და ქ-ნ ანას შეკითხვა დავუსვი: „თქვენ ბრძანებთ, „ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის – ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად... მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქცევი ფშაური ლექსების ციკლის წერისას“...

თქვენ გურიაში დაიბადეთ. როგორც წესი, „პირველი პოეტური შთაგონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება...“ და რამდენადაც დაგკვირვებია, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არა ჩანს... რატომ?*

რა პასუხი მივიღე ამ კითხვაზე, მოგვიანებით გეტყვით: ჯერ იმის თაობაზე, რატომ დავსვი ეს კითხვა...

* * *

„გურული გახლავართ და „გაკუჭებაც“ გვარიანი ვიცი“... (ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. II, 1996. გვ. 149. შემდგომ მივუთითებთ მხოლოდ გვერდს) – წერს ერთგან ქალბატონი ანა. „საუბრებში“, პროზაულ ჩანაწერებში „გურული გახლავართ“ – მისთვის საამაყო ფაქტია...

„ჩემი პირველი პოეტური შთაგონება, ჩემი პირველი პოეტური სიტყვა ჩემს მშობლიურ სოფელს, ხიდისთავს, უკავშირდება. იგი გურიაშია, ჩოხატაურის რაიონში. ამ სოფელში ვარ დაბადებული მოსამსახურის ოჯახში“ (39). – ასე იწყებს ქალბატონი ანა თავის „საუბრებს“... ასეთი დასაწყისი კი იმისთვის სჭირდება, რომ განმარტოს, რამ შეუწყო ხელი მისი „პოეტური სიმის“ შერხევას: „სულ უმნიშვნელო ბიძგმა, სულ უბრალო შემთხვევამ შეიძლება შეარხიოს ჩვენში ის პოეტური სიმი, რომელიც თით-

ქოს იმ გარეგან ფაქტორს ელოდებო“ (39)... ცოტა ქვევით ქ-ნი ანა იმ შემთხვევასაც გაიხსენებს, რომელმაც სწორედ ეს სიმი შეარხია მასში და იმთავითვე განსაზღვრა, როგორც ბრძანებს, „ჩემი მომავალი. ეს შემთხვევა რომ არა, შეიძლება პოეზიას არც დაკავშირებოდიო“ (39).

ეს ის დროა, როცა „ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. ზაფხულის არდადეგებს ბავშვები თითქმის ყოველთვის ვატარებდით ხიდისთავში... სოფლად გამგზავრება ჩვენთვისაც დღესასწაულო იყო. ჩემი ბავშვობა ძალზე უფერული იქნებოდა, ხიდისთავში გატარებული უბედნიერესი დღეები რომ არა!“... (40).

და იწყება – გახსენება იმ ბედნიერებისა, რასაც სოფელი ჰქვია, რასაც გურია ჰქვია...

„წაბლის ხის ერთსართულიანი საკმაოდ დიდი ოდა გაშლილ მწვანედ მოხასხასე მინდორში“...

„ოდის უკან იყო რცხილის უზარმაზარი ხეებით დაბურული მარანი... ამ რცხილების გუგუნი ახლაც ხშირად ჩამესმის ხოლმე“...

„მეორე ასეთივე დიდი მარანი ეზოს გადაღმა გვექონდა. ყანაში... ჩემს ბავშვობაში იგი უფრო მიტოვებული და მივიწყებული იყო თავისი „ცარიელ ქვევრში დამწყვდეული ჭინკებით“ (ეს მარანი მქონდა მხედველობაში ლექსის „დამილოცეთ, ძმებო“ წერისას“)...

„სახლს ორივე მხრიდან წყალი ჩამოუდის: ერთ მხარეს მაჭახურას დელეა და მეორე მხრიდან – სპეციალურად წისქვილისთვის გადმოგდებული გუბაზოულის ტოტი“...

„უწისქვილოდ „კარმიდამო ჩემი“ ვერც კი წარმომიდგენია“ (40)

„საუბრებშიც“ (II ტომში შესული ერთი მონაკვეთის სათაურია) და სხვა ჩანაწერებში გურიაზე საუბარი უემოციოდ არ შეუძლია ქ-ნ ანას...

და გახსენება იმ საღამოსი, როცა შეირხა „ის პოეტური სიმი“ და რამაც „იმთავითვე განსაზღვრა“ მისი მომავალი...

„მახსოვს, ზაფხულის ერთ საღამოს ბავშვები ჩვენი ძველებური ფართოაივნის ოდის წინ ეზოში ვისხედით და დიდი გულისყურით ვუსმენდით ფოცია მამიდას, რომელიც მშობლიურ

ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში. იმ ზაფხულს ისიც ჩვენთან ერთად ისვენებდა. მოულოდნელად ჩვენი ყურადღება მიიპყრო საოცარმა ნათელმა, მათათა წვერებს რომ ეფინებოდა. მთვარე ამოდიოდა, სავსე, ბადრი მთვარე! ბავშვები მოჯადოებულებით შევყურებდით ამ დიდებულ სურათს, ყურადღება გაგვეფანტა... მამიდამ იგრძნო: მშვენიერია, არა? – გვკითხა და მეორე დღისთვის ყოველივე ამის აღწერა გვთხოვა.

დილისათვის ორსტროფიანი ლექსი მზად მქონდა. ლექსს, რა თქმა უნდა, „ბადრი მთვარე“ დავარქვი. მამიდამ დიდად გაიხარა, ლექსი მომიწონა და შინაურებსაც წაუკითხა. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი მხოლოდ იმიტომ, რომ... დავალების შესრულება შევძელი და რომ მამიდას ვასიამოვნე“... (41).

ასე რომ, გურია, გურული გარემო, გურულები, გურული დიალექტი – ის სამყაროა, რომელმაც „იმთავითვე განსაზღვრა“ ქ-ნი ანას პოეტური მომავალი... და...

ქ-ნი ანას ლექსებში ეს გურული დიალექტი ფაქტობრივ არ აისახა. უფრო სწორად, ლექსებში გვხვდება რამდენიმე დიალექტური ლექსიკური ერთეული:

„შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა“...
„ქუდმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...“
„პაწაწინა აჭვისწყალი
ამ ბოგის ქვეშ ახშიანდა“...

და თითქმის არცერთი გრამატიკული დიალექტიზმი. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ სწორედ ლექსებში არ გვხვდება ასეთი დიალექტიზმები; პროზაულ ჩანაწერებში – საკმაოდ:

„რამ შევაშინა, ნენა, გული არ გეიტეხო, – აგერ არა ვართ?“ (327)

„იმ დალოცვილმა აგი მაინც რაფერ თქვაო?“ (344)

„ეილე, დეიდა, ეილე, – ერთი კაპიკია, მარა ერთ კოლოფ სპიჩკას იყიდი“... (344)

„მთებში იმერელი ხალხი ვერ ანავალა, – თათრის ნაშინება... (...) ეძება, ეძება და ბოლოს მიაგნო, მარა მარტომ ვერ ამეიყვანა და სოფელს გასძახა: ბაწარი მეიტანე, ბაწარი მეიტანე... ვერ გეიგეს, ეგონათ, თათარი მევიდაო... (...) გოუკვირდა, სა წევიდა ეს ხალხიო... იგენმაც როცა გეიგეს, რაში იყო საქმე, ქე დაბრუნდენ უკან...“ (345)

„მეზობელი სუფრიდან გურულმა კაცმა იკითხა, – დეიწყეს იქინეც? (347)

„ამიზა იყო რევიზია?... (347)

„ხვალე ალბათ ხაბურზაკის სუპს გვაჭუმენ და ნამოთვარ (ლაყე) კვერცხებს გაგვასაღებებენო“ (347).

ამ და მსგავს შემთხვევებში საკმაოდ საინტერესოა დაჭერილი გურული დიალექტის თავისებურებანი...

კითხვა ასეთია: გურული დიალექტი არაა პოეზიის ენა? როგორც ჩანს, „მაღალი“ პოეზიის ენად არ მიაჩნია ქ.-ნ ანას... თორემ გურულ ხალხურ პოეზიას სიამოვნებით გაიხსენებს ერთგან: 60-იან წლებში ქ.-ნ ანას ლევან გოთუასთან ერთად გურიაში უმოგზაურია... „მასპინძლებმა მიმითში წაგვიყვანეს (ლევან გოთუა მიმითელია). (...) შენობის მეორე სართულიდან ქვემოთ დიდებული სანახაობა გადაგვეშალა: მზეზე ბრწყინავდა მდინარე სუფსა და მისი შენაკადი ბახვისწყალი (...). სუფსამ ბაილეთი მომაგონა ერთი გურული ხალხური ლექსიდან, „ალი ფაშამ გვიღალატა“:

„ალი ფაშამ გვიღალატა,
ჩაგვიყვანა კვირიკეთში,
იმან ფულები ეილო,
ჩვენ ჩაგვტია რუსის ხელში.
კარგი არც მას დამართნია
ბაწრით ჩაათრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა
სუფსის გაღმა ბაილეთში“... (550)

და იქვე ლიმილიანი კომენტარი: „ორი დღის განმავლობაში ბევრის ნახვა მოვასწარი ჩემს მშობლიურ კუთხეში. მარტოცადა მის უკეთესს ვეფერს ნახავს კაცის თვალი!“ (550).

დიახ, ხალხურ პოეზიაში გურული დიალექტური ფორმები ჩვეულებრივია, პროზაულ ჩანაწერებში ქ-ნი ანა არ უკარგავს ხიბლს გურულ მეტყველებას... ის, რაც შესაძლებელია და დასაშვები გურული ხალხური ლექსისთვის, მიუღებელია ქ-ნი ანას პოეზიისათვის...

ფშაგ-ხევსურულის შემთხვევაში?... – აქ სრულიად განსხვავებული ვითარებაა...

* * *

1955 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა ანა კალანდაძის ფშაური ციკლის ლექსები. როგორც ჩანს, არაერთმნიშვნელოვანი იყო კრიტიკისა და მკითხველების დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.

ქალბატონი ანა საკმაოდ გულდაწყვეტილი საუბრობს იმის თაობაზე, თუ როგორ გამოეხმაურა „ერთი ახალგაზრდა კრიტიკოსი“ „მნათობის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ ფშაური ციკლის ლექსებს: „**გახალხურებისაკენ, სისადავისკენ სწრაფვას პოეტი ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსების იმიტაციამდე მიუყვანია**“-ო... (355).

ქ-ნი ანა სიამოვნებით აღნიშნავს იმას, რომ „მნათობის“ რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი (ქ-ნი ანას დიდი გულშემატკივარი და პატივისმცემელი) „არ ეთანხმებოდა ამ შეფასებას და, თითქოს თავისი შეხედულებების დასასაბუთებლად, ჟურნალის არქივიდან გადმომცა ვემათხვეელი ავტორ-მთქმელის, ალექსანდრე ქუშხვეელის, ლექსი – „ანა კალანდაძეს ჟურნალ „მნათობის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებული ფშაური ლექსების გამო“... გადმომცა სასკოლო რვეულის ორ გვერდზე მელნით ნაწერი ეს ლექსი და დასძინა, არავითარი უფლება არ მაქვს, ჟურნალის არქივიდან რაიმე გავცე, მაგრამ ამჟამად გამონაკლისს ვუშვებო... (355). ეს „გამონაკლისი“ დასტურია იმისა, რომ რედაქტორი ეთანხმება ქუშხვეელს და თანაუგრძნობს ახალგაზრდა პოეტს უსამართლო კრიტიკის გამო...

ქ-ნი ანა გვთავაზობს ნაწყვეტს ალ. ქუშხვეელის ლექსიდან:

„ეს ლექსები ფშავისხევის
ყვავილების კონებია.
ჩვენს ზაღჩაში მოგიკრეფავს,

ფშავი მოგიწონებია...
„ვაჟას ჩანგი მოძველდაო“,
მე ტყუილად მგონებია,
ჩვენი ხალხის პოეზია
დროს ვერ დაუმონებია“...

ქ-ნი ანასთავის „ახალგაზრდა კრიტიკოსის“ „ბრალდება“ იმდენად გულსატკენი ყოფილა, რომ ვეძათხეველი მთქმელის ამ ლექსზე საინტერესო კომენტარს გვთავაზობს:

„ჩემთვის სასიამოვნო ის გახლდათ, რომ უმდიდრესი ხალხური პოეზიისა და ვაჟას პოეტურ მარგალიტს ნაზიარებ მთიელ კაცს, ხალხის წიალიდან გამოსულს, სწორედ იმ კუთხის შვილს ჩემი სტრიქონები „ხალხური პოეზიის და ვაჟას ლექსების იმიტაციად“ რატომღაც არ მოსჩვენებია! იგი იმთავითვე ჩასწვდა ჩემს ჩანაფიქრს, „მიხვდა“, რომ „ეს ლექსები“ დაწერილი იყო **ხალხურ კილოზე** (ხაზი ყველგან ჩემია – გ. გ.), – „მათი ბაღჩიდან“ იყო და, ბუნებრივია, ვეძათხეველი მთქმელის მიმართ განვიმსჯეალე იმ დიდებული გრძნობით, რასაც ურთიერთგაგება ჰქვია, მკითხველისა და ავტორის ურთიერთგაგება; როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, ჩემი მიზანი ის იყო, რომ **სწორედ ხალხური პოეზიის ენით შევხმებოდით ხალხური პოეზიის მადლცხებულ კუთხეს**“ (356)...

აქ ორ ფაქტს მივაპყრობთ ყურადღებას: ა) ფშავი, უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, ფშავ-ხევსურეთი – „**ხალხური პოეზიის მადლცხებული კუთხეა**“ და 2) ფშაური, უფრო ზუსტად ფშავ-ხევსურული დიალექტი – „**ხალხური პოეზიის ენაა**“...

„პოლემიკა“ ფშაური ციკლის ლექსების თაობაზე ამით არ დასრულებულა. ცნობილ მწერალსა და კრიტიკოსს, ლავროსი კალანდაძეს, რომელიც იმჟამად „მნათობის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო, ჟურნალში „ახალგაზრდა კრიტიკოსის“ საპასუხო წერილი გამოუქვეყნებია; ანა კალანდაძის მხარდამჭერი წერილი: „აი, თქვენ იხილავთ ანა კალანდაძის ლექსებს, დაბეჭდილს ჟურნალ „მნათობის“ გასული წლის... №11-ში და საკმაოდ ბევრ საყვედურს ამბობთ პოეტის მისამართით... ასეთია თქვენი განაჩენი: „ფშავ-ხევსურებზე დაწერილ ლექსებში... გახალხურებისაკენ, სისადავისაკენ სწრაფვას პოეტი ხალხური პოეზიის და ვაჟას

ლექსების იმიტაციამდე მიიყვანა“... ეს საკმაოდ მძიმე საყვედურია და, ვფიქრობ, საკმაოდაც უმართებულო... ჩვენ გვიყვარს სამშობლო, გვიყვარს ეს მთა, ეს ტყე, ეს მდინარე, მაგრამ პოეტმა დაინახა ამ სიყვარულის მეორე მხარეც, დაინახა, თუ როგორ „ფუყვარვართ“ ჩვენ ამ მთას, ამ ტყეს, ამ მდინარეს და როგორ წყურიათ მათ, რომ ჩვენც ძლიერ, მეტად ძლიერ გვიყვარდეს ისინი. ბუნების ამ გასულიერებაში დიდი გრძნობაა... ჩვენც, ჩვენი მხრივ, თავიდან უნდა ავიცილოთ პოეზიის გასქემატურებისა და გამოფიტვის საშიშროება. დეე, თანამედროვე ადამიანი მეტყველებდეს პოეზიაში მთელი თავისი, მრავალფეროვანი სულიერი ცხოვრებით. ...ჩვენც, კრიტიკოსები, ნამეტანს ნუ ვიზამთ, ნამეტანს ნუ შემოვზღუდავთ პოეტურ იდეათა სამყაროს. ჩვენს მუშაობაშიც არ ვარგა აჩქარება“ (357)... ლ. კალანდაძის ეს წერილი „მნათობში“ 1956 წელს დაბეჭდილა (მე-3 ნომერში)... კრიტიკოსის არქივში მოგვიანებით უპოვიათ ქუშხეველის ლექსის ხელნაწერი; როგორც ჩანს, ეს ლექსი მასაც მოსწონდა... (ლექსი გამოქვეყნებულა 1964 წელს ფოლკლორულ კრებულში...))

ამ ფაქტს ქ-ნი ანა სხვაგან შეფასებასაც აძლევს: „მახსოვს, ერთმა კრიტიკულმა წერილმა, რომელიც 50-იან წლებში „მნათობში“ გამოქვეყნებულ ჩემი ფშაური ლექსების ციკლს უმართებულო, მცდარ შეფასებას აძლევდა, ჩემი უარყოფითი ემოციები აღძრა, რადგანაც წერილის ავტორი სცილდებოდა ჭეშმარიტების საზღვრებს!... თითქოს... ჩაქრენ ჩემს ირგვლივ მოხასხასე ფერები, გაფერმკრთალდნენ თვით მარადმწვანე ნაძვებიც კი, მზის ბრწყინვალეობაც კი... დაიბინდა! ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი მანძინდელი სუბიექტური მძაფრი განცდების შედეგი გახლდათ, უარყოფითი ემოციების შედეგი, უსამართლობით გამოწვეული!“ (66).

პროტესტი გასაგებია: პროფესიონალი ენათმეცნიერი, კლასიკოსი პოეტი სრულიად შეგნებულად წერს: „ხალხური პოეზიის მადლცხებულ კუთხეზე“ „ხალხური პოეზიის ენით“...

ასე რომ: ფშავ-ხევსურული ციკლის ლექსებს იმთავითვე მიუპყრია მკითხველისა თუ სპეციალისტების ყურადღება თემატიკით – და „ხალხური კილოთი“...

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან ფშაური და, მოგვიანებით გამოქვეყნებული, ხევსურული ციკლის ლექსებიდან:

- „...ჭიჩოზე ნისლის კოტორი
მძიმედ, ნელინელ ქანავსა...
ზემო მიწევს, ღრუბლისკენ,
ქვე არ ჩამოდის ჭალასა...
თვალეებს უხარის ყურება,
გრძნობს, სახეს არცა მალავსა...
ეს თავმდაბლობა უხდების,
როგორც ქისტების ქალასა“.
- ანდა: „დედუკავ, ჩემო დედუკავ,
ბატარას დაიცდიდია,
ჩემ ნაპირს ჩამოჯდებოდე,
დამამშვიდებდე მითია...“
- ანდა: „რისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ?
მათს ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?
მიწა უვსიათ... ხევსურთა ძვლებით...
– რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!...“
- ანდა: „ამლას მივდივარ, კალოთანაის მხარეს, –
ცხვარი იქა მყავ (თუ ხევში სად არ ჩავრჩი)!
გნახე მშვიდობით... ცა ჩირახივით ბოლავს, –
ნისლები დიან... ქვექვეური ჯვარის ძალო!
არ-კი გეწყინოს, – ლუდ მაუბნებდის ასე,
ჩემ ათი შვილის გახარებამა, ქალო?...“
- ანდა: „ღმერთმ გაგახარათ, დაიცნო,
თუმც... ეშმაი ხართ, მაცდური!...
ამოიძახებს ზემოთკე
ფეხარეული დასტური...“ და სხვა...

ლექსიკური თუ გრამატიკული თავისებურებანი ფშავ-ხევსურული დიალექტისა თვალშისაცემია...

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ამ ლექსებმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია...

თან ორი ფაქტორიც გავითვალისწინოთ: ანა კალანდაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე სხვა ვითარება შეიქმნა ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში. ქ-ნი ანა „საუბრებში“ დაწერს:

„ლენინგრადის ლიტერატურული ჟურნალების იდეოლოგიურად დამუშავებას ჩვენთანაც გამოეხმაურნენ. „უიდეო და აპოლიტიკური ნაწარმოებებისათვის“ მეც გამაკრიტიკეს უფროსი თაობის მწერლებთან ერთად... (44) და ეს პერიოდი ასევე ემთხვევა იმას, ვაჟა-ფშაველას რომ ბრალდება წაუყენეს „ენობრივ პარტიკულარიზმში“...

და ამ ფონზე არაა გასაკვირი, ვინმემ თავი მოიწონოს ანა კალანდაძის კრიტიკით... (ნიშანდობლივი ფაქტი: ამ კრიტიკას ქ-ნი ანა რამდენიმეჯგუფის გაიხსენებს, შეაფასებს, მაგრამ „ახალგაზრდა კრიტიკოსის“ გვარს არ ასახელებს...).

ანა კალანდაძის დამოკიდებულება ხალხური მეტყველები-სადმი, ძველი ქართულისადმი და თანამედროვე სალიტერატურო ენისადმი არაერთის ინტერესის საგანი გამხდარა...

ქ-ნი ანა მოიგონებს 1979 წლის 8 მარტის რადიოგადაცემას – დიალოგს ლამარა კიკილაშვილთან. წერს: „კითხვაზე, რა კავშირშია, თქვენი აზრით, ძველი ქართული პოეტური სიტყვა და ხალხური მეტყველება, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ენა და დღევანდელი ცოცხალი ხალხური ენა, ჩემი პასუხი ასეთი გახლდათ: ძველსა და ახალ ქართულს შორის, როგორც ცნობილია, ჩინური კედელი არაა აღმართული, – ძველი და ახალი ქართული ენა მესახება ერთ, მთლიან ცოცხალ ორგანიზმად, რომლის შუაზე გადაკვეთა უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს-მეთქი“ (118). ამ პასუხში ერთ მომენტს მივაქცევთ ყურადღებას: ძველი და ახალი სალიტერატურო ენა, ცოცხალი ხალხური მეტყველება ერთი მთლიანობაა... ამიტომაცაა ანა კალანდაძის პოეზიაში ძველი ქართული და ხალხური მეტყველება თანამედროვე სალიტერატურო ენასთან შერწყმული... და ეს პროცესი, „არჩევანისა“, რითაა შეპირობებული? ქ-ნი ანა ამ თემაზეც „საუბრობს“: „ყველაფერს „მდაბიური“ ენით ვერ გადმოსცემ და არც ყველაფერი ითქმის „მაღლებულით“, – ამას უჩვენოდაც ჩინებულად აწესრიგებს „ის“, რაიც შთაგონებით გვწყალობს! დიახ, სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ „გიკარნახებთ“, რა ფორმით სურს განსხეულება“ (63).

ვაქტია: ფშავი და ხევსურეთი... ფშაველები და ხევსურები – ანა კალანდაძის ცხოვრებასა და პოეზიაში ერთი უზარმაზარი სამყაროა... გადავხედოთ თხზულებათა მეორე ტომის მონაკვეთს – „ფშავსა და ხევსურეთში“ (გვ. 157-223) – და დავრწმუნდებით... და, რა თქმა უნდა, ფშაური და ხევსურული ციკლის ლექსებს...

* * *

ზემოთაც გავიხსენეთ: ქ-ნი ანა შენიშნავს: „ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის – ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად... მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქეცი ფშაური ციკლის ლექსების წერისას“ (73)...

„ხალხურობის სურნელი“ ფშავ-ხევსურულ კილოს სხვაგვარი აქვსო...

სწორედ ამგვარმა გააზრებამ დამასმევიანა კითხვა: „თქვენ გურიაში დაიბადეთ. როგორც წესი, „პირველი პოეტური შთაგონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება...“ და რამდენადაც დაგკვირვებიათ, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არ ჩანს... რატომ?...“

ქ-ნ ანას კითხვა არ გაკვირვებია... პასუხი მრავლისთქმელია:

„თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა, მოვიგონებ ადგილს „მგზავრის წერილებიდან“: „მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმე ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩია და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია“...

და ამას მოსდევს ჩვენი თემისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი აზრი პოეტისა: „ფერი“ და „კილო“ ყოველ ქართულ დიალექტურ სიტყვას თავისებური, განუმეორებელი აქვს... ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“, ჩემთვის... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... „უმაღლესი პოეზიით“ გაჯერებული... თავი მთვარეზე მეგონა“...

ქ-ნი ანა განაგრძობს: „ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა ისე შევხებოდი მხოლოდ – „თავის ენაზე!“ ეს ლექსები მხოლოდ ასე გახმაურდნენ ჩემში...“ და ამ მსჯელობას მოსდევს ჩემ მიერ გურული დიალექტის თემაზე დასმული შეკითხვის პასუხი: **„ჩემს ლექსებში გურული დიალექტის კვალი რომ არ ჩანს, ამასთან დაკავშირებით ისევ ჩემს ნათქვამს გავიმეორებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და ამდენად – განუმარტავიც!...“**

* * *

ამ, შეიძლება არცთუ დალაგებულ, ჩემს საუბარს ანა კალანდაძის ვრცელი ამონარიდით შევაჯამებ (ზოგ რამეს გავიმეორებ):

„ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის – ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად (უხსოვარ დროში შექმნილ პოეზიას ვგულისხმობ, ძველ ხალხურ პოეზიას და იმ **ხალხური ლექსის კილოს**) მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქეცი ფშაური ლექსების ციკლის წერისას. ისინი ფშაური ხალხური ლექსის მოტივებზეა შექმნილი, – ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდი, „უნდოდა“-მეთქი!) ასე შევხმობიანებოდი, მხოლოდ „თავის ენაზე!“ არა, ვერ გადმოსცემს ეს ნათქვამი იმ განწყობილებას, რაიც მაშინ „მკარნახობდა“ ამ სტრიქონებს: **ეს ლექსები ასე გახმაურდნენ ჩემში მთიდან დაბრუნებისთანავე, მხოლოდ ასე მეწერებოდა!**

ეს სხვა დროსაც არაერთხელ აღმინიშნავს, ამდენად „ქართული ფოლკლორის სახეობრივი წყობის გავლენაზე“ ლაპარაკი სავსებით უსაფუძვლოდ და უმართებულოდ მიმაჩნია!...“

აქ ქ-ნი ანა ერთ ძალიან საინტერესო კითხვასაც დასვამს: „საინტერესოა, რას უნდა მიეწეროს ის, რომ ფშავ-ხევსურული პოეზიის ნიმუშების კითხვისას მსახიობთა უმრავლესობა უთუოდ უქცევს ამ კუთხის დიალექტზე? ხომ არაა ეს ის, რასაც **გარემოს კარნახი** შეიძლება ეწოდოს?“ (73).

* * *

ფშავ-ხევსურეთს ქ-ნი ანა გურულის თვალთ უყურებს; გურული ისმენს... ამიტომაცაა ზოგჯერ ფშავ-ხევსურული ფაქტებისა და მოვლენების შედარებას გურუასთან ახდენს...

ნათელა ბალიაურის კერძო საუბრიდან ამოკრებილ მასალას როცა გვაცნობს, ასეთ ფაქტზე ამხვილებს ყურადღებას: ხევსურეთში „ძმებს არ სცოდნიათ ერთმანეთში ჩხუბი – „ძმებმა არ იციან შუღლიო“... და როცა ამას წერს, იქვე ფრჩხილებში ასეთ კომენტარს გვთავაზობს: „მამაკაცის, კერძოდ, ძმის კულტი არც გურიისთვისაა უცხო!“ (167)...

ერთგან ასეთ ფაქტს მიანიშნებს: „ხევსურეთში სახლთან ახლოს არასოდეს არ ამხედრდებიანო“ და იქვე გაიხსენებს ბატონი ივანე გიგინეიშვილის ნაამბობს: „კარწინ ცხენზე შეჯდომა გურიაშიც სირცხვილად ითვლებოდა, ეზოს გადაღმა გააცილებდნენ სტუმარს და იქ შეჯდებოდნენ ცხენებზეო“ (497), მაგრამ როცა ენაზე და პოეზიაზე საუბრობს

ფ შ ა ვ - ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი –

„ხალხური პოეზიის ენაა!...

„ხალხური ლექსის კილოა“

„მისი სიტყვის „ფერი“ და „კილო“... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... უმაღლესი პოეზიით გაჯერებული“...

ეს არამიწიერი სამყაროა („თავი მთვარეზე მეგონაო“)...

ხალხურობის სურნელით გაჯერებული კილო...

ფ შ ა ვ - ხ ე ვ ს უ რ ე თ ი –

„ხალხური პოეზიის მადლცხებული კუთხეა“...

„ხალხური პოეზიის დიდებული კუთხეა“...

„გარემოს კარნახი“ გაიძულეებს – „შეეხმიანო“ მხოლოდ „თავის ენაზე“...

და ყოველივე ეს დიდებული ქართულია – „ხევსურული კილოთი დაფერილი ქართული“... ქ-ნი ანა ნათელა ბალიაურის ჩანაწერების შესახებ წერს: „ვკითხულობ ამ ჩანაწერებს (...) და ყურში ნათელას ხმა, მისი ხევსურული კილოთი დაფერილი ქართული ჩამესმის... არაგვის ხმაურთან ერთად! მეც ხომ ყო-

ველთვის გულს მიჩქროლებდა და საარაგვოსაკენ მეწეოდა“ (159)...

მე მგონი, ესაა პასუხი ჩემს შეკითხვაზე – გურულისა და ფშავ-ხევსურულის თაობაზე რომ დავსვი...

ისე, სხვათაშორის: ქ-ნი ანა ძალიან კარგად იცნობს სხვა კუთხეებსაც საქართველოსას: მისი ოჯახი იმერეთში, ქუთაისში, ცხოვრობდა და სკოლაც იქ დაამთავრა ქ-ნმა ანამ; ქართლში ექსპედიციებში დადიოდა და არაერთგზის სტუმრობდა კახეთს... „**გარემოს კარნახზე**“ მხოლოდ ფშავ-ხევსურეთში საუბრობს...

* * *

ერთიც:

ქალბატონ ანას შეკითხვა დავუსვი: „სიმღერისა და ენის ურთიერთკავშირზე ბევრი გიფიქრიათ... ბ-ნი არნოლდ ჩიქობავას ეს აზრიც თქვენს ჩანაწერებში ამოვიკითხე: „ენის შემდეგ სიმღერა ყველაზე მეტად ემსახურება ეროვნულ საქმეს, ერის კულტურის მაჩვენებელია“... შეკითხვა სხვა კუთხით მინდა დავსვა:

ფაქტია, რომ ლექსი და სიმღერა განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიმჩნევა ასეთი კანონზომიერება: ქართულ სინამდვილეში იქ, სადაც მაღალია პოეტური კულტურა, შედარებით დაბალია მუსიკალური კულტურა და პირიქით. მაგალითად, ფშავ-ხევსურული პოეზია უმაღლესი ხელოვნებაა, ამ კუთხის მუსიკალური კულტურა გაცილებით დაბალია; სამაგიეროდ, გურიაში უმაღლესი მუსიკალური კულტურაა, ხალხური პოეზია კი მასთან შედარებით – უფერული... თქვენ როგორ ახსნიდით ამ ფაქტს?...”

სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხისაგან ქ-ნმა ანამ თავი შეიკავა...

ზემოწარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე თითქოს შესაძლებელი არის ამგვარი დასკვნის გაკეთება:

ფშავ-ხევსურული კილო – პოეზიის ენაა და არა სიმღერის...

გურული კილო – სიმღერის ენაა და არა პოეზიის...

ასეა ვითომ?...

**„A Language of Folk Poetry“
(Thoughts on Ana Kalandadze)**

Abstract

In Anna Kalandadze's poetry language, different attitudes towards Georgian dialects are apparent: in the poems about the poetess's native region (Guria), Gurian dialect is not reflected while in the poems about Pshav-Khevsureti, the speech of these parts of Georgia is given in an interesting way. The poetess considers this fact to be an independent phenomenon (She says that the fact is defined by the inspiration). However, in her "conversations" she often indicates that Pshav-Khevsurian speech is "a language of folk poetry". Such a thing was not said about Gurian dialect.

მეფას სალლიანი

**ჰიბრიდულ ტოპონიმთა ფონეტიკურ-ფონოლოგიური
და სემანტიკური ანალიზისათვის სვანური
ენის მონაცემების მიხედვით**

სვანური ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევის პროცესში მკაფიოდ იკვეთება როგორც საერთოქართველური ლექსიკური ფონდი, ისე ქართულ-ზანური ენებიდან შედარებით გვიან შეთვისებული ლექსიკური მასალა. ამავე დროს დიდია ხვედრითი წილი დასავლური თუ აღმოსავლური ენებიდან (**ბერძნული, თურქული, სპარსული, არაბული, ოსური, ჩრდილო-კავკასიური, რუსული** და სხვ.) ნასესხები ლექსიკისა, რომელიც სვანურში, ძირითადად, ქართული და მეგრული ენების გზით არის მოხვედრილი. მეორე მხრივ კი, სვანური ენა ერთგვარად შუამავლის როლში წარმოგვიდგება როგორც **ქართველურსა და კავკასიურ** (კერძოდ – **აფხაზურ-ადიღურ**), ისე – **ქართველურსა და ირანულ (ოსურ-ალანურ)** ენებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ ნასესხები ლექსიკის დიდი ნაწილი სვანურში სხვადასხვა მიზეზთა გამო საკმაოდ არის სახეცვლილი როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად. ყოველივე ეს კი მეტისმეტად ართულებს სვანური ლექსიკის ცალკეული ნიმუშების ეტიმოლოგიურ ანალიზს.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს სვანური ჰიბრიდული (resp. ნაჯვარი) ტოპონიმების გამოვლენა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს.

დიდძალი სვანური ჰიბრიდული ტოპონიმები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი სვანურია (ანუ პოვნიერია სვანურში), მეორე კომპონენტი კი შემოსულია ან სხვა ქართველური ენებიდან, ან რომელიმე უცხო ენიდან (მაგ., რუსულიდან, თურქულიდან, ბერძნულიდან, ოსურიდან...) ქართულის, ან ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმხურის და ა. შ. გზით, დავაჯგუფეთ შემდეგ ნაწილებად:

1) სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულ-მეგრულიდან (შუალობით თუ უშუალოდ) ნასესხები ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საკუთრივ სვანური საზოგადო არსებითი სახელი (ან მიმდევობა): **ბამბა სტიკუტ** (ლნტ.) „ქედი (ზედმიწ. – ბამბ-ის) ბორცვი/გორა“ < ქართ. ბამბა < სპარს. **pamba** და სვან. **სტიკუტ** „ბორცვი, გორა“; **ბულონიშ ლიც** (ლხმ.) „ღელე (ზედმიწ. – ბალ-ნ-არ-ის) წყალი“ < მეგრ. ბულონ-ი „ადგილი, სადაც ბევრი ბალი (ხე) დგას“ და სვან. **ლიც** „წყალი“; **ბუშრე ლაშთხუძარ** (ბქ.) „სამარხი (ზედმიწ. – ბოშ-ების სამარხი)“ < ქართ. ბოშა და სვან. **ლაშთხუძარ** „სასაფლაო“; **გუბი ლიც** (ბზ.) „ღელე (ზედმიწ. – გუბ-ის) წყალი“ < ქართ. გუბე და სვან. **ლიც** „წყალი“; **დედუჭვალ სარაგ** (ბქ.) „წყარო (ზედმიწ. – დედოფლ-ის) წყარო“ < ქართ. დედოფალ-ი და სვან. **სარაგ** „წყარო“; **დიასახლი ლაჭთუნროლ** (ლნტ.) „სამოვარი (ზედმიწ. – დიასახლის-ის) საწყევარი {ადგილი}“ < ქართ. დიასახლის-ი და სვან. **ლაჭთუნროლ** „საწყევარი/დასაწყევლი“; **დიხსალოშ ლაჭთენარ** (ბქ.) „გზა (ზედმიწ. – დიასახლის-ის საწყევარი {ადგილი}“ < ქართ. დიასახლის-ი და სვან. **ლაჭთუნროლ** „საწყევარი/დასაწყევლი“; **დომბა ლარა** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – დომბა-ის) სათიბი“ < ქართ. დომბა „ჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა“ და სვან. **ლარა** „სათიბი“; **ზაგარი პერევალ** (ბზ.) „გადასასვლელი, უღელტეხილი (ზედმიწ. – ზეგან-ის) უღელტეხილი“ < სვან. **ზაგარ** „ზეგანი, ქედი, უღელტეხილი“ და ქართ. პერევალი < რუს. **перевал**; **თეთნულდი ქუჩა** (ბზ.) „ქუჩა (ზედმიწ. – თეთნულდი-ის) ქუჩა“ < სვან. **თეთნულდი** „მწვერვალი“ და ქართ. ქუჩა; **თეთნულდი ჩიხ** (ბზ.) „თეთნულდის ჩიხი (ზედმიწ. – თეთნულდი-ის) ჩიხი“ < სვან. **თეთნულდი** „მწვერვალი ზემო სვანეთში“ და ქართ. ჩიხ-ი; **კანტორაშ სარაგლ** (ლხმ.) „წყარო (ზედმიწ. – კანტორ-ის წყარუკა)“ < ქართ. კანტორა < რუს. **Кантора** და სვან. **სარაგ** „წყარო“; **კა სვეტ** (ლხმ.) „კლდე (ზედმიწ. – ფიქალი ქვის სვეტ-ი)“ < სვან. **კა** „ფიქალი ქვა“ და ქართ. სვეტ-ი „ბოძი“; **კესაშ სარაგ** (ბქ.) „წყარო (ზედმიწ. – კეისრ-ის წყარო)“ < ქართ. კეისარ-ი < ბერძნ. **keisar** და სვან. **სარაგ** „წყარო“; **კესრი ლგფაშდ/კვერიშ ლგფაშდ** (ბქ.) „სათიბ-სამოვარი (ზედმიწ. – კეისრ-ის) ქეზული/ნაქეზი“ < ქართ. კეისარ-ი < ბერძნ. **keisar** და სვან. **ლგფაშდ** „ქეზული/ნაქეზი“; **კესრი ნიც** (ლმხ.) „წყარო (ზედმიწ. – კეისრ-ის) წყალი“ < ქართ. კეისარ-ი < ბერძნ. **keisar** და სვან. **ნიც** „წყალი“; **კუედი ლიც** (ლნტ.) „წყარო

(ზედმიწ. – კოდ-ი[ს] წყალი)“ < ქართ. კოდ-ი „ხის დიდი ჭურჭელი, გაკეთებული გულგამოთლილი მორისაგან“ და სვან. **ნიც** „წყალი“; **ლაკვლდამიშ ბჰჩ** (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – სა-აკლდამ-ო-ს ქვა)“ < ქართ. აკლდამა < ებრ. **akeldam** „სისხლისათვის განკუთვნილი სახლი“ და სვან. **ბჰჩ** „ქვა“; **ლაკვლმზხი ლიც** (ბქ.) „ღელე (ზედმიწ. – სა-კალმახ-ო წყალი)“ < ქართ. კალმახ-ი < სომხ. **կարურასაკ** და სვან. **ლიც** „წყალი“; **ლაკვლმზხიშ ჭუტედ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – სა-კალმახ-ე-ს კედელი)“ < ქართ. კალმახ-ი < სომხ. **კარურასაკ** და სვან. **ჭუტედ** „კედელი“; **ლატყალიშ კოჯარ** (ბზ.) „კლდე (ზედმიწ. – სა-აყალ-ო-ს კლდეები)“ < ქართ. აყალო (წითელი თიხა) და სვან. **კოჯარ** „კლდეები“; **ლდეტალშ ლიც** (ბქ.) „ღელე (ზედმიწ. – სა-დევ-ო-ს წყალი)“ < ქართ. დევ-ი < ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“ და სვან. **ლიც** „წყალი“; **ლგჰგ სუტეტ** (ბზ.) „კლდე (ზედმიწ. – წაქცეული სვეტ-ი)“ < სვან. **ლგჰგ** „წაქცეული“ და ქართ. სვეტ-ი „ბოძი“; **მემეგრელი ნადგარ** (ლნტ.) „გზა (ზედმიწ. – *მო-მეგრელ-ო-[ს] {მო}ნაკლავი)“ < ქართ. მეგრელ-ი და სვან. **ნადგარ** „{მო}ნაკლავი“; **ნამესტრიკიშ ზენილდ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ნამესტრიკ-ის ვაკეუკა/ვაკუნა)“ < ქართ. ნამესტრიკ-ი < რუს. **Наместник** 1. „ნაცვალი, მოადგილე“, 2. „მეფისნაცვალი“ და სვან. **ზენილდ** „პატარა ვაკე ადგილი“; **ობორიშ ლიც** (ლხმ.) „ღელე (ზედმიწ. – საქარეს წყალი)“ < მეგრ. **ობორია** „საქარე“ და სვან. **ლიც** „წყალი“; **ჟაბე ბაქან** (ბქ.) „ბაქანი (ზედმიწ. – ზემო ბაქან-ი)“ < სვან. **ჟაბე** „ზემო“ და ქართ. ბაქან-ი; **ჟაბე ყაზაყ** (ლხმ.) „ყანა (ზედმიწ. – ზემო/ზედა ყაზახ-ი)“ < სვან. **ჟაბე** „ზემო/ზედა“ და ქართ. ყაზახ-ი < თურქ. **qazak**; **ჟიბე აკაჟანარ** (ლნტ.) „ყანები (ზედმიწ. – ზემო აკვნ-ებ-ი)“ < სვან. **ჟიბე** „ზემო, ზედა“ და ქართ. აკვან-ი; **ჟიბე ნაქარბაკულალ** (ჩოლ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ზემო ნა-ქარაბაკ-ევ-ი)“ < სვან. **ჟიბე** „ზემო“ და ქართ. ქარაბაკ-ი „ნაკავით მოწნული ბაკი (საბა)“; **ჟიბე ქარბაკ** (ლშხ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ზემო ქარაბაკ-ი)“ < სვან. **ჟიბე** „ზემო“ და ქართ. ქარაბაკ-ი „ნაკავით მოწნული ბაკი (საბა)“; **ჟიბე წყურგინ** (ლხმ.) „სამოვრები (ზედმიწ. – ზედა წყარო)“ < სვან. **ჟიბე** „ზემო, ზედა“ და მეგრ. **წყურგინ** „წყარო“; **სბენდიკარე სარაგ** (ლნტ.) „წყარო (ზედმიწ. – სპონდიო-ებ-ი[ს] წყარო)“ < ქართ. სპონდიო „ფაშარი და მჩატე ქვა“ და სვან. **სარაგ** „წყარო“; **ურადნიკიშ ნადგარტუ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ურიადნიკ-ის {მო}ნაკლავი)“ < ქართ. ურიადნიკ-ი < რუს. **Урядник** 1. „რუსეთის მეფის არმიის კა-

ზაკთა ჯარის უნტერ-ოფიცერი“, 2. „სამაზრო პოლიციის დაბალი ჩინი“ და სვან. **ნადგარტ** „[მო]ნაკლავი“; **უშბჷ ქუჩა** (ზუ.) „ქუჩა (ზედმიწ. – უშბი[ს] ქუჩა)“ < სვან. **უშბა** „მწვერვალი“ და ქართ. ქუჩა; **უშბჷ შესახტეუტ** (ზუ.) „ქუჩა (ზედმიწ. – უშბი[ს] შესახვევი)“ < სვან. **უშბა** „მწვერვალი“ და ქართ. შესახვევი; **უაგონიშ ნენჩა** (ლზმ.) „ტყე (ზედმიწ. – ვაგონ-ის უღრანი/ხშირი ტყე)“ < ქართ. ვაგონ-ი < ინგ. **wagon** (რუს. ენის მეშვ.) და სვან. **ნენჩა** „უღრანი/ხშირი ტყე“; **ქალაქრლა მურყტამ** (ლზმ.) „ნაკომპარი (ზედმიწ. – ქალაქ-უკა-[ს] კომპი)“ < ქართ. ქალაქ-ი < სომხ. **kalak** და სვან. **მურყტამ** „კომპი“; **შხარაჷ ყინტარ** (ზუ.) „მყინვარი შხარა (ზედმიწ. – შხარა[ს] მყინვარი)“ < სვან. შხარა „მწვერვალი“ და ქართ. მყინვარი-ი; **ცაცხუე ლწრა** (ზოლ.) „სათიბი; სამოვარი (ზედმიწ. – ცაცხვი-ის სათიბი)“ < ქართ. ცაცხვი „მცენარე“ და სვან. **ლწრა** „სათიბი“; **ცარცე კოჯ** (ზუ.) „კლდე, მთა (ზედმიწ. – ცარცი-ის კლდე)“ < ქართ. ცარცი-ი და სვან. **კოჯ** „კლდე“; **წყარო ლახუტ** (ლზმ.) „სათიბი (ზედმიწ. – წყარო-[ს] მთა)“ < ქართ. წყარო და სვან. **ლახუტ** „მთა“; **ჭყონწე ზაგარ** (ლზმ.) „სამოვარი; ქედი (ზედმიწ. – მუხნარის ქედი)“ < მეგრ. **ჭყონ** „მუხა“ და სვან. **ზაგარ** „ზეგანი, ქედი, უღელტეხილი“; **ჭყონწე სარგელ** (ლზმ.) „წყარო (ზედმიწ. – მუხნარის წყარუკა)“ < მეგრ. **ჭყონ** „მუხა“ და სვან. **სარწე** „წყარო“; **ჭყონწე ყუთიმბ** (ლზმ.) „მწვერვალი, სამოვარი (ზედმიწ. – მუხნარის თავი)“ < მეგრ. **ჭყონ** „მუხა“ და სვან. **ყუთიმბ** „თავი“; **ჰადიში ყინტარ** (ზუ.) „მყინვარები (ზედმიწ. – ჰადიში-ის მყინვარი)“ < სვან. **ჰადიში** „სოფლის სახელწოდება“ და ქართ. მყინვარი-ი...

2) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულ-მეგრულიდან (შუალაობით თუ უშუალოდ) ნასესხები ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საერთოქართველური: აკლდამწე დაბ** (ზუ.) „ყანა (ზედმიწ. – აკლდამ-ის ყანა)“ < ქართ. აკლდამა და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **დედოფალი დაბ** (ქს.) „ყანა (ზედმიწ. – დედოფალი[ს] ყანა)“ < ქართ. დედოფალი-ი და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **კლას თხუმ** (ზუ.) „სამოვარი (ზედმიწ. – კლას-[ის] თავში)“ < სვან. **კლას** „სკოლა“ < ქართ. კლას-ი < რუს. **класс** < ლათ. (< ბერძ.) **classis** და სვან. **თხუმ/თხუმი** „თავი (შდრ. ს.-ქართვ. *თხამ-)“; **კუტედი დაბ** (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – კოდ-ის ყანა)“ < ქართ. კოდ-ი „ხის დიდი ჭურჭელი, გაკეთებული გულგამოთლილი მორისაგან“ და სვან.

დაბ „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **ლაჭყალ ნაკ** (ლმზ.) „სამოვარი (ზედმიწ. – სა-აყალო-ო ვაკ-ე)“ < ქართ. ოყალო და სვან. ნაკ „ვაკე (შდრ. ს.-ქართვ. *ტაკ-ე)“; **მამდანი ტრბ** (ჩოლ.) „ტბა (ზედმიწ. – მოედნ-ის) ტბა“ < ქართ. მოედან-ი < სპარს. *maydān* და სვან. ტრბ „ტბა; გუბე (შდრ. ს.-ქართვ. *ტაბ-)“; **ნაკვშ ჯჭპრილდ** (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – ვაკ-ის ჯვარ-უკ-ა)“ < სვან. ნაკ „ვაკე (შდრ. ს.-ქართვ. *ტაკ-ე)“ და ქართ. ჯვარ-ი; **ნაქართობილპრიშ ნაკ/ნაქართობილ ნაკ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ნა-კარტოფილ-არ-ის ვაკ-ე/ნა-კარტოფილ-არ-ი ვაკ-ე)“ < ქართ. კარტოფილ-ი < რუს. *Картофель* < გერმ. *kartoffel* და სვან. ნაკ „ვაკე (შდრ. ს.-ქართვ. *ტაკ-ე); **ნაკ-ლერწალ** (ლნტ.) „ვენახები (ზედმიწ. – ვაკ-ე/ის) ლერწ-ებ-ი)“ < სვან. ნაკ/ნაკ „ვაკე (შდრ. ს.-ქართვ. *ტაკ-ე)“ და ქართ. ლერწ-ი „ვაზის ერთწლიანი რქა“; **ნესკვამ ლამამბ** (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – შუა სა-შამბ-ო/შამბ-ნარ-ი)“ < სვან. ნესკვამ „შუა (შდრ. ს.-ქართვ. *შოგ-ა/*შოვა)“ და ქართ. შამბ-ი „მადალი და მსხვილი ბალახი“; **ნესკვამ ქაშან** (ლნტ.) „ბილიკი (ზედმიწ. – შუა ქაშან-ი)“ < სვან. ნესკვამ „შუა (შდრ. ს.-ქართვ. *შოგ-ა/*შოვა)“ და ქართ. ქაშან-ი „შამბთა და თოვლზედ გაქელილი გზა (საბა)“; **ქემტიშ ნაგემ** (ლხმ.) „საბალახო (ზედმიწ. – ქესტ-ის ნა-დგ-ამ-ი)“ < ქართ. ქემტი-ი < რუს. *Жестъ* „თუნუქი“ და სვან. ნაგემ „ნადგამი (შდრ. ს.-ქართვ. *გ-)“; **რწშ ნასკინ** (ბზ.) „გზა (ზედმიწ. – რამ-ის) [გადა]ნახტომი)“ < ქართ. რამ-ი < სპარს. *raxš* და სვან. ნასკინ „[გადა]ნახტომი (შდრ. ს.-ქართვ. *სკინ-)“; **სარკი ტუიბ** (ბზ.) „ღელე (ზედმიწ. – სარკ-ის) ტბა“ < ქართ. სარკე და სვან. ტუიბ „ტბა; გუბე; ხეობა (შდრ. ს.-ქართვ. *ტაბ-)“; **ქარაფი ნეზ** (ლნტ.) „სამარხილო გზა (ზედმიწ. – ქარაფ-ის) სოჭი“ < ქართ. ქარაფ-ი და სვან. ნეზ/ნენზ/ნენძ „სოჭი (შდრ. ს.-ქართვ. *ნეძ-)“; **ქაჯრწ ტუიბილდ** (ბქ.) „ღელე (ზედმიწ. – ქაჯ-იან-თ/ქაჯ-იან-ებ-ის ღელე)“ < ქართ. ქაჯ-ი < სპარს. *kaž* „ყალობი“ და სვან. ტუიბ „ღელე; ხეობა (შდრ. ს.-ქართვ. *ტაბ-)“; **ქუიჯიშ ტობ** (ლმზ.) „ადგილი (ზედმიწ. – ქვიჯა-ს ტბა)“ < ქართ. ქვიჯა „ფილთაქვა“ და სვან. ტობ „ტბა (შდრ. ს.-ქართვ. *ტაბ-)“; **ღპრილდშ დაბ** (ლხმ.) „ყანა (ზედმიწ. – ღარ-უკა-ს ყანა)“ < ქართ. ღარ-ი და სვან. დაბ „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **ღელ დაბ** (ლმზ.) „ყანა (ზედმიწ. – ღელ-ის) ყანა)“ < ქართ. ღელე „პატარა მდინარე, ნაკადული; პატარა ხევი“ და სვან. დაბ „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **ყუითელ ტობ** (ბქ.) „ტბა (ზედმიწ. – ყვითელ-ი ტბა)“ < ქართ. ყვითელ-ი და სვან. ტობ

„ტბა; გუბე (შდრ. ს.-ქართვ. *ტაბ-); წყურგუინიშ ტუბი (ლხმ.) „ხევი (ზედმიწ. – წყარო-ს ხეობა/ხევი)“ < მეგრ. წყურგინ „წყარო“ და სვან. ტუბი „ხეობა/ხევი (შდრ. ს.-ქართვ. *ტაბ-); ჭყონაშ ლაჭმოლ (ლხმ.) „სათიბი (ზედმიწ. – მუხნარის სათიბები)“ < მეგრ. ჭყონ „მუხა“ და სვან. ლაჭმა „სათიბი (შდრ. ს.-ქართვ. *წამ-/წემ-)“; ჯოჯხეთიშ/ჯო-ჩხეთიშ ტუბი (ბქ.) „ხეობა (ზედმიწ. – ჯოჯოხ-ეთ-ი[ს] ხეობა)“ < ქართ. ჯოჯოხეთ-ი < ფალ. dožax, dužax და სვან. ტუბი „ხეობა/ხევი (შდრ. ს.-ქართვ. *ტაბ-); ჯუბინელ ნაკანტორ (ლხმ.) „ტყე (ზედმიწ. – ძველ-ი ნა-კანტორ-ალ-ი)“ < სვან. ჯუბინელ „ძველი (შდრ. ს.-ქართვ. *ძუელ-/ძუენ-)“ და ქართ. კანტორა < რუს. Кантора; ჯუბინელ ნაკრატლ (ბზ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ძველ-ი ნა-კარგ-ალ-ი)“ < სვან. ჯუბინელ „ძველი (შდრ. ს.-ქართვ. *ძუელ-/ძუენ-)“ და ქართ. კარავ-ი...

3) ზოგჯერ სინტაგმის ორივე კომპონენტი ნასესხებია ქართულ-მეგრულიდან (შუალობით თუ უშუალოდ): ბარიტიშ ბოგ (ლხმ.) „ხიდი (ზედმიწ. – ბარიტ-ის ბოგა)“ < ქართ. ბარიტ-ი „მინერალი (ბარიუმის ბუნებრივი სულფატი)“ < რუს. Барит < ბერძ. barqs „მძიმე“ და ქართ. ბოგა; ბარიტიშ ღარ (ლხმ.) „ღლე (ზედმიწ. – ბარიტ-ის ღარ-ი)“ < ქართ. ბარიტ-ი „მინერალი (ბარიუმის ბუნებრივი სულფატი)“ < რუს. Барит < ბერძ. barqs „მძიმე“ და ქართ. ღარ-ი; ბარიტიშ შუკუ (ლხმ.) „გზა (ზედმიწ. – ბარიტ-ის შუკა)“ < ქართ. ბარიტ-ი „მინერალი (ბარიუმის ბუნებრივი სულფატი)“ < რუს. Барит < ბერძ. barqs „მძიმე“ და ქართ. შუკა; ბულონიშ ღარ (ლხმ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ბალ-ნ-არ-ი[ს] ღარ-ი)“ < მეგრ. ბულონ-ი „ადგილი, სადაც ბევრი ბალი (ხე) დგას“ და სვან. ღარ < ქართ. ღარ-ი; გოდორი ღარ (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – გოდორ-ი[ს] ღარ-ი)“ < სვან. გოდორ < ქართ. გოდორ-ი და სვან. ღარ < ქართ. ღარ-ი; გუბინელ შუკუ (ბზ.) „ბილიკი (ზედმიწ. – გვირგვინ-ი[ს] შუკა)“ < ქართ. გვირგვინ-ი და ქართ. შუკა; თეფიშ ნაფას (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. – თოფ-ი[ს] ნა-ფას-ი)“ < ქართ. თოფ-ი და ქართ. ფას-ი < ძვ. ალან. *fæs (fas) „ცხვარი“; კანტორაშ ღარ (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – კანტორ-ის ღარ-ი)“ < ქართ. კანტორა < რუს. Кантора და ქართ. ღარ-ი; კანტორაშ შუკუ (ლხმ.) „გზა (ზედმიწ. – კანტორ-ის შუკა)“ < ქართ. კანტორა < რუს. Кантора და ქართ. შუკა; კარპატელრე ბაქან (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – კარპატ-ელ-ებ-

ის **ბაქან-ი**“ < ქართ. კარპატელ-ი (< გერმ. **Karpaten**, ჩეხ. **Karpaty**, პოლ. **Karpaty**, სლოვაკ. **Karpaty**, უნგრ. **Kárpátok**, უკრ. **Карпати**, რუმ. **Carpați**, სერბ. **Karpati**) და ქართ. ბაქან-ი; **კირიშ სოტაწ/კირისოტაწ** (ბქ.) „კლდე (ზედმიწ. – კირ-ის/კირ-ის) სვეტ-ებ-ი“ < ქართ. კირ-ი და ქართ. სვეტ-ი „მელი“; **კოლმეურნეობა ფარდულ** (ლნტ.) „კალო (ზედმიწ. – კოლმეურნეობ-ის) ფარდულ-ი“ < ქართ. კოლმეურნეობა და ქართ. ფარდულ-ი; **კოლმეურნეობა ბად** (ბქ.) „ხილნარი (ზედმიწ. – კოლმეურნეობ-ის) ბად-ი“ < ქართ. კოლმეურნეობა და ქართ. ბად-ი; **კომკაჟშირი ქუჩა** (ბზ.) „ქუჩა (ზედმიწ. – კომკაჟშირ-ის) ქუჩა“ < ქართ. კომკაჟშირ-ი და ქართ. ქუჩა; **ლებოჩიკი მორელ** (ლნტ.) „მჟავე წყალი (ზედმიწ. – სა-ბოჩიკ-ე მორე-ი)“ < ქართ. (რაჭ., ქიზ.) ბოჩიკ-ი „ზამთარგამოვლილი ხბო“ და ქართ. მორე-ი; **ლებოჩიკი ღელა** (ლნტ.) „ღელე (ზედმიწ. – სა-ბოჩიკ-ე ღელე)“ < ქართ. (რაჭ., ქიზ.) ბოჩიკ-ი „ზამთარგამოვლილი ხბო“ და ქართ. ღელე; **მანქანაშ შუკუტ** (ბზ.)/მანქანაშ შუკუტ (ბქ.) „გზა (ზედმიწ. – მანქანის შუკა)“ < ქართ. მანქანა და ქართ. შუკა; **მანქანაშ შუკუტ** (ლზმ.) „გზა (ზედმიწ. – მანქანის შუკა)“ < ქართ. მანქანა < რუს. **Машина** < ლათ. **machina** და ქართ. შუკა; **მორელი დლა** (ლნტ.)/მორელი ღელა (ლნტ., ჩოლ.) „ღელე (ზედმიწ. – მორე-ის) ღელე“ < სვან. მორელ < ქართ. მორე-ი და ქართ. ღელე; **მორელი ძირ** (ლნტ.) „სამოვარი (ზედმიწ. – მორე-ის) ძირ-ი“ < სვან. მორელ < ქართ. მორე-ი და ქართ. ძირ-ი; **მორელ ჯიქან** (ბზ.) „სამოვარი (ზედმიწ. – მორე-ის) ჯიქან-ი“ < სვან. მორელ < ქართ. მორე-ი და ქართ. ჯიქან-ი; **ნაჩალნიკი ნაბარგუწ** (ლნტ.) „სამოვრები (ზედმიწ. – ნაჩალნიკ-ის *ნა-ბარგ-ებ-ი)“ < ქართ. ნაჩალნიკ-ი < რუს. **Начальник** „უფროსი“ და ქართ. ბარგ-ი; **ნადუაჭირიშ ღარ** (ბქ.) „ღარი (ზედმიწ. – ნა-ძიძ-არ-ის ღარ-ი)“ < ქართ. ძიძა და ქართ. ღარ-ი; **ოქრუტე ჩარდახ** (ლნტ.) „მწვერვალი (ზედმიწ. – ოქრო-ს ჩარდახ-ი)“ < ქართ. ოქრო < ბერძნ. **ορυξος** „ყვითელი“ და ქართ. ჩარდახ-ი < სპარს. **čarṭax**; **რუსთაველი პიკ** (ბზ.) „პიკი (ზედმიწ. – რუსთაველ-ის) პიკ-ი“ < ქართ. რუსთაველ-ი და ქართ. პიკ-ი „მთის მწვერვალი“; **რუსთაველი ქუჩა** (ბზ.) „ქუჩა (ზედმიწ. – რუსთაველ-ის) ქუჩა“ < ქართ. რუსთაველ-ი და ქართ. ქუჩა; **რუსრე ლასფლაჟწრი** (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – რუს-ებ-ის) სა-სა-ფლ-ა-ო“ < ქართ. რუს-ი და სვან. ლასფლაჟწრი „სასაფლაო“ < ქართ. საფლაგ-ი; **სამანქანო შუკუტ** (ზს., ლნტ.) „გზა (ზედმიწ. – სა-მანქან-ო

შუკა)“ < ქართ. მანქანა და ქართ. შუკა; **ყორნალი ღვლა** (ლნტ.) „ღელე (ზედმიწ. – **ყორნ-ებ-ის**) **ღელე**“ < ქართ. ყორან-ი და ქართ. ღელე; **სალდათრე ნაყარუბლ** (ბზ.) „ტყე (ზედმიწ. – ჯარისკაცები^{ის}) **ნა-ყარა-ულ-ებ-ი**“ < ქართ. **სალდათ-ი** < რუს. **Солдат** < იტალ. **Saldo** „ჯამაგირი“ და ქართ. ყარაულ-ი < რუს. **Караул** < თურქ.-სპარს. **qarawul**; **ტყუმი ნაფხს/ტყოტი ნაფხს/ტყუმი ნაფხს** (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – **ტყე-ის**) **ნა-ფას-ი**“ < ქართ. ტყვე და ქართ. ფას-ი < ძვ. ალან. ***fæs** (**fas**) „ცხვარი“; **ქაჯრ ღარ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **ქაჯ-ებ-ის**) **ღარ-ი**“ < ქართ. ქაჯ-ი < სპარს. **kaž** „ყალბი“ და ქართ. ღარ-ი; **ქტუბი გორა** (ლნტ.) „სამოვარი (ზედმიწ. – {გამო}-**ქვაბ-ულ-ის**) **გორა**“ < ქართ. ქვაბ-ი/გამოქვაბულ-ი და ქართ. გორა; **წყურგინიშ ლაკრუტი** (ლხმ.) „ნაკარვალი (ზედმიწ. – **წყარო-ს სა-კარავ-ე**“ < მეგრ. წყურგინ „წყარო“ და ქართ. კარავ-ი; **ჭალიშ რიყარ** (ბქ.) „რიყე, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირი, სოფლის ბოლო (ზედმიწ. – **ჭალ-ის რიყე-ებ-ი**“ < ქართ. ჭალა და ქართ. რიყე; **ჭორხა საყდრალ** (ლნტ.) „ნასაყდრალი (ზედმიწ. – **ჭოროხ-ის**) **საყდრ-ებ-ი**“ < ქართ. ჭოროხ-ი და ქართ. საყდარ-ი; **ჭყონაშ ლაგარდუშ** (ლხმ.) „სახნავი (ზედმიწ. – მუხნარის **სა-კარტოფ-ილ-ე**“ < მეგრ. ჭყონ „მუხა“ და სვან. **ლაგარდუშ** „საკარტოფილე“ < ქართ. კარტოფილ-ი < რუს. **Картофель** < გერმ. **kartoffel**; **ჭყონაშ ლეწფერ** (ლხმ.) „ტყე (ზედმიწ. – მუხნარის **წიფ-ლ-ნარ-ი**“ < მეგრ. ჭყონ „მუხა“ და სვან. **ლეწფერ** „წიფლნარი“ < ქართ. წიფელა; **ჯოჯოხეთი ღელა** (ლნტ.) „ღელე (ზედმიწ. – **ჯოჯოხ-ეთ-ის**) **ღელე**“ < ქართ. ჯოჯოხეთ-ი < ფალ. **dōžax, dužax** და ქართ. ღელე...

4) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი) ქართულიდან (უმუალოდ თუ შუალობით) + თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმიხურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია (ანუ ანთროპონიმი), მეორე კი საკუთრივ სვანური ლექსიკური ერთეული (უმეტესად საზოგადო არსებითი სახელი): ასლანბეგი მოლრდარ** (ბზ.) „სათიბი, ტყე (ზედმიწ. – **ასლან-ბეგ-ის**) **ახოები**“ < ქართ. ასლანბეგ-ი < ძვ. თურქ. **arslan** „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ + **beg** (/bej) „ბატონი“ და სვან. **მოლ** „ახო, საყანედ გაკაფული ტყე“; **ასლანრე მურყამ** (ბქ.) „ნაკომკარი (ზედმიწ. – **ასლან-ებ-ის**) **კომკი**“ < ძვ. თურქ. **arslan** „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ და სვან. **მურყამ** „კომკი“; **აქსენტი მურყამ** (ბზ.) „კომკი (ზედმიწ. – ავ-

ქსენტ-ი[ს] კოშკი“ < ქართ. ავქსენტ-ი (< ბერძ.) „ზრდადი“ და სვან. მურყამ „კოშკი“; ბექმერზაშ ნადგარ (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ბეგ-მირზა-ს [მო]ნაკლავი“ < ძვ. თურქ. **beg** (/bej) „ბატონი“ + არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **ნადგარ** „[მო]ნაკლავი“; თემრაზი ლარელ (ლშხ.) „სამოვარი (ზედმიწ. – თეიმურაზ-ის სათიბები“ < ქართ. თეიმურაზ-ი (< ირან.) „სხეულით ძლიერი“ (უძვ. ფორმაა **თაჰმურუჰა** „ძლიერი მელა“ – ჭუმბურიძე 1992,116) და სვან. **ლარა** „სათიბი“; თემგრბექიმ ქუანწრ (ბქ.) „კლდე (ზედმიწ. – თემურ-ბეგ-ის ქვიანები“ < ქართ. თემურბეგ-ი < თურქ.-მონღ. **temur** „რკინა“ + თურქ. **beg** (/bej) „ბატონი“ და სვან. **ქუანწრ** „ქვიანი ადგილი“; თათარყანიშ ლარა (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – თათარყან-ის სათიბი“ < ქართ. თათარხან-ი < თურქ. **tatar** + უძველესი თურქული ტიტული **xan** და სვან. **ლარა** „სათიბი“; მერზაშ ბაჩწრ (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – მირზა-ს ქვები“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **ბჩწ** „ქვა“; მერძაშ ბჩწ (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – მირზა-ს ქვა“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **ბჩწ** „ქვა“; ნიკოლოზაშ მოლ (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – ნიკოლოზ-ი[ს] ახო“ < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. ნიკე „გამარჯვება“ და ლაოს „ხალხი“ და სვან. **მოლ** „ახო“; ნიკრ მოლ (ჩოლ.) „სამოვარი (ზედმიწ. – ნიკო-ის ახო“ < ქართ. ნიკო < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. ნიკე „გამარჯვება“ და ლაოს „ხალხი“ და სვან. **მოლ** „ახო“; ნიკტემ მოლ (ლნტ.) „ყანა (ზედმიწ. – ნიკო-ის ახო“ < ქართ. ნიკო < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. ნიკე „გამარჯვება“ და ლაოს „ხალხი“ და სვან. **მოლ** „ახო“; იესტები მოლწრ (ჩოლ.) „სამოვარი (ზედმიწ. – იოსებ-ი[ს] ახოები“ < ქართ. იოსებ-ი (< ძვ. ებრ.) „გამრავლება“, „მატება“ და სვან. **მოლ** „ახო“; იორდანე მოლ (ჩოლ.) „სათიბი (ზედმიწ. – იორდანე-ის ახო“ < ქართ. იორდანე < ბერძ. **Ιορδανης** < სვან. **მოლ** „ახო“; იორდანე ნაყროტწლ (ჩოლ.) „სამოვარი (ზედმიწ. – იორდანე-ის ნაახოვარი“ < ქართ. იორდანე < ბერძ. **Ιορδανης** < სვან. **ლიყროტე** „ხის დაკოდვა; ტყის გაკაფვა“; პეტრე¹ მოლ (ჩოლ.) „სამოვარი (ზედმიწ. – პეტრე-ის ახო“ < ქართ. პეტრე (< ბერძ.) „კლდე, ლოდი“ და სვან. **მოლ** „ახო; პეტრე ლწრა (ჩოლ.) „სათიბი (ზედმიწ. – პეტრე-ის სათი-

¹ ბალსზემოურში აუსლაუტმოკვეცილი პეტრ ტოპონიმიც დასტურდება, თუმცა არა შესიტყვების წევრად, არამედ დამოუკიდებლად.

ბი)“ < ქართ. პეტრე (< ბერძ.) „კლდე, ლოდი“ და სვან. **ლწრა** „სათიბი; **პეტრემ მოლ** (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – **პეტრე-ის** ახო)“ < ქართ. პეტრე (< ბერძ.) „კლდე, ლოდი“ და სვან. **მოლ** „ახო; **პეტრემ ლწკცურინწრ** (ბქ.) „კლდე (ზედმიწ. – **პეტრე-ის** საჯიხვეები)“ < ქართ. პეტრე (< ბერძ.) „კლდე, ლოდი“ და სვან. **კუტიცრა** „დედალი ჯიხვი“; **პეტრემ ლეკმოლ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – **პეტრე-ს** სათიბები)“ < ქართ. პეტრე (< ბერძ.) „კლდე, ლოდი“ და სვან. **ლეკმე** „სათიბი; **პეტრემ სარწგ** (ბქ.) „წყარო (ზედმიწ. – **პეტრე-ს** წყარო)“ < ქართ. პეტრე (< ბერძ.) „კლდე, ლოდი“ და სვან. **სარწგ** „წყარო; **ღალაკდიონი ლიცრლდ** (ლშხ.) „წყარო (ზედმიწ. – **გალაკტიონ-ის** წყალუკა)“ < ქართ. გალაკტიონ-ი (< ბერძ.) „რძისა, რძიანი“ და სვან. **ლიც** „წყალი“...

5) სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) + თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმბურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია (ანუ ანთროპონიმი), მეორე კი საერთოქართველური ლექსიკური ერთეული: ასლანბექი/ახსანბეგი **ნაკ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **ასლან-ბექ-ის** ვაკე)“ < ქართ. ასლანბეგი < ძვ. თურქ. **arслан** „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ + **beg (/bej)** „ბატონი“ და სვან. **ნაკ** „ვაკე (შდრ. ს.-ქართვ. *ტაკ-ე)“; **თეიმურაზი დაბგლდ** (ბქ.) „ყანა (ზედმიწ. – **თეიმურაზ-ის** ყანუკა)“ < ქართ. თეიმურაზ-ი (< ირან.) „სხეულით ძლიერი“ (უძვ. ფორმაა **თაჰმურუჰა** „ძლიერი მელა“ – ჭუმბურიძე 1992:116) და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **მერზაბეგი დაბწრ** (ბხ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **მირზა-ბეგი-ის** ყანები)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ + თურქ. **beg (/bej)** „ბატონი“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **მერზილწმ ტუიბ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – **მირზა-ს** ხევი/ხეობა; ღელე)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **ტუიბ** „ხევი/ხეობა; ღელე (შდრ. ს.-ქართვ. *ტაბ-)“; **ნიკოლოზი დაბწრ** (ლნტ.) „ყანები (ზედმიწ. – **ნიკოლოზ-ის** ახო)“ < ქართ. ნიკოლოზ-ი < ბერძ. **ნიკე** „გამარჯვება“ და **ლაოს** „ხალხი“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **იესები დაბწრ** (ბქ.) „უბანი სახნავ-სათესითა და ბაღ-ვენახებით (ზედმიწ. – **იოსებ-ის** ყანები)“ < ქართ. იოსებ-ი (< ძვ. ებრ.) „გამრავლება“, „მატება“ და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. *დაბ-)“; **იესე-**

¹ შდრ. ბქ. **მერზაბეგი**.

ბიშ/ესებში **ლაღვენ** (ბქ.) „ნაკარვები (ზედმიწ. – იოსებ-ის სა-დგ-ომ-ი)“ < ქართ. იოსებ-ი (< ძვ. ებრ.) „გამრავლება“, „მატება“ და სვან. **ლაღვენ** „დამის სათევი (შდრ. ს.-ქართვ. *გ-)“...

6) **სინტაგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალოებით) + თურქულიდან (ყარაჩაულ-ბალყარულის, ყუმბიხურის... გზით) ნასესხები საკუთარი სახელია (ანუ ანთროპონიმი), მეორე კი, ასევე, ქართულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეული (უმეტესად საზოგადო არსებითი სახელი): თემრპზიმ ზოგ** (ბქ.) „ხიდი (ზედმიწ. – თეიმურაზ-ის ხიდი)“ < ქართ. თეიმურაზ-ი (< ირან.) „სხელით ძლიერი“ (უძვ. ფორმაა **თაჰმაურუჰა** „ძლიერი მელა“ – ჭუმბურიძე 1992:116) და სვან. **ზოგ** „ხიდი“ < ქართ. ზოგა „პატარა ხიდი“; **კოსდჰშ ლაგარდტიშ** (ლხმ.) „საკარტოფილე ადგილი (ზედმიწ. – კოსტა-ს სა-კარტოფილ-ე)“ < ქართ. კოსტა < ლათ. კონსტანტინე „მტკიცესი“, „ურყვესა“, „მედგარისა“ და სვან. **გარდტიშ** < ქართ. კარტოფილ-ი < რუს. **Картофель** < გერმ. **kartoffel**; **კოწიაშ ლაგარდტიშ** (ლხმ.) „საკარტოფილე ადგილი (ზედმიწ. – კოწია-ს სა-კარტოფილ-ე)“ < ქართ. კოწია < ქართ. კოსტა < ლათ. კონსტანტინე „მტკიცესი“, „ურყვესა“, „მედგარისა“ და სვან. **გარდტიშ** < ქართ. კარტოფილ-ი < რუს. **Картофель** < გერმ. **kartoffel**; **მიხეშ ლაგარდტიშ** (ლხმ.) „ნაკარტოფილარი ადგილი (ზედმიწ. – მიხეილ-ის [გამო]-ქვაბ-ულ-ი)“ < ქართ. მიხეილ-ი < რუს. **Михаил** < ბერძ. **Μιχαил** < ძვ. ებრ. **Miqael** (შდრ. ქართ. მიქელა) და სვან. **გარდტიშ** < ქართ. კარტოფილ-ი < რუს. **Картофель** < გერმ. **kartoffel**; **მიხეა ქვაბ** (ლხმ.) „სადოვრები (ზედმიწ. – მიხეილ-ის [გამო]-ქვაბ-ულ-ი)“ < ქართ. მიხეილ-ი < რუს. **Михаил** < ბერძ. **Μιχαил** < ძვ. ებრ. **Miqael** (შდრ. ქართ. მიქელა) და ქართ. ქვაბ-ი „გამოქვაბული“; **მერზა ჭალა** (ბქ.) „სადოვარი მთა, შენაკადი (ზედმიწ. – მირზა-ს ჭალა)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **ჭალა** „მდინარე“ < ქართ. ჭალა „წყლის პირი ნაყოფიერი (საბა)“; „ვაკე ადგილი“; **იერდანე/იორდანე ნაკრაჷ** (ჩოლ.) „სადოვარი (ზედმიწ. – იორდანე-ის ნა-კარვ-ალ-ი)“ < ქართ. იორდანე < ბერძ. **Ιορδανης** და ქართ. კარავ-ი; **ონოფრეშ ნაკუთე** (ლხმ.) „ტყე (ზედმიწ. – **ონოფრე-ს ნაკვეთი**)“ < ქართ. **ონოფრე** (< ეგვიპ.) „წმინდა ხარი“ და ქართ. ნაკვეთ-ი;

¹ შდრ. ბალსქვემოური მეხზ.

რაჟდენიმ შურო (ლხმ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **რაჟდენ-ის შურო**)“ < ქართ. რაჟდენ-ი (< ირან.) „სჯულ-ბედნიერ-ი“ (ქართულიდან ჩანს შესული სხვა ენებში, მაგ., რუსულში – ჭუმბურიძე 1992:138) და ქართ. შურო 1. „ტყეში სერებს შუა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც სიგრძივ ჩადის, მაგრამ ხეობას არ წარმოადგენს“, 2. *სპეც.* „მორებისა და მისთ. თავქვე საცურებელი ღარობი/საშვავე“; **რადიმხანიმ ღწრ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **რადიმხან-ი[ს] ღარ-ი**)“ < თურქ. **radim** + უძველესი თურქული ტიტული **xan** და სვან. **ღწრ** < ქართ. ღარ-ი; **სერგბ ხარაჩოლ** (ჩოლ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **სერგ-ი[ს] ხარაჩო-ებ-ი**)“ < ქართ. სერგ-ი/სერგო (< ლათ.) „მაღალი“, „ღირსეული“, „მგზნებარე“ და ქართ. ხარაჩო 1. „შენობასთან გამართული ხის ან ლითონის დროებითი ნაგებობა“, 2. „ფიცრის სახერხი დაზგა“ < სპარს. **xarači**...

7) **სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საკუთრივ სვანური (არარელიგიური ლექსიკური ერთეული): ბაპრე ლარწლ** (ბზ.) „სამოვრები (ზედმიწ. – **პაპ-ებ-ი[ს] სათიბები**)“ < მეგრ.-ლაზ. **პაპ-უ** < ლათ. **papa** < ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **ლარწლ** „სათიბები“; **ბაპშა მურყტამ** (ბზ.) „კომპი (ზედმიწ. – **პაპ-ი[ს]-ან-თ კომპი**)“ < მეგრ.-ლაზ. **პაპ-უ** < ლათ. **papa** < ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **მურყტამ** „კომპი“; **ბარბალ ზაგწრ** (ლნტ.) „ყანა; ქედი (ზედმიწ. – წმ. **ბარბარე-ს** ზეგანი/ქედი)“ < ქართ. წმ. ბარბარე < ბერძნ. **Βαρβάρα** და სვან. **ზაგწრ** „ზეგანი, ქედი, უღელტეხილი“; **ბარბლწ სტიფ** (ბზ.) „სახნავ-სათიბები (ზედმიწ. – წმ. **ბარბარე-ს**) მოედანი, სოფლის თავშესაყარი ადგილი“ < ქართ. წმ. ბარბარე < ბერძნ. **Βαρβάρα** და სვან. **სტიფ** „მოედანი, სოფლის თავშესაყარი ადგილი“; **ბწრბულ ზაგწრ** (ბქ.) „ზეგანი, გორა (ზედმიწ. – წმ. **ბარბარე-ს**) ზეგანი/ქედი“ < ქართ. წმ. ბარბარე < ბერძნ. **Βαρβάρα** და სვან. **ზაგწრ** „ზეგანი, ქედი, უღელტეხილი“; **ეელი ზაგწრ/ეელ-ზაგწრ** (ბზ.) „ნაეკლესიარი (ზედმიწ. – {წმინდა} **ელია-ს**) ზეგანი/გორა“ < ქართ. {წმინდა} ელია (< ძვ. ებრ.) „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“ და სვან. **ზაგწრ** „ზეგანი, ქედი, უღელტეხილი“; **ეელი მურყტამულ** (ლმზ.) „სამოვარი (ზედმიწ. – {წმინდა} **ელია-ს**) კომპუნა“ < ქართ. {წმინდა} ელია (< ძვ. ებრ.) „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“ და სვან. **მურყტამ** „კომ-

კი“; **იეღო ლამზერ/იელ-ლამზერ** (ლზხ.) „სახნავი (ზედმიწ. – წმინდა) ელია-ის სალოცავი“ < ქართ. წმინდა ელია (< ძვ. ებრ.) „დმერთი – სიმაგრე ჩემი“ და სვან. **ლამზერ** „სალოცავი“; **პაპშ ლარა** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – პაპ-ის სათიბი)“ < მეგრ.-ლავ. პაპ-უ < ლათ. **papa** < ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **ლარა** „სათიბი“; **პაპშ ნალზიგტ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – პაპ-ის) ნასახლარი“ < მეგრ.-ლავ. პაპ-უ < ლათ. **papa** < ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **ნალზიგტ** „ნასახლარი“; **პაპშ ლეცხატ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – პაპ-ის შეწირული, ნაკრძალი ადგილი)“ < მეგრ.-ლავ. პაპ-უ < ლათ. **papa** < ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **ლეცხატ** „შეწირული, ნაკრძალი ადგილი“; **ქაშუეთ სტიფ** (ზხ.) „სოფლის მოედანი, თავშესაყარი ადგილი (ზედმიწ. – ქაშუეთ-ის) მოედანი, ხალხის თავშესაყარი“ < ქართ. ქაშუეთი და სვან. **სტიფ** „სოფლის მოედანი; საფიხვნო“; **ქრისდე იფრიშ** (ლზხ.) „ეკლესია (ზედმიწ. – ქრისტე იფარის)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός** და სვან. **იფარი** „სოფელი“; **ქრისდე უოშგინ** (ზხ., უშგ.) „სათიბ-სამოვრები (ზედმიწ. – ქრისტე-ს სალოცავის) უკან“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός** და სვან. **უოშგინ** „უკან“; **ქრისდე წირმინდიშ** (ლზხ.) „ნაეკლესიარი, სამლოცველო (ზედმიწ. – ქრისტე წირმინდის)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός** და სვან. **წირმინდ** „სოფელია ლახამულის თემში“; **ქრისტე კუბ** (ზოლ.) „სამოვარი, საკულტო ბორცვი (ზედმიწ. – ქრისტე-ს გორაკი)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός** და სვან. **კუბ** „გორაკი“; **ჯუბრ-ზაგარ** (ბქ.) „ტყე (ზედმიწ. – ჯვარ-ზეგანი)“ < ქართ. ჯვარ-ი და სვან. **ზაგარ** „ზეგანი, ქედი, უღელტეხილი“; **ჯუბრილდშ ზაგარ** (ბქ.) „ქედი (ზედმიწ. – ჯვარ-უკა-ს ზეგანი)“ < ქართ. ჯვარ-ი და სვან. **ზაგარ** „ზეგანი, ქედი, უღელტეხილი“...

8) სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საერთოქართველური (არარელიგიური ლექსიკური ერთეული): **ბარზალ ნაკ** (ქს.) „ტყე; სამოვარი (ზედმიწ. – წმ. ბარზარე-ის ვაკე)“ < ქართ. წმ. ბარზარე < ბერძნ. **Βαρβάρα** და სვან. **ნაკ** „ვაკე (მდრ. ს.-ქართვ. *ტაკ-ე)“; **ნაცემნიშ ლაჯტმი** (ბქ.) „ნასაყდრალი (ზედმიწ. – [იოანე] ნათ-ლ-ის-მ-ც-ემ-ელ-ის სალოცავი)“ < ქართ. ნათლისმცემელ-ი და სვან. **ლაჯტმი** „ეკლესია, სალოცავი (მდრ.

ს.-ქართვ. ***ჯტამ-**“; **აწნი ლაშდღუტერ** (ბზ.) „სასაფლაოები (ზედმიწ. – წინასწარმეტყველ) **იონა-**[ს] **სასაფლაო**“ < ქართ. იონა წინასწარმეტყველი (< ძვ. ებრ.) „მტრედი“ და სვან. **ლაშდღუტერ** „სასაფლაო (შდრ. ს.-ქართვ. ***(სა)თხარ-/**(სა)თხრ-“); **ეელიწმ ნალჯტამ** (ბქ.) „ნაეკლესიარი (ზედმიწ. – წმინდა) **ელია-**ს ნაეკლესიარი“ < ქართ. წმინდა ელია (< ძვ. ებრ.) „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“ და სვან. **ლაჯტმი** „ეკლესია, სალოცავი (შდრ. ს.-ქართვ. ***ჯტამ-**“); **პაპარობ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – პაპ-ი[ს] ადგილი/სათიბი)“ < მეგრ.-ლაზ. პაპ-უ < ლათ. **papa** < ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **რობ** „ოდნავ ჩაღრმავებული ადგილი (შდრ. ს.-ქართვ. ***რაბ-**ო „ორმო“)“ ...

9) **ზოგჯერ სინტაგმის ორივე წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინია: ქრისდე მაცხუბარ** (ბზ.) „ეკლესია (ზედმიწ. – ქრისტე მაცხოვარ-ი)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός** და სვან. **მაცხუბარ** < ქართ. მაცხოვარ-ი; **ტან/იჟან მახრობელ** (ბზ.) „ეკლესია (ზედმიწ. – იოანე მახარობელ-ი)“ < ქართ. ივანე < ძვ. ქართ. იოვანე < ძვ. ებრ. **ioxanan/iehxanan** „ღვთის წყალობა“ და ქართ. მახარობელი; **მექემ/მექემ თარგლეზერ** (ბქ.) „ეკლესია (ზედმიწ. – მიქელ მ-თავ-არ-ანგელოზ-ი)“ < ქართ. მიქელ/მიქელ მთავარანგელოზ-ი < ძვ. ებრ. **miquael** „ღვთის სწორი, ღვთაებრივი“..

10. **სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი ქართულიდან (ასევე, უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები არარელიგიური ლექსიკური ერთეული (უმეტესად საზოგადო არსებითი სახელი): ზაპნ კალუ** (ბზ.) „ეზო (ზედმიწ. – პაპ-ი[ს] კალო)“ < მეგრ.-ლაზ. პაპ-უ < ლათ. **papa** < ბერძნ. **papas**-იდან „მამა“ და სვან. **კალუ** „ეზო“ < ქართ. კალო „ადგილი, სადაც პურეული ილეწება“; **ბარბლნ მიდამ** (უშგ.) „ეკლესიის მიდამო (ზედმიწ. – წმ. ბარბარე-[ს] მიდამო)“ < ქართ. წმ. ბარბარე < ბერძნ. **Βαρβάρα** და სვან. **მიდამ** < ქართ. მიდამო „გარემო“; **ინშიმ ლასფლატარ** (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – წინასწარმეტყველ) **იონა-**ს **სა-სა-ფლ-ა-ო**“ < ქართ. იონა წინასწარმეტყველი (< ძვ. ებრ.) „მტრედი“ და სვან. **ლასფლატარ[ი]** < ქართ. სასაფლაო; **ნაცემიშ ლასფლატარ** (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – [იოანე] **ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ელ-ის** სა-სა-ფლ-ა-ო)“ < ქართ. ნათლისმცემელ-ი და სვან. **ლასფლატარ** < ქართ.

სასაფლაო; საყდარი ბოგ (ჩოლ.) „ხიდი (ზედმიწ. – საყდრ-ი[ს] ბოგა)“ < ქართ. საყდარ-ი და ქართ. ბოგა; ქაშუეთით გორაგ (ბქ.) „ზეგანი (ზედმიწ. – ქაშუეთ-ის გორაკ-ი)“ < ქართ. ქაშუეთ-ი და სვან. გორაგ < ქართ. გორაკი; ქრისტეშ ლასფლატარ (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – ქრისტე-ს სა-სა-ფლ-ა-ო)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. $\chi\rho\iota\sigma\tau\acute{\omicron}\varsigma$ და სვან. ლასფლატარ[ი] < ქართ. სასაფლაო...

11. სვანურში საკმაოდ ხშირია ისეთი ჰიბრიდული ტოპონიმები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი) ნასესხები საკუთარი სახელებისაგან (ანუ ანთროპონიმებისაგან) ნაწარმოები შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელია, მეორე კომპონენტი კი შეიძლება იყოს ან საკუთრივ სვანური საზოგადო სახელი, ან საერთოქართველური ლექსიკური ერთეული, ან ქართულიდან ნასესხები საზოგადო არსებითი სახელი და ა. შ.: ასლანშა მურყტამ (ბზ.) „კომკი (ზედმიწ. – ასლან-ის-ან-ის კომკი)“ < ქართ. ასლან-ი < ძვ. თურქ. arslan „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ და სვან. მურყტამ „კომკი“; ბაპტშა ღარ (ბზ.) „ღლე (ზედმიწ. – პაპ-ის-ან-თ ღარ-ი)“ < მეგრ.-ლაზ. პაპ-უ < ლათ. papa < ბერძნ. papas-იდან „მამა“ და სვან. ღარ < ქართ. ღარ-ი; ბამერ კალღღარ (ბქ.) „კალო (ზედმიწ. – ბეი-ს-ან-ებ-ის] კალო-უკ-ებ-ი)“ < ქართ. ბეი < თურქ. bey (/beg) „ბატონი“ და სვან. კალ „ეზო; კალო“ < ქართ. კალო; ბეგიშე ნამბტირ (ბქ.) „სათიბი; ნასახლარი (ზედმიწ. – ბეგ-ის-ან-ებ-ის] ნანგრევი)“ < ქართ. ბეგ-ი < თურქ. beg (/bey) „ბატონი“ და სვან. ნამბტირ „ნანგრევი“; მურზაყანშა მურყტამ (ბზ.) „კომკი (ზედმიწ. – მურზაყან-ის-ან-ის კომკი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“ + სპარსული სუფიქსი xan (= მირზახანი) და სვან. მურყტამ „კომკი“; მურზაყანშა ცხეკ (ბზ.) „ტყე (ზედმიწ. – მურზაყან-ის-ან-ის კომკი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“ + სპარსული სუფიქსი xan (= მირზახანი) და სვან. ცხეკ „ტყე“; მურზაშა მურყტამ (ბზ.) „კომკი (ზედმიწ. – მირზა-ან-ის კომკი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“ და სვან. მურზაშა ღარ (ბზ.) „ტყე, სამოვარი (ზედმიწ. – მირზა-ან-ის კომკი)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. amirzade „ამირის შვილი“ და სვან. ღარ < ქართ. ღარ-ი; მურზაშა მურყტამ (ბზ.) „ნაკომკარი (ზედმიწ. – მირზა-ან-ის კომკი)“

< ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“¹ და სვან. **მურყტამ** „კოშკი“; **მერძალტუშა დაბარ** (ზოლ.) „ყანები (ზედმიწ. – მირზა-ან-ის ყანები)“ < ქართ. მირზა < არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ და სვან. **დაბ** „ყანა“ (შდრ. ს.-ქართვ. ***დაბ-**)“...

12. სვანურში ხშირია, ასევე, სამკომპონენტური ჰიბრიდული ტოპონიმთა ხმარების შემთხვევებიც, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი, ზოგჯერ კი სამიდან ორი ნასესხები ჩანს ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით): **დესანტი ნადგარ ღელე** (ლნტ.) „ღელე (ზედმიწ. – **დესანტი-ის** [მო]ნაკლავი ღელე)“ < ქართ. დესანტი-ი < რუს. **Десянт**, სვან. **ნადგარ** „[მო]ნაკლავი“ და ქართ. ღელე; **თეთრი ღწლას დაბერ** (ლნტ.) „სახნავი (ზედმიწ. – **თეთრ-ი ღელე-ს** ყანობი)“ < ქართ. თეთრ-ი ღელე და სვან. **დაბ** „ყანა (შდრ. ს.-ქართვ. ***დაბ-**)“; **იტწან/ტწან მახრობელი ლაჭტწმ** (ზზ.) „ეკლესია (ზედმიწ. – **იოანე მახარობლ-ის**) ეკლესია/სალოცავი“ < ქართ. ივანე < ძვ. ქართ. იოვანე < ძვ. ებრ. **ioxanan/iehoxanan** „ღვთის წყალობა“ და სვან. **ლაჭტწმ** „ეკლესია, სალოცავი (შდრ. ს.-ქართვ. ***ჭტამ-**)“; **კაწრი ნგვი ლათრა** (ზზ., უშგ.) „წყარო (ზედმიწ. – **კეისრ-ის** წყლი[ს] დასაღვეი)“ < ქართ. კეისარ-ი < ბერძ. **geisar**, სვან. **ნიც/ლიც** „წყალი“ და სვან. **ლათრა** „დასაღვეი“; **ლაშამბულწრიში ი გოლწმ ქაშან** (ლნტ.) „ბილიკი (ზედმიწ. – **სა-შამბ-ნ-არ-ის** და ალპური სამოვრის **ქაშან-ი**)“ < ქართ. შამბ-ი, სვან. **გოლწმ** „ციცაბო (ადგილი); ალპური სამოვარი“ და ქართ. ქაშან-ი „შამბთა და თოვლზედ გაქელილი გზა (საბა)“; **ქაბე ყაზყიშ ლწმზერგლ** (ლზმ.) „სალოცავი (ზედმიწ. – **ზემო/ზედა ყაზახ-ის** სალოცავუკა)“ < სვან. **ქაბე** „ზემო/ზედა“, ქართ. ყაზახ-ი < თურქ. **kazak**

¹ როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „ამირი არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს. ამირობით დაიწყო თავისი კარიერა თემურ-ლენგმა, რომელმაც შემდგომ თითქმის ნახევარი აზია დაიპყრო, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ამირის ტიტული და არ გაცვალა იგი უფრო საპატიო წოდებაზე – ხანზე (ამ ტიტულს ატარებდნენ მონღოლთა ბელადის ჩინგიზ-ხანის შთამომავლები, თემური კი მათ არ ეკუთვნოდა, ხოლო თემურის შვილებმა მიიღეს წოდება **ამირ (ემირ)-ზადე**. აქედან თავ-ბოლოს მოკვეცი თიღებულია **მირზა**, რომელიც გვხვდება როგორც ტიტულად, ისე საკუთარ სახელად. მამასადამე, მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა „უფლისწული“, „ბატონიშვილი“, მოგვიანო ხანებში ასე მიმართავდნენ აგრეთვე მდივანმწიგნობრებს, მწერლებს, ოღონდ ამ შემთხვევაში მირზა სახელის წინ დაისმის, მაშინ როცა „უფლისწულის“ მნიშვნელობით ის სახელს მოსდევს“ (ჭუმბურიძე 1992,131).

და სვან. **ლამზერ** „სალოცავი; **ჟაბე ყაზყიმ ფაფალ** (ლხმ.) „გორაკი (ზედმიწ. – ზემო/ზედა **ყაზახ**-ის გორა[კი])“ < სვან. **ჟაბე** „ზემო/ზედა“ და ქართ. **ყაზახ**-ი < თურქ. **kazak** და სვან. **ფაფალ** „გორა[კი]; **ქრისტე** **ჰიშხე ნაგამ/ქრისტე ჰიშ ნაგამ** (ლხტ.) „გზა; საკულტო ადგილი; გორა (ზედმიწ. – **ქრისტე**-[ს] **ფეხი**[ს] **ნა-დგ-ამ-ი**)“ < ქართ. **ქრისტე** < ბერძ. **χριστός**, სვან. **ჰიშხე** „ფეხი“ (შდრ. ს.-ქართვ. ***კურცხ-**) და სვან. **ნაგამ** „ნადგამი(შდრ. ს.-ქართვ. ***გ-**)“; **ჰყონწმ ჩუბე ნაკ** (ლხმ.) „სათიბ-სამოვარი, სახნავი (ზედმიწ. – მუხნარის ქვედა ვაკე-ე)“ < მეგრ. **ჰყონ** „მუხა“, სვან. **ჩუბე** „ქვედა, ქვემო“ და სვან. **ნაკ** „ვაკე (შდრ. ს.-ქართვ. ***ტაკ-ე**)“; **ჰყონწმ ლალჯან შუკტპრ** (ლხმ.) „სამარხილე გზა (ზედმიწ. – მუხნარის სამარხილე **შუკ-ებ-ი**)“ < მეგრ. **ჰყონ** „მუხა“, სვან. **ლალჯან** „სამარხილე, საზიდი“ და სვან. **შუკ** „გზა“ < ქართ. **შუკა**; **ჰყონწმ ჟაბე ლესგარ** (ლხმ.) „სამოვარი (ზედმიწ. – მუხნარის ზემო/ზედა გვერდები)“ < მეგრ. **ჰყონ** „მუხა“, სვან. **ჟაბე** „ზემო/ზედა“ და სვან. **ლესგ** „გვერდი, მხარე“; **ჯჷპრილწმ ამხე ღარ** (ლხმ.) „ღელე (ზედმიწ. – **ჯვარ-უკა-ს** აქეთა **ღარ-ი**)“ < ქართ. **ჯვარ-ი**, სვან. **ამხე** „აქეთა“ და ქართ. **ღარ-ი**“...

როგორც მრავალრიცხოვანი ნასესხები ლექსიკური ერთეულების შემცველ ჰიბრიდულ ტოპონიმებზე დაკვირვებამ აჩვენა, წარმოების მხრივ სიტყვათშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმ-კომპოზიტებში ძირითადად ორწევრიანი (ბინომური) მართულმსაზღვრელიანი (ანუ მსაზღვრელ-საზღვრულიანი) სახელები გამოიყოფა და ამგვარ შეხამებაში ძირითადი მოდელები ასეთია: *აპელატივი (ანუ საზოგადო სახელი) + აპელატივი, ზმნიზედა + საზოგადო სახელი, საზოგადო სახელი + მიმღეობა; ანთროპონიმი + საზოგადო სახელი, ანთროპონიმი + მიმღეობა; რელიგიური ტერმინი + აპელატივი, რელიგიური ტერმინი + რელიგიური ტერმინი, შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელი + აპელატივი, შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელი + მიმღეობა* და ა. შ., თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმებიც გვხვდება (*ზედსართავი + აპელატივი, ზმნიზედა + აპელატივი...*). რაც შეეხება სამკომპონენტთან ჰიბრიდულ ტოპონიმებს (ორსიტყვიანი მსაზღვრელით), მათი სტრუქტურული მოდელი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: *აპელატივი (ანუ საზოგადო სახელი) + მიმღეობა + აპელატივი, აპელატივი + ზმნისართი + აპელატივი, ზმნისართი + აპელატივი + აპელატივი, ზედსართავი + აპელატი-*

ვი + აპელატივი და ა. შ. ცხადია, ქართულის მსგავსად, სვანურშიც ორშემადგენლიან ტოპონიმთა მეორე კომპონენტი – ინდიკატორი (ანუ გეოგრაფიული ტერმინი) ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია (მაგ.: **შუკუტ**, **ნალჭუამ**, **ნაკ**, **ლაჭტმი**, **ნაწლიგუტ**, **ლაღგენ**, **დაბარ...**), პირველი კომპონენტი (ანუ მსაზღვრელი) კი ძირითადად ნათესაობით ბრუნვაში (მაგ.: ბზ. **შხარა** (< **შხარაშ**) „შხარის“, ბქ. **აკლდამაშ** „აკლდამის“, ბქ. **პაპარობ** (< **პაპაშ** {**რობ**}) „მღვდლის {სათიბი}“, ლშხ. **ღალაკდიონი** (< **ღალაკდიონიშ**) „გალაქტიონის“, ლნტ. **ნიკტემი** (< **ნიკტემიშ**) „ნიკოს“, ჩოლ. **ცაცხუე** (< **ცაცხუეშ**) „ცაცხვის“, ლხმ. **წყურგინიშ** „წყაროსი“...), თუმცა, სვანურისათვის გატარებული საერთო წესის თანახმად, მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი (-შ) თითქმის ყოველთვის იკარგება ქვემოსვანურსა და ბალსუხემოურ დიალექტებში, ხოლო შედარებით მყარია ბალსქვემოურში. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, „...ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ჯერ თანხმოვნითი, შემდეგ კი ხმოვნითი ელემენტის მოკვეცა დასტურდება უძველეს კომპოზიტებში (*ტოპონიმები, კვირის დღეთა თუ მცენარეთა სახელწოდებები*) და ზმნისართებთან ან თანდებულებთან მართვით დაკავშირებისას“ (ჩანტლაძე 1998,25-26).

ვინაიდან ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი სვანური ჰიბრიდული (resp. ნაჯვარი) ტოპონიმების გამოვლენა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს, ამიტომ სინტაქსურ თავისებურებებზე მსჯელობას აქ აღარ ვაგრძელებთ.

ჩვენ მიერ გამოყოფილ ჰიბრიდულ ტოპონიმთა ძირითად მოდელებში ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი), დიდძალი საილუსტრაციო მასალის განხილვის შედეგად, აღმოჩნდა ამა თუ იმ ენიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები ლექსიკური ერთეული. ცხადია, ჩვენი ინტერესის სფეროს სწორედ სესხების გეოგრაფიული მიმართულებისა და შეძლებისდაგვარად ქრონოლოგიის დადგენა შეადგენს, რაც, ბუნებრივია, დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. ნასესხებ სიტყვათა ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა განსაკუთრებით მაშინ რთულდება, როდესაც საქმე გვაქვს უძველეს ნასესხობებთან, რომლებიც შესაძლოა ზგერათმესატყვისობებითაც იყვნენ წარმოდგენილნი ქართველურ ენებში (საღლიანი 2005, 218).

სვანურ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ვხვდებით ჩრდილო-კავკასიურ (ყაბარდოულ, ჩერქეზულ, ოსურ...), დასავლეთევროპულ (ბერძნულ, ლათინურ), რუსულ და აღმოსავლურ (თურქულ, სპარსულ, არაბულ, სომხურ) ენათა ლექსიკის არაერთ ნიმუშს, რაც განპირობებულია გარკვეული კონტაქტებით დროსა და სივრცეში. რასაკვირველია, მათ გვერდით დიდი ოდენობით დასტურდება მონათესავე ქართველურ ენათა (ქართული, მეგრული) ნასესხობანიც, რომელთა საერთოქართველურ მონაცემთაგან გამიჯვნა რიგ შემთხვევაში საკმაოდ რთულია (იქვე).

ჩვენი ერთ-ერთი ნაშრომი „ნასესხებ ტოპონიმთა სოციოლინგვისტური ასპექტები სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში“ (თანავტ.: ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი), რომელიც წარვადგინეთ მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე – „სოციოლინგვისტური კვლევა თეორიასა და პრაქტიკაში – ინტერდისციპლინარული მიდგომა“ პოლონეთში, საუბარი გვქონდა ზოგადად ნასესხებ მარტივ ტოპონიმებზე, რომელთა უმეტესი ნაწილი შემოსული აღმოჩნდა ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით), ნაწილი კი რუსულ-ბერძნულიდან და ა. შ. გაცილებით უფრო საინტერესო ჩანდა ჰიბრიდული ტოპონიმების კვლევა, ამიტომ მუშაობა გავაგრძელებთ და წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად უფრო მასშტაბურად ვიკვლიეთ ნასესხები ტოპონიმების შემცველი თითქმის ყველა ორ- და სამშემადგენლიანი კომპოზიტ-ტოპონიმი.

კვლევამ აჩვენა, რომ ჰიბრიდული (ე. წ. ნაჯვარი) ტოპონიმების უმეტესი ნაწილის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი (ძირითადად პირველი) ნასესხებია ქართულ-მეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით), ნაწილი კი (უმეტესად მატოპონიმებლად გამოყენებული ანთროპონიმები) შემოსული ჩანს თურქულიდან (**ყარაჩაულ-ბაღყარულის, ყუმიხურის... გზით**). რაც შეეხება რუსიზმებს (მაგ.: **პერეჟვალ, ნამესტრიკ, ურდნიკ, უაგონ, ჟემტ, კანტორა, ბარიტ...**), ისინი, შესაძლოა, დამოუკიდებლად იყოს შემოსული სვანურში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ლექსიკური ერთეულები შედარებით ახალი ნასესხებია სვანურში, რაზეც მეტყველებს ხშირ შემთხვევაში როგორც ფონეტიკურად უცვლელი ლექსიკური ერთეულები, ასევე შედარებით მარტივი ფონეტიკური პროცესები.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ უცხოენოვან ლექსემათა ფუძეები სვანურში დასტურდება არა მხოლოდ ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით (მაგ.: **ბაქან, გოდორ, გორა, კირ, კომკაჟშირ, ნიკოლოზ, პეტრე, რაჟდენ, სტეტი, ქუჩა, ქრისტე, ყუითელ, ჩიხ, ძირ, წყურგინ...**), არამედ სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით (სახეცვლილი მონაცემებით). ზოგიერთი ნასესხები ფუძე „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისათვის დამახასიათებელ მორფონოლოგიურ ინვენტარს: *პალა-ტალურ, ველარულ* თუ *ლაბიალურ უმლაუტს* (მაგ.: **ბამბამ, გუბი, დედუფალ, დისსალ, დომბამ, კუედი, მამდან, ნიკუტი, პერეჟალ, რაში, ურანდიკ, ღარ, ყაზაყ, ყინტარ, ჩარდახ, ცარც, ჭალამ, ჭალა, ჯუარ...**), გრძელ ხმოვანს (მაგ.: **კესრი, მაცხუარ, მორელ, აელ, სარკი, ქაშუეთ...**), ანაპტიქსურ ელემენტს (მაგ.: **ბექმგრზამ, თემგრბექიშ, ლაკვლდამიშ, ლაკვლმანხი, ლაკვლმანხიშ, მგრზაბეგი, მგრზაშ, მგრზილშ, მგრძამ, მგრძალუშა...**), ორფუძიანი ბრუნების სისტემას (მაგ.: **ლადეჟალშიშ| ტუბი, ინშიშ ლასფლაჟარ, სუფრეშიშ მურყუამ...**) და ა. შ., რაც ერთგვარ მეგზურობას გვიწევს სესხების გეოგრაფიული მიმართულების გარკვევაში.

გარდა ამისა, ნასესხებ ტოპონიმთა ერთ ნაწილში საკმაოდ ხელშესახებია შემდეგი ფონეტიკური პროცესები: აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია, თანხმოვანთა გამჟღერება, **ლ/მ/ნ/რ** (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა, რედუქციის პროცესები მსუბუქ და მძიმე ბირთვებში, ბერათა ჩართვა-დაკარგვა, მეტათეზისი და სხვ.

ჰიბრიდულ ტოპონიმთა შემადგენლობაში კი განსაკუთრებით ხშირია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით (მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსებით, ბრუნვის ნიშნებით, მრავლობითი რიცხვისა და კნინობითის სუფიქსებით) გაფორმებული ნასესხები ლექსიკური ერთეულები (მაგ.: **კარპატელ-რ-ე ბაქან, ლა-კვლდამ-იშ ბარ, ლა-კვლმანხ-ი ლიც, ლა-კვლმანხ-ი-შმ ჭუედი, ლა-ჟყალ ნაკ, ლა-ჟყალ-ი-შ კოჯარ, ლა-დეჟ-ალ-შმ ლიც, ლე-ბოჩიკი მორელ, ლე-ბოჩიკი დელა, მე-მეგრელ-ი ნა-დგ-არ, ნაკაშ ჯუარ-ილდი, ნა-ქართობილ-არ-იშ ნაკ/ნა-ქართობილ ნაკ, ნაკ-ლერწალ, ნესკამ ლა-შამბ, ჟიბე აკაჟან-არ, ჟიბე ნა-ქარბაკ-უ-ალ, რაში ნა-სკინ, სბენდიკ-არ-ე სარაგ, ქალაქ-რლ-ა მურყუამ, ღარ-ილდი-შმ დაბ, წყურგინიშ ლა-კრანუ-**

ი, ჭალიშ რიყ-წარ, ჭყონწშ ლა-გარდუშ, ჭყონწშ ლე-წვერ, ჭორხა საყდრ-წლ-უ და მისთ.).

რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, ჩვენ მიერ გამოვლენილ სვანურ ტოპონიმ-კომპოზიტებში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი, როგორც უკვე ითქვა, ამა თუ იმ ენიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულია, გამოიყოფა შემდეგი სემანტიკური ჯგუფები: 1. წყლის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელები, 2. მცენარეული საფარის აღმნიშვნელი სახელები, 3. ცხოველთა და ფრინველთა სახელების აღმნიშვნელი სახელები, 4. ანთროპონიმების აღმნიშვნელი სახელები, 5. საცხოვრებელ ადგილთა ამსახველი სახელები, 6. ნაგებობათა ამსახველი სახელები, 7. ხელოსნობის ამსახველი სახელები, 8. სამეურნეო ტოპონიმის ამსახველი სახელები, 9. რელიგიის ამსახველი სახელები, 10. მითოლოგიური წარმომავლობის ამსახველი სახელები და მისთ., რომელთა ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ამასთანავე, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა, ბუნებრივია, ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს: ისტორიულ გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, მხარეთმცოდნეობას, არქეოლოგიას და ა. შ., განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხება უძველესო ქართველურ ენათა მონაცემებს.

ლიტერატურა

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2005

ჩანტლაძე 1998 – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998

ჭუმბურიძე 1992 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი, 1992.

**Phonetic-Phonological and Semantic Analysis of Hybrid
Toponyms Based on the Svan Language Data**

Abstract

The paper deals with the analysis of large hybrid Svan toponyms, one of the components of which is Svan (or attested in Svan) and the other component is borrowed from other Kartvelian languages or a foreign language (e.g. Russian, Turkish, Greek, Ossetian, etc.) through Georgian, Karachay-Balkar, Kumikh, etc.

The observation on the material has shown that the bases of foreign lexems in Svan are attested unchanged not only phonetically and semantically but also with different phonetic variants and semantic nuances (modified data). Some borrowed bases are “Svanized”, i.e. they contain morphological inventory typical for Svan: palatal, velar or labial umlaut, long vowel, anaptyxic element, two-base declension system, etc. In addition, in one part of the borrowed toponyms affrication-disaffrication, consonant vocalization, interchangeability of the consonants *l/m/n/r* (sonorants), reduction processes, appearance and disappearance of sounds, metathesis and so on are quite apparent.

ნათელა ფარტანაძე

**წინადადების წმკრთა ბამოხატვის თავისმბუშრმბანი
მარადიდულ კლარჯულში**

მარადიდულ კლარჯულ მეტყველებაში სინტაქსურ თავისებურებათაგან ყურადღებას ბევრი საკითხი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია წინადადების წევრთა თავისებურად გამოხატვა, რომელთა წარმოსაჩენად ვეყრდნობით ჩვენ მიერ ზემო და ქვემო მარადიდში მოპოვებულ ემპირიულ მასალას.

ქვემდებარის ბრუნვა. მარადიდულ მეტყველებაში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია გარდამავალი ზმნის პირველი სერიის ფორმით გადმოცემულ შემასმენელთან. **აქმყლ:** ასე ბოვრი **ხალხმა** აკეთეფს; აქ **გოგებმა** და **ბიჭებმა** ფხარი აქნევენ; **რძალმა** თხილი კრეფს თურქეთში; **გურჯებმა** აკეთებენ, **ყველამა** აკეთებენ; ახლა რამაზანი არი, მარხულ იჭერენ **ხალხმა**; ჩემი **კაცმა** არ სვამს, **ბიჭმა** – არა და მე ვსვამ; ახლა **ყველამა**, თურქეთში **კაცმა** იძახს; **ამან** ჭამს ღორის ხორცს; **იმნებმა** ბოში ლაპარიკობენ; **იმან** იჭირავს, **ქალმა** იჭირავს...

უწყვეტელი: **ხალხმა** ბექმეზი აკეთებდა; ჩხაველამ ყურმენი **თქვენებმა** ყიდდენ; ჩემი **დედამთილმა** ღარჭებ გურჯი არ ალაპარიკებდა; **რუსმა** გზანიდა კაცებს; **რუსებმა** ქილისე ემებდენ; ჩვენი **დიდვანებმა** რუსებისთვინ გონჯი არ იტყოდენ...

მყოფადი: **ამერიკამა** რა გიშველავს აქა?; **პურმა** თავი მიცემს, იმა შიან პარკები მიცემს; **მურღულელებმა** ნადი იქმენ და სიმღერა იტყვიან; მე შენთან ვილაპარიკავ, ერთი **კაცმა** წევა, ჟანდარმას ეტყვის; **დიდვანებმა** სელი ვეტყვით; ჩალა **ძროხამა** შიჭამს; მაყარი გზა გულდუჭრიან გელინის **თარაფმა**; **იმან** გაღმიდან დუუკრავს, ჩვენ – აქიდან; **ზოგმა** მუღურთი, მაღი გამეილებენ...

ხოლმეობითი: **თავრობამა** არ მიცემდა; **ქალებმა** დაართავდენ და ქილიმი გააკეთებდენ; ათი **კაცმა** დეეწიკებოდენ; ჩვენ რომ პატარა ვიყავით, **ბაბამა** ჩიმიყვანდა ჭოროხი პირზე; **ქლასკურელებმა**

წალდით კაცი დაკლიდენ; ამ სოფელში **კაცმა** თუ იტყვის ღარიბი ვა-
რო; **ქედქედელმა** კაცი მოკლიდა ძველათ; ამის **დედემისმა** აწევდა
ნავი; **დედმა** გააკეთებდა, გაყიდვიდა; თავრობაზე მეტი სოფელს
სოფლის მდიდარმა **კაცებმა** მიხედვიდენ; **ბაბაებმა** იტყოდენ, ის მახ-
სოვს; **დედამა** არ დააწავლიდა, ისე დამაწავლა შილმა; ჩვენ არ **დამა-**
ლაპარიკებდენმებმა; **დედამთილმა** არ გაარჩევდა ბიჭი, გოგო; **დე-**
დამთილმა ადექითო მეტყოდენ, **იმან** არ იტყოდა...

ასევე მოთხრობით ბრუნვაშია გარდაუვალ ზმნა-შემასმენელ-
თან შეწყობილი ქვემდებარე თითქმის ყველა სერიის ფორმასთან. I
სერია: ახლანდელი **ინსნებმა** ფაბრიკაში საქმობენ; **ბიჭმა** საქმობს,
გოგომ საქმობს; ერთი ენ პაწაბიჭმა მეტი ვერ ლაპარიკოვს, **მიერებ-**
მა არ ლაპარიკობენ; **ბიჭმაც** მუშაოვს, შვილები ყავს, **შვილებმა** ყვე-
ლა მუშაოვს; **ქართველებმა** მეტი არ იმუშავებენ. **ქალებმა**, **გოგუებმა**
ერთხელა ისამებდენ; აქ ჯამის ხოჯა იყო და **იმან** წევდოდა, მოვდო-
და; ჩემი **კაცმა** ებბედი წასლაზე - მოსლაზე არ გემერეოდა; **ამან** მივა,
თექერი მიგორავს, **ამან** მივა, თექერი მიგორავს, ხარებს ურტყავს,
რომ დეეწიოს; ამა ჩვენ **ხალხმა** ვუყურავდით, ახლა **თავრობამა** უყუ-
რავს; თავრობაზე მეტი სოფელს სოფლის მდიდარმა **კაცებმა** მიხედ-
ვიდენ...

II სერია: მასკან გადატიალდა **საქმემა**; რუსის **ძალმა** მოვდა...;
ჟოლა გვაქ, **ატამმა** დედაკარქა; **თავრობამა** გააწუხა; ერთი წელიწადის
წინ **კაცმა** მომიკტა. თელმა **დედეებმა** მოვდენ; პაწაფ ვიყავ, ჰამა **ჭკვა-**
მა მქონდა...

III სერია: რიზეში **კაცმა** კაცი მუუკლია, აქა მოსულა, დამჟდა-
რა; **კაცმა** მოსულა და იქ არ შესულა...

აქვე უნდა ითქვას, რომ III სერიის ფორმით გადმოცემულ
გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე მიცემითის ნაცვლად
ხშირად ფუძის სახით ან სახელობითი ბრუნვის ფორმითაც გვხვდე-
ბა: **სალდათებ** უთქმიან, ამიდან ხოჯა არ იქნებაო, წესულან; ქალის-
თინ უთქმია ამ **კაც**, კამ საჭმელი გააკეთევო; ძველი **ინსნები** ჩვენზე
წმინდა საქმე უკეთებიან...

გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარედ გამოყენებული სახელის
მოთხრობით ბრუნვაში დასმის შემთხვევები შეიძლება შეგვხვდეს
ქართული ენის როგორც დასავლურ (მოწენიძე, 1973, 240; კიზირია,
1974, 78), ისე აღმოსავლურ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, 131)

დიალექტებში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ დასავლურქართულ დიალექტებში ეს მოვლენა მეგრულის გავლენა უნდა იყოს (თოფურია, 1923, 121), თუმცა უნდა ითქვას, რომ ერგატიული კონსტრუქციის ისეთი სიხშირე და მრავალფეროვნება (არამარტო ქვემდებარის შემთხვევაში), როგორც სამხრულ კილოებში გვხვდება და განსაკუთრებით მარადიდულ მეტყველებაში, გვამღვეს იმის თქმის საშუალებას, რომ მხოლოდ მეგრულის გავლენაზე საუბარი საკმარისი არაა.

საინტერესოა **შემასმენლის ქვემდებარესთან რიცხვში შეთანხმების საკითხიც**. მარადიდულ მეტყველებაში ვინ 'ჯგუფის არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვით გადმოცემულ ქვემდებარესთან, როგორც წესი, შემასმენელიც ძირითადად მრავლობითშია: **ქალებმა-დაართავდენ** და ქილიმი **გააკეთებდენ**; **ძველებმა** რაცხა რომ **შეინახენ**, იმით დავრჩით; **ქართველებმა** მეტი არ **იმუშავებენ**; ღამეში ჩვენი **კაცებმა ამდგარან**, მოზობლებს **უთხრენ**, დანიშნული ქვეები მარადიდს **ჩეიტანენ**. ახლა ქართული არ **იციან ღარჭებმა**...

თუმცა შემასმენელი მრავლობითშია მაშინაც, როცა ქვემდებარე მრავლობითი რიცხვისუსულო არსებითი სახელითაა გადმოცემული: **გზები ჩაკეტილან** და ჩემი ნენეა იტირებდა (ხება)... ან მხოლობითი რიცხვის ფორმით, როგორც ვინ 'ჯგუფის, ისე რა' **ჯგუფის სახელებთან: დედამთილმა** ადექითო **მეტყოდენ**, იმან არ იტყოდა; **მე მსურიან** გურჯები, თქვენი ნავალი დანახვა **მინდანან**...; ინჟინერი იყო ჩემი **ბიჭი**, ხულოში არხები **გაყავდენ** (ქვედა მარადიდი); ახლა იმის **მამამისმა** ძალიან დიდი პატივი **მეცენ**; **იმანგაწყვიტეს** ხალხი...; **ღმერთმა** კაჲ ფული **მოგაგებიონ** (ხინწყანა); სახში (მე) **პროხა მყავან**, სიმინდი მოვთხრი, ჩაჲ გვაქ, **თხილი მაქვან**, ქალაქშიც **სახლი მაქვან**, ბორჩხაში; მე ახლა **წნევა მაქვან**; **ჰაივანი მყავდენ**, ახლა არ კადრულობენ; ჩვენ **ქართული დამაბიწყდენ**, აჲ; ახლა თუ **დამჭირდენ** სახლის **მოწყობა**, **აშენვა**, გარეთიდან მოდიან გურჯები...

შეიძლება ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში შემასმენლის მრავლობითობას დამატების მრავლობითის ფორმაციწვევს, რაც ენის უცოდინარობით უფრო აიხსნება: **ბიძამ** დაჰა ბევრი **ამბვები იციან**; აქიდან **ძალი მყავან ჩვენ**; პური არ **მაქვან ჩვენ**...

იშვიათია მარტივი შემასმენლის შეუთანხმებლობის შემთხვევები: **ძმები ილაპარაკებდა**; ერთი **მუსაფირები მომივდა**, წევდე 'ნა;

არ დამავიწყდენ ქართული (ადლიე); რა იცის მაგენმა; ქალები შინ მარტვაჲ დარჩა...უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსიმოვლენები დასტურდება დასავლურ კილოებშიც (კიზირია, 1974, 81).

მრავლობით რიცხვში დასმული სულიერი საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის სახელადი და ზმნური ნაწილი მხოლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი: ჩვენი ძველები მუსლიმანი იყო; იქ ქათმები იყო დამყდარი..., თუმცა დასტურდება ქვემდებარისა და შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის შეთანხმების შემთხვევებიც: მასქან კაცები ემექლი არიან, ფაბრიკაში ნამუშევარი არიან (ხება); ახლა ინსნები ფერები არიან (ნურუ ოსმანიე)....

საკმაოდ გავრცელებულია ქვემდებარესთან შემასმენლის შეთანხმება რიცხვში აზრის მიხედვით (როცა ქვემდებარე კრებითი არსებითი სახელია, განსაზღვრებითი ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია ან ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელი და ორცნებიანი კომპოზიცია): ხალხი ჩაცვინდებოდენ წყალში; ხალხი გავლენ იქ; ხალხი რაცხას დეიჯერებენ; სოფელში პირველათ ხალხი ტყეში შიშა მოჭრაზე მივდოდით, ყანა დავარგებდით...; გურჯებმაჲ აკეთებენ, ყველაჲ აკეთებენ; ამ სოფელში ყველაჲ ქართველები არიან (მაჰმუდიე); უკანაჲ არ მომგონდა, ყველაჲ დამბიწყებინ; ზამთარში აქ ზოგი ჩებინ, ზოგი - მიდიან; ზოგმა ჰკვა შუურიეს და ლაპარიკი დააბიწყებეს. ძველათ ებბედი ფეხზე რამე არ მქონდენ...; ათი კაცმა დეეწიკებოდენ; რვა ბადიშები მყავს; დიდმა იცის და ორი ბიჭმა ვერ ლაპარიკებენ...; წინათ ბაბანენეს და მოწონდენ, სხვა თეელი ვერ ითხოვდი.

ეს მოვლენა ხშირია დასავლურ კილოებში, გვხვდება ქართლურსა და კახურშიც (კიზირია, 1974, 80; იმნაიშვილი, 1974, 325).

პირმიმართი დამატებების ბრუნვა. პირდაპირი დამატება პირველი სერიის ფორმით გადმოცემულ ზმნა-შემასმენელთან მიცემითის ნაცვლად ხშირად გვხვდება სახელობით ბრუნვაში.

აწმყლ: რძალმა თხილი კრეფს თურქეთში; აქ გოგვებმა და ბიჭებმა ფხარი აქნევენ...

უწყვეტელი: მე მარანკოზი ვარ, შიშის კარები ვაკეთებდი; ხალხმა ბექმეზი აკეთებდა; პური ფქვილი ინახავდენ; რუსებმა ქილისე ეებდენ; მამამთილ მეტი ვუყვარდი...

მყოფად: მახარებელად რომ მოვა, **რახი** მეათხოვავ, **ხილი** მეათხოვავ, **ბაქლავა** მეათხოვავ, **ქათამი** მეათხოვავ; ბაირამზე ბევრი ხორცია, ხორცი **საჭმელებ** გავაკეთავთ: **ხორც** გადავხრაკავთ; მერე დავაყრი **ბიბერი**, **პამიდორი** და ლამაზი **ფხალი** გავაკეთავ; ავდგები, **სობა** დავანთებ, **წყალი** ავადუღავ, **ჩაი** გავაკეთავ, **კარტოფილი** გავაწითლავ, ღარჭ დუღუძახ; **ჩალა** ძროხამა შიჭამს; იმაღ ჩავაყრი, იმის უკან **ღერღილი** დავაყრი; ქათმებ **სიმინდი** დუღუყრი...**ფხალი** გაწურვენ, ლაფერაფთ დარეხვენ; დიდვანებმა **სელი** ვეტყვი; შიმის **კოვზი** გაატეხიებენ; მურღულელებმა **ნადი** იქმენ და **სიმღერა** იტყვიან; ასე, ზომო, სოფლებისკე **ქალი** არ მიცემდენ, არ გავათხოვდით; მაყარი **გზა** გუდუღუჭრიან გელინის თარაფმა, **ჟინჭარი** ფხალში გუდუღუყვენ, ფხალი ხარჩო, წყალი ბორელი...

ხოლმეობითი: რაფერ მომკიდვიდა მე **ხელი**; დიდვანებმადათესევდენ, გეზდებოდა, მოჭრიდენ, დაჩევიდენ, **ძაფი** გამოფლებდენ, ქალებმა დაართავდენ და **ქილიმი** გააკეთებდენ; ჩვენი დიდვანებმა რუსებისთვის **გონჯი** არ იტყოდენ; ქედქედელმა **კაცი** მოკლიდა ძველათ; ამის დედემისმა აწევდა **ნავი**; **გელინი** რომ მამამისის სახლიდან გამეყვანდენ და კაცის სახში მიიყვანდენ, **ზანი** ეტყოდენ; ქლასკურელებმა წალდით **კაცი** დაკლიდენ...

შეიძლება ერთმანეთის გვერდივერდ შეგვხვდეს მიცემით-ბრუნვიანი და სახელობითბრუნვიანი ფორმებიც, თუმცა, იშვიათად: **სელს** დავთესებდით, **პური** დევთესებდით...

მარადიდულ მეტყველებაში ყურადღებას იქცევს პირდაპირი დამატების მოთხრობითი ბრუნვის ფორმით გამოყენება, რაც უცხოა სხვა დიალექტებისთვის, რომელიც შეიძლება ენის უცოდინარობით ან მოთხრობითი ბრუნვის აქტიურად გამოყენებით აიხსნას. ასეთია: ახლა **ქორწილებმაც** შერეული დეფიქს ხალხმა; **ხალხმა** დააბიწყდა გურჯულად ლაპარაკი...

გარდა მოთხრობითისა, პირდაპირი დამატება მარადიდულ მეტყველებაში იშვიათად გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც ან საერთოდ გაუფორმებელი – ფუძის სახით: ამას**შექერის** ურთოვ; **პირის** მოპარცვიდა, **თავის** მოპარცვიდა, მოვლოდა, შიმას მოიტანდა ჰარუნმა...

კარზე რომ მეყვანებენ **დოდოფალ**, **ფინჯან** გაატეხიებენ; ამსომ **კაცებ** დევკავებდით; **ასკერ** ჩაბარებდით. ახალმოზღდებსაც **ყუ-**

რან ასწავლის; ხამსი პური – ჭადი ქვილ გუდუშურევენ; ჯენჯირზე ხორც დაკიდებდენ, დუმანმა გაახმობდა; გოდორ რომ მედკიდავ, იმამ დაამძიმავს. წურვილი – ფხალ მოვხარჩავთ, გავწურავთ, კაკალ, პილ-პილ, ქინძ გუდუშურევეთ; ახლა რამაზანი არი, მარხულ იჭერენ ხალხ-მა; ჩემი დედამთილმა ღარჭებ გურჯი არ ალაპარაკებდა...

ირიბი დამატება მოსალოდნელი დატიური კონსტრუქციის ნაცვლად გვხვდება სახელობითი ბრუნვის ფორმით ან ფუძის სახით: ერთი ძროხა ვერ ვაჭმევ, ცხენი რა ვაჭამო?; წაბლი ვინმემ არ უყურავს; მაყარი გზა გუდუშურიან გელინის თარაფმა; ჰემ მან სვა, ჰემ სალდათებ ასვა; სალდათები ერთმანებ უყურვენ; ჩიტებ გუუხარდებიან, მოვლენ...; ღარჭ დუშუმახ; ქათმებ სიმინდი დუყურით...

უბრალო დამატება. მოსალოდნელ -თვის' თანდებულის უბრალო დამატებას მარადიდულ მეტყველებაში ენაცვლება -ზე თანდებულისანი: კაცი მოკლაზე ერთი რამენა ვთქვა; ამან მარტო შვილზე ტირის; ჩვენზე – ემიად, თქვენზე – ბიდად...

უბრალო დამატება, რომელიც გადმოცემული უნდა იყოს -გან თანდებულისანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, წარმოდგენილია მოქმედებითში დასმული -გან (იდ-გან→იდან) თანდებულისანი სახელით: დიდგანებიდან ასე გიმიგონია; ხორციდან იმდონი საქმელი არი რომ... გვხვდება აგრეთვე -დან; დამ(ა) უბრალო დამატებაც; ფიცრიდამა სკივრი გუუკეთებია, სქელი ფიცრიდან...

განსაზღვრებისა და საზღვრული წევრის შეთანხმების კანონზომიერებათა დარღვევა

ა) ბრუნვაში

მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში დასმულ არსებით სახელებთან შეწყობილი თანხმობიანი ატრიბუტული განსაზღვრება ხშირად სახელობითის ანალოგიური ფორმითაა წარმოდგენილი. მოთხრობითი: ერთი კაცმა უთხრა; ჩენი ხალხმა ასე გააკეთა, მათი ბრალა; სირსვილაჟს [ლოცვა] ჩემი ნენემა იცოდა, მე არ ვიცე; ჩემი ძმამა ძველი გოდორში ფაჩხები ჩაყარა, შვა გზაში დადგა, ალები წუუკიდა და იმნებმა სამობენ, თეელი მილეთმა სამობენ. ჩემი ბაღნებმა არ იცი; ერთი კაც რა ქნას...

უმეტეს შემთხვევაში ამგვარი კონსტრუქცია (სახელობითბრუნვიანი მსაზღვრელი) გვაქვს მაშინ, როცა ქვემდებარე ნომინატიური კონსტრუქციის ნაცვლად ერგატივში გვხვდება: ჩემი ძმა აკვანში ტი-

რის, ჩემი ბაბუამ მღერობს; ჩემი ანემა არ იჯებოდა; ათი კაცმა დეე-
წიკებოდენ; ჩემი დედამთილმა ღარჭებ გურჯი არ ალაპარიკებდა;
ჩვენი გურჯებმა შარაბი არ გააკეთებდენ; წეყვანეს ჩემი შვილიშ-
ვილმა და ძაბლავეთ სვეს; ჩემი კაცმა არ სვამს, ბიჭმა - არა და მე
ვსვამ; ჩემი კაცმა ებზედი წასლაზე - მოსლაზე არ გემერეოდა; მე შენ-
თან ვილაპარიკავ, ერთი კაცმა წევა, ჟანდარმას ეტყვის...

მიცემითი: ამის ძველი სახში სანდულთ ფარა ნახა; ცივი
წყალთან სუფრა გახსნა; ჩვენი თავრობას საქმე დეენგრა; ერთი ძრო-
ხა ვერ ვაჭმევ, ცხენი რა ვაჭამო?; ჩემი ბაბოს ექსი შვილი ყავდა; გონ-
ჯი კაცს დეველაპარიკებით თუ ჩვენ...

მოთხრობითში გვხვდება განსაზღვრების ფუძის სახით ხმარე-
ბის შემთხვევებიც: ჩემ კაცმა გააკეთა სახლი და გამოვნაწილდით;
ამა ჩვენხალხმა ვუყურავდით; ჩემ მაზლმა დამატევია...

მსგავსი მოვლენები მრავლად დასტურდება სხვა სამხრულ
კილოებშიც (შავშეთი 2011; კლარჯეთი 2016). შავშურში მსგავსი
ფორმების გვერდით გვხვდება განსაზღვრებისა და საზღვრული წევ-
რისსახელობით ბრუნვაში შეთანხმების წესების დარღვევაც, რაც მა-
რადიდულ მეტყველებაში არ შეგვხვედრია. კერძოდ: თუ კოჭლ თე-
მური არა მოსქოვიც ოსმალისა იყო (შავშეთი 405); გოგოვ, გოგოვ ფა-
ციავ ახალ კაბა გაცვია (შავშეთი 2011, 412); ვერ მევგონე დიდ სახლ...
(შავშეთი 470)...

რაც შეეხება ხმოვანფუძიან ატრიბუტულ განსაზღვრებას, სა-
ზღვრულ წევრთან დარღვევები იშვიათია, რადგან ის ფუძის სახითა
წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში და ნაკლებად გვხვდება ბრუნ-
ვის ნიშნით გაფორმებული განსაზღვრება და ისიც უფრო ენის უცო-
დინარობით შეიძლება აიხსნას: ახლა ყველამა კაცმა იმახს, ოქროები
აქ ჩაფლილია...

გვაქვს ორმაგად განსაზღვრული საზღვრული: ახლა იმის მა-
მამისმა ძალიან დიდი პატივი მეცენ; ამის დედემისმა აწევდა ნავი...

თითქმის არ გვხვდება ატრიბუტული განსაზღვრებისა და სა-
ზღვრული წევრის ინვერსიული წყობა და იშვიათია გათიშული მსა-
ზღვრელ-საზღვრული: ძალი გავაკეთავ ყველიანი...

სუბსტანტიური განსაზღვრება ძირითადად პირდაპირი წყო-
ბით გვხვდება და ნათესაობითი ბრუნვის ფორმის ნაცვლად სახე-
ლობითის ფორმითაა წარმოდგენილი: საზღვარი ჩაკეტვაზე წინ ჩე-

მი დედედ იქ იყო; **ხამსი პური – ჭადი ქვილ გუდუშურევენ;** ჟინჭარი ფხალში გუდუშურევენ, **ფხალი ხარჩო, წყალი ბორელი; პური ფქვილი** ინახავდენ; ჩვენ რომ პატარა ვიყავით, ბაბამა ჩიმიყვანდა **ჭოროხი პირზე;** ახლანდელეებმა არც **ხორცი დაჭრა** იციან, არც **ქათამი გალამაზება;** ჩვენ დროს **გოგეები კითხვა** არ იყო; **მი ფაფა** გააკეთეფ; **თიხი ქოთანები** იყო; **სიმიინდი ღერ** ჩალა ვიტყვით...; ამ სოფელში ერთი **ღვინო დაღევა** პრობლემა არაა; **გზა მკეთებელმა** უთქმიან..., თუმცა: **წყლის სანაპიროზე** გამძლეებულა ცხოვრება, **ბავშვის ქურდობა** ყოფილა მეტი...

მარადიდულ მეტყველებაში თითქმის არ გვხვდება გათიშული სუბსტანტიური განსაზღვრება და იშვიათია ინვერსიული წყობა: დუღარე წყალში ჩაყრი ფხალი, ზეიდან ზეთი, **კარაქი ძროხისა...**, რაც უცხო არ არის მაქახლეელი მუჰაჯირების მეტყველებისთვის (მაქახლეელი მუჰაჯირები, 2017, 260).

ბ) რიცხვში

როცა ატრიბუტულ განსაზღვრებად გამოყენებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელები, კითხვითი ნაცვალსახელი რამდენი', ჩვენებითი – იმდენი', ხშირად საზღვრული წევრი მრავლობითში დგას: **ბევრი ალთუნები** ქონია; მე ოთხი შვილი მყავს და **რვა ბადიშები; ბევრი ბადიშები** მყავს; დიდმა იცის და **ორი ბიჭები** ვერ ლაპარაკობენ; აქ **ხუთასზე** მეტი **სახლები** იყო, ახლა ათი თუ იქნება; **ძალები** მყავან **ოთხი-ხუთი**, **ქანები...**; **რამდენი წიგნები** წერავთ, რათ გინდანანა?; ჩემი ნენემ **იმდონი ამბვეები** იცოდა, მე ჰიჩ არ ვიცი; **იმდენი ყანები** დახნეს...

გარემოებანი. ადგილის გარემოება. მიცემით ბრუნვაში მდგარი ადგილის გარემოება ძირითადად უთანდებულოა. ხმოვანფუძიან სახელებთან ბრუნვისინიშნითაა წარმოდგენილი, თანხმოვანფუძიანებში კი – ფუძის სახით: ჯედლანიძე ქობულეთიდან **მირვეთ** მოვდა, მირვეთიდან აქა, აქიდან წევდენ **ტრაპიზონ, გირესუნ, ორდუს, საფანჯას, იზმით;** ნავი **ართვინ** წევდოდა; ერთი გოგო **იზმით**, ერთი – **სტამბულ;** მე მივალ იქ, სახლი მაქ **იზმით;** მე **ბორჩხას** გაზდილი ვარ; მე **ბორჩხას** ვარ ზათი და აქ ასე ერთი საქმე რომ მექნება, მაშინ მოვალ, მევსაქმავ ერთი ხუთი დღე, მერე წევალ **ბორჩხას;** გოგო **ანკარასა,** ბიჭები – ერთი **ისტანბულა** (ისტამბულ არის – ჩამწ.), ორი თანე – **იზმით.** ზაფხულში ვარ-და ზამთარში ღარჭებთან მივალ...

იშვიათია თანდებულიანი ადგილის გარემოება მიცემითში: 12–13 მეტრი სიგმის ნავი **ხებაში და ბორჩხას** კეთდებოდა...

-ში თანდებულიანი ადგილის გარემოების ნაცვალაია -**ზე** თანდებულიანი ფორმები: **ჯოჭოზე** ხისიმი მყავს, ავაქიძეები არიან, **ჯოჭოზე**; ახლა ტრაპზონში **ჯამეზე** ხოჯაა; მე **სკოლაზე** არ მივდოდი...

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი -**კენ** თანდებულიანი ადგილის გარემოება უმეტესად შეკვეცილი -**კე** ფორმით გვხვდება: აქიდან ინგლისელები რომ **ბათუმისკეწევდენ**; ასე, ზომო, **სოფლებისკე** ქალი არ მიცემდენ, არ გავათხოვდით...

მოქმედებით ბრუნვაში მდგარი -**დამ** თანდებულიანი ადგილის გარემოება გვხვდება გავრცობილი ფორმითაც: **აქიდანა** წეა-მეთქი, გუშუმი; **აქიდანა** რომ ნავი ჩევდოდა ბათუმ, **ართვინიდან** ჭვირთი მიქონდა...

საინტერესოა -დან თანდებულიანი ადგილის გარემოების გამოხატვის თავისებური წარმოება: წელის **ზედან** გემძრობდა, ათლეთი გამოვდოდა; ანე ფენჯერეს ჯამის **შიანიდან** გახედევდა..., რომლებსაც სადაობით-გამოსვლითი ფორმები შეიძლება ვუწოდოთ, რადგან შინაარსობრივად გამოხატავს ადგილმდებარეობასაც და გამოსვლითობასაც.

-დან თანდებული დაერთვის ადგილის ზმნიზედით გამოხატულ გარემოებას მაშინ, როცა მისი დართვა არ არის საჭირო: სიმინდი სახლი **წინიდან** მაქ...

გვხვდება ადგილის გარემოებისა და უბრალო დამატების აღრევის შემთხვევებიც, რაც გამოწვეულია ჩვენებითი ნაცვალსახელი-სა და ზმნიზედის არასწორად გამოყენებით: **იქშიც** კაკალი ურთობდენ; **აქში** წვანილი არ ურთობენ...

დროის გარემოება. როდესაც დროის გარემოება არსებითი სახელითაა გადმოცემული, ლიტერატურული ქართული მიცემითი ბრუნვის ფორმას არჩევს, სახელობითით დროის გარემოების გადმოცემა იშვიათად ხდება (კვაჭაძე 2010,167-168). მარადიდელთა მეტყველებაში აღნიშნულ შემთხვევაში სახელი სახელობითში დგას: **ერთი თვე** დავჩი ნიშანლი; მე **შვიდმეტი წელი** მუზიკანტი ვიყავ; ნიშანლობა იყო, ეწწინ დემნიშნავდენ, რაცხამდონი სურე – **ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე**, ხანდახან ბოვრი; ლეჩო ჩვენც ვაკეთავთ; მაშინ **სამი დღე, ოთხი დღე** დუგუნი იყო; პამიდორი გავწურავთ თორბაში,

ორი დღე თუ სამი დღე პაწა დაძვავდება, დეფრიტება და ის ემეში ჩავასხამთ...თითქმის არ გვხვდება მიცემითი ბრუნვის ფორმის გამოყენების შემთხვევები.

სახელობითი ცვლის ზოგჯერ მოქმედებითსაც: **ღამე** (=ღამით) ვიმუშავეთ, **დღე** (=დღისით) ვიმუშავეთ და ასე...; **დილა** გააკეთავდი შუადიხან შეჭამდი; ამა **დილა** ჩაფთან ვჭამთ; **დილა** წევდა...

ხშირად, როცა მოსალოდნელია უთანდებულო სახელი დროის გარემოებად, იგი თანდებულთაა წარმოდგენილი ან მონაცვლეობენ-**ში/-ზე** თანდებულები: **კვირაზე** ნა წავსულიყავი, **კვირაზე** ვერ წეველი; **ღამეში** ჩვენი კაცები ამდგარან, მოზობლებს უთხრენ, დანიშნული ქვები მარადიდს ჩეფტანენ; მაყარი **საღამოზე** მოვდა; **საღამოზე** ხაჩი ჩანს, სინათლეები ეფთებთან...; ერთი **ღამეზე** საზღვარი შორს გედეფტანეს...

იშვიათია პირუკუ შემთხვევები, მოსალოდნელი თანდებულიანი დროის გარემოების ნაცვლად გამოყენებული უთანდებულო ფორმა: **მაის** დავთესეთ, გავმარგლეთ, რა ვიცი...

ასევე, ნანათესაობითარი მიცემითის ნაცვლად, დროის გარემოებად გვხვდება თანდებულიანი მიცემითის ფორმები: ნადი **თოხნაში** იცოდენ; **გოგვობაში** თავღია დავდიოდი, მოკლე მეცვა... ან საწყისი, რომელიც აღნიშნავს სხვა მოქმედების პარალელურად შესრულებულ მოქმედებას: ნავებს **ავღა** საბელით დეეწიკებოდენ, **ჩამოვღა** სისტარით ჩამოიყვანდენ...

დროის გარკვეული მონაკვეთის გამოსახატავად **წინათ**, **ადრე** დროის ზმნიზედის ნაცვლად გამოიყენება **წინ**:**წინ** რომ იყო იმსოები აღარაა; **წინ** ბრინჯი დავთესევედით, თუთუნი დავთესევედით; **წინ** ერთხელა წევდოდენ-მოვდოდენ; **წინ** იქიდან წამოსლა ყოფილა; ძროხა **წინ** მყავდა, ახლა – არა; **წინ** ბევრი ხაპი დაყრიდა ლობიოს, ფხალს; **წინ** ჩიქუნეთი მეტი კა ყოფილა... ამავე მნიშვნელობით შეიძლება ფუძეგაორკვეებული ფორმითაც შეგვხვდეს: **წინ-წინ** კეცზე ვაკეთავდით...

ასევე ხშირია დროის გარემოებად **წინ** დროის ზმნიზედის ნაცვლად **უკან** ზმნიზედის გამოყენება: **სამი დღის უკან** სადილი მიმიტანენ...

საყურადღებოა ასევე დროის გარემოებად გამოყენებულ ძირეულ ზმნიზედებზე თანდებულდართული ფორმები: **აწმამდინ** რომ

ესე ვქენით, კად ვარ ჰერალდა; ჩვენი დუგუნები აწმისკენ იწყება; აწმისუკან არვინ არ იციან გურჯული; მაშინეზე, ბაბოა იტყოდა...

ვითარების გარემოება. ვითარების გარემოება ხშირად გადმოიცემა სახელობითი დასმული ზედსართავი სახელით: ჩვენც იშტე ახლა ვჭამთ, ვსვამთ, **ლამაზი** ვართ; ვუძახით, რომ **ლამაზი** მოდი, დეიბაა წყალითო; მაკაინაა მოხარშავ, იმას ლამაზი ალი დაასხავ, სარმოსალი, ფოლურთი... **ლამაზი** შეკაზმული შიჭამ; წუხელ დუგუნზე ვიყავ, კად ჩეარა;ახლა თურქი ჩვენზე კად ცხოვრობს; იქ ხალხმა კად ცხოვროფს; ღმერთმა კად ამყოფონ; ჩემი დედამთილმა ღარჭებ **გურჯი** არ ალაპარიკებდა...; ამ სოფელში სულ ქართულად ვლაპარიკობდით; ხალხმა დააბიწყდა **გურჯულად** ლაპარიკი...

ასევე გვხვდება ვითარების გარემოება – **მალიან** სახელობით ბრუნვაში მდგარი ზედსართავი სახელით – **მეტი**, რომელიც ძირითადად ზედსართავი სახელით გადმოცემულ წევრს ახლავს: კაცზე **მეტი** კად არ'ნა თქვაო; თამარად **მეტი** ზენგინდ ყოფილა; ჩვენში **მეტი-ჩეთინია**, თქვენში – ყოლაა...

როგორ ვითარების გარემოება ძირითადად გვხვდება **რავარ** ფორმით: ვინმე **რავარ** შევდოდა ჯამიეში!; ხოჯობა **რავარ** იტყოდენ, ეშინოდენ, დამალილი იყვენ..., **რანაირად** კი – **რასოდ** ფორმით: ჩემი ღარჭებმა **გურჯი**ჯე არ იციან, **რასოდ** ვაწავლო!; **რასოდთ** წედი გითხრა, ნეევო, მამამუდსა უმღერიანო და შენ **რასოდდა** გაგგზანოვო.

დასტურდება აგრეთვე მიზნის გარემოებად გამოყენებული სა-ო აფიქსებიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმის ნაცვლად -ზე თანდებულისანი მიცემითის ფორმა: ჩემი კაცი **მუშავობაზე** მურულულში წევდა...

ამრიგად, მარადიდული კლარჯული მეტყველება საკმაოდ თავისებურ და საინტერესო სურათს იძლევა წინადადების წევრთა გამოხატვის თვალსაზრისით. ყურადსაღებია არა მარტო ქვემდებარის ერგატიული კონსტრუქცია როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნასთან სამსავე სერიაში, არამედ პირდაპირი დამატებისაც, რაც უცხოა სხვა დიალექტებისთვის. მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციები მარადიდელთა მეტყველებაში სისტემური ხასიათისაა და შეიძლება აღნიშნული დიალექტის კანონზომიერებად ჩაითვალოს. გარდა ამისა, ხშირია გარემოებათა თავისებური წარმოება; განსაზღვრებისა და საზღვრული წევრის შეთანხმების კანონზომიერე-

ბათა დარღვევის შემთხვევები ბრუნვასა და რიცხვში; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობის თავისებურებანი, რომლებიც ზოგ შემთხვევაში გრამატიკული კანონებით ვერ აიხსნება და აზრობრივი შეწყობის ნიუანსებია, ზოგჯერ კიდევ ენის უცოდინარობით გამოწვეული.

ლიტერატურა

თოფურია 1923 – თოფურია ვ., სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით, ჩვენი მეცნიერება, №1, ტფილისი, 1923.

იმნაიშვილი 1974 – იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.

კვაჭაძე, 2010 – კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.

კლარჯეთი 2016 – ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., კლარჯეთი, თბილისი, 2016.

კიზირია 1974 – კიზირია ა., ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა ქართული ენის დასავლური დიალექტების მიხედვით, თბილისი, 1974.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956 – არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.

მაჭახლეელი მუჰაჯირები 2017 – ფაღავა მ., ცინცაძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., ბარამიძე მ., შაშიკაძე ზ., მგელაძე ნ., ბარამიძე რ., ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებიო თურქეთში, წიგნი პირველი – მაჭახლეელი მუჰაჯირები, ბათუმი, 2017.

ღლონტი 1975 – ღლონტი ალ., ხალხური პოეზიის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1975.

შავშეთი 2011 – ფაღავა მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ცინცაძე მ., ჩოხარაძე მ., შაშიკაძე ზ., ცეცხლაძე ნუფზარ, ფუტკარაძე თ., ბარამიძე მ., კარალიძე ჯ., ჩოხარაძე ვ., შავშეთი, თბილისი, 2011.

ძოწენიძე 1973 – ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.

Peculiarities of Expression of Sentence members in Maradidi Klarjuli

Abstract

Among the syntactic peculiarities of Maradidi Klarjuli, some sentence members attract attention due to their special expression:

A subject in the Instrumental case with a predicate, represented by the transitive verb in the form of Series I; with intransitive verb-predicate with the forms of almost all series; with a transitive verb-predicate, presented by the form of Series III, it is often found in the form of a pure base instead of the Dative case or in the Nominative case.

The rules of agreement between a subject and a predicate are violated. The coordination in number between a subject and a predicate is quite widespread (if the subject is a collective noun, defining or non-defining pronoun, or is accompanied by a numeral expressing the number of more than one and a two-digit composite):

A direct object can be often found in the Nominative case instead of the Dative case with the verb-predicate in the form of Series I. The use of the Narrative case of direct object deserves special attention, as it is alien to other dialects: it can be explained by lack of knowledge of the language or the active use of the Narrative case;

Besides the Narrative case, a direct object in the speech of Maradidi is rarely found in the form of the Genitive case or in any other form – most often it is represented by a pure base.

An indirect object, instead of the expected dative structure, occurs in the form of the Nominative case or a base.

A simple object with a postposition *-tvís* is replaced by the one with a postposition *-ze*; a simple object with a postposition *-gan* in the Genitive case is represented by the noun with a postposition in the Instrumental case;

There can be met a violation of the agreement in the number and case between the **attribute** and the determining members of sentence.

The adverbial modifiers of place in the Dative case are mostly used without a postposition; the forms of adverbial modifier with a postposition *-ze* are used instead of the ones with *-shi*; a peculiar formation of forms of adverbial modifiers of place with a postposition *-dan* deserves a special interest. There are also cases of confusion of the adverbial modifier of place and a simple object, that are caused by improper use of a demonstrative pronoun and an adverb.

The adverbial modifier of time is presented by the forms with *-ze* and *-shi*, denoting time, as well as by a base of a noun; the adverb "*tsin*" is used instead of "*tsinat*".

The adverbial modifier of action is often conveyed by an adjective in the Nominative Case.

გაგია ფალავა

მეტსახელი გვარები ტაოთან

გვარი, მისი შედგენილობა და გენეზისი კარგა ხანია ისტორიკოსების, ეთნოლოგებისა და ლინგვისტების მსჯელობის საგანია. უპირველესად აზრთა სხვაობას იწვევს ქართული გვარების წარმოშობის დრო. ამის მიზეზი, ვფიქრობთ, საძიებელია იმაში, თუ რას ვუწოდებთ გვარს. და კითხვა: რა არის გვარი? ეგებ, ამ თითქოსდა მარტივი კითხვის პასუხი დაგვეხმაროს ქართული გვარის ჩამოყალიბების დროის განსაზღვრაში.

ძველ ქართულში „გვარს“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: გუარი – წესი, სახე, ჯიში, სახეობა; ეროვნება, ნირი (იხ. სარჯველაძე 2001; აბულაძე 1973).

სულხან-საბასთვის „გუარი“ – შემასრულებელია, შემასულებელი კიდევ - გასრულების მოქმედი (ორბელიანი 1949).

„გუარის“ ძველი ქართულის მნიშვნელობათაგან „ჯიში“, „სახეობა“ რაღაცით უხლოვდება „გვარ-სახელის“, „გვარის“ თანამედროვე გაგებას.

მოგვიანებით გვარის განმარტება გვხვდება დ. ჩუბინაშვილთან: ნათესავი, ტომი, ჩამომავლობა, თავობა, გვაროვნობა... родъ, фамилия, порода... (ჩუბინაშვილი 1984).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „გვარი – 1. საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან... ჩამომავლობა... || ერთი წინაპრის შთამომავალი, ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფი“ (ქველ). გვარს სხვა მნიშვნელობებიც აქვს ქართულში, მაგრამ ჩვენთვის იგი ახლა არაა საინტერესო.

„გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან... ჩამომავლობა...||ერთი წინაპრის შთამომავალი, ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფი“ – მოყვანილ ამონარიდში

კარგად ჩანს გვარის მნიშვნელობა და აკმაყოფილებს დაინტერესებულ მკითხველს. თუ ასეა, რა იწვევს აზრთა სხვაობას? უპირველესად უნდა შევთანხმდეთ, რომ გარკვეულ პირობებში წარმოქმნილი გვარ-სახელი ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის (ერთი მამის შვილებისათვის, ერთი წინაპრის შთამომავალთათვის, სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფისათვის...) ქცეულა სახელ-სიმბოლოდ და აღნიშნავს ამ ჯგუფს.

გამომდინარე თქმულიდან იბადება კიდევ ერთი კითხვა: რომელი საუკუნიდან ივარაუდება საქართველოში ასეთი სახელ-სიმბოლოდ ქცეული გვარი? როდიდან გაჩნდა საქართველოში პიროვნების სამწევრა აღნიშვნის საჭიროება – სახელი, მამის სახელი, გვარი? სხვაგვარად: ქართული გვარის ჩამოყალიბება იმ დროიდან უნდა ვივარაუდოთ, როცა საქართველოში, ქართულ კულტურაში ამის საჭიროება გაჩნდა.

„ქართული გვარების ძირითადი ნაწილი საკუთარი სახელებიდან (ან მეტსახელებიდან – ავტ.) მომდინარეობს ფუძეზე **ძე, შვილ**’ის ან მათი ეკვივალენტი აფიქსების მიმატებით. ძველი ქართული მწერლობის ისტორიამ იცის ასეთი გვარები: **იოანე საბანის ძე** (VIII ს.), **იოანე ქინქოზის ძე, სტეფანე სანანოის ძე** (X ს.), **ვაჩე კარიჭის ძე, იოანე ტარიჭის ძე, სუმბატ დავითის ძე** (XI ს.)...“ (ლლონტი, 1988:190). არის კი დასახელებული **საბანის ძე, ქონქოზის ძე, სანანოის ძე**... გვარები, გვარ-სახელები, ზემომოტანილ ქეგლ’ისეულ განსაზღვრებას რომ პასუხობენ? რა თქმა უნდა არა! რომელიმე „სუმბატ დავითის ძე“ და მისთანა სინტაგმები პიროვნების ორწევრა აღნიშვნაა, – სახელი + მამის სახელი და არა სახელი და გვარი. სხვაგვარად, „დავითის ძე“ აღნიშნავს არა „ჩამომავლობას“, „ერთი წინაპრის ჩამომავალს“, „ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფს“, არამედ კონკრეტულ პიროვნებას სახელითა და მამის სახელით, რაც, რა თქმა უნდა, არაა გვარი, სახელი-სიმბოლო სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფისა. აქვე აღვნიშნავ, რომ „დავითის ძე“ და მისთანა ფორმები გვარის ჩანასახებია, მაგრამ არა გვარები. ამიტომაც გადაჭარბებულად გვეჩვენება ალ. ლლონტის მოსაზრება, „გვაროვნული სახელი, მკვიდრი ნაწილი ქართული ანთროპონიმისა ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII საუკუნეებში მისი ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებული ჩანს...“ (ლლონტი, 1988:

197). ჩანს, გვარის ჩანასახი საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც, ადრეული ეპოქიდან ჩნდება, მაგრამ მისი ჩამოყალიბების პროცესი დიდხანს გრძელდება და საბოლოო სახეს გაცილებით გვიან ღებულობს, ვიდრე VII-VIII საუკუნეებია. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ გვარი ერთდროულად არ მიუღია ყველა წოდებას და ყველა კუთხეში, რაზეც საველე ექსპედიციების მიერ შეკრებილი მასალებიც მიუთითებს.

გვარ-სახელისადმი დამოკიდებულება ერთგვარი რომ არაა, ეს იქედანაც ჩანს, რომ ქართველოლოგიაში არის ცდები მის აღსანიშნავად შემოიტანონ სხვადასხვა ტერმინი: „ოჯახის სახელი“ (გ. ხორნაული, არ იწონებს ნ.მგელაძე), „შტო-გვარი“ (ს.ჯანაშია), „ქვე-გვარი“ (გ. ბარდაველიძე), „მეტ-გვარი“ (ს. მელიქაძე), „გვარის დანაყოფი“ (რ. თოფჩიშვილი)... ნ.მგელაძის შენიშვნით, აქ ისეთი მცნებებია („შტო“ და „გვარი“, „ქვე“ და „გვარი“) გაერთიანებული, რომელთა აღნიშნული სოციალური დაჯგუფებების ტიპოლოგიური მიმართებები სრულად დაგენილი არაა. ის, თუ რა იგულისხმება „შტო-გვარში“ (თუ „გვარის შტოში“) გაურკვეველია (მგელაძე 2001, 25).

საუბარს აღარ გავაგრძელებთ, თუმცა სასაუბრო ბევრია (იხ. ფაღავა 2017, 191-208), გადავალთ მთავარ სათქმელზე – მეტსახელი გვარები ტაოდან.

* * *

ისტორიულ ტაოში საველე ექსპედიციების დროს ჩავიწერეთ ტაოური „გვარებიც“. მასალა საინტერესოა როგორც ლინგვისტური, ისე ეთნოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით.

„მეტსახელ გვარს“ ტაოელები „ქოხის სახელს“ უწოდებენ, მეტსახელს – სახელმეტას. ბარემ ვიტყვით, რომ „გვარი“ სოფელში კომპაქტურად სახლობს და ქმნის უბანს. სწორედ „გვარის“ განსახლება განსაზღვრავს ტაოური სოფლის დასახლების სტრუქტურას. ჩანს, „გვარიც“ იმ სოფლის კუთვნილებაა, სადაც მისი უბანია (იხ. ფაღავა 2017, 3-9; ფაღავა 2018, 129-133).

ტაოელთა „ქოხის სახელების“ დიდი ნაწილი –**იან**¹ სუფიქსით ან მისი ფონეტიკური ვარიანტებითაა ნაწარმოები. აღნიშნული მა-

¹„ჩვენი გვარები უკნედან –**იან** მოვა: **კავლიანი...**“ – აგვისხნა ფუათ სოლმეზმა სარიგოლიდან.

წარმოებელი დაერთვის მამაკაცის საკუთარ სახელს (იშვიათად ქალისაც) ან მეტსახელს და აწარმოებს „გვარს“:

გენჯ-იან-ი შდრ. **გენჯი** – მამაკაცის სახელი.

სალ-იან-ნ-ი შდრ. **სალი** – მამაკაცის სახელი.

სულბ-იან-ნ-ი შდრ. **სულბი** – მამაკაცის სახელი.

აზლ-ეან-ი < ***აზლ-იან-ი** შდრ. **აზლი** – მამაკაცის სახელი.

ნაბ-იან-ი¹ შდრ. **ნაბი** – მამაკაცის სახელი.

ომარ-იან-ი შდრ. **ომარი** – მამაკაცის სახელი.

ბასლ-იან-ი < ***ბასილ-იან-ი** შდრ. **ბასილი** – მამაკაცის სახელი.

სალრ-იან-ი < ***სალირ-იან-ი** შდრ. **სალირა** – მამაკაცის სახელი.

ჰელიმ-იან-ი შდრ. **ჰელიმი** – მამაკაცის სახელი.

აიდილ-იან-ი შდრ. **აიდილი**//**აიდინი** – მამაკაცის სახელი.

ყავაზ-იან-ი შდრ. **ყავაზი** – მამაკაცის სახელი. აღვნიშნავთ, რომ აჭარასა და შავშეთში გვხვდება „ძველი“ გვარი **ყავაზოდლი**.

იბიშ-იან-ი შდრ. **იბიშა** – მამაკაცის სახელი.

იბრიმ-იან-ი < ***იბრაიმ-იან-ი** შდრ. **იბრაიმი** – მამაკაცის სახელი.

დენგიზ-იან-ი შდრ. **დენგიზი**//**ჯენგიზი** – მამაკაცის სახელი.

ხიტ-იან-ნ-ი შდრ. **ხიტი** – მამაკაცის სახელი(?).

ბექირ-იან-ი შდრ. **ბექირი** – მამაკაცის სახელი.

ნებ-იან-ი შდრ. **ნები** – მამაკაცის სახელი.

ქოჩელ-იან-ი შდრ. **ქოჩელა** – მამაკაცის სახელი.

მუს-იან-ი შდრ. **მუსა** – მამაკაცის სახელი.

ეიბ-იან-ი < ***ეუბ-იან-ი** შდრ. **ეუბი** – მამაკაცის სახელი.

ფაზლ-იან-ი შდრ. **ფაზლი** – მამაკაცის სახელი.

აუნუზ-იან-ი < ***აუნუს-იან-ი** შდრ. **აუნუსი** – მამაკაცის სახელი.

კედელ-იან-ნ-ი შდრ. **კედელა** – მამაკაცის სახელი.

აალოზ-იან-ი < ***ააყოზ-იან-ი** < **ააყოზ-იან-ი**//**ააყოფ-იან-ი** შდრ. **ააყოფი** – მამაკაცის სახელი.

მანას-იან-ი შდრ. **მანასე** – მამაკაცის სახელი.

ფერუზ-იან-ი² შდრ. **ფერუზე** – ქალის სახელი.

¹ნაბიანისშესახებ ქუაბაგში მოგვითხრობენ: [რუსის] დიდი კამანდარი დამდგარა ზომო მაჰალეში. აქიდან **ნაბნი** კაცი დამყდარა, **ნაბიანი** დურქმევიან”.

²„ფერუზად დეკაცი ყოფილა, იქიდან - **ფერუზ-იან-ი**” - აგვისხნეს ხევეკში.

მოყვანილ მაგალითებში, ვფიქრობთ, ადამიანის საკუთარ სახელზე -**იან** სუფიქსის დართვით ნაწარმოებია „ქობის სახელები“. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ინფორმატორი ზოგჯერ ფორმას მრავლობით რიცხვში გვისახელებდა, ჩვენც მრავლობითის ფორმა ჩავიწერეთ და ასე ვიყენებთ კვლევაში.

-**იან** სუფიქსი დაერთვის მეტსახელს//სახელმეტას და აწარმოებს მეტსახელ გვარს:

თოფლ-იან-ი შდრ. **თოფალი** – კოჭლი (თ. topal).

ხოჯ-იან-ნი შდრ. **ხოჯა** – მასწავლებელი, მუსულმანური სასულიერო პირი (სპ. hoca).

ეფენდ-იან-ნი შდრ. **ეფენდი** – ბატონი, თავადი, მფლობელი, პატივცემული (თ. efendi).

ჩოლად-იან-ი შდრ. **ჩოლადი** – ცალხელა, უხელო, ინვალიდი, ხეიბარი (თ. çolak).

მოლ-იან-ნი¹ შდრ. **მოლა** – მთავარი მოსამართლე, ისლამის კულტის მსახური, მასწავლებელი (არ. molla).

ამაღ-იან-ნი, აინ-იან-ი,

ბაქმაზ-იან-ი შდრ. **ბექმეზი** – „ხილის დადუღებული წვენი“ (ნიჟარაძე, 1971), (თ. peqmez), ბეთმეზი. დღეს ტაოურმა ბაქმაზი არ იცის, „ქობის სახელს“ დაუცავს იგი.

მოლახლ-იან-ი შდრ. **მოლახ[ლ]ი** (?), გვხვდება – **მოლახოღლიც**.

ფერ-იან-ნი² შდრ. **ფერი** – სული, ფერია (სპ. peri): „ფერი ქალიც არის, კაციც, ფერებიც ჯინები არიან“ (შიოშვილი 2017, 633; შდრ. შავშეთი 2011).

¹ჩემი დედე ხოჯა ყოფილა, ისტამბულ უკითხია, მოსულა, აქობაში ხოჯობა უქნია, იქიდან **მოლიანი** უძახიან ჩვენა” – აგვისსნა ერთმა მოლიანმა მექართლე ტაოში.

²მეველად დოლენჯოლი ხევეკიდან მოგვითხრობს: „სარცხელი დღე არ ყოფილა, ბიჭი გასულა, ტბაში შეხედავს კი, ლამაზი გოგო იბანავს, თმები დიდი აქ. მივა, გემხედავს ქი, გოგო დემნახავს კაცს, ჩეეფლობა [წყალში] და დემალავს. ტარალი (აქ: სავარცხელი) დარჩა გოგოს. ბიჭი იმ ტარალს ასწევს, მეძპრის, წუმუვა ასე. გოგოც ადგა კი, ტარალი არ იქნება და იტირებს. ი სავარცხელი დიდი ოქროდდან ყოფილა. ბიჭიც უკნიდან წუმუვა, ჩქარა და ბიჭი ჩუმუვა აქ, ჭამის უკნიდან ჩუმუვა.

ის გოგო ფერი გოგო ყოფილა. უთქვია, ნაჩუქარია, ვისმე უჭუქებია. ჩვენ რაცხა გვაჭუქებენ, შეენახავთ. ბიჭს უთქვია, დავქორწინდეთ.

თათარ-იან-ი შდრ. თათარი, მეტსახელი გამუსლიმანებული კაცისა.

მიხლიკ-იან-ნ-ი შდრ. მიხლიკი. გვხვდება – მიხიკიანიც.

მუთაფ-იან-ნ-ი შდრ. მუთაფი(?).

ვოლელიან-ნ-ი შდრ. ვოლელი (?).

არხვ-იან-ნ-ი შდრ. არხვა – სოფ. კლარჯეთში.

დეღუზ-იან-ნ-ი შდრ. დეღუზი.

უსტ-იან-ნ-ი//უსტიან-ებ-ი შდრ. უსტა – ოსტატი, ხელოსანი (თ. usta). უსტა – მეტსახელი კაცისა. გვხვდება – უსტალოლიც.

ტურც-იან-ი შდრ. ტურცი(?).

ზეინ-იან-ი შდრ. ზეინი(?).

კუდ-იან-ნ-ი შდრ. კუდიანი – თურქების მეტსახელი ქართველების მიერ შერქმეული (იხ. ფაღვა, 2017; 2011).

კავლ-იან-ი<*კავ-იან-ი, ლ განვითარებულია, შდრ. კავი.

თულუდ-იან-ი შდრ. თულუდი(?).

ქეიჯ-იან-ი შდრ. ქეიჯი(?), დასტურდება – ქეიჯანიც.

ხაზნუთ-იან-ნ-ი (ხაზნუთი(?).

მახას-იან-ი შდრ. მახასი (მაკრატელი).

აჭარ-იან-ი შდრ. აჭარა. ვფიქრობთ, აჭარიდან მოსულის მეტსახელი გვარია და მას არაფერი აქვს საერთო სომხურ აჭარიანთან.

ჩულფ-იან-ნ-ი შდრ. ჩულფი<*ჩილფი//ჩირფი(?) (თ. çirpi) – ლარი (ნიქარაძე, 1971).

ფირ-იან-ი<*ფერ-იან-ი: ე-ი>ი-ი'ს.

სალიფ-იან-ი შდრ. სალიფი(?).

ჭარაბ-იან-ი შდრ. ჭარაბი<ჭარბი(?). დასტურდება გვარი ჭარბაძე.

ფერჩ-იან-ი შდრ. ფერჩ'ი(?). აჭარაში გვხვდება გვარი ფენჩიძე. ფერჩ<ფენჩ'ისაგან?

ქალი ფიქრობს, როდის მეძმრის ტარაღს და წევა. დაქორწილდენ. ბაღნები მეესწრებიან, ქალს არ ულაპარაკია. ხუთი წელი გესულა. მერე იპუა ტარაღი, გეძეცა. კაცი გამიეკიდა. [ქალი] გავა ტბაზე, კაცს ეტყვის: მე იქ გვევალ, სისხლი თუ დემნახო, წადი, არ მელოდო, ვერ დემნახავ, მელოდე.

ამას [ძმები] აღარ შუმეგებენ ტბაში, დაჰკლვენ. ტბა სისხლიანი გახდება. იმიდან არიან ფერიანნი”. ვფიქრობთ, მშვენიერი ლეგენდაა ფერიანის, – მეტსახელი გვარის შესახებ.

ჩულებ-იან-ი შდრ. **ჩულები//ჩულები(?)**.

კომდ-იან-ი შდრ. **კომდი<კორდი: რ>მ**

აილ-იან-ი შდრ. **აილ'ი(?)**

ყურდ-იან-ი შდრ. **ყურდ'ი<*ქურდ'ი**. გავრცელებულია გვარე-
ბი - ქურდიანი, ქურდაძე.

ტარლოლ-იან-ი შდრ. **ტარლოლ<ტარალოლ'ი**.

მოლელ-იან-ი<მოლოლ-იან-ი შდრ. **მოლა**.

ყალაჯ-იან-იშდრ. **ყალაჯ'ი<*კალა[ი]ჯი** - მკალავი.

კარჩხლ-იან-ი შდრ. **კარჩხალა**, - კარჩხლიდან მოსულის მე-
ტსახელი.

მოყვანილი „გვარები“ მეტსახელებიდან ნაწარმოებად მივიჩ-
ნიეთ, მათგან ზოგი გამჭვირვალეა, ზოგიც – უცნობი ფუძე. დამატე-
ბით ძიებას საჭიროებს მათი მნიშვნელობა.

„მეტსახელი გვარების“ ერთი ნაწილი დღეს აღარ სახლობს ტა-
ოში, არც სოფელს ახსოვს ისინი. შეუნახავს იგი ტოპონიმს. სხვაგვარად, სოფელმა დაივიწყა „ქოხის გვარ“, დაიცვა – გეოგრაფიულმა სა-
ხელმა. ტოპონიმის „მეხსიერება“ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე – სოფ-
ლის.

ხალ-იან-ი შდრ. **ხალიანთყანა**, ადგილის სახელი მექართულე
ტაოში. **ხალიანი//ხალიანა** მეტსახელია კაცისა/ქალისა.

ოხშ-იან-ი შდრ. **ოხშიანი//ოხშალარი** (ოხშიანები) – ადგილი
ელიასხევში.

წითლ-იან-ი შდრ. **წითლიან ჭალა//წითეველები//წითლეკვარი**
– ადგილი მექართულე ტაოში.

ბერ-იან-ი შდრ. **ბერიანი//ბერიანნი** ადგილი მექართულე ტაო-
ში.

ჭელ-იან-ი შდრ. **ჭელიანკარი** – ადგილი მექართულე ტაოში.
ჭელ' ფუძე გვხვდება გვარ-სახელში ჭელიძე.

ჭეილ-ან-ი შდრ. **ჭეილანკარი** – ადგილი მექართულე ტაოში.

ჰამფ-იან-ი შდრ. **ჰამფიანკარი** – ყანა მექართულე ტაოში.

სორ-იან-ი შდრ. **სორიანი** – ჭალა მექართულე ტაოში.

აინ-იან-ი შდრ. **აინიანი** - ადგილის სახელი მექართულე ტაო-
ში.

კოდელ-იან-ი შდრ. **კოდელიანი** – ყანა მექართულე ტაოში.

ონახ-იან-ი შდრ. **ონახეთკარი** – ადგილი მექართულე ტაოში.

ხუც-იან-ი შდრ. **ხუცეკარი** – ადგილი მექართულე ტაოში.
ყარამან-იან-ი//ყარამან-ებ-ი შდრ. **ყარამანლარი** – ადგილი მექართულე ტაოში.

ფევზ-იან-ი შდრ. **ფევზალარი** – ადგილი მექართულე ტაოში.

აბაზ-იან-ი შდრ. **აბაზიანი** – ადგილი მექართულე ტაოში.

ქუნქლ-იან-ი შდრ. **ქუნქლიანები** – ადგილი მექართულე ტაოში.

ყარამად-იან-ი შდრ. **ყარამადიანი** – ადგილის სახელი ელიასხევში. ვფიქრობთ, აქ წარმოთქმის პრობლემაა, ალბათ, ამოსავალია - ყარამანიანი.

ქოროლი – შდრ. **ქოროლიგილ** – ადილის სახელი მექართულე ტაოში. იმავე ფუძეს ვხედავთ **ქორი-ეთ**ში.

კოჭ-იან-ი შდრ. **კოჭიან ჯევი** – ხევი ტაოში.

ომარ-იან-ი შდრ. **ომარიანი** – გეოგრაფიული პუნქტი მექართულე ტაოში.

არზ-იან-ი შდრ. **არზიანი** – ყანა მექართულე ტაოში.

მაჰმუდ-იან-ი შდრ. **მაჰმუდიან ტყე** – ტყე მექართულე ტაოში.

ლიტრ-იან-ი შდრ. **ლიტრიანი** – ადგილი მექართულე ტაოში. დასტურდება - **ლიტრევიც. ლიტრა** – წონის ერთეული არ იცის ტაოურმა. ფუძე დაუცავს ტოპონიმს.

დელ-იან-ი შდრ. **დელიანი** – ადგილი მექართულე ტაოში.

აბდ-იან-ი შდრ. **აბდიანნი** – ადგილი მექართულე ტაოში.

ბასლ-იან-ი შდრ. **ბასლიანი** – ადგილი მექართულე ტაოში, გვხვდება: ბასლიანკარი, ბასლეთები.

პაჩელ-იან-ი შდრ. **პაჩელიანი** – ადგილის სახელი ელიასხევში.

შაბან-იან-ი შდრ. **შაბანიანი** – ადგილი მექართულე ტაოში.

მალლ-ენ-ი შდრ. **მალლენი** – ადგილი მექართულე ტაოში.

ორი შემთხვევა დადასტურდა, როდესაც ორი სუფიქსია გამოყენებული „გვარის“ საწარმოებლად: **ისმაილ-ოღლ-იან-ი, მელ-ოღლ-იან-ი**. ვფიქრობთ, ეს ახალი მოვლენაა ტაოური ქოხის სახელისა და ტოპონიმის წარმოებაში.

ოცდაათამდე მეტსახელი გვარი დავითვალეთ, რომელიც დღეს აღარ ცხოვრობს მექართულე ტაოში და რომელთა ხსოვნა მიწამ შეგვინახა. ბუნებრივია, დაიბადოს კითხვა: რა ბედი ეწიათ ამ „გვარებს?“ ნაწილი გადასახლდა თურქეთის სხვა კუთხეებში, ნა-

წილმა შეწყვიტა არსებობა, ზოგის განერიდა ოსმალობას და საქართველოს სხვა კუთხეებში დაიდო ბინა. გავიხსენებ ექვთიმე თაყაიშვილის ერთ ცნობას: „ვისაც არ სურდათ გამაჰმადიანება, გადასახლდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში. ამათ რიცხვში უფრო წარჩინებულნი არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ხიმშიაშვილი, კავკასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, ქობულაშვილი, სუმბათაშვილი, ზედგენიძე, თუხარელი, გუგუნავა“ (თაყაიშვილი 1, 2016, 431).

-იან სუფიქსიანი წარმოების გვერდით დადასტურდა **ძე>ზე** მაწარმოებლიანი სახელებიც: **კილაზე<*კილაძე, ჩიტაზე<*ჩიტაძე, გუნგუზე<*გუნგუძე, არუნზე<*არუნძე** (<*ჰარუნძე?). ოთხივე გვარი შეუნახავს ტოპონიმს. ამათ გვერდით დავსახელებთ უტავში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელ **ბალაზელარ**, ვფიქრობთ, იგი ქართული **ბალაძეების** თურქული თარგმანია.

მოყვანილი მაგალითები დასტურია იმისა, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც, ტაოში იცოდნენ **ძე** მაწარმოებლიანი გვარები. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება **ასპარაძენი**, გეოგრაფიული პუნქტი, სადაც იშხნის ციხე დგას (იხ. ქ.ცხ. II, 288-289).

სამი „გვარი“ დადასტურდა -**იონ** სუფიქსით ნაწარმოები: **პატახს-იონ-ი** (ბასლევარი), **ბაჯახს-იონ-ი** (ობლევარი), **კულახს-იონ-ი** (გოდლევარი).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სუფიქსი -**ივ-ან** „ერთის მხრივ, იძლევა -**ი-ონ** ნაირსახეობას (ვა>ო) გზით, ხოლო, მეორეს მხრივ, -**ი-ან** ნაირსახეობას (ხმოვნებს შორის ვ სონანტის ჩავარდნით)“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988, 239). ამდენად, -**იან** და -**იონ** ერთი რთული სუფიქსის (ივ-ან) გარდაქმნის შედეგია.

ტაოური „გვარები“ -ან სუფიქსითაც უწარმოებიათ:

ხოჯა-ან-ი, გვხვდება **ხოჯ-იან-ი**’ც.

უსტა-ალ-ნ-ი<უსტა-ან-ნ-ი. გვხვდება **უსტალოლი**, საქართველოს სხვა კუთხეებში - **უსტალიშვილიც**.

ცერე-ან-ი შდრ. **ცერეკარი** - ადგილი მექართულე ტაოში.

ქეიჯ-ან-ი,

დოლენჯ-ან-ი, გვხვდება: **დოლენჯიანი, დოლენჯოლი**.

სოითრ-ან-ი,

ჩეიჯ-ან-ი შდრ. **ჩეიჯ-იან-ი**.

ყანთრ-ან-ი, გვხვდება ასევე: **ყანთრ-იან-ი**, **ყანთარ-ოლლი**, **ყანთრ-ენ-ი**.

სილიჯ-ან-ი,

ხოვ-ან-ნ-ი.

-**ან** სუფიქსიც **-ოვ-ან'**ის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. აღვნიშნავთ, რომ ტაოურ მეტსახელ გვარებში მონაცვლეობენ **-იან** და **-ან** ვარიანტები.

რამდენიმე შემთხვევაში იხმარება **-ენ** (*-<ან) სუფიქსი:

შაბალ-ენ-ი, - შეინახა ტოპონიმმა **შაბალენ** კარი.

მეძალ-ენ-ნ-ი,

მუთაფ-ენ-ი. „მატყლის მჭრელი“ – აგვიხსნა ჰაკი ქეიჯანმა, „სომეხი სახელიაო ის“.

ყანთრ-ენ-ი.

მექართულე ტაოში დადასტურდა **-ვან** (<-ოვან) მაწარმოებლი-ანი „გვარებიც“:

ყულახ[ს]-ვან-ი - დაუცავს ტოპონიმს.

ხამწ-ვან-ნ-ი<***ხამწ-ოვან'ნ-ი**.

კურდ-ვან-ნ-ი//**ქურდ-ვან-ნ-ი** შდრ. **ქურდ-ოვან-ი**.

კულ-ვან-ნ-ი <***კულ-ოვან-ნ-ი**.

კულახ[ს]-უან-ი <***კულახ[ს]-ვან'**ისაგან.

ჩანს, რომ ტაოში „გვარის“ მაწარმოებელთაგან ყველაზე გავრცელებულია **-იან**, ასევე გვხვდება: **-იონ**, **-ან** (ზოგჯერ **-ენ**), **-ვან** ფონეტიკური ვარიანტები **-ივ-ან** სუფიქსისა.

გვარ-სახელების ანალოგიური წარმოება გვხვდება შავშეთში, კლარჯეთსა და აჭარაში. ყურადღებას მივაქცევ რამდენიმე რესპონდენტის განმარტებას:

– ძველი, ოსმალობისდროინდელი გვარები „ლაცაბია“ (მეტსახელი) და არა სოადი (თ. soyad) „გვარი“ (იხ. ფაღავა 2011, 219).

– „ენწინ ლაღაბი მქონებიან, ახლა ლაღაბი გედევდა“ (ფაღავა 2016, 363).

როგორც აღვნიშნეთ, ტაოში ასეთი გვარების აღმნიშვნელად დადასტურდა „ქოხის სახელი“.

ბარემ ვიტყვით, რომ ქართულ კილოებში **-ნ** (ბეგო-ნ-ი, უთურ-გა-ნ-ი), **-იან**//**-იონ** (ციხელ-იან-ნ-ი, მაკრატ-იონ-ნ-ი), **-ენ** (გოჭი-ენ-ი)

-ენ-თ (ლაშხ-ენტ-ი) სუფიქსებით ნაწარმოებ სახელებს ბ. ჯორბენაძე „ოჯახის სახელებს“ უწოდებს (ჯორბენაძე 1989,199).

ამდენად, უნდა განვასხვავოთ **ლადაბი//ლაყაბი, ქოხის სახელი//ოჯახის სახელი,მეტსახელი გვარი და სოდადი** - გვარი.

შავშეთსა და აჭარაში (ზემოაჭარაში)დასტურდება -ენტ სუფიქსით ნაწარმოები შტო-გვარები: **ჰაჯი-ენტ-ი, კილდი-ენტ-ი, ხატიჯ[ე]-ენტ-ი, სურათი-ენტ-ი...** (ფალავა 2011, 44-45).

აჭარაში (აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებთანაც) დაცულია -ისან//სან სუფიქსით ნაწარმოები შტო-გვარებიც: **ჭან-ისან-ი, დურჩელ-ისან-ი, მოლაუსუფ-ისან-ი, ზუბე-იცან-ი** (<*ზუბე-ისან-ი)... (ფალავა 2016, 359).

-იან, -იენტ, -ენტ, -ისან ფუნქციურად ერთი და იგივე ოდენობაა (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988, 149; თოფურია 1959, 45; ფალავა 2015, 33-4).

შტო-გვარების ანალოგიური წარმოება ჩანს ლეჩხუმსა (ალავიძე 1941, 14) და იმერეთში (ქავთარაძე 1964,142). ივანე ქავთარაძე მოხეურში ადასტურებს -ენ(-ან) სუფიქსს, რომელიც გამოიყენება გვარსახელთა და მცენარეთა სახელთაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში: **თემურ-ენ-ი** (შდრ. თემურ-ეთ-ი), **გოგი-ან-ი** (//გოგი-ენ-ი შდრ. გოგი-ეთ-ი) (ქავთარაძე 1985, 72). ვფიქრობთ, **თემურენი** მიღებულია **თემურ-იენ//იან**ისაგან.

-იან, -იენ-თ, ენ-თ, -ან(-ენ) -ოვან სუფიქსის გარდაქმნიტაა მიღებული. -იენტ, -ენტში თ' მრავლობითობის ნიშანია. ჩანს, დასახელებული აფიქსები არაა ერთი რომელიმე ქვეკულტურის მახასიათებელი, იგი საერთოქართული კუთვნილებაა.

ორ ქოხის სახელში გამოიყოფა -არ სუფიქსი: **ბაირახტ-არ-ი, ლახტ-არ-ი**. ორივე ხელობის სახელი ჩანს.

-არ სუფიქსის ერთ-ერთი ფუნქციაა გეოგრაფიულ სახელთაგან წარმომავლობის სახელების წარმოება: **ოპიზა – ოპიზარი, ოლთისი – ოლთისარი...** -არ „მნიშვნელობით იგივეა, რაც წარმომავლობის სუფიქსი -ელ“. -არ სუფიქსიანი წარმომავლობის სახელები ზოგჯერ ქცეულა გვარებად: **ხოტივ-არ-ი...** (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988, 42). ბარემ აღვნიშნავთ, რომ ა. შანიძეს -არ მეგრულ-ქანური წარმოშობისად მიაჩნია (შანიძე 1981).

არ ვიცით, რამდენად გამართლებულია **ბაირახტარისა** და **ლახტარისოპიზარისა** და მისთანა სახელების გვერდით დაყენება, თუმცა ორივეში მაწარმოებლად **-არ** სუფიქსის გამოყოფას წინ არაფერი ელობება.

ტაოში გვხვდება სხვა წარმოების ქოხის სახელებიც, რომელთა ნაწილი მრავლობითის ფორმითაწარმოდგენილი:

აჯარები შდრ. აჯარი.

ჭიკვალები შდრ. ჭიკვალი.

ხოწითები შდრ. ხოწითი.

ფუქშები შდრ. ფუქში.

ბოცები შდრ. ბოცი, დაუცავს ტოპონიმს – ბოცი.

ხლათები შდრ. ხლათი.

ფესტილები – შდრ. ფესტილი.

ბასტაები შდრ. ბასტა.

ყემბერები შდრ. ყემბერი, მამაკაცის სახელი.

ქაჩოები შდრ. ქაჩო.

ფოირაზები შდრ. ფოირაზი.

პაწაები შდრ. პაწაჲ (პატარა), მეტსახელი კაცისა, დაუცავს ტოპონიმს – პაწაები.

შირინები შდრ. შირინი, მამაკაცის სახელი.

ყაენები შდრ. ყაენი.

ჰამფენები შდრ. ჰამფენი.

ხაეთები შდრ. ხაეთი.

ფეჩენები შდრ. ფეჩენი, გვხვდება – ფეჩიოლლიც.

ღურგები – შდრ. ღურგი. ფუძე დაცულია ტოპონიმში – ღურგი.

პაპაშები შდრ. პაპაში, გვხვდება თურქული ფორმაც – პაპაშლარ. შევნიშნავთ, რომ **პაპაშლაჲ** (<პაპაშლარა?) ტოპონიმია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ორთაბათუმს ზემოთ.

ჭიჭიხები შდრ. ჭიჭიხი (-ხ' სუფიქსი უნდა იყოს).

სილაჯები შდრ. სილაჯი – ხელობის სახელი.

ფაფაზები < ***ფაფაზები**? შდრ. ფაფაზი. V-V პოზოციაში დაკარგულა ზ.

კოშები შდრ. კოში, დაუცავს ტოპონიმს – კოში.

მუსტოები შდრ. მუსტო < მუსტაფა 'საგან.

ბასლეთები შდრ. ბასლი<ბასილი. გვხვდება ბასლიანი და ბასლიკარიც.

თოსოები შდრ. თოსოდ, მეტსახელი კაცისა.

ზურნები შდრ. ზურნა.

კაკაჩები შდრ. კაკაჩი. იმავე ფუძეს გამოვიყოფთ გვარში – კაკაჩია.

კაკაბები შდრ. კაკაბი, იგივე ფუძე გამოიყოფა გვარ-სახელში – კაკაბაძე.

ჯიდები შდრ. ჯიდი.

ხედეები შდრ. ხედეთი<*ხევეთი? V-V პოზოციაში დაკარგულა ვ.

ჭუკალები შდრ. ჭუკალაჲ – მეტსახელი კაცისა.

ფახრიჯები შდრ. ფახრიჯი.

პოკები შდრ. პოკი.

ქოსეთები შდრ. ქოსა, მეტსახელი კაცისა.

ახალ დროში ქართული **-ებ** თურქულმა **-ლარ//ლერ** მრავლობითობის სუფიქსმა შეცვალა, ზოგჯერ პარალელური (ქართულ-თურქული) წარმოებაც გვხვდება:

ხოლო-ლარ შდრ. ხოლო<*მხოლო?

დევე-ლარ შდრ. დევე – აქლემი.

ალიგილ-ლერ შდრ. ალიგილ'ი

ქაზაზ-ლარ შდრ. ქაზაზ'ი.

მემო-ლარ შდრ. მემო.

პალიქ-ლარ შდრ. პალიქ'ი.

დურაქ-ლარ შდრ. დურაქ'ი.

თულუმ-ლარ შდრ. თულუმი.

დურსუნ-ლარ შდრ. დურსუნი – მამაკაცის სახელი.

თულუს-ლარ შდრ. თულუსი – მამაკაცის სახელი.

შუქრი-ლარ შდრ. შუქრი – მამაკაცის სახელი.

ბაით-ლარ შდრ. ბაით'ი.

ყარღა-ლარ შდრ. ყარღა<*ყარღა – მამაკაცის სახელი.

მემიშ-ლარ შდრ. მემიში.

ყადი-ლერ შდრ. ყადი – მუს. მაღალი თანამდებობის პირი, მოსამართლე (ნიქარაძე 1971).

დევრიშ-ლარ შდრ. დევრიში (სპ. Dervis) – „მუსლიმანური სარწმუნოების სასულიერო პირი“ (ფუტკარაძე 1993). გვხვდება მამაკაცის საკუთარ სახელადაც.

თურქული სუფიქსებით ნაწარმოები მეტსახელი გვარები და გეოგრაფიული სახელები დასტურდება ახლადმშობლიურენადაკარგულ სოფლებში – ზღაფორი, გუდასხევი, არჯევანი, უტავი... **-ლარ//ლერ** სუფიქსიანი წარმოება ახალია და იგი ქართული ებ'ანის ანალოგიითაა შექმნილი.

ტაოელებს „გვარები“ ახალ დროში თურქული **-ოღლი** (ქართული -ძე, შვილ'ის ეკვივალენტი) სუფიქსითაც უწარმოებიათ. თუ გავითვალისწინებთ თურქული ენისა და კულტურის რამდენიმესაუკუნოვან გავლენას ტაოზე და ტაოელებზე (ზოგადად ჭოროხის ქვეყნებზე) ეს არცაა მოულოდნელი:

ჩაუშ-ოღლი, დელი-ოღლი, თოფალ-ოღლი, ხოჯი-ოღლი, უსტი-ოღლი//უსტა-ოღლი, უტავ-ოღლი, ეფენდ-ოღლი, ჭილაბ-ოღლი, ბასილ-ოღლი, ფესტილ-ოღლი, ქუჩუკ-აღა-ოღლი, ველი-ოღლი, სულ-ოღლი, ოსმან-ოღლი, მუსტაფ-ოღლი, თონ-ოღლი, უსტალ-ოღლი, მერეგ-ოღლი, მუჰერემ-ოღლი, მემედალი-ოღლი, მაილ-ოღლი, დევრიშ-ოღლი, თორუნ-ოღლი, რაზ-ოღლი.

აღვნიშნავთ, რომ ბევრი **-ოღლით** ნაწარმოები „გვარი“ ქართული მაწარმოებლებითაც გვხვდება, რაც კულტურათა დიალოგის შედეგია: **დევრიშოღლი//დევრიშიანი, რაზოღლი//რაზოები, ხოჯიოღლი//ხოჯიანი...**

გვხვდება სხვა ტიპის მეტსახელი გვარებიც, მხედველობაში გვაქვს:

ხოხონი, მომონი, ონახათნი;

დემირჯი, მაზიჯი, ჩორაფჩი (<*ჩორაფჯი), **ლარღაჯი.**

-ჯი სუფიქსი თურქულენაში ხელობის სახელების მაწარმოებელია.

წოწოლაჲ, დადულაჲ – კნინობითი სახელები გაგებულია „გვარებად“.

დადასტურდა გაურკვეველი წარმოების „გვარები“: **ქოდადიქო და ყურული.**

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი დაიხატა ტაოური ქოხის გვარების წარმოებისა, კერძოდ:

– ტაოურ გვარებს ჩვენ ვუწოდებთ „მეტსახელი გვარები“, თავად ტაოელები მას „ქობის სახელებს“ უწოდებენ, ეს უკანასკნელი იგივეა, რაც „ოჯახის სახელი“.

– ტაოური „გვარები“ უმეტესად ნაწარმოებია **-იან**, ასევე **-იონ**, **-ან**, **-ენ**, **-ვან** სუფიქსებით. ყველა მათგანი რთული **-ივ-ან** სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტებია.

– ტაოში, იშვიათად, მაგრამ მაინც, დასტურდება **ძე**’თი და **-არ** სუფიქსით ნაწარმოები ქობის სახელები.

ტაოურ „გვარებად“ დასტურდება **ებ**’იანი მრავლობითის, ან მისი თურქული შესატყვისი **-ლარ//ლერ** სუფიქსით ნაწარმოები სახელები.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველიქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ალავიძე 1941 – მ. ალავიძე, ლექსუმურის თავისებურებანი. კბი შრომები, II, თბილისი, 1941.

თაყაიშვილი 1, 2016 – ექვთ. თაყაიშვილი, შრომები, თ.1, თ. 2016.

თოფურია 1959 – ვ. თოფურია, მთარაქულის დახასიათებისათვი. ქესს, 1, თბილისი, 1959.

მგელაძე 2001 – ნ. მგელაძე, პატრონიმიული ორგანიზაცია: გენეზისის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიის საფუძვლები. კრ. ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა, თბილისი, 2001.

ნიჟარაძე 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

ორბელიანი 1949 – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1949.

სარჯველაძე 2001 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ.

ფაღავა 2011 – მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბილისი, 2011.

ფაღავა 2016 – მ. ფაღავა, მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ბათუმი, 2016.

ფაღავა 2017 – მ. ფაღავა, კლარჯული ჩანაწერები, თბილისი, 2017.

ფაღავა 2017(1) – მ. ფაღავა, შტო-გვარის სახელთა წარმოების ერთი თავისებურება ტაოურში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, XI, თბილისი, 2017.

ფაღავა, 2018 – M. Paghava, The Formation of Family Group Names and Peculiarity of the Settlement in the Village Tao. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 12, no.1. თბილისი, 2018.

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.

ქ.ცხ. II – ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959.

ქავთარაძე 1964 – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XV-XVIII სს. 1964.

ქავთარაძე 1985 – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ღლონტი 1988 – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1988.

შავშეთი 2011 – მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი, 2011.

შანიძე 1981 – ავ. შანიძე, ვინაობის სუფიქსი -არ ქართულ ენაში. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბილისი, 1981.

შიოშვილი, 2017 - თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი, თბილისი, 2017.

ჩუბინაშვილი, 1984 - დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.

ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბილისი, 1989.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 - ბ. ჯორბენაძე, მ. კობერიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

Nicknames (Surnames) from Tao

Abstract

During the field expeditions in historical Tao, we collected the ancient surnames of the Tao inhabitants. We have collected a wide variety of material.

We call those surnames “nicknames” while the people from Tao call them “hut names” that means family names.

The surnames are presented by the suffixes **-ian**, **-ion**, **-an**, **-en** and **-van**. All of them are complex phonetic variants of **iv-an**.

ჭაბუკი ძირის

ნათესაობითი ბრუნვის საკითხი ქართულსა და ჯანშრში

„ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ წარმოდგენილ პარადიგმებში ფუძეუკვეცელი სახელების ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებად **-ს-ი** დასტურდება: ვაჟა-**ს-ი**, ელენე-**ს-ი**, ქეთო-**ს-ი**, ნუნუ-**ს-ი**, ლეჟავა-**ს-ი**, გუნია-**ს-ი**, შევჩენკო-**ს-ი**, წყარო-**ს-ი**, ბუ-**ს-ი**, რუ-**ს-ი**, მჟავა-**ს-ი**, ძრავა-**ს-ი**, ჭრიჭინა-**ს-ი**, კატაბალახა-**ს-ი**, ტირია-**ს-ი**, დოყლაპია-**ს-ი**, კაშნე-**ს-ი**, კაფე-**ს-ი**, კუპე-**ს-ი**, ჟელე-**ს-ი**, კლიშე-**ს-ი**, ტირე-**ს-ი**; **ი-ფუძიანებში -ს-ა** დასტურდება: გორკი-**ს-ა**, ჩაი-**ს-ა**, ტრამვაი-**ს-ა**¹ (იხ. ქეგლ 1950, 039-040).

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების“ შესაბამის პარადიგმებში **-ო** და **-უ-ფუძიან** საზოგადო სახელებს ნათესაობითი ბრუნვის **-ს** ნიშნის შემდეგ **-ა** აქვს დართული (წყარო-**ს(ა)**, რუ-**ს(ა)**), სხვა ფუძეუკვეცელი (კერძოდ, პირთა) სახელები კი მხოლოდ **-ს** მორფემით გვხვდება (შოთა-**ს**, პეტრე-**ს**, გიორგი-**ს**, ვანო-**ს**, უტუ-**ს**). ამასთან დაკავშირებით მკვლევარი განმარტებას იძლევა: „პარადიგმებში ნაჩვენებია არ არის ნართაული **ა** (რომელსაც ნ. მარმა ემფატიკური ხმოვანი უწოდა). იგი დღევანდელ ქართულში შეიძლება საკუთარ სახელებსაც დაერთოს მიც., ნათ., მოქ. და ვით.-ში (შოთასა და სხვა). ამას გარდა, არ არის აღნიშნული პარალელური ფორმა მოთხრობითში: შოთა-**მა**, პეტრე-**მა** და სხვ., რაც აუცილებელია ც(ა) ნაწილაკის დართვისას: შოთა-**მაც**“ (შანიძე 1980, 68).

ბუნებრივია, პარადიგმაში სრულად აისახოს რეალურად არსებული ენობრივი ფაქტები.

ასევე ბუნებრივია, რომ ერთსა და იმავე ფაქტს ერთნაირი შეფასება ჰქონდეს.

¹ როგორც ჩანს, **ი-ფუძიანი** სახელები ამ შემთხვევაში თანხმოდანფუძიანი სახელების პარადიგმას მიჰყვებიან და ამავე ყალიბშია მოქცეული **ი-ფუძიანი** საკუთარი სახელებიც (როსინი - როსინის(ა)... დელი - დელის(ა)...)

-ს(ი) დაბოლოება მიიჩნევა ფუძეუკვეციელი სახელების ნათესაობითი ბრუნვის მარკერად „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“: წყარო-ს(ი)... ბიცოლა-ს(ი), სქელშუბლა-ს(ი), მელა-ს(ი)... კაშნე-ს(ი)... (გოგოლაშვილი 2011, 118-121).

სიჭრელეა სხვადასხვა სასკოლო თუ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში; ზოგჯერ ერთსა და იმავე ავტორებთანაც კი არ არის ერთნაირი სურათი¹.

საჭიროა **ერთგვაროვანი მასალის** ფორმალური საერთო ყალიბში მოქცევა.

საკითხი ეხება პარადიგმას: როგორ უნდა დაიწეროს ფუძეუკვეციელი სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმები – მხოლოდ **-ს** ნიშნით, **-ს-ი/სი/ს(ი)** თუ **-ს-ა/სა/ს(ა)** დაბოლოებით?

ეს არ არის მხოლოდ წმინდა გრამატიკული თეორიული საკითხი, – იგი ასახვას პოვებს ორთოგრაფიაშიც. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ნორმატიული გამოცემები: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და თოფურია-გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“.

ზევით აღინიშნა, რომ „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ **ფუძეუკვეციელ** სახელებში პარადიგმების მიხედვით ნათესაობითის დაბოლოებად **-ს-ი** ჩანს.

ქველში (ძველსა და ახალ რედაქციაში) ამგვარ სახელებს ნათესაობითის ფორმაც **-სი** დაბოლოებით აქვს მითითებული:

გოგო (გოგოსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];
ორმო (ორმოსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];
ოქრო (ოქროსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];
სოკო (სოკოსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];
უთო (უთოსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];
ბიბილო (ბიბილოსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];

ბოჭკო (ბოჭკოსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];

¹ ამის ნიმუშად შეგვიძლია წარმოვადგინოთ თ. ბოლქვაძისა და ე. აფხაზავას „ქართული ენა“, V და იმავე ავტორების „ქართული ენა“, VI. პირველში გვაქვს: ეზო-ს, ბუ-ს (გვ. 95), მეორეში - სოკო-ს(ი) (იხ. ბოლქვაძე, აფხაზავა 2004¹; ბოლქვაძე, აფხაზავა 2004²).

ბრინჯაო (ბრინჯაოსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];

გემო (გემოსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];

ჯადო (ჯადოსი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ჯადოს]

ხოჭო (ხოჭოსი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ხოჭოს]

ჯოჯო (ჯოჯოსი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ჯოჯოს]

ჯვალო (ჯვალოსი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ჯვალოს]

ჯიბლიბო (ჯიბლიბოსი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ჯიბლიბოს]

ჯორკო (ჯორკოსი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ჯორკოს]

ბუ (ბუისი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ბუს]

ძუ (ძუისი) [შდრ. **ორთ.:** ძუს]

ძუძუ (ძუძუისი) [შდრ. **ორთ.:** ძუძუს]

ცრუ (ცრუისი) [შდრ. **ორთ.:** ცრუს]

კენგურუ (კენგურუსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი];

ბლუ (ბლუსი) [ორთოგრაფიულს არა აქვს ამაზე კომენტარი]

ბუა (ბუასი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ბუას]

ბიძია (ბიძიასი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ბიძიას]

ბობოლა (ბობოლასი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ბობოლას; მრ. ბობოლები]

გოგონა (გოგონასი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. გოგონას; მრ. გოგონები];

დედოფალა (დედოფალასი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. დედოფალას; მრ. დედოფლები]

ბიჭუნა (ბიჭუნასი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ბიჭუნას]

ბოჩოლა (ბოჩოლასი, მრ. ბოჩოლები) [შდრ. **ორთ.:** (ნათ. ბოჩოლას, მრ. ბოჩოლები)]

ბუნჩულა (ბუნჩულასი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ბუნჩულას]

კაშნე (კაშნესი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. კაშნეს]

კუპე (კუპესი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. კუპეს]

იუბილე (იუბილესი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. იუბილეს]

ატელიე (ატელიესი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ატელიეს]

ბოთე (ბოთესი) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ბოთეს]...

ზოგჯერ ქეგლ-სა და ორთოგრაფიულ ლექსიკონში ერთსა და იმავე მასალას განსხვავებული გრამატიკული კვალიფიკაცია აქვს:

ქეგლ: გიურზა (გიურზისა) [შდრ. **ორთ.:** ნათ. გიურზას]

ქეგლ: ბადურა (ბადურისა) [შდრ. **ორთ.:** ნათ. ბადურას]...

ფუძეუკვეცელ სახელებთან დაკავშირებით „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ხმოვანფუძიან, ა-ზე და ე-ზე (უნდა იყოს: ა-სა და ე-ზე – ჭ. ქ.) დაბოლოებულ სახელებს, რომელთაც ბოლოკიდური ა და ე არ ეკვეცებათ, ფრჩხილებში მიწერილი აქვთ ნათესაობითის ფორმები, ასე: **ენძელა** (ნათ. **ენძელას**), **კაფანდარა** (ნათ. **კაფანდარას**), **ბაქია** (ნათ. **ბაქიას**). ზოგჯერ მრავლობითის ფორმაცაა ნაჩვენები: **ბიჭუნა** (ნათ. **ბიჭუნას**, მრ. **ბიჭუნები**), **თაგუნა** (ნათ. **თაგუნას**, მრ. **თაგუნები**)... თუ ა-ზე და ე-ზე (უნდა იყოს: ა-სა და ე-ზე – ჭ. ქ.) გათავებული სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმები არაა ნაჩვენები, ივარაუდება, რომ ისინი ფუძეუკვეცადები არიან... ნათესაობითი ბრუნვის ფორმები აგრეთვე არაა ნაჩვენები **ო-ზე** და **უ-ზე** (უნდა იყოს: **ო-სა** და **უ-ზე** – ჭ. ქ.) გათავებული ფუძეების მქონე უკვეცელ სახელებთან: **ლობიო**, **სამკერვალო**, **მარაო**, **ბოჭკო**... **ბლუ**, **რუ**“ [თოფურია, გიგინეიშვილი 1998].

ფუძეუკვეცელ სახელებს რომ ნათესაობითის ფორმები ხან მითითებული აქვს და ხან – არა, ცხადია, გაუმართლებელია. ამ ტიპის ყველა სახელს ასევე სჭირდება მრავლობითის ფორმების მითითებაც. ეს ერთ-ერთი სირთულეა ქართული ენის სახელის სისტემაში და სწორედ ამგვარ მასალაში გასარკვევად გვჭირდება ორთოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც უპირველესი ნორმატიული გამოცემაა.

განმარტებითი ლექსიკონი ამ მხრივ უფრო **სისტემური** და **ნამიმდევრულია**, - მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა მის მიერ წარმოდგენილ კვალიფიკაციას (რომ ფუძეუკვეცელ ფორმებს ნათესაობითში **-სი** დაბოლოება აქვს).

ორ ძირითად ვერსიამდე შეიძლება დავიყვანოთ არსებული პოზიციები:

ორთოგრაფიულ ლექსიკონში **-ს** გვაქვს (ოქროს, ორმოს, ბუს...); არსებითად ეს ვერსია ჩანს აკაკი შანიძის „გრამატიკის საფუძვლების“ სათანადო პარადიგმებში, მხოლოდ ნათესაობითის ნიშანი გართულეულია ემფატიკური ელემენტით და, ამდენად, **-ს(ა)** დასტურდება.

არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ -ს(ი) ვლინდება (მხოლოდ ი-ფუძიანებთანაა -სა; გორკი-სა). ქეგლ-ში სი დაბოლოება დასტურდება სათანადო ფორმებთან (ოქროსი, ორ-მოსი, ბუსი...).

სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად წარმოადგენს ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობით ბრუნვას სათანადო პარადიგმებსა თუ ლექსიკონებში, რაც, ცხადია, ანალიზისას დაშვებული ხარვეზის შედეგი უნდა იყოს.

უფრო რომ დავაზუსტოთ: ეს არის განსხვავებული გააზრების, განსხვავებული მიდგომების შედეგი:

საქმე ის არის, რომ ორთოგრაფიული ლექსიკონისთვის ამოსავალია მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა (ოქროს ბეჭედი...).

რაც შეეხება არნოლდ ჩიქობავას, ის პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების მიხედვით გვთავაზობს ფუძეუკვეცელთა ნათესაობითის დაბოლოებად -ს(ი) ვარიანტს: და ეს აისახება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც.

ორიოდე სიტყვით -ი-ს მორფოლოგიური ფუნქციის შესახებ:

ვ. თოფურას აზრით, „ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსად -სი არა გვექნია, იგი შედგენილი ყოფილა ნათესაობითი ბრუნვის -ს ფორმანტისა და სახელობითი ბრუნვის -ი ფლექსიისაგან. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მისი, თვისი, სხვისი, რისი, ვისი, ელენესი, შალვასი, კალოსი, ბუსი, ყრუსი“ და სხვა ყველა სახელობით ბრუნვაშია დასმული და არა ნათესაობითში!“ [თოფურია, 1956].

ასევე ფიქრობს ა. შანიძე, მისთვის სი დაბოლოების ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია: „გავრცელებულია აზრი, თითქო ბოლო-უკვეცელ სახელებს ნათესაობითის ნიშნად -სი მოუდიოდესთ, ე. ი. თითქო, მაგ., შოთასი, პეტრესი, ვასოსი, დუტუსი და მისთ. ნათესაობითის ფორმები იყოს. არა! ესენი ყველა რთული ფორმებია: ნათესაობით-სახელობითი (130). მართლაც, რომ აქ მარტივად ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არაა, იქიდანაც ჩანს, რომ მარტივი ნათესაობითის ფორმა ყოველთვის იგულებს თვის თანდებულს: კაცის-თვის (ან: კაცისა-თვის), დედის-თვის (ან: დედისა-თვის) და მისთ., მაგრამ არ ითქმის: შოთასი-თვის, პეტრესი-თვის, ვასოსი-თვის, დუტუსი-

თვის, არამედ: შოთას-თვის, პეტრეს-თვის, დუტუს-თვის და მისთ.)“ (შანიძე 1980, 67)¹.

არნ. ჩიქობავა არ ეთანხმება -ი-ს მიჩნევას სახელობითი ბრუნვის ნიშნად, მისთვის ეს -ი ემფატიკური ა-ს ტოლფასია (იხ. ჩიქობავა 1956).

ერთია -ი ელემენტის ფუნქციის საკითხი, ხოლო მეორეა ის, რომ პარადიგმასა თუ ლექსიკონებში დაცული იყოს ერთგვაროვნება და სიზუსტე,

ამ კონტექსტში ფრიად პრინციპულია **თავისთავადი** სახელების გამიჯვნა მართული **მსაზღვრელ-საზღვრულისაგან**; ასევე აქტუალურია სინტაქსური წყვილის კომპონენტთა პოზიცია: **პრეპოზიცია** დასტურდება თუ **პოსტპოზიცია**. და საერთოდ, რაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რა უნდა გამოვიტანოთ ნორმატიულ გამოცემაში, როგორც პრობლემატური მასალა.

თავისთავად სახელებთან და, საერთოდ, ნათესაობითი ბრუნვის გრამატიკულ სტატუსთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი და, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტური ხასიათისაა თედო უთურგაიძის დებულება: „**თავისთავადი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა უთუოდ თანდებულიანია, მსგავსად პირის ნაცვალ-სახელებისა**“ (უთურგაიძე 1986, 52).

უნდა დავამატოთ, რომ აღნიშნული ვრცელდება თანდებულის მნიშვნელობის მქონე ზმნისართებზეც, როგორცაა: **წინ, უკან, ქვეშ, ზევით (ზემოთ), ქვევით (ქვემოთ), წინათ, შემდეგ, ირგვლივ, გარშემო, ახლოს, აქეთ, იქით, გაღმა, გამოღმა** და სხვ. ზმნიზედა, როგორც ცნობილია, თანდებულად, ჩვეულებრივ, ნათესაობითის ფორმას ახლავს, იშვიათად – მიცემითის ფორმასაც: სახლის **წინ**, სახლის **უკან**, სახლის **ირგვლივ**, სახლის **გარშემო**, სახლის **ახლოს**, სახლის **აქეთ** და სხვ.

ბრუნვის ესა თუ ის ფორმა გაბმულ მეტყველებაში გარკვეული წესების მიხედვით გამოიყენება. დაუშვებელია, მაგალითად, სახელობითის გამოყენება ამგვარ კონტექსტში: კაცი იმღერა, ბავშვი ითა-

¹ სათანადო პარადიგმებში „ლურჯა“, „წყარო“ და „რუ“ მოთხრობითში ორი ნიშნით გვხვდება: ლურჯა-მ, -მა, წყარო-მ, -მა, რუ-მ, -მა (იქვე). ვფიქრობთ, ლურჯა-მ(ა), წყარო-მ(ა), რუ-მ(ა) ფორმებით შეიძლებოდა გრამატიკული ინფორმაციის ოპტიმალურად წარმოდგენა.

მაშა... მაღალმა კაცი, ცივ წყარო... ასევე დაუშვებელია: კაცმა მღერის, ქალმა დგას... კაცს იცინის, სახლს დგას... სახლად წინ, სკოლას გვერდით...

ყველა ბრუნვას თავისი ფუნქცია და სხვა სიტყვასთან შეკავშირების წესები აქვს. მორფოსინტაქსური ანალიზის მიზანია აღიწეროს ენაში არსებულ სიტყვათა მიმართების წესები, დაფიქსირდეს არსებული რეალობა, განისაზღვროს, რა არის დასაშვები ამ სისტემის ფარგლებში და რა არის შეუძლებელი, – მერე ამ დაკვირვების შედეგები აისახება სათანადო პარადიგმებში.

ასე, მაგალითად, **ფუძე+-ის/-ს** ნათესაობითი ბრუნვის ფორმის მოდელია. რა შემთხვევაში ხდება მისი რეალიზება სინტაქსურ კონსტრუქციაში? ჯერ უნდა დადგინდეს, საერთოდ რა კომბინაციები შეიძლება არსებობდეს:

სახელი + სახელი;

სახელი + ზმნა-შემასმენელი;

სახელი + ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი (თანდებულო, ზმნისართი),

ფუძე+-ის/-ს მოდელი ანუ, ასე ვთქვათ, „კანონიკური“ **ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება** მხოლოდ მაშინ, როცა ასე გაფორმებულ სახელს ახლავს სხვა **სახელი** ან **სახელზმნა**, რომელიც საზღვრულია (ხის სახლი, წყაროს წყალი...).

სხვა შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმად სახელდებული მონაცემი პრაქტიკულად იმავე სტატუსისაა, რაც აქვს პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს სათანადო კონტექსტში.

პირის ნაცვალსახელებთან დაკავშირებით აკაკი შანიძე წერს: „ძირითადი ბრუნვები: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, არც ერთი მათგანი (**მე, შენ, ჩვენ, თქვენ**) არავითარ განსხვავებას არ გვაძლევს. ნათესაობითი კი პირველ მათგანს (**მე-ს**) შეენაცვლება **ჩემ** (ასეთ ფორმებში: **ჩემ-თვის, ჩემ-გან, ჩემ** მიერ და მისთ.), სხვები მაინც უცვლელი დარჩება“; პარადიგმაში ეს თვალსაზრისი ასეა ასახული: *ჩემ-, *შენ, *ჩვენ, *თქვენ“. „გარსკვლავებ-დასმული ფორმები ცალკე არ იხმარება, - დასძენს მკვლევარი, - არამედ სხვა სიტყვასთან დაკავშირებით, მაგ., **ჩემ-თვის, შენ-გან, ჩვენ** მიერ, **თქვენ-თვის**“ (შანიძე 1980, 99-100).

ანუ, პარადიგმაში თავისთავადი სახელის ნათესაობითში უთანდებულოდ ან ზმნისართის გარეშე წარმოდგენა ნიშნავს იმას, რომ ეს არის **ხელოვნური, არარეალური ფორმა**, პარადიგმის სათანადო წევრის წარმოდგენა მხოლოდ ამ სახითაა გრამატიკულად ზუსტი: **ოქროს-, ძუძუს-, ჟიურის-, ნანას-** და ა. შ.

არ არსებობს კონტექსტი, სადაც თავისთავადი სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით უთანდებულოდ/უზმნისართოდ იქნება წარმოდგენილი.

ფუძეუკვეციელი თავისთავადი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია: **ოქროსთვის, ოქროსკენ, ოქროსგან, ოქროს გამო... ორმოს წინ, ორმოს უკან, ორმოს ირგვლივ, ორმოს გარშემო, ორმოს იქით...**

რა თქმა უნდა, ეს ეხება საერთოდ ყველა ტიპის თავისთავად სახელს და, ამდენად, გვექნება: ***კაც-ის-, *მელნ-ის-, *მიწ-ის-, *დღ-ის-, *ფანჯრ-ის-, *თბილის-ის-, *პოლონეთ-ის-** და სხვ. ამათი ნათესაობითი ბრუნვის ფორმები იქნება: **კაცისთვის/გან/კენ... მელნისთვის/გან/კენ... მიწისთვის/გან/კენ... სახლის წინ, სახლის უკან, სახლის ირგვლივ...**

ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ასეთი სახელი (თანდებულთან ან თანდებულის ფუნქციის მქონე ზმნისართთან ერთად) მხოლოდ ზმნა-შემასმენელს უკავშირდება: **ბავშვისთვის აკეთებს, სახლ-ის წინ გააჩერა...**

ყოველივე ამის მერე **არააქტუალური ჩანს** ცნობილი და საყოველთაოდ მიღებულ-გაზიარებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფუძეუკვეციელი სახელების მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები **ერთმანეთს ემთხვევა** (აკაკი შანიძე წერს: „ნათესაობითის ფორმა მიცემითისას დაემსგავსა სრულიად და მათი ერთურთისგან გარჩევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ სინტაქსურად, სხვა სიტყვებთან დაკავშირებით: ამჟამად **შოთას, პეტრეს, უთოს, ძუძუს** და მისთანა ფორმები შეიძლება ნათესაობითი იყოს და მიცემითი, იმის მიხედვით, თუ რა სიტყვებთანაა ხმარებული წყვილის ცალეზად“ (იხ. შანიძე 1980, 65).

თავისთავად სახელებში („მარტივი ნათესაობითი ბრუნვის“ შემთხვევაში) არანაირი გრამატიკული ომონიმია არა გვაქვს; სხვაგ-

ვარად: ფორმათა დამთხვევა გამოირიცხულია, თუკი სახელი არც მსაზღვრელია და არც საზღვრული.

მართული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ყველა ბრუნვაში გვაქვს „დამთხვევა“ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა შემთხვევაში მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია!

ესე იგი, მიცემითისა და ნათესაობითის დამთხვევის საკითხი ამ კონტექსტშიც მოიხსნა დღის წესრიგიდან.

და საერთოდ: ერთ პარადიგმაში არანაირი დამთხვევა არ შემდეგა გვექონდეს! არსად!

სხვადასხვა პარადიგმის წევრია „წყაროს“ ამ კონტექსტებში: „წყაროს ემებს“ და „წყაროს წყალი“. პირველ შემთხვევაში ის თავისთავადი სახელია და, რადგან უთანდებულოა, მიცემითია; მეორე შემთხვევაში მართული მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს და ასეთ დროს ყოველთვის ნათესაობითი ბრუნვაა გამოყენებული. აქედან გამომდინარე, ფორმათა დამთხვევაზე მსჯელობა უსაფუძვლო ჩანს.

თავისთავადი სახელების ფორმები – შოთას, პეტრეს, უთოს, ძუძუს – მიცემითის ფორმებია, ხოლო შოთასთვის, პეტრესთვის... ნათესაობითია. მეორე მხრივ, შოთას პოემა, პეტრეს პოეზია ტიპის სინტაგმებში მსაზღვრელი ყოველთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

სურათის უფრო ნათლად წარმოსაჩენად წარმოვადგენთ სათანადო პარადიგმებს:

სახ.	სახლ-ი	მიწა	წყარო
მოთხრ.	სახლ-მ-ა	მიწა-მ(ა)	წყარო-მ(ა)
მიც.	სახლ-ს(ა)	მიწა-ს(ა)	წყარო-ს(ა)
ნათ.	*სახლ-ის(ა)-	*მიწ-ის(ა)-	*წყარო-ს(ა)-
მოქმ.	სახლ-ად(ა)	მიწ-ით(ა)	წყარო-თი
ვით.	სახლ-ით(ა)	მიწა-დ(ა)	წყარო-დ
წოდ.	სახლ-ო	მიწა-ვ	წყარო-ვ
სახ.	სახლ-ის პატრონ-ი		წყარო-ს წყალ-ი
მოთხრ.	სახლ-ის პატრონ-მა		წყარო-ს წყალ-მა
მიც.	სახლ-ის პატრონ-ს(ა)		წყარო-ს წყალ-ს(ა)
ნათ.	სახლ-ის პატრონ-ის(ა)		წყარო-ს წყალ-ის(ა)

მოქმ.	სახლ-ის პატრონ-ით(ა)	წყარო-ს წყლ-ით(ა)
ვით.	სახლ-ის პატრონ-ად(ა)	წყარო-ს წყლ-ად(ა)
წოდ.	სახლ-ის პატრონ-ო	წყარო-ს წყალ-ო

კიდევ ერთხელ დავასკვნით: არსებული მასალის, რეალური კონტექსტების მიხედვით არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა დამთხვევა **ერთი პარადიგმის, ერთი ენობრივი კონტექსტის ფარგლებში**.

გოგონას, ბიჭუნას, კაშნეს, იუბილეს, გიურზას... მიცემითის ფორმებია და **არა ნათესაობითის**. ამათი ნათესაობითია: გოგონას-თვის/გან/კენ... ბიჭუნას-თვის/გან/კენ... კაშნეს-თვის/გან/კენ... იუბილეს-თვის/გან/კენ... გიურზას-თვის/გან/კენ...

-სი დაბოლოება რომ გვკონდეს, საჭიროა სამი პირობა:

- ა) პრეპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრული;
- ბ) მართული მსაზღვრელი;
- დ) ფუძეუკვეციელი მსაზღვრელი.

-ი-ს დანიშნულებაზე მსჯელობა მხოლოდ მაშინ არის აქტუალური და საერთოდ ეს ელემენტი მხოლოდ მაშინ ჩანს პარადიგმაში, როდესაც გვაქვს **მართული პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრული** და **მსაზღვრელი ფუძეუკვეციელი** სახელია: წყალი წყარო-სი¹... წყალი რუსი... კაბა დედოფალასი... ქსოვილი კაშნესი... ბეჭედი ნანასი... ჯვარი ნინოსი... ნაწარმოები აკაკისი... კაბა ნუნუსი... წიგნი ანდროსი... ნაშრომი ჯანაშიასი... მეგობარი ბოკუჩავასი... სპექტაკლი სტურუასი...²

საკითხი ასე დგას: რამდენად გამართლებულია თავისთავადი სახელების ბრუნების პარადიგმაში წარმოდგენილი იყოს ნიშანი, რომელიც არც ერთ სახელს არა აქვს?

¹ „ახალ ქართულში შოთასი, პეტრესი... წყაროსი ფორმები პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელებია (წიგნი შოთასი) ან ისეთივე წარმომავლობის საზღვრულგაუჩინარებელი ფორმები (შოთასი მესმის, შოთასი შეიმედება და სხვ.), მსაზღვრელთა ფორმები კი, გინდ /ა/-თი იყოს გავრცობილი (წიგნი დავითისა), გინდ ატრიბუტული ზედსართავით იყოს წარმოდგენილი (წიგნი ლამაზი, ლამაზი წიგნი), თანდებულს ვერ იფუძენ. თანდებული საზღვრულისა“ (უთურგაიძე 1986, 62).

² ი-ფუძიანი სახელები ამ სქემიდან ამოვარდნილია; ისინი სათანადო გარემოში დაირთავენ არა -სი, არამედ -სა დაბოლოებას: ნაწარმოები ვერდისა და არა ვერდისი, როლი მასტროიანისა და არა მასტროიანისი... წვერი ჟიურისა და არა წვერი ჟიურისი...

-სი დაბოლოება არათუ თავისთავადი სახელების პარადიგმაში (ოქროს-თვის/-კენ/-გან... კენგურუს-თვის/-კენ/-გან... დედოფალას-თვის/-კენ/-გან... კაშნეს-თვის/-კენ/-გან... ნანას-თვის/-კენ/-გან... ნინოს-თვის/-კენ/-გან... აკაკის-თვის/-კენ/-გან... ნუნუს-თვის/-კენ/-გან... ანდროს-თვის/-კენ/-გან... ჯანაშიას-თვის/-კენ/-გან... ბოკურავას-თვის/-კენ/-გან... სტურუას-თვის/-კენ/-გან...), არამედ პრეპოზიციური მართული მსაზღვრელის შემთხვევაშიც კი არ გვაქვს (ოქროს ბეჭედი..., კენგურუს ნახტომი... დედოფალას კაბა... კაშნეს ფერი... ნანას ბეჭედი... ნინოს ჯვარი... აკაკის ნაწარმოები... ნუნუს კაბა... ანდროს წიგნი... ჯანაშიას ნაშრომი... ბოკურავას მეგობარი... სტურუას სპექტაკლი...).

ზანურში ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი საერთოდ არ იკვეცება, ანუ, ყველა ხმოვანფუძიანი სახელი ფუძეუკვეცელია, მაგრამ მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები თუნდაც სხვადასხვა პარადიგმის მიხედვით არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სათანადო ფორმანტები მასალობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან: მიცემითში გვაქვს -ს, ხოლო ნათესაობითში -იშ/-შ.

თუმცა ლაზურში დასტურდება ერთი საინტერესო შემთხვევა, როდესაც თითქოს შეიძლება დადგეს ფორმათა „დამთხვევის“ საკითხი: ზოგჯერ აქ ნათესაობითის ნიშნად -ს ვლინდება, ამდენად, ხმოვანფუძიანი სახელების მიცემითისა და ნათესაობითის ნიშნები იდენტური ჩანს.

რ. ერკერტი ნათესაობითის ნიშნად ლაზურში შ-სთან ერთად -ს-ს მიიჩნევს და მოჰყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა: **ბინების** ლობერი „ვენახის ლობე“, **ბაბას**-ს ონტულე (ორტულე) „მამის ბოსტანი“, **ბაბას**-ს ჯუმა „მამის ძმა“, **ჯუმა**-ს და „ძმის და“, **ბაბას**-ს ცხენი „მამის ცხენი“ და სხვ. (ერკერტი 1895, 347, 350).

ამას ახსნას ვერ უძებნის ნ. მარი, გაუგებრობად ან გაქართველებული ლაზებისთვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევს (მარი 1910, 12).

-ს-ნიშნის ნათესაობითის ილუსტრაციები მოჰყავს გ. კარტოზიას:

მუსტავას შუი მოლადგინ გუდას (კარტ. II, 36) „მუსტავას სულია („სული დგას“) გუდაში“; შეეფე **მუსტავას** ოხოს ჰოდოდგეს

(კარტ. II, 37) „ნივთები მუსტავას სახლში დადეს“; არ **ზენგინის** ოხოს იჩალიშეფს (კარტ. II, 24) „ერთი მდიდრის სახლში მუშაობს“; მაჟუანი ნდღას ქომულუნან **თურჯაის** ოხოიშა (კარტ. II, 23) „მეორე დღეს მოვლენ ვაჭრის სახლში“; ანშ თანე კაავი **თურჯაის** ბიჭის მეჩაფს (კარტ. II, 23) „ექვს გემს ვაჭრის ვაჟს მისცემს“; **ართუნის** ბურთი (კარტ. II, 27-28) „ოქროს ბურთი“; ონდღეი იყვეტუ-ქი, **ფათიშაის** ოხოს ქონოდგიტუ, **ნეკნას** ბექჩეფექ ვარ ამომჩქევს კოჩი (კარტ. II, 27) „შუადღე იქნებოდა, რომ ხელმწიფის სახლს მიადგა. კარის მცველებმა არ შეუშვეს კაცი“; მუში **ნეკნას** კოჩეფეს დუჯოხუ (კარტ. II, 28) „თავის კარისკაცებს დაუძახა“; ია **კოჩის** ჯოხო დო ოღლი ქოდილაჭაქეს (კარტ. II, 28) „იმ კაცის სახელი და გვარი ჩაიწერეს“ **სეიზ** (**სეის**: მომდევნო მჟღერის მეზობლობაში) გვერდის დევეფე ქისელეს (კარტ. II, 37) „შუადამეს (ღამის ნახევარზე) დევები ადგნენ“; არ დღას **ჯუმა-მუშის** წოხლე ქაგონტუხუ (კარტ. II, 22) „ერთ დღეს თავის ძმას გამოუტყდა („თავისი ძმის წინ გამოტყდა“) (კარტოზია 2004, 72).

„ამგვარი ნათესაობითი, – წერს გ. კარტოზია, – დასტურდება სხვადასხვა დროს სხვადასხვა კილოს წარმომადგენელთაგან სხვადასხვა პირის მიერ ჩაწერილ ტექსტებში. უცნაურია, მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისს არც ნ. მარის ჩანაწერები წარმოადგენს... ა. ჩიქობავას მის მიერ გამოცემულ ტექსტებში (მათ შორის – მისი რედაქციით გამოცემულ ი. ყიფშიძის ტექსტებშიც) **-ს-**ნიშნთან ნათესაობითთან ზოგჯერ კითხვის ან გაკვირვების ნიშანი აქვს დასმული“ (კარტოზია 2004, 73). საილუსტრაციოდ მკვლევარს მოჰყავს **-ს-**ნიშნის ნათესაობითის მაგალითები ადრე გამოცემული ტექსტებიდან:

ნამ **კირალის** კოჩი რე? (მარი 109, 21) „რომელი ხელმწიფის კაცი ხარ?“; **რუსის** კოჩი სი რე ნა, პიჯი ვარ გიღუნ სარი (მარი 109, 21) „შენ თუ რუსის კაცი ხარ, პირი არა გაქვს ყვითელი“; **კირალის** კოჩი რე (მარი 112, 22) „ხელმწიფის კაცი ხარ“; ჩიჩელი დოკორობუმს, **წიფრის** დუდის ქეიღამს (მარი 103, 15) „ყვავილებს შეაგროვებს, წიფლის წვერზე აიტანს“; მაჟურანი ნდღას **ურუსის** (?) ასკერი ჭოროხიშა იმტუ (ყიფშ., 2) „მეორე დღეს რუსის ჯარი ჭოროხისკენ გაიქცა“; ყენჩერეფე **გონიას** კალეს ქომულიბდეს (ყიფშ., 3) „იანიჩარები გონიოს ციხეში შეცვივდნენ“; არ ტაქიმიქ ზაფთიეფემ ოდას **კურშუმის** (!) ოსტომილუთე თოლი ვარ გონწყავეს (ყიფშ., 10) „ერთმა ჯგუფმა პო-

ლიციელთა ოთახში ტყვიის სროლით თვალი არ გაახელინა“; სქანი-სთერი კოჩიშ აქ დოხუნუ ონჯღორე ვა-რენ-ი სქანდა, ოშ **კოჩის** ბედელი-ნა რე? (ყიფშ., 11) „შენისთანა კაცის აქ დაჯდომა სირცხვილი არ არის შენთვის, ასი კაცის ბადალი რომ ხარ?“; ამსერი გიჭანდეფ! – სო მონჯირაფ? – **ხინჯის** (?) თის (ყიფშ., 17) „ამალამ გპატიჟებ“! სად დამაწვენ? – ხიდის თავში“... (კარტ., 73).

-ს-ნიშნინანი ფორმები დასტურდება თანდებულების წინაც:

არ **საათის** კულე (ჟღ. 42) „ერთი საათის შემდეგ“; **კაჭესის** დოლოხე (ჟღ., 151) „გალიაში“; ხუთ **წანას** დოლოხე „ხუთ წელიწადში“; **მთვირის** დოლოხე“ (ჟღ., 18) „თოვლში“; **კუის** დოლოხე (ჟღ., 78) „ორმოში“; **ოხორის** დოლოხე (ყიფშ., 2) „სახლში“; **მეზარეს** დოლოხე (ჩიქ., II, 93) „საფლავში“; **ფიმფილის** თუდე (ჩიქ., II, 10) „წვერს ქვემოთ“; **ყასტულის** თუდე (ჩიქ., II, 16) „ბალიშის ქვეშ“; **ქვას** თუდე (ჩიქ., II, 58) „ქვის ქვეშ“; ჟურ **დღას** წოხლე (ჩიქ., II, 148) „ორი დღის წინ“... (კარტოზია 2004, 74).

უნდა დავაზუსტოთ, რომ ამ შემთხვევაში ნათესაობითის ნიშნად გვაქვს: ხმოვანფუძიანებთან – **-ს**, ხოლო თანხმოვანფუძიანებთან – **-ის**: ანუ, ეს არ არის მხოლოდ **-ს-ნიშნინანი** ნათესაობითის მაგალითები, – აქედან გამომდინარე, ფორმათა დამთხვევის საკითხი აქაც და ისევ მოიხსნა.

ჩნდება ბუნებრივი კითხვა: როგორ უნდა აიხსნას ეს მოვლენა? რასთან გვაქვს აქ საქმე?

ამჯერად მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოვიფარგლებით და დავამატებთ იმას, რომ ამ შემთხვევაშიც ფორმათა კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტია კონტექსტი: **სახელი + სახელი კომბინაცია ნათესაობითის და არა მიცემითი ბრუნვის რეალიზაციის პირობაა.**

ზანურშიც **თავისთავადი** სახელი მხოლოდ ზმნისართებთან/თანდებულებთან დასტურდება. ეს არის მისი პრაქტიკული რეალიზაციის სექტორი. საინტერესოა, რომ ქართული თანდებულის ვარიანტების ნაცვლად და შესაბამისად აქ გვაქვს ნანათესაობითარი, მეორეული ბრუნვები: დანიშნულებითი (კოჩიშო(თ) = ქართ. კაცისთვის, ზედმ.: კაც-ის-ად), დაშორებითი (კოჩიშე = ქართ. კაცისგან) და მიმართულებითი (კოჩიშა = ქართ. კაცისკენ).

ლიტერატურა

ბოლქვაძე, აფხაზავა 2004¹ – ქართული ენა, V, თბ., 2004

ბოლქვაძე, აფხაზავა, 2004² – ქართული ენა, VI, თბ., 2004

გოგოლაშვილი, ... 2004 – გოგოლაშვილი, არაბული, სუხიშვილი, მანჯგალაძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 2004.

ერკერტი 1895 – Erckert R., Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895;

თოფურია 1956 – ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი, სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956, წიგნი I.

თოფურია, ივ. გიგინეიშვილი 1990 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

კარტოზია 2004 – გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი, თბ., 2004;

მარი 1910 – Марр Н. Я., Хрестоматия чанского языка. См. Н. Я. Марр, Грамм. чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем; С.-Пб.; 1910;

უთურგაიძე 1986 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ქეგლ 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.1, თბ., 1950

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980

ჩიქობავა 1956 – ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის, სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956, წიგნი I.

The Issue of the Genitive Case in Georgian and Zan

Abstract

In the normative publications and relevant paradigms the form of the nominals with an unapocopated base in the genitive case is presented in different ways. There are two main variants: **-s/(a)** and **s-i**. This is the result of different understanding – the prepositional order of a modifier and a head word (okros beçedi “golden ring”) or the postpositional declension of a modifier and a head word (beçedi okrosi “golden ring”).

The widespread assumption that in the dative and the genitive cases of this type of nominals we deal with homonymy seems to be groundless: the point is that the forms do not coincide in one and the same context.

To differentiate the forms it is important to consider the fact that an independent nominal is always given only with a postposition or a verbal affix in the genitive case. The second case of the realization of the genitive case is a combination “a nominal + a nominal”.

In Zan the markers of the dative and the genitive cases differ from one another in terms of material and there is no issue of the coincidence of the forms.

In Laz the fact similar to Georgian is attested (the suffix **-s** in both cases) and hence it seems that unapocopated bases are presented with the same forms but it only seems so at first glance. The functioning area is the same as the one in Georgian.

ხათუნა ყანდავგილი

**საზოგადო არსებითი სახელის კუმშვის
საკითხისთვის კახურსა და ფერეიდნულში**

სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში თანხმო-ვანფუმიანი საზოგადო სახელები იკუმშება სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. შეიძლება შეიკუმშოს როგორც ერთმარცვლიანი, ისე ორი და ორზე მეტმარცვლიანი სიტყვები (რედუცირდება **ა** და **ე** ხმოვნები სრულად, **ო** ნაწილობრივ, ზოგ შემთხვევაში სრულად).

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ კუმშვა-უკუმშველობის საკითხს კახურსა და ფერეიდნულში. რადგან ფერეიდნული კახურის განაყარი დიალექტია, ამიტომ მის მონაცემებს შევადარებთ კახურს. საკვლევ მასალად გამოვიყენეთ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიალექტური კორპუსი. გვაინტერესებს, რა მსგავსებას ან განსხვავებას გვიჩვენებენ ეს დიალექტები საზოგადო არსებითი სახელის კუმშვის დროს. შეიმჩნევა, რომ ფერეიდნულში უკუმშველობის შემთხვევები მეტია, ვიდრე კახურში. დ. ჩხუბიანიშვილი ფერეიდნულში არსებით სახელთა უკუმშველი ფუძეების არსებობას სპარსულის გავლენით ხსნის, მკვლევარი ასკვნის: „რედუქციის შესუსტება გარემომცველი ენების (სპარსულის, თურქულის) გავლენით უნდა იყოს გამოწვეული“ (ჩხუბიანიშვილი, 2012: 193). **ა** და **ე** ხმოვნები უმეტეს შემთხვევაში არ რედუცირდება ერთმარცვლიან, ორ და ორზე მეტმარცვლიან სიტყვებში. ჩვენს საკვლევ მასალაში გამოვლინდა პარალელური ვარიანტები, ზოგჯერ ვხვდებით ერთი და იმავე ფუძის შეკუმშულ და შეუკუმშავ ფორმებს. საკვლევი მასალიდან წარმოვადგენთ ილუსტრაციას **ელ**, **ალ** მარცვლიანი საზოგადო არსებითი სახელების მიხედვით:

ელ და **ალ** მარცვლიანი ფუძეები:

„ორ სახლ დაიჭერენ, **მოზობელის** სახლსა“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„ემ **მოზობლის** ცხენები, ერთ-ერთ ცხენს დადნიშნავენ“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„ზუსტად ერთი ჩონ სახლის კედლის უკან იყო“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„და ბავშვი დაჯიდების ერთ გუნდათ კედლის ძირას“ კუთხე-ჩი“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„ერთ რაყამიც არი კაკალით, გავაკეთავთ, ჭესენჯუნს“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„წნური ჯოხი გოქ, კაკლის ჯოხი გოქ“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

ამ მარცვლიანი ფუძეები:

„ქართველები ერთ კაცს მაჰკლვენ იმ ქათამის მაგვერ“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„ქათმის კოლი მოსულაო“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

არ მარცვლიანი ფუძე:

„ზამთარის უკან ზაფხული მოა“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„ზამთრის თოტლი მოაყე დიდ თოტლი მუაყე ექა“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

ფერეიდნულში ვითრებითი ბრუნვის გაუვრცობელ ფორმებში დადასტურდა შეკუმშული ვარიანტები. სალიტერატურო ქართულსა და კახურ დიალექტშიც ამგვარი ფორმების არსებობა ბუნებრივია:

„წუგუყვანა, წავედით თავის სახჩი სტუმრათ“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„ფუტკრებმა წაიდენ სამოვრათ და სალამოს მოიდენ“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

სიხშირის მიხედვით, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკუმშველი ფუძეები ძირითადად ნათესაობით ბრუნვაში დასტურდება. კუმშვა-უკუმშველობის პარალელიზმი უპირატესად ორზე მეტმარცვლიან ფუძეებში ვლინდება. მრავლობით რიცხვში არ გვხვდება შეკუმშული ფორმები. ერთმარცვლიან ფუძეებშიც რედუქცია არ ხდება:

„მამაგონდა წყალის პირზე“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„ვიცი, რო ჩვენი მტერის მტერი ხარ“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

კახურ დიალექტში ფართოდაა გავრცელებული ხმოვანთა რედუქცია სიტყვის ფუძეში. შეინიშნება ისეთი რედუცირებული ფუძეები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ იკუმშება. ასეთი ფორმების არსებობა კახური დიალექტის თავისებურებით არის განპირობებული, მაგალითად: გიტრი სიმები; ოპრი მომღერალი. მიუხედავად

სიტყვის ფუძეში ხმოვანთა რედუქციის სიხშირისა, კახურში უკუმშველი ფუძეები მაინც ვლინდება, მაგრამ არა ისეთი ინტენსივობით, როგორც ეს ფერეიდნულისთვისაა დამახასიათებელი. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენაც სპარსულის გავლენას მიეწერება. მოვიყვანო საკვლევი მასლიდან ილუსტრაციას კახურისათვის:

ერთმარცვლიანი ფუძეები:

„მემრე დაჰკმაღავენ **ჭმალით**“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>).

„– მამავ, მე მინდა **ქმართ** შავითო“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„ქეიფის შემდეგ ეკლესიაში წავიდოდნენ **ჯვარის** დასაწერათ“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

ალ მარცვლის შემცველი ორმარცვლიანი ფუძეები:

„ანუ მამალ კოჭაკს კი კარს ან ფანჯარას **დედალის** სისწვრივ პრტყელთავა ლუსმით აჭედებენ“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

არ მარცვლის შემცველი ორმარცვლიანი ფუძეები:

„ხელის **ფიცარის** მუშაობის დროს ნახვეწი თიხა რჩება“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

„დადგა **ზამთარის** თვეებია“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

ან მარცვლის შემცველი ორმარცვლიანი ფუძეები:

„ვაშლა როდესაც მივიდა თავის სახში, მოხუცეფულებს ედგათ **ქოთანით** ლობიო“ (ქ.დ.კ., 2017, <https://corpora.co>)

ქართულში ერთმარცვლიან და ორზე მეტმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა შეკუმშვის ფაქტი გვიანდელი მოვლენაა. თ. უთურგაიძე აღნიშნავს: „ისტორიულად ქართულ ენაში იკუმშებოდა სახელთა მხოლოდ ორ და მეტმარცვლიანი ფუძეები. ერთმარცვლიანი სახელური ფუძეების კუმშვა მეორეულია. მათი რიცხვი მატულობს ყველგან“ (უთურგაიძე 1976, 183). ჩვენი მოსაზრებით, ფერეიდნულის ერთმარცვლიანი ფუძეების უკუმშველობაც – **წყალის**, **მტერის** ტიპის ფორმები და კახურის **ჭმაღათ**, **ქმართ** უკუმშველ ვარიანტებშიც შემონახულია ერთმარცვლიან ფუძეთა პირვანდელი ვითარება – უკუმშველობა. ამგვარი ფუძეები მრავლად არ დასტურდება, თუმცა ვხვდებით საკვლევ მასალასა და ზეპირ მეტყველებებშიც.

ძველ ქართულშივე დასტურდება ფუძეთა პარალელური ვარიანტები ძირითადად ორმარცვლიან წარმოქმნილ ფუძეებში: „**საბეღლის** // **საბლისა**, **საზღუარის** // **საზღურისა** (გოგოლაშვილი 1981, 114). ქართულში ორმარცვლიანი პარალელური ფუძეების არსებო-

ბის შესახებ მსჯელობს თ. უთურგაიძე და ასკვნის, რომ „მათი მონაცვლეობა არ ეწინააღმდეგება ენის ფონემატურ ბუნებას. ამით არის განპირობებული დიდი სიჭრელე ამ ფორმებისა როგორც ქართული ენის დიალექტების, ისე თვით სალიერატურო ქართულის სისტემაში“ (უთურგაიძე 1976, 184).

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ქართულში ერთ, ორ და ორზე მეტმაცვლიან ფუძეებში რედუქცია მეორეულია, რადგან ძველი ქართულის ზემოდასახელებულ ნიმუშებში ფუძის მეორე მარცვლის ხმოვნითი ელემენტი სუფიქსის კუთვნილებაა და რიგ შეთხვევებში კუმშვა არ ხდება, შესაბამისად, ფუძეში შემავალი სუფიქსისეული ხმოვნითი ელემენტი ყოველთვის არ რედუცირდება ქართულში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კახურსა და ფერეიდნულში უკუმშველი ფორმების არსებობა სპარსული ენის გავლენით არ უნდა იყოს გამოწვეული. აღნიშნული დიალექტების ვითარება გარკვეულ მსგავსებას ავლენს ძველი ქართულის ვითარებასთან.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი, 1981 – გ. გოგოლაშვილი, სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან ლაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. V, თბილისი 1981.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 – არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.

უთურგაიძე, 1976 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატიკური სტრუქტურა, თბილისი, 1976.

ქ.დ.კ. – ქართული დიალექტოლოგიური კორპუსი

ჩხუბიანიშვილი, 2012 – დ. ჩხუბიანიშვილი, სამეცნიერო წერილები, თბილისი, 2012.

On Syncope of Common Nouns in Kakhetian and Fereydanian

Abstract

In the literary Georgian language and its dialects certain vowels in common nouns the bases of which end in consonants are lost in the following cases: possessive, instrumental and equative. Syncope may occur in words having one, two or more syllables (the vowels **a** and **e** are lost).

The paper deals with the issues of similarities and differences between Kakhetian and Fereydanian in terms of syncope. In Fereydanian, in most cases the vowels **a** and **e** are not lost in words having one, two or more syllables. In the research material we have also attested syncopated bases and sometimes we can even find the parallel forms of the same base, e.g. **mozobelis** // **mozoblis** (GDC, 2017, <https://corpora.co>). Such parallel forms are attested in bases with more than two syllables. In the plural, words are not syncopated. In the scientific literature unsyncopated bases are explained by the influence of Persian (D. Chkhubianishvili).

Unsyncopated bases can be found in Kakhetian as well but not as frequently as it is typical for Fereydanian. This fact is also attributed to the influence of Persian, e.g. **xmaliṭ** (GDC, 2017, <https://corpora.co>).

In Georgian the loss of vowels in bases with one or more than two syllables is the late phenomenon (T. Uturgaidze, G. Gogolashvili). Even in old Georgian the parallel variants are mainly attested in two-syllable derivative bases, e.g. **sabelis** // **sablisa**, **sazyuaris** // **sazyurisa** (G. Gogolashvili).

We think that the existence of unsyncopated forms in Kakhetian and Fereydanian was not conditioned by the influence of the Persian language. The situation of the said dialects shows some similarities with the situation of old Georgian.

ნატო შავკეშიანი

უბრალო დამატება სვანურში

უბრალო დამატება წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით რამდენიმე სახისაა. იგი არ არის შეწყობილი ზმნის ობიექტურ პირთან „ახლავს შემასმენელს ან ზმნური წარმოშობის წევრს წინადადებისას (აგრეთვე ზოგ ზედსართავ სახელსა და ზმნისართს) და იმართვის მათგან ბრუნვაში“ (კიზირია 1982, 145).

ამი გულა ჯაფრანრე **ჟმრგაცხან** ოხსყა ნინ (ბზ., სვან. ქრესტ., 61) „ამის გულისთვის ჯაფრანთ ბატონთან გამონახა საერთო ენა („გაუკეთებია ენა““

ალდარ ემხუ **მწრახენქს** ნაყარ ლიხ მაგ (ლშხ., იქვე, 234) „ესენი ერთი კაცისგან განაყარი არიან ყველა“

აშხუ ლდედ მიჩა **დედობილიშ** ხოქუა ალ ჭყინტს... (ლნტ., იქვე, 334) „ერთ დღეს თავისი დედობილისთვის უთქვამს ამ ბიჭს“

მუშნიშმდ ჭინური ლიშუმმე ქა ხოთონახ (ჩოლ.) „მუშნისთვის ჭიანურის დაკვრაც უსწავლებიათ“

უბრალო დამატება გადმოიცემა არსებითი სახელით და მასთან გრამატიკულად გათანაბრებული ნებისმიერი სიტყვით. იგი უთანდებულოა ან თანდებულიანი. ქართულის მსგავსად სვანურშიც ოთხ ბრუნვაშია – მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითში და ვითარებითში, თუმცა თანდებულიან დამატებებთან განსხვავებული ვითარება დასტურდება: „უთანდებულო ბრუნვაში სავსებით ქართულისმაგვარი ვითარება გვაქვს, თანდებულთა მიერ სახელების ბრუნვაში მართვა კი ქართულისაგან განსხვავებულია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სვანურში თანდებული ერთვის სახელს მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობითში. ამასთან თითოეულ ბრუნვას ესა თუ ის თანდებული კი არ მოითხოვს, არამედ თანდებულს შეუძლია სახელები ორივე ბრუნვაში მართოს“ (აბესაძე, 1972, 9).

განვიხილოთ როგორც თანდებულიანი, ისე უთანდებულო ფორმები ოთხივე ბრუნვის მიხედვით, სვანურის ყველა დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებით. მათ შორის ჩოლურული მეტყველების ნიმუშებსაც წარმოვადგენთ, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიხედვით აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერი თქმულა (თუ არ ჩავთვლით თანაობის გამომხატველ დამატებაზე არსებულ კვლევას: იხ. პირმიუმართავი დამატებისათვის სვანურში, ნ. შავრეშიანი, შ. შავრეშიანი, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXV, 2013, გვ. 227-231).

მიცემითში დასმული სახელი პირმიუმართავ დამატებად ქართულში, ძირითადად, თანდებულიანია, სვანურში კი უთანდებულო. მეცნიერთა ერთი ნაწილი (კიზირია) ამას თანდებულთა სიმცირით ხსნის.

სვანურში უთანდებულო მიცემითით გადმოიცემა ქართულის **-ზე** და **-ში** თანდებულიანი მიცემითი, მაგ.:

ჟი ხასგურდა **ჩაჟის** მიჩა (ბზ., სვან. პოეზ., 64) „ოჯდა თავის ცხენზე“

ჟოთიდ **კუტენჟოთე** ლენპეჟუნე ნაქუთერ (ლშხ.) „ოთიმ უბემი დამალა მონაპარი“

მამტმარ ერ ლი, **ხანჯალს** ხოსგურ ქორ გუემი (ჩოლ.) „მთვრალი როა, ხანჯალზე უზის ოჯახი (ამწარებს მთელ ოჯახს)“

სვანურში არცთუ იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როცა მიცემით ბრუნვაში დასმულ პირმიუმართავ დამატებას დაერთვის **-ჟი** და **-თე** თანდებულები, რომლებიც ქართულის **-ზე** თანდებულის მნიშვნელობისაა:

სვანურში არცთუ იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როცა მიცემით ბრუნვაში დასმულ პირმიუმართავ დამატებას დაერთვის **-ჟი** და **-თე** თანდებულები, რომლებიც ქართულის **-ზე** თანდებულის მნიშვნელობისაა:

ხოჩამდ ხახლენა **ფანდურჟი** დაკურა (ლშხ.) „კარგად სცოდნია ფანდურზე დაკვრა“

ჩ'ურ ეთნებენს, **გიმჟი** ცნდი ლუარს ი ლღდგარს (ჩოლ.) „რომ დასცალდეს მიწაზე გაცვლის ცოცხალს და მკვდარს“

კნდაჟი ხონცროლა ქორ-გუემი (ჩოლ.) ნაჯახზე უზის („უსვია“) მთელი ოჯახი („სავსე-სახლი“)

ნად ესღტრიდ **ლაკტირათე** (ბზ., სვან. პოეზ., 182) „ჩვენ მი-
ვდივართ ჯიხვზე სანადიროდ“

მიცემითის ეს თანდებულიანი ფორმები სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში მეორეულ მოვლენად მიაჩნიათ (კიზირია, 1982, 150).

ხშირად **-თე** თანდებულს ქართულის **-ში** თანდებულის სემან-
ტიკა აქვს:

ეჩქანდღჷე ხოხტრა **სწანწრთე** ქა ხტწაგტჷე ი ქა ჳტიდე ტაბწთექა
(ბქ., სვან. ქრესტ., 207) „მერე პატარა თეფშებში ვასხამ და გამომაქვს
მაგიდაზე“

მიჩა დიე უქბრტჷმ იმდგდა **ჯიბაითე**(ლშხ) „დედამისის მალუ-
ლად იყრიდა ჯიბეში“

ძულტათე ლოქ ოთშიდა მინე ამხტარ (ლშხ.) „ზღვაში ჩაუყრი-
აო მათი მტრები“

ეში სგ'ედკჷრ **კანჭართე** (ჩოლ.) „მაინც ჩაიგდო კლანჭებში“
დღმ ხეყჩენი **კასრულართე** ლიყიოტწლს (ჩოლ.) „არ ეშვება ქვა-
ბებში ძრომიას“

სვანურში ასევე შეინიშნება ისეთი შემთხვევები, როდესაც ნა-
თესაობით ბრუნვაში დასმულ უბრალო დამატებას დაერთვის **-თე**-
თანდებული და მას ქართულის **-ზე** თანდებულიანი მიცემითი შეე-
ფარდება:

იმჷი ხაკტჷეს ეხემჯწრტჷნ **დედღშთე?!** (ლშ.) „როგორ უნდა გა-
ბრაზდე დედაზე („დედ-ის-კენ“)?!“

ხოლა კუტიჳ ემჳად **დოდღშთე** (ჩოლ.) „ძალიან გავბრაზდი დო-
დიზე („ცუდი კუჭი მომივიდა დოდ-ის-კენ““

როგორც მასალიდან ჩანს ასეთ პირმიუმართავ დამატებებში
ნათესაობითის ბრუნვის ნიშანი სრულადაა შენარჩუნებული.

სვანურში მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში დასმული **-თე**
თანდებულიანი სახელი ქართულის **-თან** თანდებულიანი უბრალო
დამატების მნიშვნელობითაც შეიძლება დადასტურდეს:

მოცქტილდ ლიზი დეშერს ოთბედტა ხტწანთქარ **მეფღშთე**
(ლშხ., სვან. ქრესტ., 250) „მოციქულად წასვლა ვერავის გაუბედავს
ხოთქარ მეფესთან“

ცარიელ დეშამ ღური **ზოფშართე!** (ლშხ.) „ცარიელი ვერ წა-
ვალ ბავშვებთან!“

მახტშითე ღურდნდ თხუმე ლამწოდად (ჩოლ.) „უხუცესთან მივდიოდით თავის გასამართლებლად“

ხოჩა **მეზუბელთე** ქა ხასკნუხი მწრე მ'გწეხჟი (ჩოლ.) „კარგ მეზობელთან გადახტები კაცი საჭიროებისას“

ქართულის -**თან** თანდებულიანი დამატების ფარდია -**ცახან**|| -**ცახან**||-**ცხან** თანდებულიანი სახელებიც. აღნიშნული თანდებული სვანურის ყველა დიალექტში საკმაოდ პროდუქტიულია:

ლეღტცახან ნწყუნალ ღუაჟმწრე ლამბანალთე ლაჯუნმთესგა დემ ღრდა... (ბზ., სვან. ქრესტ., 40) „საყვარელთან ნაწოლი კაცი დასაფიცებლად ეკლესიაში ვერ მიდიოდა...“

...ამირანს ლოქ ხომა **წირღცახან** ხოყრე, ხომა წამ ლოქ (ლშხ., სვან. ქრესტ., 257) „...ამირანს დიდ უროსთან უწევსო, დიდი სოლიო“

ჩ'ურ იშდმი, **კუმამცახან** ლებენდ ისყი (ლშხ.) „რომ თვრება, საქონელთან დასაბმელი ხდება“

ზურალა **ღუაჟარცახან** ლიპრწყე შგური ლას (ჩოლ.) „ქალის კაცებთან დაჯდომა („დასკუპება“) სირცხვილი იყო“

ვარაუდობენ, რომ **„ცახან“** „-თან“ შეიცავს **ცა** „ცალი“, „ერთი“ და **ხან** „გან“ თანდებულს. ... აქ **ც**-ს წინ ნათესაობითის -**შ** ელემენტი დაკარგულია“ (თოფურია 2002, 204).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ისეთი შემთხვევები სვანურში, როდესაც უბრალო დამატების უთანდებულო ვითარებითი ბრუნვით ქართულის -**თან** თანდებულიანი მიცემითის მნიშვნელობაა გამოხატული, მაგ.:

წმჩედელი სეგზილდ ქამაჟ, ჟიჟ ხობინა **გტელეშაპარდ** (სვან. პოეზ., 306) „გარეთ გასულა სეგზილდი, დაუწყია (ომი) გველეშაპებთან“ (კვაჭაძე 1977, 155).

მსგავსი შემთხვევა ქვემოსვანურ დიალექტში, უბრალო დამატება შეიძლება შეეფარდოს ქართულის -**თვის** თანდებულიან ნათესაობისაგ, უფრო მეტიც, ამ დიალექტებისთვის -**თვის** თანდებულიანი ნათესაობითის გამოხატვა უფრო ბუნებრივია:

ჟახოგონაჟა ი ქათობგრლა **მეზობელად** (ლნტ.) „მოუგონია და დაუბრალებია მეზობლებისთვის“

ლიცტუნლ ოხბინა **ბოფმარდ** (ლშხ.) „ჩხუბი დაუწყია ბავშვებისთვის“

მაშდმწრ მწრას **მექტერწლად** ხორშტწწლას (ლწხ.) „მთვრალ კაცს მექორწილეებისთვის უგინებია“

ქედარ ლოხსისწა **ხამარდ** (ჩოლ.) „ძალეები მიუქსევია ღორე-ბისთვის“...

ყურადღება უწდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ სვანურში **-თვის** თანდებულიანი სემანტიკისაა უთანდებულო ნანათესაობითარი ვითარებითი გამოხატული პირმიუმართავი დამატებაც, რომელიც ზემოთ აღნიშნული ვითარებითი ბრუნვის პარალელურად გვხვდება:

უედღმ ათობედწტახ მინე **მუემდ** ტკიცი ლიქტის (ლწტ.) „ძლივს შუებედიათ თავისი მამისთვის სიმართლის თქმა“

ქი ლემარე ლიხ **ქორწილობწმდ** არწყმუ (ბქ., სვან. ქრესტ., 176) „გამზადებული არიან ქორწილისთვის არყით“

ფოლქარს ხუთეხელი **კაბიშდ** (ლწხ.) „ღილეზ ვეძებ კაბისთვის“

ხოშა ლაგავ ოთკტწრა **ბუწწწწმდ** (ჩოლ.) „დიდი ნაქერი გადაუგდია ძალლისთვის“

ცნობილია, რომ უბრალო დამატების ნანათესაობითარ ვითარებითს პარალელები ეძებნება სხვა ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებშიც:

„ზოგჯერ პირმიუმართავ დამატებად გვხვდება ნანათესაობითარი ვითარებითიც, რომელიც **-თვის** თანდებულიანი სახელის მნიშვნელობისაა წინადადებაში. ძველ ქართულში პირმიუმართავი დამატების ასეთი ფორმა ჩვეულებრივი იყო. ამ შემთხვევაში ფუძედ გამოყენებულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი მხოლობით და მრავლობით რიცხვში: საფრჯე ქმწულხარ დიდისა **კელმწიფისადა...** თუ აქვს, რად უჭრის ერთი **თავისადა**, მეორე **შვილისადა?** ...მსგავსი ფორმები გავრცელებულია ცოცხალ მეტყველებაშიც, აღმოსავლურ დიალექტებშიც და დასავლურშიც“ (კიზირია 1982, 158).

-თან თანდებულიანი პირმიუმართავი დამატება, ძირითადად, აღნიშნავს თანაობას, თანყოფობას და ზოგჯერ გამოხატავს სამოქმედო საგანსაც. ხშირად ხსენებულ თანდებულიან დამატებას გასაძლიერებლად **ემწუდ** „ერთად“ ზმნიზედა დაერთვის, რომელიც უფრო ნათლად გახაზავს დამატების აღნიშნულ მნიშვნელობას,

თუმცა იგი შეიძლება დაერთოს მხოლოდ და მხოლოდ -ცახან თან-
დებულებიან უბრალო დამატებას მიცემითში, მაგრამ უნდა ითქვას,
რომ მის დაურთველადაც თავისუფლად გამოხატავს თანაობას:

ჯ'ესერ ამიცახან მეგნე მამ ლი (ბზ., სვან. ქრესტ., 105) „შენ
ამასთან გამჩერებელი არ ხარო“

ისგუცახან ლოზი მაკუ შუანთე (ბქ.) „შენთან ერთად წასვლა
მინდა სვანეთში“

ლახუარჟი კუმშგახან კუმშდ ხომა ხალხ ილგუჟარი (ლნტ.,
იქვე, 300) „მთებზე საქონელთან ერთად საქონელზე უფრო ხალხი
სუქდება“

ინდაურალს ქათლარცახან ეშხუდ ადიარუნე (ლშხ.) „ინდაუ-
რებს ქათმებთან ერთად აჭმევს“

გიმარცახან ეშხუდ ლეგუჟერი ქა ხოთონა ლამძახლად (ჩოლ.)
„მიწებთან ერთად წისქვილიც მიუცია („უჩვენებია“) მძახლების-
თვის“

პატიდლოშდ ჟისკუცახან ეშხუდ ჟიცხსი ჩ'ტაჯბიხ (ჩოლ.)
„ჯემისთვის ვაშლთან ერთად მსხალსაც ხარშავენ“...

ნათესაობით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება შინაარ-
სის მიხედვით შეიძლება აღნიშნავდეს მოქმედ საგანს, სამოქმედო
საგანს ან მასალას, რომლისგანაც მზადდება საგანი.

პირმიუმართავი დამატებისთვის სვანურში გამოყენებულია
უთანდებულო ან -ხან||-ხან, -ხანქა||-ხენქა და -თე თანდებულებიანი
ნათესაობითი და ნანათესაობითარი ვითარებითი.

უთანდებულო უბრალო დამატება შეწყობილია საწყისთან ან
მიმდებარესთან და აღნიშნავს რაიმეს ჩამდენობას:

ათხიდღენ აფხნიკი ლიკედ (ლშხ.) „გაუხარდა ამხანაგის მო-
სვლა“

ოსტატი ლღაფ ჩ'ტედწინტე მართად (ჩოლ.) „ოსტატის შე-
ღებილი დაიწუნა მართამ“...

სვანურში ნათესაობითით წარმოდგენილ პირმიუმართავ და-
მატებას ბრუნვის ნიშანი ან სრულად დაერთვის, ან შ თანხმობითი
ელემენტი მოკვეცილი აქვს:

...ეჯა ლი მგბნე ლიყანსგურალაშ (ბზ., სვან. ქრესტ., 37) „ისაა
დამწყები რიკაობის“

დინა ლიშგომ ჩივარ დემ იგანთურლ ქუერწილუმ (ლშხ.) „ქა-
ლის თხოვნა ყოველთვის არ მთავრდებოდა ქორწილით“

ლაგუანისა **დიარი** მენყე ძღედ პატივისა ხაყახ (ჩოლ.) „გასვე-
ნებაში პურის მცხოველი დიდ პატივში ჰყავთ“

ქართულში, როგორც ცნობილია, ნათესაობით ბრუნვაში და-
სმული უთანდებულო დამატება გამოიყენება გრძნობათა გამომხატ-
ველ ზმნებთან, სვანურში კი ქართულის ნათესაობითს ვითარებითი
ან ნანათესაობითარი ვითარებითი შეესაბამება და ეს ფორმები ხში-
რად ენაცვლება ერთმანეთს:

ნადირდ||ნადირიშდ ხაყლუნ (ლშხ.) „ნადირის ემინიათ“

მახა თელღრას ჩივარ ხოშგურ **ლამთილარდ||ლამთილარემდ**
(ლშხ.) „ახალ რძალს ყოველთვის სრცხვენია ქმრისიანების“

ხაკიკ მიჩა **მუდ||მუემდ** (ჩოლ.) „ერიდება თავისი მამის“

ხახათრ **მასწაულეზელდ||მასწაულეზელიშდ** (ჩოლ.) „ეხათრება
მასწავლებლის“...

ნათესაობით ბრუნვაში ყველაზე პროდუქტიულია **-ხწნ||-ხან,**
-ხწნქა||-ხენქა „-გან“ თანდებულისანი პირმიუმართავი დამატება, რო-
მელიც აღნიშნავს რაიმეს ჩამდენობას, მასალას, რომლისგანაც რაიმე
მზადდება, დაშორება-დაცილებას, თავის დაღწევას და გამოყოფა-
გამორჩევას. ნათესაობის ნიშანი რიგ შემთხვევაში შენარჩუნებულია,
მაგ.:

მუემხენქა ქწნითეხ მინე ნათი ი ლივედი ლწახინეხ (ლნტ.,
სვან. ქრესტ., 305) „მამისგან გამოყვეს თავიანთი წილი და გაყიდვა
დაიწყეს“

მუშტწნ მწრა ლახე მწრმა **მწრახწნქა** შგუთირ ხეყრენდ... გუნ ხოშ-
გურდა (ბზ., იქვე, 44) „სვან კაცს თუ მეორე კაცისგან სირცხვილი და-
ემართებოდა... ძალიან სრცხვენოდა“

ხედტწამხენჩუ ჩტწდკწფი, ეჯწრს ეჯ ზატხოჩა ზაოზ ხარხ ბაც
(ბზ., იქვე, 215) „ვისგანაც ჩამოიქცევა, მათ იმ წელს კარგი წელი
ელოდებათ“

დემე ლი ძეჯკწლი ფოყ საქართუელოძსა, ერე ეჯჟი ღოშკიმ
არდეს **ლითვერიხენ**, ხალ ლენტეხა (ლნტ., იქვე, 304) „არსად არაა
ისეთი მხარე საქართველოში, ისე უკან იყოს სწავლისგან, როგორც
ლენტეხი“

პეპიშენ ლოქ ხომჯა ლელინთუ ზექრლარ (ჩოლ.) „ნათლის-გან მოუზიდაო საზამთრო შეშები“

ალაზრხენქა ჩი ლეთ ესერ ხათფოტნახ ეშტი-ეშტი (ბქ., იქვე, 222) „ამათგან ყოველ დამე ეკარგებოდათო თითო-თითო“

ქორს გგემხ **ზაჩხენქა** ი **მეგამხენქა** (ლნტ., იქვე, 296) „სახლს დგამენ ქვისგან და მორებისგან“

ტელეფიხენქა ხოჩა გემაშ ნწყუნ ისყი (ლშხ.) „მთის ღოლოსგან გემრიელი საჭმელი კეთდება“

ლუშნუ ფაყშმატყლობენქა ისყი (ჩოლ.) „სვანური ქუდი მატყლისგან კეთდება“...

ქართულში -**თვის** თანდებულიანი პირმიუმართავი დამატება დანიშნულებას გამოხატავს. სვანურში აღნიშნული დამატება, ქართულისაგან განსხვავებით, ვითარებითში ან პარალელურად ნანათესაობითარ ვითარებით ბრუნვაშია:

მეფეს ბრძანება ლოჰოდა **ხალხდ** (ბქ., იქვე, 221) „მეფეს უბრძანებია („ბრძანება მიუცია“) ხალხისთვის“

ქა ლოქ ოხსკინა თხერას, ჟი ლოქ ოსფხიჭა **ლეღტდ** ი ოთდა (ლშხ., სვან .ქრესტ., 272) „გამომხტარაო მგელი, დაუვლიაო ხორცისთვის და წაუღია“

სოლთანიმდ ათყალტუნდახ ი აჩადხ ლნტუს... (ბზ., იქვე, 67) „სოლთანის შეეშინდათ და გაიქცნენ („წავიდნენ გასაქცევს““

ოხზეზახ ლოქ **მიჩაშდ** სადილდ თაშ (ლშხ., იქვე, 272) „გამოუგზავნიათო მისთვის სადილად ყველი“

ლეთუმ ჟალგენელი ი **ქათალალემდ** კტეცენ ჩტასოშიდა (ლნტ., იქვე, 311) „დამე ამდგარა და ქათმებისთვის ხორბალი დაუყერი“

შგტიბს **ხამარემდ** იფანდებ (ჩოლ.) „რკოს ღორებისთვის აგროვებენ“...

მსგავს შემთხვევებში, როდესაც ნანათესაობითარი ვითარებითით არის დამატება წარმოებული, ლენტეხურ დიალექტში ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -**დ** მოკვეცილია და მხოლოდ ნათესაობითის ნიშნითაა წარმოდგენილი:

დედეამ ი **მამამ** ლოქ ხაწედნი ი აგხო ლოქ ღვრი(ლნტ., იქვე, 334) „დედა და მამა („დედისთვის და მამისთვის“) ენატრებაო და სახლში წავალო“

... ხობეცქტა ჭიშხარისკა **დაჭიშ** ი ჟახოპრანჭყა. ჟახოქტიცა თხუმარ **დაჭიშ** ი გალატნჟი ასოცეყრა (ლნტ., იქვე, 334) „ურქენია ფეხებში დევისთვის და წაუქცევია. მოუჭრია თავები დევისთვის და გალავანზე დაურჭვია“

ჩაჭიშ ეშხუ მამუ ქახომამა ი ქორხო ამეტებ (ლნტ., იქვე, 334) „ცხენისთვის ერთი ბარძაყი მოუჭამია და სახლში დაბრუნებულა“

ნეპოლ ლოქ დემ ჰბედაჭი მიჩა ჯოდი ლაროლისკა ი **მიჩაშ** იმ ლოქ ათობედაუნა?! (ლნტ., იქვე, 333) „ჩიტი ვერ ბედავსო თავის დიდ („გრძელ“) მინდორში და მისთვის რას გაუბედინებიაო?!“... “

პირმიუმართავ დამატებას, რომელიც **-თვის** თანდებულითაა გადმოცემული ირიბისებრ დამატებასაც უწოდებენ, რადგან იგი, როგორც ცნობილია, ენაცვლება ბრუნვაუცვლელ დამატებას გარდამავალი სამპირიანი ზმნის მესამე სერიაში და პირმიმართი დამატება პირმიუმართავად იქცევა: მზრად **კუმაშს** ჭემ ოთშიდ „კაცმა საქონელს თივა დაუყარა“, მზრას **კუმაშდ** ჭემ ოთშირდა „კაცს საქონლისთვის თივა დაუყრია“.

სვანურში **-თე** თანდებულით გამოიხატება ქართულის **-კენ** თანდებულიანი ნათესაობითის ფორმები და ქართულის მსგავსად, ასეთ დამატებას ნაცვალსახელი და არსებითი სახელი (მასდართითურთ) გადმოსცემს:

ანგან ჟი ქათლად ნაბჯულ ი აჩად **კესარშერთე** (ბქ., სვან. ქრესტ., 211) „ადგა ნახევარ ქათამა („ქათამუკას ნაჭერი“) და წავიდა კეისრისკენ“

ისგაჭათე მნ ლოქ ოხთოფა (ლშხ.) „შენკენ არ უსვრიაო“

ტუტეტარ ლგკარ ჭათდა **მინაშთე** (ჩოლ.) „ხელეზაწეული იწყევლებოდა მინასკენ“

სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ლენტეხურ დიალექტში მიმართულებების გამოსახატავად **-ხო** „-კენ“ თანდებულიანი ნათესაობითი გამოიყენება:

ჟახონანცოლე შამფურჟინ ი ეჯჟი ათაყენე **ხენწიფიშხო** (ლნტ., იქვე, 329) „აუნცო შამფურზე და ისე გაატანა ხელმწიფესთან“

ალე ხელმწიფდ ახომეგრე ი ქანდერ **მიჩაშხო** (ლნტ., იქვე, 316) „ეს ხელმწიფემ გაუგო და დაიბარა მასთან“

ისკიდდახ **ხემწიფეშხო** ეჯ ჯგმილ-დაჩუთრ (იქვე) „იყურებოდნენ ხელმწიფისკენ ის და-ძმა“

სვანურში ნათესაობით ბრუნვაში პირმიუმართავი დამატება საკმაოდ ხშირად დაირთავს -**გნქა** „გარდა“ თანდებულს:

ბედელისა აშხუნის **სიმინდგნქა** კუტეცენს, ლობიოს... (ლნტ., იქვე, 296) „ბედელში უნახავენ სიმინდის გარდა ხორბალს, ლობიოს...“

ალე **ქორალგნქა** არიხ აჯად ჯუტინელ ქორალ (ლშხ., იქვე, 264) „ამ სახლების გარდა („არიან“) კიდევ ძველი სახლები“

ხამარგნქა მაგ ოთხმატალ ოთურდუნედ (ლშხ.) „ღორების გარდა ყველა ოთხფეხა ვიყოლიეთ“

მეზუბელიშგნქა ჩნს ლოქ ოხბაჟა მინე ლიკრილი (ჩოლ.) „მეზობლის გარდა ყველამ („ყველას“) გაიგო („გაუგია“) ჩვენი („მათი“) კვილი“

ნათესაობითის ნიშანი შენარჩუნებულია, ან ხშირ შემთხვევაში სრულად არის მოკვეცილი.

აღნიშნულ ბრუნვაში **გამო** თანდებულიანი სახელის ერთ-ერთი ფუნქციაა პირმიუმართავი დამატების გამოხატვა, რომელიც სვანურშიც ხშირად ფიქსირდება. ქართულის **გამო** თანდებულის მნიშვნელობით სვანურში -**ლა** თანდებული გამოიყენება, რომელიც უშუალოდ დაერთვის ბრუნვას, თუმცა ხშირად -**თვის** თანდებულის სემანტიკაც აქვს:

ალე **გარგალა** ხუმა ჯუტრს ეთხუტრე (ლშხ.) „ამ საუბრის გამო ბევრი სანერვიულო შეგხვდება („ბევრ ჯავრს იხვედრებ“)“

დინა **გეზალა** დეამ იწუხუტუთიხ თხუმს (ჩოლ.) „გოგო შვილის გამო არ იწუხებენ თავს“

სიმარე, ამხუმ შუკუტყი **ბეჩარლა** ამკგა? (ლშხ.) „შე კაცო, ამხელა გზაზე ქვებისთვის ამომიყვანე?“

ტკიცლა აღტუნუდახ, ნომ'ერ ოთქადტუნანხ (ჩოლ.) „სიმართლისთვის აფიცებდნენ, რომ არ მოეტყუებინათ („შეეცდინათ“)“...

მოქმედებითი ბრუნვით გამოხატული პირმიუმართავი დამატება ძირითადად ორი სახისაა: საჭურვლისა და თანაობისა. საჭურვლის დამატება ყოველთვის უთანდებულოა, თანაობისა კი უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულიანიც, მაგ.:

ამჩუ ჟასყენეხ **ჰაგულდშუ** მნდხუმა ფათქელდს (ბზ., სვან. ქრესტ., 37) „აქ აკეთებენ ქუსლით პატარა ორმოს“

დროუქ ესუთიში ი სგ'რთშგაბ **ჯარშუ** ალ სოფელს (იქვე, 41) „დრო შეარჩია და შეუვარდა ჯარით ამ სოფელს“

გოთოლურ კუთახში **ნაყირში** ლუჟორე ლაშუ (ბქ., იქვე, 193) „გოთოლური ჩაქურის დანარტყამით დარეტიანებული იყო“

ამჟი **კარიტში** ათხობა დაბხო (ლნტ., იქვე, 193) „ასე გოდრით წაუღია ყანაში“

წათხში აბრალიხ ი ხამი **ჰყანში** აცმენიც (ლშხ., სვან. ქრესტ., 193) „მარილწყლით ბანენ და ღორის ქონით ზეღენ“

ჟი ღოთ ონკადდ **მეცხიში** (ჩოლ.) „კინაღამ ამოვწყდით სიცივით“

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად **-ტში**, **-შტ** ალომორფები გვხვდება, ხშირად ერთსა და იმავე დიალექტშიც კი ორივე ვარიანტია გამოყენებული, მაგ:

ლატხიარში ხაშდებ მუსს უშხუარ (ბქ., იქვე, 215) „ნიჩბებით აყრიან თოვლს ერთმანეთს“

...ჟახაქუციც **დაშნაშტ** უსკუა თხტიმ (ლნტ., იქვე, 332) „...მოაჭრა დაშნით ექესი თავი“

ჟ'ობკედდ კიბდონხენჟი **ლაფექში** ი ჩ'ოთბტერნედ **ბტურაშტში** გობთემსა (ლშხ., იქვე, 264-265) „ამოვიღებთ კიდობნიდან საფქვილით და ჩავცრით საცრით გობში“

დიარ... **ცხიკოლარში** ლგვრდ ი არყალ **კოკარში** ი **დორაღლში** ი ამჟი გოში ტაბაგს სგა ლეხსგუროლხ... (ლშხ., იქვე, 241) „პური... კალათით მოტანილი და არყები კოკებით და დორებით და ასე სავსე ტაბაგს მიუსხდებოდნენ“

მეფე ჟირქუალდა ხოლა **ლერქტალში** ი ქა ხეცხპენროლ სოფლარს (ჩოლ.) „მეფე იმოსებოდა ცუდი ტანსაცმლით და შემოივლიდა სოფლებს“

„დღევანდელი სვანურის ყველა დიალექტში, როცა მოქმედებითი ბრუნვის ფუნქცია მოქმედების იარაღის გამოხატვაა, ძირითადად **-ტში** ან **-შტ** ალომორფებია გავრცელებული. მათი გამოვლენა დამოკიდებულია სახელის ფუძის როგორობაზე. თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან მთელ სვანურში ძირითადად **-შტ** ფორმანტი გვაქვს, რომელიც მიჩნეულია **ტ**'ს მეტათეზისით მიღებულად **-ტში** ვარიანტისაგან. ხმოვანფუძიან სახელებთან კი, **-ტში** ალომორფი დასტურდება. თუმცა გვხვდება მათი გამოყენების აღრევაც“ (გაზდელიანი 2013, 82).

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ისეთი შემთხვევებიც, სადაც უბრალო დამატება -ინ ნიშნით გვხვდება, ძირითადად, პოეზიის ნიმუშებში, ვინაიდან პროზაულ ტექსტებში ასეთი ილუსტრაციები არ დაიძებნა: „სვანურში მოქმედებითში დასმული პირმიუმართავი დამატება უძველესი ფორმით გვხვდება -ინ ნიშნით: ნარყუამ **ღჭაშარინ** გჭაშია (სვან. პოეზ., 184,8) „ნარყვამი ჯიხვებით სავსეა“; ქამეშხან ისგუი ძღუდარე უოქურე **სამკალინ** გომია (იქვე, 22, 9) „გარეთ შენი ზღუდეები ოქროს სამკაულით სავსეა“ (კიზირია 1982, 179).

თანაობის, თანმყოფობის, ერთადობის გამომხატველია მოქმედებითის -ურთ თანდებულიანი დამატება, რომელიც გულისხმობს მეორე სახელს, რომელთანაც ამყარებს აზრობრივ კავშირს.

„-ურთ თანდებულიანი სახელი უპირატესობას იჩენდა ძველ ქართულში, ახალში იშვიათია იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, მეტი უფლება მოიპოვა უთანდებულო მოქმედებითმა და, მეორე მხრივ, მოხდა შენაცვლება: -ურთ თანდებულიანი მოქმედებითის ფუნქცია იკისრა -იან სუფიქსით წარმოქმნილმა სახელმა ვითარებით ბრუნვაში“ (იქვე, 176).

სვანურშიც იგივე მდგომარეობაა, მოქმედებითი ბრუნვით თანაობას სვანური ვერ აწარმოებს, აღნიშნულ ბრუნვაში სვანური თანდებულებსაც არ დაირთავს, თანმყოფობა-ერთადობას გამოხატავს ვითარებითში დასმული უბრალო დამატება **ლგ**- პრეფიქსის მეშვეობით:

დაბა უორს **ლგ-ბეჩ-დ** ახუჰახ ლესგთე (ლშხ.) „ყანის მიწას ქვიანად ყრიდნენ გვერდზე“

ლგ-კაბ-დ ათფილჷე ლწმხურთემსა (ჩოლ.) „კაბიანად შეალაჯა ცხენისწყალში“

ლიგეჷ ხაკუხ, **ლგ-ჟედ-დ** ხეტყცენიხ ლანყაჭუნლთე (ჩოლ.) „გაძლება უნდათ, ძაღლიანად დადიან („მოერღვევიან“) სასეირნოდ“

ვითარებით ბრუნვაში დასმულ უბრალო დამატებად ყველა ქართველურ ენაში არსებითი სახელი ან სათანადო ნაცვალსახელია წარმოდგენილი და გამოხატავს ახალ ვითარებას, გადაქცევას, გარდაქმნას, მიმართებას, დამოკიდებულებას და თანაობას.

აღნიშნული ბრუნვის სინტაქსური ფუნქციები სვანურში ძირითადად ქართულის მსგავსია, ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერა-

ტურაში მკვლევართა მიერ (ნ. აბესაძე, ვ. თოფურია, ა. კიზირია) არა-ერთგზის განხილულა.

„ვითარებით ბრუნვაში დასმული პირმიუმართავი დამატება ქართულში ჩვეულებრივ უთანდებულოა, მაგრამ შეიძლება თანდებულებად დაერთოს. უთანდებულო დამატება შეიძლება იყოს მარტივი ფორმითაც ან გვექონდეს -იან სუფიქსით წარმოქმნილი სახელი, ან კიდევ ნანათესაობითარი სახელი. ეს უკანასკნელი გვხვდება -მი თანდებულის დართვითაც. იშვიათად პირმიუმართავ დამატებად -მდე თანდებულისანი სახელიც გვაქვს“ (კიზირია 1982, 156).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვითარებითი წარმოებული პირმიუმართავი დამატებით შეიძლება გამოიხატოს თანაობა-თანმყოფობაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოცემული უბრალო დამატება, ქართულისაგან განსხვავებით, თანაობას ვერ გამოხატავს „... საამისოდ არსებობს საგანგებო თანდებული -ცახან||-ცხან“ (აბესაძე 1975, 8).

როგორც კვლევამ აჩვენა, აღმოჩნდა, რომ სვანურის ყველა დიალექტში და მათ შორის ჩოლოურულში, აღნიშნულ შემთხვევაში ვითარებითი დასმულმა უბრალო დამატებამ -ცახან თანდებულის დაურთველადაც შეიძლება გამოიხატოს თანაობა ლგ-პრეფიქსის მეშვეობით. ქართულში, როგორც ცნობილია, -იან სუფიქსიანი წარმოება გვაქვს, სვანურში კი ლგ-პრეფიქსიანი. მაგ.:

ლგრექჷდ ადყჷინე ბეფშჷ (ბზ.) „ტანსაცმლიანად დააწვინა ბავშვი“

ლგისჷ-ლგჯიჯჷდ ათჷიფხ ლამიანლისა (ლშხ.) „უკვალოდ დაკარგეს ომში“

ეჯჷი ხაიდენა, ერე **ლგვათჷდ** ლგმშიდინ ლელჷი ნაგმეჯარს (ჩოლ.) „ისე შიოდა თურმე, რომ თმებიანად იყრიდა ხორცის ნაჭრებს“...

ვითარებითი დასმულ თანაობის უბრალო დამატებას სვანურში მრავლობითის ფორმა არ გააჩნია, იგი არ დაირთავს მრავლობითის მაწარმოებლებს, თუმცა მრავლობითის სემანტიკა და გაგება ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს: „**ლგბოფშდ** აჩად“ შეიძლება გამოხა-

ტავდეს, როგორც მხოლოდობის - „**ბავშვიანად** წავიდა“, ისე მრავლობის - „**ბავშვებიანად** წავიდა“.

აღსანიშნავია, რომ ასეთი დამატების რიცხვი (მხოლოდობითა თუ მრავლობითი) წინადადების კონტექსტის მიხედვითაც ვერ დგინდება, თუ მთქმელმა თავად არ ნახა და არ განმარტა **ბავშვიანად** წავიდა თუ **ბავშვებიანად**.

წინადადებაში ყოველთვის წარმოდგენილია ან ნავარაუდევია ის წევრი, რომელთანაც უბრალო დამატება თანაობას გამოხატავს. ქართულის მსგავსად სვანურშიც ასეთი დამატება თანაობას ქმნის წინადადების მთავარ წევრებთან, ქვემდებარესთან (თუ ზმნა გარდაუვალია) და პირდაპირ დამატებასთან (თუ ზმნა გარდამავალია):

თანაობა ქვემდებარესთან: (ბზ.) **ლგჩჷედ** ანთენწ სერგო შდრ. (სერგო **ლგჩჷედ**ანთენწ) „ცხენიანად გამოჩნდა სერგო“

(ჩოლ.) **ლგ-ეხტ-ლგ-გზელ-დ** ოთრგანხ შუკუტს შდრ. (**ეჯადრ ლგ-ეხტ-ლგ-გზელ-დ** ოთრგანხ შუკუტს) „ცოლ-შვილიანად გაუდგნენ გზას („შუკას“)“

თანაობა პირდაპირ დამატებასთან: (ბზ.) **ლგძგუდ** ანტყაბე გუქი შდრ. (**გუქი ლგძგუდ** ანტყაბე) „თმებიანად („ჯაგრიანად“) შეწვა გოჭი“

(ლშხ.) **ლგდიმთილდ** იშგმინა ეხტ?! შდრ. (**ეხტ ლგდიმთილდ** იშგმინა?!) „სიდედრიანად ითხოვა ცოლი?“...

სინტაგმაში თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ზმნა-შემასმენელთან ერთად ქმნის სინტაქსურ წყვილს და მისგანვე იმართვის ვითარებითი ბრუნვის ფორმით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზედსართავთა ვითარებითი ბრუნვის **ლგ-** პრეფიქსიანი წარმოებით გადმოიცემა ვითარების გარემოება, ასეთ შემთხვევაში გვაქვს ფორმოზრივი დამთხვევა უბრალო დამატებასთან, თუმცა ფუნქციისა და სემანტიკის სხვაობა კონტექსტის საშუალებით ადვილად დგინდება, მაგ.:

ლგლდუჭუდ ხებლანჯრხი (ჩოლ.) „დებილურად („დევეურად“) გადააჯინდები“

ლგმწრად ხატულდა (ჩოლ.) „გამწარებულად („სწრაფად და ხმამაღლა“) ემახდა“

ლგსრყად ხეპსუხდა (ჩოლ.) „გაბრაზებულად („გაავებულად“) ეპასუხებოდა“...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „დამატება შეიძლება გვექონდეს ზედსართავ სახელებთანაც და ზმნისართებთანაც. ასეთი დამატება ჩვეულებრივ **-ზე** თანდებულიანია... სვანურში, როგორც ეს აღნიშნული აქვს ნ. აბესაძეს, ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართული **-ზე** თანდებულიანი ფორმების შესატყვისად იხმარება: **ქუეყანაჟი** ეჯდჷრდ ხოჩა დესა ლემარდ „ქვეყანაზე მათზე უკეთესი არავინ ყოფილა“. მკვლევარი ასკვნის, რომ „ეს გარემოება საინტერესოა მიცემით-ვითარებითის ურთიერთობის თვალსაზრისით. ივარაუდება, რომ ძველი ქართულის **ხ-უ-დიდ-ღს-ი** ტიპის ფორმებს თავდაპირველად უთანდებულო მიცემითი ახლდათ, რომელსაც სავსებით კანონზომიერად ენაცვლება უთანდებულო ვითარებითი“ (კიზირია 1982, 182-183).

სვანურში უბრალო დამატება, რომელიც უფროობით ხარისხთანაა დაკავშირებული, ვითარებით ბრუნვაში დაისმის და ხშირად ქართულის **-ზე** თანდებულიანი ფორმის სემანტიკისაა:

ზემჷმ **ჰიმკად** ხომულელ ლოქ ლი (ლშხ.) „ჰინკაზე ცოტათი უფრო დიდია“

სგობნე ნაყიდ **კაბდ** ხონხუწრლ ეთმურჯან (ჩოლ.) „წინათ ნაყიდ კაბაზე უფრო ვიწრო გამოადგა“

ამდ ხოდროლ დესმა მადენა (ჩოლ.) „ამაზე უარესი არაფერი მომსწრებია“...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოცემული თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ინტენსიურად დასტურდება, მისი სინტაქსური ფუნქცია ემთხვევა ქართულისას, თუმცა ქართულისაგან განსხვავებით მრავლობითი არ ეწარმოება.

მასალაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პირმიუმართავი დამატების წარმოება სვანურში უთანდებულო ბრუნვებში სავსებით ქართულისებურია, თანდებულთა მიერ სახელების ბრუნვაში მართვა კი ქართულისაგან განსხვავებულია განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სვანურში თანდებული ერთვის სახელს მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობითში.

ლიტერატურა

აბესაძე 1975 – ნ. აბესაძე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, თსუ შრომები, 164, ენათმეცნიერება, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975

გაზდელიანი 2013 – ე. გაზდელიანი, მოქმედებითი ბრუნვის ალომორფები სვანურში, იკე, XII

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, შრომები, ტ II, თბ., გამომცემლობა „ქართული ენა“, 2002

კვაჭაძე 1977 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., გამომც. განათლება, 1977

კიზირია 1982 – ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., გამომც. მეცნიერება, 1982

სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბ., გამომც. მეცნიერება, 1978

სვანური პოეზია, I, სიმღერების შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბ., გამომც. მეცნიერება, 1939.

NATO SHAVRESHIANI

A Simple Object in Svan

Abstract

A simple object is a noun or any word grammatically equal to it. It may or may not be postpositional. Just like in the Georgian language, it can be given in four cases – dative, genitive, instrumental and equative. However, the situation is different with a postpositional object as in Svan a postposition is added to a noun only in the dative and genitive cases.

In Svan a simple object in the equative case is attested very frequently. Its syntactic function coincides with the one in Georgian though it does not have a plural form.

ენო ციხიშვილი

მრავალზონობის გამოხატვის საშუალებები
ჟემო ჭედში ემიგრირებულ მთიულთა
მეტყველებასში

არაგვის ხეობაში კომპაქტურად დასახლებულმა მთიელებმა (ძირითადად, მთიულებმა, ფშავლებმა, ხევსურებმა) XIX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ჩამოსახლება დაიწყეს. მიგრანტთა ერთმა ნაწილმა მაშინდელ სიღნაღის მაზრაში შემავალი შავმიწანიადაგიანი შირაქი (ახლანდელი დედოფლისწყაროს რაიონი, ე.წ. ქედების ზონა) შეარჩია სამოსახლოდ. ახალი საცხოვრისის უხვმოსავლიანობით აღფრთოვანებულმა მოხინაღრეებმა „პურისბეღელიც“ კი უწოდეს მას. მანამდე შირაქის ველები მხოლოდ თუშ-ფშაველ მეცხვარეთა ზამთრის იალადებად იყო ქცეული. სოლომონ ყუბანეიშვილის გადმოცემით, 1889 წელს მეფის რუსეთის მთავრობას აქ რუსების დასახლება განუზრახავს. „ეს რომ მეცხვარე თუშებმა და ფშავლებმა გაიგეს, ფეხზე დადგნენ... გადაწყვიტეს, შირაქის ველები უმალ დაეკავათ. ამ მიზნით 1900 წლიდან, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, თანდათანობით იწყეს შირაქის ყველაზე კარგ ჩრდილო ნაწილში... დასახლება, სადაც გაუშენებიათ სამი სოფელი: „ზემო და ქვემო ქედი“, და ბოლოს მათ შორის მდებარე „არხილო“. ამ საქმეს მეთაურობდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც თუშ-ფშავლების რწმუნებულად ითვლებოდა“ (ყუბანეიშვილი 1937, 370-371). მართალია, მთიულთა შირაქში ჩასახლების საქმეში დიდი ვაჟას წვლილი. თუმცა, ადგილობრივების ინფორმაციით, ქედში პირველი მოსახლეები გაცილებით ადრე, XIX საუკუნის 90-იან წლებში თავისი ინიციატივით, ძირითადად, სახნავ-სათესი მიწების გამო მოსულან. მართალია, ვაჟა-ფშაველა ქედელთა დიდი გულშემატკივარი იყო. მაგრამ იმ დროს, როცა დიდი პოეტი ქვემო ქედში ბებიაჩემის მამის, თანდილა ხარხელაურის ოჯახში სტუმრად ჩამოდიოდა, ზემო ქედი უკვე გამართული სოფელი ყოფილა. სოფელს ჰყო-

ლია მამასახლისი, ჰქონია მოქმედი ეკლესია. სოფლის ერთ-ერთი პირველი მაცხოვრებელი ყოფილა, ჩემი დიდი პაპაც, სიმონ ციხიშვილი. მიგრაციის პროცესმა რამდენიმე ათეული წელი გასტანა. მთიულებით, ფშავლებით, ხევსურებით დასახლებული ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოს კალო ცხოვრების დონითა და მოსახლეობის რაოდენობით უძლიერეს სოფლებად იქცა. ერთმანეთთან და მეზობელ აბორიგენ ქიზიყელებთან საუკუნეზე მეტი ხნის თანაცხოვრებამ მათ ყოფა-ცხოვრებასა და მეტყველებას, ცხადია, თავისი კვალი დაამჩნია. საინტერესოა, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ როგორ იცვალეს სახე დიალექტებმა, რომლებზეც ეს ადამიანები საუბრობდნენ? რა შეინახეს და რა დაკარგეს? რა შეიძინეს და რა შეცვალეს? დიალექტი (ისევე როგორც ენა) ხომ ცოცხალი ორგანიზმია. „დიალექტებში ყოველთვის შეხამებულია არქაიზმები და ნეოლოგიზმები, ოღონდ ხან ერთია უფრო ჭარბად წარმოდგენილი, ხან კი მეორის ხვედრი წონა ათვალსაჩინოდ მეტი. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ისეთი დიალექტი, რომელშიაც სალიტერატურო ენასთან შედარებით ყველაფერი ახალი იყოს ან და ყველაფერი ძველი... ენობრივი სისტემის ყოველი რგოლი იცვლება ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის ცვლასთან დაკავშირებით დაამცვლის ნიადაგზე, მაგრამ არა ერთდროულად ყველა“ (ჩიქოვაძე 2010, 240). ამჯერად ჩვენი მიზანი მთიულურში ერთი კონკრეტული ენობრივი საკითხის განხილვაა. შევეცდებით, გავცნოთ ენობრივ გარემოს და გავარკვიოთ, რაწინაირად იცვალა სახე დიალექტმა, როგორ და რა საშუალებებით გადმოიცემა დღეს მრავალგზისობის გრამატიკული კატეგორია დედოფლისწყაროს რაიონში ემიგრირებული მთიულების მეტყველებაში.

გზისობა ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა, რომელიც გვიჩვენებს, ზმნით გადმოცემული მოქმედება ერთხელ შესრულდა თუ მრავალჯერ. ერთხელ შესრულებულ მოქმედებას „ერთგზისის“, ხოლო მრავალჯერ შესრულებულ მოქმედებას „მრავალგზისის“ სახელით მოიხსენებენ. რადგანაც მრავალგზისი მოქმედება „ხოლმეს“ შინაარსს შეიცავს, სპეციალურ ლიტერატურაში მას „ხოლმეობითსაც“ უწოდებენ. აქვე ვხვდებით სხვა სახელწოდებასაც: „თუ მოქმედება მეორდება, ის შეიძლება ჩვეულებად გადაიქცეს. ამიტომ მრავალგზისი ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოსცემს, რომლებიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმებს

ჩვეულ ებითსაც ეძახიან“ (შანიძე 1980, 211). მრავალგზისობა ახასიათებდა ძველ ქართულსდა ახასიათებს ახალ ქართულსაც. თუმცა „მრავალგზისობა ის მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელიც ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენებს შორის პრინციპულ განსხვავებას ქმნის; ძველი ქართულის სისტემიდან (ორგანული წარმოებიდან) ახალი ქართულის სისტემამდე (აღწერით წარმოებამდე) რთული გზა გაიარა“ (ახალი ქართული ენა, III 2017, 322). „ენა საჭიროდ მიიჩნევა ფუნქციურად დააპირისპიროს ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, მაგრამ ცვლის ამ დაპირისპირების სახეს: ერთ შემთხვევაში ეს მორფოლოგიურად ხდებოდა (და ხდება დღესაც ზოგ დიალექტში), მეორე შემთხვევაში ამ დაპირისპირებას არამორფოლოგიური საშუალებები ადხენენ“ (ახალი ქართული ენა, II 2016, 77). ძველ ქართულ ენაში ზემოხსენებული კატეგორია მწყობრად ჩამოყალიბებული სისტემით ფუნქციონირებდა, სადაც მრავალგზისობის შინაარსის გადმოცემას ოთხი მწკრივი ემსახურებოდა:

აწმყოს ხოლმეობითი: ხატავ-ნ იგი ხატვ-ედ იგინი

I (უწყვეტლის) ხოლმეობითი: ხატვიდ-ი-ს იგი ხატვიდ-ი-ან იგინი

II ხოლმეობითი: დახატ-ი-ს მან დახატ-ი-ან მათ

III ხოლმეობითი: დაეხატ-ი-ს მას დაეხატ-ი-ს მათ (შანიძე 1976).

ახალ ქართულში (გარდა რამდენიმე დიალექტისა) ძველი ქართულისეული ორგანული წარმოება აღწერითმა წარმოებამ ჩანაცვლა. ახალ სალიტერატურო ქართულში ორგანული წარმოების მოშლის შემდეგ, როდესაც უღვლილების სისტემიდან ზემოხსენებული მწკრივები გაქრა, მრავალგზისობის შინაარსის გადმოცემა „ხოლმე“ ნაწილაკმა იტვირთა. როგორც მიუთითებენ, დღეს ეს ნაწილაკი დაერთვის თითქმის ყველა მწკრივის ფორმას; თავად უწყვეტელ-ხოლმეობითის მწკრივი „ხოლმე“ ნაწილაკის გარეშეც ხშირად განმეორებული მოქმედების მნიშვნელობისაა; მრავალგზისობის შინაარსის ხაზგასმასა და გაძლიერებას ხელს უწყობს სხვადასხვა საგარემოებო სიტყვის (ხშირად, მუდამ, ყოველთვის, ყოველდღე) დართვა; ამავე ფუნქციას ასრულებს ფრაზაში ფორმათა გამეორებაც.

ცრემლოს წყალსავით ვღვრით ხოლმე (ილია);

ძალაუნებურად კეთილ გზისკენ გამიტაცებს ხოლმე (აკაკი);

ჭია-მატლები ერეოდნენ ხოლმე ხეხილსა (იაკობი);

ნეტა სიტყვას საქმედ ვაქცევდით ხოლმე (ევ. გაბ.);

მოდი, გიორგისაც დაეკითხე ხოლმე (ილია);

*ეგების აქედან ნინოს თვალი მოვკრა ხოლმეო (რ. ერისთ.);
კნენა თვალს გაახელდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა
ტახტიდამ (ილია);*

ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე (ილია);

ვკნე ვკნე ვერ დავკნე... (მაგალითები დამოწმებულია წიგნიდან ახალი ქართული ენა 2016)

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთაგან ძველი ქართულის ვითარება ყველაზე კარგად მთიულურმა შემოინახა. ორგანული წარმოების მწკრივებიდან მთიულურს I (უწყვეტლის) ხოლმეობითი და II ხოლმეობითი შემორჩა. სწორედ არქაული წარმოებაა ძირითადი ვარიანტი აქ მრავალგზისობის გამოხატვისა:

I (უწყვეტლის) ხოლმეობითი: ვ-ჟამ-დ-ი ვ-ჟამ-დ-ი-თ

ს-ჟამ-დ-ი ს-ჟამ-დ-ი-თ

ჟამ-დ-ი-ს ჟამ-დ-ი-ან

II ხოლმეობითი: ვ-ჟამ-ივ ჟამ-ი-თ

ს-ჟამ-ის ჟამ-ი-თ

ჟამ-ი-ს ჟამ-ი-ან

ძირსა ღერძი ჰქონდის, ღერძზე ტრიალებდის წისქვილი;

შაბაშ ვაჟის მაყრებო! – კიოდიან;

წმინდა პური დავთესით, მამრე მოვმკით ნამგლებითა, მოვიტანით, გავლეწით; რომ მოიდიან ცხენებით, მიადგიან თხრილსა, დეეცნიან და ჩაცვივდიან (მაგალითები დამოწმებულია წიგნებიდან: არნ. ჩიქობავა 2010; ახალი ქართული ენა, IV, 2017.)

მთიულურში მრავალგზისობის შინაარსს არქაული ფორმების გვერდით „კე“- ნაწილაკიანი დიალექტური ფორმებიც გადმოსცემენ.

„კე“ ნაწილაკი დაერთვის აწმყო-მყოფადისა და ნამყო უსრულის ფორმებს: *არც კი გვიკითხენკე ჩვენ; გადავარდებაკე კაცო, ჯორო; ბიძაჩემი იტყვისკე* (მაგალითები დამოწმებულია წიგნიდან არნ. ჩიქობავა 2010)

მთიულურშივე დასტურდება ე.წ. კონტამინირებული წარმოება, როცა ხოლმეობითის არქაულ ფორმებს (უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითს) დიალექტური „კე“ ნაწილაკი დაერთვის:

I (უწყვეტლის) ხოლმეობითი: ვ-ჟამ-დ-ი-კე ვ-ჟამ-დ-ი-თ-კე

ს-ჟამ-დ-ი-კე ს-ჟამ-დ-ი-თ-კე

ჟამ-დ-ი-ს-კე ჟამ-დ-ი-ან-კე

II ხოლმეობითი: ვ-ჟამ-ი-კე ვ-ჟამ-ი-თ-კე
ს-ჟამ-ი-კე ს-ჟამ-ი-თ-კე
ჟამ-ი-ს-კე ჟამ-ი-ან-კე

ხანდახან ჩიოდისკე ანდრია;

მემრე შაბაშ გაშლიდა ნათლია და შაბაშს იძახოდისკე;

ცხენები გაატყავისკე თავის პრიხოდში;

ქორწილი იცოდანკე სამი დღე (მაგალითები დამოწმებულია წიგნებიდან: არნ. ჩიქობავა 2010; ახალი ქართულიენა, IV 2017.)

შენიშნულია, რომ „სამივე წარმოების ხოლმეობითები ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება, ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი“ (ჯორბენაძე 1989, 284):

ფეჯით ილუწებოდა, ქვა ბოლოს მაიგონეს, ქვას მოუბიანკე, მამრე გაგანიავით (მაგალითი დამოწმებულია წიგნიდან ახალი ქართული ენა, IV 2017).

საანალიზო მასალისათვის ინტერვიუ რამდენიმე ადგილობრივ მოსახლესთან ჩავწერეთ. ინტერვიუსთვის სამი ასაკობრივი ჯგუფი შევარჩიეთ: 20-30-40-50 წლის (დაახლოებით 1970-დან 2000 წლამდე დაბადებულები), 60-70 წლის (დაახლოებით 1950-დან 1960 წლამდე დაბადებულები) და 80-90 წლის (დაახლოებით 1930-დან 1940 წლამდე დაბადებულები). საინტერესო სურათი გამოიკვეთა. ამათგან უმეტესობა დაბადებულია იქვე (ზემო ქედი, არხილოს კალო), მხოლოდ რამდენიმე – მთიულეთში.

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ I ასაკობრივი ჯგუფის (20-30-40-50 წლის) წარმომადგენელთა მეტყველებაში მრავალგზისობის შინაარსის გამომხატველ ფორმათა წარმოება სრულიად ახალი ქართულისებრია. აქ თითქმის არსად შეგვხვდრია არც დიალექტური და, მითუმეტეს, არც ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი წარმოება. III ასაკობრივ ჯგუფში (80-90 წელი) ვითარება აშკარად განსხვავებული და საინტერესოა. იმის გათვალისწინებით, რომ 80-90 წელს მიტანებული რესპონდენტები უკვე არცთუ ისეთი ადვილი მოსამიებელია, ინტერვიუთა მეტი ნაწილის ჩაწერა სწორედ ამ წლოვანების ადამიანებთან განვიზრახეთ. რაც შეეხება II ასაკობრივ ჯგუფს, 60-70 წელს მიღწეული ჩვენი ინფორმატორებიდან მრავალგზისობის შინაარსის გადმოსაცემად თითქმის აღარავინ მიმართავს დიალექტურ (და, რა თქმა უნდა, აღარც ძველ) წარმოებას. ეს ლოგიკურიცაა: ამ

თაობის წარმომადგენლები (დაახლოებით 1950-დან 1960 წლამდე დაბადებულები) იზრდებოდნენ იმ დროს, როცა მთიდან ბარად ჩამოსახლების პროცესი არსებითად უკვე დამთავრებული იყო. მართალია, კომუნიკაციის ძირითადი საშუალება კვლავაც მთიულური დიალექტი იყო (ოჯახი და სხვა გარემოცვა), სკოლამდელი აღზრდა და საშუალო სასკოლო განათლება დიდად განაპირობებდა მათ მეტყველებაში სალიტერატურო ქართულის ნორმების დამკვიდრებასა და ამის პარალელურად მთიულური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმების გაქრობას. 1952 წელს დაბადებული კაკო პატაშურის წინაპრები მთიულეთიდან (სოფელი ხევშა) დიდი ხნის წინ ჩამოსახლებულან სოფელ ზემოქედში. რესპონდენტმა ზემოქედშივე დაამთავრა საშუალო სკოლა. მის საუბარში ვერ შევძელით „კე“- ნაწილაკიანი და ძველი ქართულისეული ფორმების მონიშვნა. სამაგიეროდ, იქ, სადაც მრავალჯერ გამეორებული მოქმედების გამოხატვა სურს, ყოველთვის „ხოლმე“ ნაწილკს მიმართავს, ზოგჯერ კი აღწერითი წარმოების გარეშე, ოდენ მწკრივის ფორმებით ცდილობს ამის გადმოცემას: „*[ქორწილში] ხელადებით მიჰქონდათ ხოლმე ოროლილიტრა, ქადა-პური... ბალებს კი არ გვიშობდენ მაგიდაზე... ჯამებით ხორც-წვენი ჩამოტარდებოდა.*“

„*[სკოლიდან] დავდიოდით რაიონის სახელით ზემო ქედის გუნდი საქართველოს პირველობაზე. ოცდაათი სახეობიდან ოცდაათივე თასი ჩვენ ჩამო[გვ]ქონდა ხოლმე სოფელში.*“

„*[რთველის დროს] როგორი რიგები იდგა ხოლმე, ვერ ასწრებდენ გადამუშავებასა. კინალამ მარნიდან ქვემო ქედის ბირჟამდე იყო ხოლმე რიგი, იმოდენა მანქანები იყო ხოლმე დატვირთული.*“

„*[ჩეხოსლოვაკიაში] ექვს ქალაქში ვიყავით. იქ გვხვდებოდენ ქალაქის მერები, ისინი გვაფინანსებდენ... ყველა ქალაქში ვმართავდით ხოლმე კონცერტს.*“

„*აურდღლეები ჰყავდათ, ერთ ნაკვეთს რო გააძობდენ, მერ სხვაგან გადაუშვებდენ.*“

„*ცხვარი უდგათ ხოლმე ყოველწლიურად.*“

ანალოგიური სურათს ვხვდებით ნინელი უშარიძის (დაბადებულია 1960 წელს სოფელ არხილოსკალოში, გათხოვილია ზემო ქედში. მისი წინაპრებიც მთიულეთიდან, ქვეშეთიდან ჩამოსულან) მეტყველებაში: მრავალგზისობის შინაარსის გადმოსაცემად რესპონ-

დენტი მხოლოდ აღწერით წარმოებას ან ჩვეულებრივ მწკრივის ფორმებს იყენებს. აქაც არსად ჩანს ორგანული ან დიალექტური წარმოების კვალი:

„მიჰყავდა ხოლმე ბავშვები, მეც მიყავდი.“

„გამომაქვს ხოლმე პერიოდულად.“

*„შოთაძე ეგეთი იყო, რო ვბარავდით, ერთ ბალახს არ დაატო-
ვდა.“*

*„ლოკმა-პურს არ აწვდის, ელიკო დეიდა და ხანდახან ჩვენ მი-
ვაწვდით.“*

„იშვიათად გამეეროდა ვინმე.“

თუმცა ძალზე იშვიათად გვხვდება ამავე თაობის თითო-ორო-
ლა წარმომადგენელი, რომლებსაც ჩვენთან პირად საუბარში დია-
ლექტური ფორმებიც „წამოსცდენია“:

„დედაა იტყვის კე.“

„არც კი შაიჭამს კე.“

„რავი რა მეელანდება კე, ხან გამარჯვებას არ მეუბნება.“

ჩვენი ინფორმატორებიდან უხუცესი ქეთო მნათობიშვილია, დაბადებული 1927 წელს სოფელ არხილოსკალოში და მერე ზემო ქედში გათხოვილი. მისი წინაპრები ხანდოს ხევიდან უფრო ადრე ჩამოსულან. ამბობს, რომ სკოლიდან დედამ გამოიყვანა, უმცროსი დის გაზრდაში რომ მიხმარებოდა. საგულისხმოა, რომ სულ რაღაც 17-წუთიან საუბარში (მალე დაილალა) 8-ჯერ გამოიყენა ჩვენმა რეს-
პონდენტმა კონტამინირებული წარმოება, მაგრამ მრავალჯერ განმე-
ორებული მოქმედების გამოხატვისას არ უხმარია „ხოლმე“-ნაწილა-
კიანი ფორმები. ამ მნიშვნელობით კონტამინირებულ ფორმებს უწყვეტლის მწკრივის ზმნურ ფორმებს უნაცვლებს. თუმცა მის საუ-
ბარში დავადასტურეთ ორგანული და წმინდა დიალექტური (ოდენ „კე“-ნაწილაკიანი) წარმოება:

*„პატარა იყო ბეჩავი ჩემი და, პატარა იყო და წამამყვის კე ხან-
დახანა, წამამყვის კე და წავიყოლი კე, ხალხში გავიყვანი კე, რო
ხალხში იყოს-მეთქი. უჩემოდ ვერა მძლებდა, ვერა.“*

*„აკვნი დრო იყო, ხელმარტო ვიყავ, [ვ]უვლიდი. დაიწყებდა
ტირილსა, ვამ ჩემ დღეს უნდოდა, დედამ ვაძღვედი ჩამაგდებდა...
მე გამაზღვიანა დედამა ჩემი და.“*

„ხელაღები იყვის კე, ნაყიდი ჭურჭელი, შუშისა გ[ვ]ქონდის კე ყველაფერი.“

„[ერთ კაცს] [ვ]უყვარდი და ჩემ ძმას [ვ]უთხარ მემრე, აესე ესეა-მეთქი და არ მანებებს თავსა. მეუბნება-მეთქი, რო სიყვარული უნდა გამოგიცხადო, დაიცა. **დამაყენებდა ვითომ და არ დავდგი კე, მივდიოდი მაინცა, ჩემ გზას ვახანებდი. მაინც იმას არ დავრჩი, არა.**“

ლიდა ჩოხელი (დაბ. 1930 წელს სოფელ გვიდაქეში) და მამო კედელაშვილი (დაბ. 1934 წელს სოფელ ხევშაში) ზემო ქედში მოგვიანებით ჩამოვიდნენ. კერძოდ, ლიდა ჩოხელი 1947 წელს ჩამოუყვანიათ და იქვე გათხოვილა, მამო კედელაშვილი კი კიდევე უფრო გვიან, 1969 წელს ჩამოსახლებულა ოჯახთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ლიდა ჩოხელმა ბავშვობის დიდი ნაწილი მთიულეთში გაატარა, მისმა მონათხრობმა მოლოდინი არ გაგვიმართლა. ჩანაწერში გაგვიჭირდა დიალექტური და კონტამინირებული ფორმების აღწერა, ორგანული წარმოება კი საერთოდ არ შეგვინიშნავს:

„მე არავინ **მამებმარება კე.**“

„ვერ ვიტყვი კე.“

„ევამ გაზეთები **ჩამაიტანის კე იქ, კალოზე.**“

სამაგიეროდ ხოლმეობითობის შინაარსის გადმოსაცემად ჩვენი რესპონდენტი აქტიურად იყენებს „ხოლმე“-ნაწილაკიან ფორმებს.

„ჩემი დედინაცვალი ფერმაში მუშაობდა. **ავიკიდებდი ლადოს, გავიყვანდი, მაწოებდა ძუძუს და წამოი[ვ]ყვანდი შინა. გზაში დამეწეოდა ციებ-ცხელება, გზაზე დავწვებოდი. ი ბაღს დავაჯდენდი დაბლა. ჯერ გამაციებდა, მემრე მამცემდა სიცხეს და მწეხვდა ხოლმე: ლიდა, წავიდეთ ჩემ სახში. გონზე რო მო[ვ]ილოდი, წამო[ვ]იყვანდი სახში. აესე ვწვალობდი.**“

„ერთი კოკა აქონდა მარუასა, **ავიკიდებდი, წავილებდი წყალოზე.** ბირჟიდან **ამამქონდა** კოკით წყალი.“

„მთიულეები **აცხოზდნენ** ქალებსა და **გადიოდნენ** აღდგომას [საფლაოზე], კვერცხებს **შადლებავდნენ.**“

„მაგი დედაც ხო ქავთარაძე იყო... **მიამზობდა ხოლმე, დედაშენს ვიცნობდიო.**“

ერთ ფრაზაში გვერდიგვერდ გვხვდება მრავალგზისობის გამომხატველი აღწერითი და კონტამინირებული ერთი და იმავე შინაარსის ფორმები:

„ხან მეტყოდენ ხოლმე, იესური ტანსაცმელი დაწვიო, იქნება შლოცვილიაო. რავი, ხან რა მითხრიან კე, ხან[რა].“

ჩვენს რესპონდენტს ქედში ჩამოსვლამდე რამდენიმე წელი სტავროპოლის მხარეში, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების მიერ ოკუპირებულ დაბა პრახლადნიში მოუწია ცხოვრება. აქ ჯერ კიდევ ომამდე ჩავიდა მისი ოჯახი საცხოვრებლად, სადაც სხვა ქართველებიც (სავარაუდოდ, მთიულები) იყვნენ. ლიდა ჩოხელი იხსენებს:

„გერმანელები იქ იყვნენ. მანქანა ედგა ჩვენსა, საპოვრო. იქ აკეთებდნენ კერძებს და აჭმევდნენ [ტყვეებს]... ჩვენ კიდე, ბალები შავცქერდით, რო დეევდოთ საჭმელი. აესე დავითაგებდით ხოლმე, გერმანელები არაფერს არ აშავებდნენ. რუმინელები იყვნენ ფინთები, დადიოდნენ, შტიკები დააჭკონდათ. ჩვენ რო პატარები ვიყავით, [გერმანელები] ხელით გვანიშნებდნენ, – აი, მენცაო იქა მყაო [შვილები]. მემრე დაგვირიგებდნენ კამფეტსა. თუ სადამოთი გამოიდოდნენ და პროხასა ძწველდა ჩემი დედანაცვალი, წაიღებდნენ რძეს. თუ არა და, არ ენდობოდნენ, მოგვწამლავენო, იქ დაუყარაულებდნენ ხოლმე.“

შესაძლოა ესაც იყოს ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც დიალექტური ფორმების მივიწყებას შეუწყო ხელი. თუმცა რესპონდენტი თავად ასე ხსნის ამის მიზეზს:

„ზემო ქედის სკოლაში დავდიოდი. ეს გვრიტიანთ კოლაჲ დამცინოდა, მთიულურად რო ვლაპარაკობდი: აბა, გვიდაქელო, როვორჲ ხარ, გაკვეთილს მამიყვები? (ცდილობს, მთიულურად მოუქციოს. – ნ.ც.). მცხვენოდალა ბავშვებისაცა და გამო[ვ]ედ სკოლიდანა. დამცინოდნენ, „კეს“ რო ვამზობდი და თავისთავად გადავეჩვიე.“

როგორც უკვე ვთქვით, მაშო კედელაშვილმა საკმაოდ გვიან დატოვა მთიულეთი. ჩვენს რესპონდენტთაგან სწორედ მის საუბარში დავითვალეთ შედარებით მეტი დიალექტური – კონტამინირებული და ორგანული (ძველი) წარმოების ფორმები. საყურადღებოა ისიც, რომ ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ვერცერთი აღწერითი („ხოლმე“-ნაწილაკიანი) ფორმა ჩანაწერში ვერ ვნახეთ. ნაცვლად ამისა, ინფორმატორი მრავალგზისობის ფუნქციით აქტიურად იყენებს სხვადასხვა მწკრივს:

„მერე გამიკეთეს შრატი. კიდენ ამოდით ორჯელ. მე უთხარ, ახლა შენი დანახვა აღარ მინდა, აქედან წავიდე, აქ თულა ამუალ... ინანებო... ეხლა ვინანებ კე კი. დამიწყებს კე ტკივილსა და აქ გადმამცემს.“

„ხანდახან უკან-უკან წავიდი კე სუ.“

„მე მითხრიან კე, შენი ქმარი როგო ყბებსა ფგრეხავსო (ე.ი. როგორ კარგად ლაპარაკობს მთიულურადო – ნ.ც.).“

„ჩვენთან ძაან დიდი თოვლი იცოდის კე.“

კონტამინირებული და ორგანული წარმოების გვერდით ძირითადად უწყვეტლისა და ხოლმეობით-შედეგობითი მწკრივის ფორმები გვხვდება:

„ხან ამითრივიან ხარებმა და წამილიან, ხან ვტიროდი, მიჭირდა.“

„ღამე იყვის კე, მთვარიან ღამეში ყანებსა ვმკიდით. გათენდებოდა, მერე მთაში მივდიოდით, სახვეტელსა ვხვეტავდით, თივებს ვაგებდით.“

„იქ ქობი გ[ვ]ქონდა ჩვენა, რო აქ გვაწიოკებდენ და იქ არხეინად ვიყავით, არავინ არ გვაგნებდა იქა. შუა ტყეში ვიყავით. ღამე კი გვეშინოდის კე, მაგრამ ქობში კი არა ვდგებოდით, ქობის განაპირად ვიყავით, რო ვილაცა არ მოსულიყო და არ შავეშინებინეთ.“

„ახალზე არ იცოდენ იქა ახალი წელი, ძველზე იცოდენ იქა. წავიდოდენ, დედაჩემი თაფლს იყიდოდა. თაფლი ამაძქონდის კე, ჩვენ ის გვიხაროდა.“

„ამის მერე [ბედის კვერს] თოკს შაბავდენ, დააჰკიდებდენ სადღაცა კუთხეში. გავიდოდა ერთი კვირა, ერთ ლუკმას მოატებენ, [ეტყვიან], მშვიდობით წადი. კიდენ, აი ესე, მშვიდობით წადი. სუ ისე გააძქონდათ და ყრიდენ ლუკმებსა.“

ნინო ჩიტაურსა და მერი ჩოქურს ბევრი რამ აქვთ გასახსენებელი. ორივე 1938 წელს ზემო ქედშია დაბადებული. წლების მანძილზე ორივე მათგანი სოფლის საბავშვო ბაღის სამეურნეო ნაწილის თანამშრომელი იყო. ორივე იუმორის საოცარი გრძნობითაა დაჯილდოებული. მათ მონათხრობში საინტერესო ვითარება გვხვდება: აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ძველი, ახალი, დიალექტური და კონტამინირებული ფორმები. მათ მეტყველებაში სპორადულ-

ლადაა შემორჩენილი ძველი ქართულსეული ხოლმეობითის ფორმები:

„**ამო[ციხე]დი**, ისევ კოკებსა ყიდულობდენ. კიდე ჩავიდი იქ. აესე გავიტანჯე.“ (ნ.ჩ.)

„რა კოკების დღე მაქ-მეთქი, მუცელში რამე მივლის და **გავა-ჩერებინი** [ავტობუსი].“ (ნ.ჩ.)

„რო **იდღეზავდის** და სადღობლიდან ველარც კარაქი ამო-აქონდა, ი მაშინაში **იდღეზავდა**, შვილო. რო ჩადრთავდა ამ მაშინას და ატრიალებდა, იდღვიბებოდა ჩვეულებრივად.“ (მ.ჩ.)

ბოლო მაგალითში მრავალგზისობის გამომხატველი ძველი (I ხოლმეობითი) და ახალი (უწყვეტელი) საშუალებები დგას ერთმანეთის გვერდით (**იდღეზავდის** – **იდღეზავდა**). ორივე რესპონდენტი იყენებს კონტამინირებულ ფორმებს:

„რაც იქ ვიცინით კე, ვაიმე, რაც იქ ვიცინით კე.“ (ნ.ჩ.)

„მერე ჩვენ **გავაგრძელით კე**.“ (ნ.ჩ.)

„მე კიდე შინ ვიყავ, ესმა მყვანდა პატარა და **მი[ვ]უკრი კე** [თონეში] პური, თუკი დამავალებდენ.“ (ნ.ჩ.)

„საცა ვმუშაობდი, იქაც **კარგა ვიყვით კე** ძალიან.“ (ნ.ჩ.)

„შალიკო ას ლიტრას მაიტანდა, ასი ლიტრა ზეთი **მედგის კე**.“ (მ.ჩ.)

„**გამამხედის კე**, შუქი უნთიაო მერიკოსაო.“ (მ.ჩ.)

„ინდაურებსა ვზდიდით, ორმოცი ინდაური **გყავდის კე** მე და ჩემ დედამთილსა.“ (მ.ჩ.)

„**უკლავდა** დედაჩემი, იხსენებდა [მამას], **უკლავდის კე** ხან ცხვარასა, ხან რას.“ (მ.ჩ.)

ამ უკანასკნელშიც ერთსა და იმავე ზმნასთანაა გამოყენებული ორი განსხვავებული წარმოება (**უკლავდა** - **უკლავდის კე**).

იმავითად დასტურდება „კე“-ნაწილაკიანი დიალექტური ფორმები:

„შტოფებს **შაიდგამს კე** შალიკო იმაში.“ (მ.ჩ.)

„ერთი ბეწო საროჩკას მაიტანენ და რამდენს **იტყვიან კე**, მე დიდსა ვყიდულობდი მაგ ფასში.“ (მ.ჩ.)

„ხან **ვიტყვი კე**, მოდი დავანებებ თავს, აღარ დავლევე წამლებსა.“ (მ.ჩ.)

რესპონდენტების საუბარში მოჩანს აღწერითი წარმოებაც:
*„ეხლა გავხედავ ხოლმე, ბავშვები რო სკოლაში მიდიან და ვხე-
დავ, როგორი ჩაცმულები მიდიან.“ (ნ.ჩ.)*

*„პერაშკები გამქონდა [ალილობას], შვილო, პერაშკებს ვაცხოზ-
დით ხოლმე.“ (მ.ჩ.)*

„დიდი ამბით ვხვდებით ხოლმე [ახალ წელს].“ (მ.ჩ.)

უფრო ხშირად კი ცაკლეული მწკრივები გადმოსცემენ ხოლ-
მეობითობის შინაარსს:

*„ერთადა ვჭამდით, ერთადა ვსვამდით, ერთ ჯამშიც გვიჭამია
ხშირდა, ლუკმას შუაზე ვიყოფდით.“ (ნ.ჩ.)*

*„ხშირად ცომს მოაზელავდა აე მართა ბაბო. დამიძახებდა,
ცომი ამოა, ნინა, მალეო და დააკროდეო.“ (ნ.ჩ.)*

*„იმ ბაღში ვილაცა შემოდოდა და რალაცას გვიშავებდა, რავი,
გვპარავდა რალაცასა.“ (მ.ჩ.)*

*„დიდი [კასრი] მქონდა, გავავსებდი ყველით. რო ჩამოიდოდ-
ნენ, სუ დაცარიელდებოდა.“ (მ.ჩ.)*

საუბარში ცოტა ხნით მერი ჩოქურის მეუღლე, მისივე თანა-
ტოლი შალვა პატაშური გვერთვება. ისიც იქვეა დაბადებული და გა-
ზრდილი, მაგრამ მის საუბარში ვერსად ვხვდებით ვერც ძველ და
ვერც დიალექტურ (შესაბამისად, ვერც კონტამინირებულ) ფორმებს.
ლომისის წმინდა გიორგის სალოცავში გამართული ხატობის სცენა-
ში მრავალგზისი მოქმედების გადმოსაცემად იგი ახლებურ წარმოე-
ბას არჩევს:

*„დეკანოზი რო სანთელს აანთებს, შეუტუსავს [შუბლს
ცხვარს], გკითხავს, ვინა ხარ, საიდან, როგორა, დაგლოცავს. მძლივ
გაჩერდება ხოლმე იმ ლოცვაში.“*

„გაიჭედება ხოლმე ეს ფილტვები წყალში.“

„თვეში ერთხელ დავდივართ რაიონში.“

ვფიქრობთ, საშუალო სკოლის შემდეგ უნივერსიტეტში მიღე-
ბული უმაღლესი განათლება და დედაქალაქში გატარებული სტუ-
დენტობა ერთ-ერთი ხელშემწყობი გარემოება უნდა იყოს, რომელიც
ინდივიდის ენობრივი პოზიციის განსაზღვრაში გარკვეულწილად
მონაწილეობს. მხოლოდ ამით თუ შეგვძლია ავხსნათ ის ფაქტი, რომ
ამავე სოფელში 1936 წელს დაბადებული ქალბატონის მეტყველება-
ში ვერ ვპოულობთ ვერც „კე“-ნაწილაკიან და ვერც ძველი ქართუ-

ლისეული ხოლმეობითის ფორმებს. მართალია, მაცვალა მელიქიშვილის საუბარში მთიულურისათვის დამახასიათებელ სხვა თავისებურებებს ვხვდებით, მაგრამ ხოლმეობითობის შინაარსის გამოხატვისას მხოლოდ ახლებურ წარმოებას მიმართავს ჩვენი რესპონდენტი:

„ზოგჯერ ხმა რო მეყურება, მგონია, რო ვიღაცა არი.“

„მოიძოდა, ვნახავდი წუთითა, დილით წავიძოდა.“

„მანანამ მითხრა, ძალიან სტუმრიანობა მაქო და მხოლოვანებს ვაცხოზ ხოლმეო. იმდენ ერბოს გაურევეს ხოლმე.“

„ლამი მოგ[ვ]ქონდა გედიქის ხევიდანაო. ნუკრიანშიო ვირებს დავიქირავებდითო ხურჯინებითაო, იქვე ლამს დაატვირთავდენო და ჩამოგ[ვ]ქონდაო.“

„ეგენი მიდიან ხოლმე, ეგენი მუდმივად მიდიან.“

„ხან მჟავანასა ვყიდიდი, ხან ტყემალსა, იქა ვრჩებოდი ხოლმე დამეო.“

მით უფრო ლოგიკურია მრავალგზისობის წარმოების მხოლოდ ახალი ტიპის არსებობა ნინო წიკლაურის საუბარში. ნინო წინა რესპონდენდზე 10 წლით უმცროსია. დაიბადა 1944 წელს არხილოსკალოში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, მერე – თბილისის ზოო-ვეტერინალური ინსტიტუტი:

„პირველად რო გამოგვიყვანეს ტელეფონები და რო იტყოდნენ, რო ისეთი ტელეფონები უნდა გამოიგონონ, რო დაინახო კიდევცაო, მიკვირდა.“

„რო წამოიზარდნენ, მერე უკვე თვითონ რთავდნენ ნაძვის ხეს.“

„ყოველთვის ვცდილობ... რო ყველაფერი გავაკეთო აღდგომას...რავი ყოველთვის ავღნიშნავდით.“

„[სკაიპში] ერთდროულად ერთი სამი-ოთხი ჩამერთვება ხოლმე.“

„ისეთ რამეებს მეტყვის ხოლმე, აი, აქ რო მუშაობს, ან რაღაცას აკეთებს, ისეთ რამეებს მეტყვის, გამიკვირდება ხოლმე.“

„ჩემი დედამთილი ზრდიდა ხოლმე ინდაურებს.“

დავასკვნით: დედოფლისწყაროს რაიონში ემიგრირებული მთიულეების მეტყველებაში მრავალგზისობის გრამატიკული კატეგორია რამდენიმე ფორმით გადმოიცემა. გვხვდება ძველი (ორგანუ-

ლი), ახალი, დიალექტური („კე“-ნაწილაკიანი) და კონტამინირებული წარმოება. მრავალჯერ განმეორებული მოქმედების გამოსახატავად აღნიშნულ მეტყველებაში ყველაზე აქტიურად ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი წარმოება („ხოლმე“-ნაწილაკიანი ანუ აღწერითი ფორმები და ცალკეული მწკრივები) გამოიყენება. „ხოლმე“-ნაწილაკიანი ფორმები ვერ დავადასტურეთ მხოლოდ უზუცესი რესპონდენტისა (ქ.მ.) და ზემო ქედში ყველაზე გვიან ჩამოსული ქალბატონის (მ.კ.) საუბარში. ორგანული წარმოების (ძველი ხოლმეობითის) ფორმები აქა-იქ სპორადულადაა შემორჩენილი მხოლოდ III ასაკობრივი ჯგუფის (80-90 წელი) რესპონდენტთა მეტყველებაში (*ამითრივიან, წამილიან, გავაჩერებინი*). ამავე ჯგუფთან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება დიალექტური („კე“-ნაწილაკიანი) წარმოება. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო იშვიათია II ასაკობრივი ჯგუფში და საერთოდ აღარ არსებობს იგი I ასაკობრივი ჯგუფის (50 წლამდე) წარმომადგენლებში. აღსანიშნავია, რომ ხოლმეობითობის შინაარსის გადმოსაცემად III ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები „კე“-ნაწილაკიან ფორმებზე უფრო ხშირად კონტამინირებულ წარმოებას მიმართავენ. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ თავად მთიულურში კონტამინირებული წარმოება ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა „კე“-ნაწილაკიან წარმოებას. მთიულთა ბარად ჩამოსახლების პროცესი იმ დროს დაემთხვა, როცა ჯერ კიდევ კონტამინირებული ფორმები დომინირებდნენ მთიულთა მეტყველებაში. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ადგილნაცვალი პირები ყოველთვის მეტ-ნაკლებად ინახავდნენ ენის (ან დიალექტის) განვითარების იმ საფეხურს, რომელზედაც მოუწიათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება. ჩვენი რესპონდენტების მეტყველებაც ამ ვითარებას უნდა ასახავდეს.

ლიტერატურა

ახალი ქართული ენა 2016 – ახალი ქართული ენა (სალიტერატურო ენის მორფოლოგია), II, თბილისი, 2016.

ახალი ქართული ენა 2017 – ახალი ქართული ენა (დიალექტების მორფოლოგია, კრებსითი ანალიზი), III, თბილისი, 2017.

ახალი ქართული ენა 2017/ა – ახალი ქართული ენა (დიალექტების მორფოლოგია, პარადიგმები), IV, თბილისი, 2017.

ყუბანიეშვილი 1937 – ს. ყუბანიეშვილი, ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1937.

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი, 1980.

ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, შრომები, II, თბილისი, 2010.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.

NINO TSIKHISHVILI

Ways of Expressing Recurrence in the Speech of Migrated Mtiuletiens in Zemo Kedi

Abstract

In the speech of Mtiuletiens migrated from Mtiuleti to the municipality of Dedoplistskaro (Zemokedi, Arkhiloskaro) the category of recurrence is expressed in different forms. Old (organic), new, dialectal (with the particle **ქე**) and contaminated word formation can be found at the same time. In order to express an action repeated several times, in the above-mentioned speech the formation typical for New Georgian is most actively used (the forms with the particle **xolme** or the descriptive forms and separate screeves). The forms of the organic formation (old iterative) are sporadically preserved in the speech of 80-90 years old respondents. The same group rarely uses dialectal (with the particle **ქე**) formation. The particle **ქე** is even rarer with 60-70 years old respondents and no longer exists in the speech of 50 years old or younger people. As for the contaminated forms, like dialectal, they are rarely attested in the speech of 80-90 years old respondents.

ენოლო ვიკლასური

კითხვითი ა' და მვ' ნაწილაკისათვის სალიტერატურო
ქართულსა და დიალექტებში

ძველ ქართულში წინადადებაში ხშირად მოიპოვებოდა კითხვითი ა ნაწილაკი, რომელიც წინადადებას კითხვითად აქცევდა.

ა' ნაწილაკი ჩვეულებრივ ზმნას დაერთვოდა, მიუხედავად იმისა, სად იყო წინადადებაში: თავში, ბოლოსა თუ შუაში.

კითხვითი ა'ს შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი „უნდა მომდინარეობდეს ჰა-დან, რომელსაც ჩვენ ახლაც წარმოვთქვამთ. შეკითხვისას ხევსურები ჰა-სთან ერთად ჰე-საც ამბობენ. უფრო ხშირად დამახების პასუხად ამბობენ ხოლმე: “ჰა ბეწუკანავ! ჰე, ჰეე?..” (ჭინჭარაული 1960, 187).

ქართულ ენათმეცნიერებაში არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის ავტორიც ე. ბაბუნაშვილია: „წარმოშობის თვალსაზრისით, ძველი ქართულის კითხვით ა' ნაწილაკს ვერ დავუკავშირებთ ვერც უარყოფით არა-ს და ვერც ახალი ქართულის ჩაკითხვით ჰა-ნაწილაკს” (ბაბუნაშვილი 1953, 131).

ორივე მოსაზრებას ჰიპოთეტურად აფასებს მ. ფაღვა და საკითხის განსახილველად დამატებითი კვლევის საჭიროებაზე საუბრობს (ფაღვა 2009, 29).

ძველ ქართულში კითხვითი -ა' იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში არ გვაქვს კითხვითი სიტყვა. ა.შანიძის დაკვირვებით, „იგი ერთვოდა ყოველგვარ სიტყვას (სახელს, ზმნას, უდეტრს), უმეტესად მაინც ზმნას” (შანიძე 1980, 608).

მაგალითად: შენ ჩემდა მოხუალა? (მთ. 3,14).

ა' ნაწილაკის ეტიმოლოგიისაგან განსხვავებით, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ერთიანობაა ა'-ს ფუნქცი-

ის შესახებ (იხ. იოსელიანი 1963, 64; ჩუბინაშვილი 1987, 2; შანიძე 1980, 608; ბაბუნაშვილი 1953, 247...).

ა'- ნაწილაკი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების ენაშიც გვხვდება, ცოცხალია ამჟამადაც ქართულის ზოგ კილოში, დასტურდება მეცხრამეტე საუკუნის ავტორებთანაც.

კითხვითი ა' ნაწილაკი მიჩნეულია საერთოქართველურ კუთვნილებად. ა'-ს ფუნქციური და ნაწილობრივ ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.

დაისმის კითხვა: იყო თუ არა უძველეს ქართულში კითხვითი ა'-ნაწილაკი მახვილიანი? პასუხისათვის უნდა მივმართოთ მონათესავე ენათა და ქართული ენის იმ დიალექტთა მონაცემებს, რომლებშიც ჯერ კიდევ ცოცხალია აღნიშნული ნაწილაკი.

მეგრულში ა'-ს ფარდი კითხვითი ნაწილაკია – **ო**, რომელიც ზმნას დაერთვის. ასეთ წინადადებაში კითხვის მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სვანურსა და ჭანურშიც, რასაც ვერ ვიტყვით ქართული ენის ზოგიერთ დიალექტზე, მათ შორის ფშაურსა და ზემო-რაჭულზე, სადაც ერთ შემთხვევაში კითხვითი მახვილი პირველ მარცვალზე ფიქსირდება, ხოლო მეორე მხრივ – ა'-ს წინამავალ მარცვალზე ხდება ხმის ამალღება.

ა. შანიძე წერს: “თუ სალიტერატურო ენის დღევანდელ ვითარებას მივაქცევთ ყურადღებას და ვივარაუდებთ, რომ კითხვით ა' ნაწილაკიან სიტყვაში მახვილი იქვე ზის, სადაც ძველად უნდა ყოფილიყო, უნდა ვთქვათ, რომ მახვილი ა'-ნაწილაკს არ უნდა ჰქონოდა (როგორც არ აქვს მის შესატყვის ო-ნაწილაკს მეგრულში), მახვილი უნდა ჰქონოდა იმის წინას: შენ ხა'რა? (სი რე'ქო?) (ა. ჩიქობავას დაკვირვება).

უმახვილო ა' დასუსტებულა და შემდეგ სულ გადავარდა (შანიძე, 1980, 608).

სავარაუდებელია, რომ უძველეს ქართულში მახვილი კითხვით ა' ნაწილაკზე მოდიოდა. უნდა გვქონოდა “უწყია' ხუცეს?” და არა “უწყია' ხუცეს?”

საფიქრელია, რომ კითხვით ა' ნაწილაკიან სიტყვებში ორი მახვილიც გვქონდა, რომელთაგან ერთი სწორედ ამ ნაწილაკს

ეცემოდა, როგორც ამას ნ. მარი და მ. ბრიერი ვარაუდობენ (Marr, Briere 1931, 27. ვიმოწმებთ, მ. ფაღავა 2009 მიხედვით).

ე. ბაბუნაშვილის დაკვირვებით, კითხვით ა'-ს დაკარგვა “დაწყებულია უკვე ძველ ქართულში. ამას ნათელყოფს ოთხთავის პარალელური რედაქციების შედარება: ერთ რედაქციაში კითხვითი ა' არის, მეორეში კი-არა” (ბაბუნაშვილი 1953, 129).

კითხვითი ა' დაკარგა სალიტერატურო ენამ და დიალექტთა ერთმა ნაწილმა. დღემდე შემოინახა იგი ზოგიერთმა კილომ.

მახვილიანი რომ არ ყოფილიყო კითხვითი ა', ძველ ქართულშივე დაიკარგებოდა. მახვილი ამაგრებდა მას სიტყვის ბოლოს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ქართული ენის ზოგიერთი კილოს მონაცემები. კერძოდ, მახვილიანია იგი თუშურში, ამ მოსაზრებას ამყარებს სამხრული კილოების მონაცემებიც, სადაც კითხვითი ა' ცოცხალია და მახვილიც სწორედ მასზე მოდის. მაგალითად:

მუჰაჯირები: ინათიანი ხარა? (ჩვ. ქართ. 40).

შავშური: ინეგოლს შიგან ხარა?; ისა არია?; იქვერობას ცნობილოფსა?

(ფუტკარამე. 11).

კლარჯული: ტანზე რასა ვიცვამთა?; მეა' თუ?; დღეს ქორწილი არია?;

სადამოს ვჭამა' ა? (ფუტკარამე, 18-19).

ტაოური: შენ ხარა? მეა?; (ქვაბაგი); ამა ვიმღერიმეა' თუ? (იქვე).

დღეს აჭარულში კითხვითი ა' აღარ იხმარება. მაგრამ მისი არსებობა მუჰაჯირთა შთამომავლობის მეტყველებაში მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ იგი ისტორიულად აჭარულისთვისაც იყო დამახასიათებელი და ის გავრცელებული იყო მთელს სამხრულ მეტყველებაში.

მახვილიანია კითხვითი ა' სვანური ენის ლენტეხურ კილოში.

მ. ქალდანის დაკვირვებით, “სვანური ენის ლენტეხურ კილოში, როგორც წესი, მახვილი მუდამ ნაწილაკისეულ უსა და ა-ზე გვხვდება. ა ხმოვანი, როგორც ეს სხვა შემთხვევაში მიაჩნიათ, აქაც უს ნარედუქციალი უნდა იყოს, უ კი ასიმილაციით ჩანს მიღებული ა(ო)-სგან” (ქალდანი 1964, 229).

ამრიგად, კითხვითი ა'ს მახვილიანობა თუმურსა და სამხრულ კილოებში, ასევე სვანური ენის ლენტეხურ კილოში ქართველურ ენათა ძველ ვითარებას ასახავს.

საშუალ ქართულში ა' უკვე იშვიათად გვხვდება. მას სპორადულად ვხვდებით “ვისრამიანში”, “ამირანდარეჯანიანში”, “რუსუდანიანში”, “ქართულ საისტორიო საბუთებსა” თუ საშუალი ქართულის სხვა ძეგლებში.

ახალმა სალიტერატურო ქართულმა კითხვითი ა' ნაწილაკი არ იცის.

კითხვითი ა' ცოცხალია ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში. „მთის კილოებში, მოხეურს გარდა, კითხვის გამოსახატავად სიტყვას ა'ნი დაესმის: არ გესმისა? (= არ გესმის?); მენა? სხვ.“ (შანიძე 1981, 23).

ხევსურულში ამ ნაწილაკის ხმარებას ახლავს ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ: “როცა რა ნაცვალსახელს კითხვითი ა' უნდა დაერთოს, მას ჯერ სახელობითის „ი“ გაუჩნდება ხოლმე: „ეგ ბრალ რაია' ჩვენია?“ (ჭინჭარაული 1960, 61). დანარჩენ შემთხვევებში კი ა' იმავე პოზიციაში იხმარება, როგორშიც სამწერლობო ქართულში იხმარებოდა: შამოუძახა თუშებსა: აღარვინ ხართა' კმლიანი? (ხალხ. პოეზ. 33); ნეტარ ქათამს ვერ მივსცემდია', მისურაულსა კმლიანსა? (იქვე, 6)..

ხევსურულ დიალექტში გვხვდება ასეთი ფორმებიც: “გაქესაე?” „გაკსონსაე?“ „.. ა. ჭინჭარაულის აზრით, ეს ე' “შესაძლოა, ისევე მოდიოდეს ჰე-დან, როგორც ა'- ჰა-დან” და ისეთივე ნაწილაკი იყოს, როგორც ა (ჭინჭარაული 1960, 185-187). თუ ეს ე' ისეთივე ნაწილაკია, როგორიც-ა' მაშინ სიტყვაში მათი ერთდროულად გამოყენება იმით უნდა აიხსნას, რომ ერთ-ერთის ფუნქცია დავიწყებას ეძლევა. სხვანაირად აუხსნელი დარჩება ხევსურულში ორი კითხვითი ნაწილაკის ერთად ხმარება.

მოხეურში აღარ იხმარება კითხვითი ა' ნაწილაკი. თუ გვხვდება, იგი გადმოსულია მეზობელი დიალექტებიდან (ლექსებში), ან შემორჩენილია ძველთაგან: არ მოგწონვარ-ა' ქალაუ?; ეხლა მაგაგონდია? (ქავთარაძე 1985, 48).

ა' კითხვითი ნაწილაკი დასტურდება აგრეთვე: თუმურში: ვერ შაიტყვეთა', ქართველნო, რკინის შაგეხსნათ ხმალიო? (ი. ბუქურ. 12).

თედო უთურგაიძის დაკვირვებით, თუმურში „კითხვით ნაწილაკს, თუ ის საჭიროა, მუდამ ვხვდებით თანხმობით დაბოლოებულ ფორმებთან. მაგალითად: წახვა?“ (წახვალ?) ხმოვნით გათავებულ ფორმებთან შეიძლება გვქონდეს და შეიძლება არც გვქონდეს, მეტწილად არა გვაქვს. მაგალითად: ააგრეა?' აასრეა?' და სხვ. (უთურგაიძე 1960, 67).

ფშაურში: კი იცია' შალშავი? (ქ.დ. 127); დაიძინე, გენაცვალე, აბა, ფეკთ კი დაიკადეა? (ქ.დ 135).

გუდამაყრულში: დედავ აღარც რით გემველება, არას მასწავლია?' (ქ.დ. 97).

მთიულურში: არ დარდობსა' დედაშენი? გზააა? (ჩიქობავა, 55).

თიანეთურში: გათხოვილი არა ხარა?' (ქ.დ. 147).

უკითხვითსიტყვო წინადადებაში კითხვის გამოსახატავად ა' ნაწილაკი დასტურდება ინგილოურშიც. მაგ.: როგო ხართა' დედაკაცო? (ჯანაშ. 122).

კითხვითი ნაწილაკის გამოყენების თვალსაზრისით კაკური კილოკავი ავლენს ერთ თავისებურებას. აქ კითხვითი ნაწილაკი გვაქვს კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც: და რაჲ გინდაყა?' (იმნაიშვილი 1966, 146). ჩანს, კაკურ კილოკავში ა' ნაწილაკი საკმარისი აღარ არის კითხვის გადმოსაცემად, ამიტომაც მასთან ერთად იხმარება კითხვითი სიტყვებიც. ინგილოურში კითხვითი ა' იხმარება როგორც სახელებთან, ისე ზმნებთან. „თქონ ქალი ლამაზია?... სახელებთან წარმოდგენილი ა' რომ კითხვითია და არა მეშველი ზმნის თავკიდური, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ კითხვაზე “ქალია?” პასუხი არის მხოლოდ “ქალი”, და არა “ქალია” (როსტიამშვილი 1958, 289).

კითხვითი ა' ნაწილაკი დასტურდება ფერეიდნულშიც: “სამოვარ არ მოგიტანესა'?” (ჩიქობავა 1927, 44) ეს კი გვამღვეს საფუძველს იმისა, რომ კითხვითი ა' ნაწილაკი ისტორიულად კახურისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

მთარაჭულში კითხვითი ა' ძირითადად უკითხვითსიტყვო წინადადებაში იხმარება, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც

იგი კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც გამოიყენება. მაგ.: „იყა“?; მიდიხარა“? არა მიგაქვსა“?; რა მოწყენილი ხარა“? (ძიმიგური 1937, 84).

ახალ სალიტერატურო ქართულში კითხვითი ა'ს ფუნქცია მხოლოდ სტილისტიკური დანიშნულებით აიხსნება. ის ძირითადად ჩაკითხვითი ჰა'ს ბადალია და ცოცხალ მეტყველებასა და დიალოგებში იხმარება.

ამრიგად, ზემოთქმულის გათვალისწინებით ა' კითხვითი ნაწილაკის შესახებ, რომელიც განვიხილეთ ქართული სალიტერატურო ენის სამივე საფეხუსა და დიალექტებში, აგრეთვე ქართველურ ენებთან მიმართებაში როგორც სინქრონიულ ისე დიაქრონიულ ჭრილში, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

– კითხვითი ა' ნაწილაკი საერთოქართველური კუთვნილებაა. მას კანონზომიერი ფუნქციური და ფონეტიკური შესატყვილობები მოეპოვება სვანურსა (ა) და კოლხურში (ო).

– დიალექტთაგან კითხვითი ა' შემოინახა ხევსურულმა, თუშურმა, ინგილოურმა, რაჭულმა, შავშურმა, კლარჯულმა, ტაოურმა, მუჰაჯირთა მეტყველებამ, ფერეიდნულმა ნაწილობრივ და იმერულმა. როგორც ჩანს, კითხვითი ა' ისტორიულად ყველა ქართული დიალექტისათვის იყო დამახასიათებელი. ზოგიერთ დიალექტში (ზემოიმერული, მთარაჭული, ინგილოურის კაკური კილოკავი..) კითხვითი ა' კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც იხმარება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ დიალექტებში აღნიშნული ნაწილაკის ფუნქცია მიღებულია (ფალავა 2009, 39).

– ხოლო რაც შეეხება ა'-ს მახვილიანობას, ამასთან დაკავშირებთ, მეცნიერთა

– ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მახვილი მოუდიოდა არა ა' – ნაწილაკს, არამედ წინამავალ ხმოვანს, ეი მეორე მარცვალს ბოლოდან. მახვილიანი წინამავალი ხმოვნის გავლენით უმახვილო ა' ნაწილაკი დასუსტდა და შემდეგ სულ დაიკარგა.

მეორე თვალსაზრისით კი მახვილიანი უნდა ყოფილიყო კითხვითი ა-ნაწილაკი მთელი ძველი ქართულის მანძილზე. ხოლო როდესაც მახვილი შესუსტდა ენაში კითხვითი ა' უმახვილო დარჩა, სიტყვის ბოლოს არაფუძისეული ხმოვანი კი თანდათან დასუსტდა, ბოლოს კი სულ დაიკარგა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს

უკანასკნელი ვარაუდი უფრო ლოგიკურია და მსჯელობაც ისტორიულ სინამდვილეს უნდა შეესატყვისებოდეს. სხვაგვარად, წარმოთქმაც ერთგვარ ინტონაციურ დისბალანსს ქმნის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შემასმენელს ერთმარცვლიანი ზმნა წარმოადგენს. საილუსტრაციოდ მაგალითებს “შუშანიკის ცხოვრებიდან” დავიმოწმებთ:

აქამომდე ცოცხალ არსა' საწყალობელ იგი? (გვ.44); კეთილსა ამისათვის სტირა', ხუცეს? (გვ.45); ხუცეს, მიუძღვანოა' სამკაული ესე მისი? (გვ.40); იაკობ მანდა არსა'? (გვ.40); მტკიცედ სდგაა'? (გვ.34); უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა'? (გვ.39).

ძველი ქართულის, ქართულის ცოცხალ კილოთა და სხვა ქართველურ ენათა მონაცემები ცხადყოფენ, რომ – ა' და მისი ფარდი ნაწილაკები ქართველურ ენებში ჩვეულებრივ ზმნას და ერთვის და კითხვის მახვილიც მეტწილად სწორედ შემასმენელთან არის დაკავშირებული.

ძველ ქართულში კითხვას გამოხატავდა მე ნაწილაკიც.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა მე ს გენეზისის შესახებ. ნ. მარის დაკვირვებით, მე ნაწილაკი უკავშირდება მელ//მენ//მედ ელემენტებს, რომლებიც დაცულია “რომელ”, “რომენ”, “ვითარმედ”, “არამედ”, სიტყვებში (Mapp 1925, 126). ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული სპეციალისტთა მიერ, რადგანაც „ეს რომ ასე იყოს, მოსალოდნელი იქნებოდა მელ//მენ//მედ ფორმები სხვა სიტყვებშიც შეგვხვედროდა” (ბაბუნაშვილი 1953, 149), მაგრამ ასეთი სიტყვები ძველ ქართულში არ დასტურდება. ნიკო მარის მოსაზრებას ასევე უარყოფს თ. უთურგაიძე (უთურგაიძე 1966, 224).

აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას აფიქსირებს მ. ფაღვა და დასძენს, რომ „მეს გენეზისის შესახებ ნ. მარის მოსაზრების უარსაყოფად მკვლევართა მიერ მოტანილი მასალა არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებითი საბუთები. თუ ვითარმედ' ში ბოლოკიდურა -დ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია (რაც ნაკლებად სარწმუნოა), რა უნდა იყოს ლ და ნ რომელ//რომენ'ში? ხომ შესაძლებელია დაშვება, რომ მელ//მენ უკავშირდება მეუს? ამის მტკიცება ან უარყოფა, ვფიქრობთ, ლოგიკის ფარგლებს ვერ გასცილდება. უნდა ითქვას, რომ ნ. მარის ზემო-

მოტანილი მოსაზრება დაძლეული არ არის და მას აქვს არსებობის უფლება” (ფაღავა 2009, 42).

მე ნაწილაკის ფუნქციაზე დაწვრილებით საუბრობს **თ. უთურგაიძე**: „ძველ ლიტერატურულ ქართულში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **მე** ნაწილაკს კითხვასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. **მე**-ნაწილაკი კითხვით ფორმებში, თუ წინადადებაში არ იყო კითხვითი სიტყვა ან **-ა** ნაწილაკი, კითხვა გადმოიცემოდა სპეციფიკური ტონით (უთურგაიძე 1966, 221).

შესაბამისად, ისმის კითხვა: – თუ არა კითხვითი ნაწილაკის ფუნქცია, მაშინ რა დანიშნულება გააჩნდა **მე** ნაწილაკს ძველ ქართულში?

თ. უთურგაიძე პასუხს თვით ძველ ქართულ სამწერლობო ენასა და მონათესავე ენებში ეძებს (ავტორის მსჯელობით, **მე** ნაწილაკი კითხვითი სემანტიკით არ გვხვდება ქართული ენის კილოებში).

სვანურის მიხედვით **მე** ნაწილაკი ქართულში, თითქოს, კითხვის მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც მისი სავარაუდო ეკვივალენტი სვანური **მა**, **მო** – ფორმანტები მხოლოდ კითხვას ემსახურება. ოღონდ, აქ საქმე გვაქვს გარკვეულ სხვაობასთან, კერძოდ, სვანურში – **მა**, **მო** კითხვის დამოუკიდებელი და ამავე დროს ენაში ფართოდ გავრცელებული ნაწილაკებია. ისინი არასოდეს არ შეგვხვდება კითხვით სიტყვასთან განსხვავებით ძველი ქართულის **მე**-სგან, სვანურის **მა** და **მო** აგრეთვე არასოდეს არ შეგვხვდება კითხვით სიტყვასთან ან **ა** ნაწილაკთან.

თუმცა **მე** ნაწილაკის ფუნქციაზე საუბრობს **თ. უთურგაიძე** და აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში **მე** ნაწილაკი მნიშვნელობით კავშირებითი კილოს **ნეტავ**’ის ტოლფარდია და მას არაკითხვით ფორმებში ნატურის გამოხატვა ევალება, მკვლევარი იმოწმებს შესაბამისს მაგალითებს: მოსთქვამდა ცრემლის ფრქვევითა : – დამსვამე წყლისა პირსაო! ანამე წყალს გამაყოლა, დაი მოკვდება ძმისაო.

რადამ მოხვედით, ქისტებო, დედის – ერთაის ცხვარზედა? (ბუქურ. 191); ზამთარმა გამოიხმელა, ნეტარ ვისიმე ჭირადა? (ბუქურ. 193); მინდორში სისხლის ტბა ბრუნავს, გადასაღვრელიმ სად არის? (უთურგაიძე, 133); შიგა წევს წითელი გველი თავ

უჩანს, ბოლომ სად არივ? (უთურგაიძე, 133); მამამამ ცხენი არ მისცა? მამამც მოუკვდების ისი! (უთურგაიძე, 159); ცოლმავე საგძალ არ უცხო? ცოლიმც მოუკვდების ისი! (უთურგაიძე, 159); დედამამ ჩითებ არ მისცა? დედამც მოუკვდების ისი! (უთურგაიძე, 159); ვინამ ჩამოხვალ გორდაგორ, ცხენს ვინ ატარებ რეტადა? (უთურგაიძე, 159)...

აღნიშნულ ნატვრით ფორმებს თუშურში ხშირად ვხვდებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე ნაწილაკის ე ხმოვანი კარგად არის შემონახული ნაწილაკთა წინა პოზიციაში. მაგალითად: “მეამეც ნუ გავმჩენიყავ დედასა”. მე, -მ თუშურში სხვადასხვა მეტყველების ნაწილს დაერთვის, მაგრამ იგი გრამატიკულად ყოველთვის ზმნასთან არის დაკავშირებული.

ძველ ქართულში კი კითხვითი მე ნაწილაკის დისტრიბუცია ასეთია:

არის შემთხვევები, როდესაც კითხვით წინადადებაში არა გვაქვს არც -ა, არც კითხვითი სიტყვა და მხოლოდ მე არის წარმოდგენილი. ვარაუდობენ, რომ ასეთ შემთხვევაში მე კითხვითი ნაწილაკია. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ვითარება ძველ ქართულში საკმაოდ იშვიათია, მაგალითად, მთელ ოთხთავში ამის მხოლოდ რვა შემთხვევა გვაქვს, ხოლო მე ს ა ნაწილაკთან ან კითხვით ნაცვალსახელებთან ხმარების შემთხვევა 83-ს აღწევს. შედეგად, ენათმეცნიერთა უმრავლესობა ძველ ქართულში -მე კითხვითი ნაწილაკის გამოყენებას სპორადულ მოვლენად მიჩნევს.

მაგალითად: შემძლებელ არიანმე ნაშობნი ქორწილისანი მარხვად? (მრ. 2,19).

არამე ორნივე ჯურღმულსა მთაცკვენ? (ლ. 6,39). რქუასმე მას? (ლ. 17,7).

ეგებისმე მუცელსა დედისასა თვისისასა მეორედ შესვლად და გამოშობად? (ი. 3,4 C).

2) მე ნაწილაკს ხშირად ვხედავთ ა-სთან ერთად.

მაგალითად: პოვოსმეა სარწმუნოვებაჲ, ქუეყანასა ზედა? (ლ. 18,8); არამეა ორივე ჯურღმულსან შთაცკვენ? (ლ. 6,39 C).

ტმესის შედეგად ზმნაშია ჩართული, -ა კი თავის ადგილზეა.

მაგალითად: კელ-მე-წიფებისა მეთა სიძისათა გლოვად? (მ. 9, 15); მი-მე-ვინ-უთხოვდესა სამარებსა შინა წყალობასა შენსა? (ფს. 87,12).

ხშირ შემთხვევაში ა და მე კითხვითი ნაწილაკები წინადადებაში სხვადასხვა სიტყვასთან გვხვდება.

მაგალითად: არამე პირველად დაჯდესა და აღირაცხოს? (ლ. 14,28 C); არამე უპყრასა და აღმოითქვას იგი? (მ. 12,11); არამე თქუენ უფროსს უმჯობესს ხართა მფრინველთა? (მ. 6,26). მე ვთქუ განკურვებასა ჩემსა: “გან-მე-გდებულ ვარა პირისაგან თუალთა შენთასა?” (ფს. 30,23)

3) კითხვითი -მე ნაწილაკი ხშირად ერთვის კითხვით ნაცვალსახელებს; მაგალითად: ვიუხვი და დავშურები და რამე ვყო? (იობ. 17,2); რადმე, უფალო, განიშორებ სულსა ჩემსა? (ფს. 87,15); ... ანუ კეთილი ჩემი ოდესმე ვიხილო? (იობ. 17,15); შეცოდებანი თუსნი ვინმე გულისხმაყენეს? (ფს. 18,13); ვიდრემე მეგულეების ამას წარსვლად? (ი. 7,35); ნუ ზრუნავთ, ვითარმე ანუ რასმე იტყოდით? (მ. 10,19 C).

ასეთი ვითარება, ბუნებრივია, მკვლევართა შორის ბადებს კითხვებს: რატომ გვაქვს ორივე კითხვითი ნაწილაკი ერთ წინადადებაში? რომელიმე მათგანმა ხომ არ დაკარგა კითხვის გამოხატვის უნარი, ანდა, პირიქით, რომელიმე მათგანისთვის გვიანდელი, მეორეული, ხომ არ არის კითხვის გამოხატვა?

ვფიქრობთ, აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებული მოსაზრებების გადახედვა, განსაკუთრებით მე - ნაწილაკთან მიმართებაში, რადგან მეცნიერთა შეხედულებანი არაერთგვაროვანია, როგორც მისი ეტიმოლოგიის, ისე ფუნქციის კვალიფიცირებისას.

კითხვითი ტონი -ა' ნაწილაკიან წინადადებაში ზმნას ახლავს, ამიტომაც შესაძლებელი გახდა მე' ნაწილაკის (თ. უთურგაიძე ნატვრითად მიიჩნევს და არა კითხვითად) ე'-ს ჩავარდნა, როცა იგი ზმნასთან კი არა, არამედ სხვა მეტყველების ნაწილთანაა დაკავშირებული;

მაგალითად: “დედამამ ჩითებ არ მისცა?” – დედამამ ფორმაში (რომელიც მიღებულია დედამამე ფორმისგან) -მე’ ნაწილაკის ე’ უნდა ჩავარდნილიყო, რადგან იგი აბსოლუტურ ბოლოში მოხვდა. კითხვითი ტონი მოდის მისცა ზმნაზე, მასვე ერთვოდა კითხვითი ნაწილაკი ა’. მისცა თავდაპირველი ფორმა ამ წინადადებაში არის [მისცაა]. ბოლო ა’ კითხვის მაწარმოებელი ნაწილაკია, იგი თვით დაიკარგა, სამაგიეროდ შემოგვინახა სუბიექტის ნიშანი -ა, რომელიც თხრობით ფორმებში ჩვეულებრივ ჩავარდნილია: [მისცა]. რაც შეეხება კითხვითსიტყვიან წინადადებას, კითხვითი ტონი თვით ამ სიტყვაზე მოდის, ამავე დროს აქ კითხვითი -ა’ ნაწილაკი მოსალოდნელი არ არის, რის გამოც მე’ს ე’ ხვდება ფორმის აბსოლუტურ ბოლოში და ამის შედეგად იკარგება;

მაგალითად: რადამ მოხვედით? რადამე<რადამე.

მე’-ს ფუნქციური სიახლოვე -მცა ნაწილაკთან მისაღებს ხდის ნ. მარის ვარაუდს, რომ მცა ნაწილაკი მიღებულია -მე და -ცა ნაწილაკების შეერთებით. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ა. შანიძის მოსაზრება, რომელიც ამბობს: ”მცა – ნაწილაკი რთული შედგენილობისაა და წარმოადგება მ და ცა ნაწილებისაგან. მისი პირველი ნაწილი (მ) ნაშთი უნდა იყოს რაღაცა სიტყვისა, მეორე კი (ცა) არის ცნობილი კავშირი, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება და კავშირს.რთული მცა ნაწილაკი ძველ ქართულში შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნიზედასაც, კავშირსაც. მაგრამ რა გინდ მეტყველების ნაწილს დაერთოს იმ წინადადებაში ნატვრით კილოს ვეღარ ვიხმართ, არამედ ყოველთვის თხრობითი უნდა იყოს” (შანიძე 1957, 33).

ასეთია მცა ნაწილაკის მნიშვნელობა ძველ, კლასიკურ ქართულში, მაგრამ საშუალო ქართულში, განსაკუთრებით მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე საუკუნეებში იწყება რყევა.

თ. უთურგაიძე კი მიიჩნევს, რომ მე ნაწილაკი, რომელიც დღემდე მხოლოდ თუშურმა შემოგვინახა აწარმოებს ნატვრით კილოს. მე’- ნაწილაკი II ხოლმეობითის თხრობით ფორმებს ამლევს მომავალი დროის გაგებას, მსგავსად ძველი ქართულის -მცა ნაწილაკისა და ის მნიშვნელობით უდრის ლიტერატურული ქართულის ნეტავი/ნეტავ ნაწილაკს.

აი, რას ამბობენ ენათმეცნიერები ნეტავ – ნაწილაკის შესახებ: ნეტავი წინადადებაში იგუებს ზმნის ოდენ კავშირებითი კილოს ფორმებს. იგი ამლიერებს კავშირებითის ფორმით გადმოცემულ ნატვრას. აღნიშნული ნაწილაკი თითქოს დამატებითი საკომპენსაციო საშუალებაა ნატვრის გამოსახატავად. ზოგჯერ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნეტავი წინადადების ბოლოს განცალკევებით დგას, ხოლო შემასმენელი კი ზმნის თხრობითი კილოს ფორმით არის გადმცემული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნეტავი თხრობითი კილოს ფორმებთანაც არის ნახმარი, მაგრამ ეს მოჩვენებითია, რამდენადაც ასეთი ტიპის წინადადებებშიც იგულისხმება კავშირებითი კილოს ფორმები, რომლებიც ადვილად აღდგება ხოლმე.

მაგალითად: რატომ არ უნდა ვშვრებოდე, ნეტავი! (ამირ. 35); რა უხარიათ ნეტავი? (იქვე, 32); რა მინდაო? ხომ არ გაგიჟდა ნეტავი? (ქიაჩ. 698); თქვენ რაისალ უბნობთ, ნეტარ! (ვაჟა, 259). საილუსტრაციო მაგალითებში ნეტავი'-ს შემდეგ ჩავარდნილია ზმნის კავშირებითი კილოს ფორმები ვიცოდე, მაცოდინა. **შდრ.** “რა უხარიათ ნეტავი მაცოდინა”; აღნიშნული გარემოების გაუთვალისწინებლობის გამოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს ნეტავ ნაწილაკთან სხვა კილოს – თხრობითის ფორმების ხმარებას (აფრიდონიძე 1970, 23). იმას, რომ ნეტავი ყოველთვის კავშირებითის ფორმებთან იხმარება, ადასტურებს ისეთი წინადადებები, სადაც აღნიშნულ პოზიციაში კავშირებითის ფორმები ჯერ კიდევ იხმარება.

მაგალითად: ნეტა ვიცოდე, ქვეყანა მასაც ფეხებზე ჰკიდია? (ილია, 90).

ამრიგად, როგორც მ. ფალავა შენიშნავს, **ნეტავი** წინადადებაში მხოლოდ კავშირებითი კილოს ფორმებთან იხმარება (ფალავა 2007, 5).

თქმულის უკეთესად გასააზრებლად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დ. მელიქიშვილის მსჯელობას დავიმოწმებთ; „მომავალი დრო განსხვავებით ახლანდელისა და წარსულისაგან, რომლებიც მომხდარ ან არსებულ, რეალურ ფაქტს გადმოსცემენ, ჩვეულებრივ, გამოხატავს ისეთ არარეალურ (ირეალურ) მოქმედებას, რომელიც, როგორც შესასრულებელი და არა ფაქტი, შე-

სადღებელია, სავარაუდოა, სათუთა, საეჭვოა. ამდენად, მომავალი დრო საფუძველშივე შეიცავს შესაძლებელ-სავარაუდო, თუობითი შინაარსის ანუ კილოს ელემენტს, ნიუანსს. მგვარად, მომავალი დროის გაგებას თან მოჰყვა შესაძლებლობის, სათუთო, სასურველობის შინაარსის, ანუ კილოს გაგებაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კილოს გაგება ჩაისახა მომავალი დროის წიაღში, მის გაჩენასთან ერთად.

განვითარების ამ საფეხურზე კავშირებითი კილო მკვეთრად ემიჯნება მომავალ დროს, ფორმა კი ორივესათვის კვლავ საერთო რჩება. ენა, როგორც ცნობილია, გრამატიკულ ომონიმას ვერ იტანს. ძველ ქართულშივე შეიძლება თვალის გადევნება, თუ როგორ ისახება კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმალური გამიჯვნის ძლიერი ტენდენცია: კავშირებითი კილოს გადმოსაცემად – მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმები იხმარება (რაფთამცა გააკეთა)” (მელიქიშვილი 2001, 45).

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მე’ კითხვით ნაწილაკთან მიმართებაში ჩვენი დამოკიდებულება ასეთია:

ერთი მხრივ, მიგვაჩნია, რომ მე ნაწილაკის დანიშნულება ძველ ქართულში უპირობოდ იყო კითხვის გამოხატვა, თუმცა შემორჩენილ ფორმებში ის უკვე სპორადულად არის წარმოდგენილი და მისი თავდაპირველი ფუნქცია ძველ ქართულშივე იწყებს რყევას, რის შედეგადაც მე’ ნაწილაკი დამოუკიდებლად ვეღარ განაგრძობს ფუნქციონირებას და ა’ ნაწილაკთან ერთად იხმარება, ის საბოლოოდ იცლება კითხვითობისაგან საშუალო ქართულის საწყის ეტაპზე, როდესაც მომავალი დროის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლა და კავშირებითი კილოს ჩასახვა იწყება. მე’ ადგილს უთმობს მცა (<მე+ცა) ნაწილაკს, და ფუნქციურ-სემანტიკურ სახეცვლილებას განიცდის. საშუალო ქართულში კი მცა ნაწილაკიც ნელ-ნელა იკარგება, ის ჯერ ზმნის კავშირებითის ფორმებთან გამოიყენება და არღვევს მისი ხმარების მთავარ კანონზომიერებას, შემდეგ კი მის ადგილს ნეტავ ნატვრით ნაწილაკს უთმობს. საბოლოოდ კი დიაქრონიულ ჭრილში მე, მცა და ნეტავ ნაწილაკთა ურთიერთმიმართების შემდეგ სურათს ვღებულობთ: მე > მცა > ნეტავ – სადაც, მათი ფორმოზრივი სხვაობის პარალელურად დროთა განმავლობაში იცვლება მათი ფუნქციაც.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია, აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

აფრიდონიძე 1970 – შუქია აფრიდონიძე, შემასმენლისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში. ჟურნ. ქართული ენა და ლიტერატურე სკოლაში, 3, თბ., 1970.

ბაბუნაშვილი 1953 – ელენე ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1953.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თბ., 1961.

ერთელიშვილი 1963 – ფარნაოზ ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, თბ., 1963.

იმნაიშვილი 1966 – გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

იმნაიშვილი 1984 – ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1984.

იოსელიანი 1963 – პლატონ იოსელიანი, პირუშლ დაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, ტფ., 1963.

მელიქიშვილი 2001 – დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

ონიანი 1998 – ალექსანდრე ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

როსტიაშვილი 1958 – ნათელა როსტიაშვილი, ინგილოურის ძირითადი თავისებურებანი ს. ვაკის მეტყველების მიხედვით. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი VIII, თბ., 1958.

სიმფონია 1959 – ვეფხისტყაოსნის სიმფონია, აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1959.

უთურგაძე 1966 – თედო უთურგაძე, ქართული ენის კილოთა ზოგიერთი თავისებურება, თბ., 1966.

უთურგაძე 1966 – თედო უთურგაძე, კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში, ი.კ.ე. XV, თბ., 1966.

ფაღავა 2006 – მამია ფაღავა, ზოგიერთი მოდალური ნაწილაკის ფორმისა და ფუნქციის შესახებ ქართულში, კრ. V, ბათუმის უნივერსიტეტი, ბათ., 2006.

ფაღავა 2009 – მამია ფაღავა, ნაწილაკი ახალ ქართულში, თბ., 2009.

ქავთარაძე 1985 – ივანე ქავთარაძე, სიტყვათა სემანტიკური განვითარების ისტორიიდან ქართულში, ტ. XXIII, თბ., 1985.

ქალდანი 1964 – მაქსიმე ქალდანი, კითხვითი, განსაზღვრებითი და გაძლიერებითი ნაწილაკები სვანურში. იკე, XIV, თბ., 1964.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950-1964 – 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ.,

შანიძე 1957 – აკაკი შანიძე, ქართული ენის სტუქტურისა და ისტორიის საკითხები 1, თბ., 1957.

შანიძე 1980 – აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III, თბ., 1980.

შანიძე 1981 – აკაკი შანიძე, მცა ნაწილაკი ქართულში. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981.

ჩიქობავა 1927 – არნოლდ ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტსუ მოამბე, VII, ტფ., 1927.

ჩიქობავა 1937 – არნოლდ ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი. ნიმკის მოამბე, (II) I, ტფ., 1937.

ჩუბინაშვილი 1987 – დავით ჩუბინაშვილი, საუნჯე ქართული ენისა ქართულ-რუსული ლექსიკონი. (ვიმოწმებთ, მ. ფაღავა, 2009 მიხედვით), 1987.

ძიძიგური 1937 – შოთა ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, (II), I, ტფ., 1937.

ჭინჭარაული 1960 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

N. Marr, M. Briere 1931 – Niko Marr, Mari briere, La Langue Georgiane. Paris, 1931.

**On the Particles *a'* and *me'* in Georgian
and the Dialects**

Abstract

The etymology and functional aspects of the morphemes ***a'*** and ***me'*** form a heterogeneous image in Georgian linguistics. Consequently, the study of those aspects does not lose its topicality and is still the subject of linguistic debate.

In this article, we will discuss the particles ***a'*** and ***me'*** in both synchronic and diachronic terms at all three stages of the Georgian literary language development, as well as in the dialects and Kartvelian languages.

როინ ზიკაძე

**ხალხური მეტყველება – გიორგი შატბერაშვილის
ენის საბადო მამალხინეს ქართული**

გიორგი შატბერაშვილის ღრმა რწმენით, „მწერლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მშობლიური ენის ჭეშმარიტ ბუნებასთან მიახლოება უნდა იყოს“ (შატბერაშვილი 1975, 303), ვინაიდან „ყველაფერი იხრწნება, იფშენება, მტვერდება... მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი და უმტვერებელი“ (იქვე, 304). გიორგი შატბერაშვილს ქართული სიტყვის სიყვარულს კიდევ უფრო უმძაფრებდნენ: „**სიტყვის პაპა**“ – სულხან საბა ორბელიანი – ქართული სიტყვის უსიერ ტვერში მწერლის მეგზური და უცთომელი კონსულტანტი; „**სიტყვის დედა**“ – დედამისი - მოძიებულ სიტყვათა ამხსნელი; **მამალხინე** – ხალხური მესიტყვე. გიორგი შატბერაშვილისათვის მამალხინე იყო ამოუწურავი საბადო ქართული სიტყვისა; მამალხინემ ენის არქეოლოგად მაცციაო, გვამცნობს მწერალი და დაგვიბეჯითებს: „იტყვის რაღაცას და მერე უნდა მიჰყვე, მისდით, თხარო... რა არის, რას ნიშნავს, ვისგან გაიგონა? უნდა გადაფურცლო სქელტანიანი ლექსიკონები, შეადარო, გადაქექო საუკუნოვანი მტვერი, პირველი ფერი დაუბრუნო სიტყვას“ (შატბერაშვილი 1972, 177).

...და გიორგი შატბერაშვილიც გულდაგულ შეეჭიდა საჯილდაო სიტყვის მიმე ლოდს, შეეჭიდა და საუკუნეთა სიღრმიდან თუ ხალხური მეტყველებიდან გამოზიდა მრავალი „ანკესმოდებული“ სიტყვა. „ძნელი წარმოსადგენია, ადამიანი ასეთი ალერსითა და მოწიწებით ეპყრობოდე თავის უსაყვარლეს არსებას, რა ალერსითა და მოწიწებითაც გიორგი შატბერაშვილი ქართულ ენას ეპყრობოდა“ (ჭელიძე 1975, 193). ოთარ ჩხეიძე იგონებს, თუ როგორ წუხდა გიორგი შატბერაშვილი, რომ „იკარგებოდა ძველი ღონიერი, სახიერი ქართული გამოთქმები, როგორა მსუბუქდებოდა ენა დინჯი, ღრმა, შემძლე ყოვლისა“ (ჩხეიძე 1970, 5)... იგი „სიტყვასა ფლობდა, ქართული სიტყვასა, გამდიდრებულიყო ქართული ენითა“ (იქვე, 7). პატარა გი-

ორგიმ ბავშვობიდანვე შეისისხხორცა მშობლიური ენის მაღლმოსილება. მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მშობლების საუბარს, გაჯერებულს მდიდარი ლექსიკით. მწერალი იხსენებს: „პირველად მათ დამაწაფესქართულის ჭაშნიკს. დამანახვეს სიღრმე მისი, მაგემეს სიტკბო მისი და თითქოს მითხრეს: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს!“. ყმაწვილმა გიორგიმ სწორედ დედამამის საუბრისას შენიშნა, რომ „სხვა არის დიასახლისის ენა და სხვა არის მამასახლისის ენა. დედა ოთახის, ეზო-ყურის, სათონის, ბოსტნის ენით საუბრობს; მამის ენას ვენახის, მარნის, ორღობის, მინდვრის და სათიბის სურნელი დაჰკრავს (იქვე, 1975, 312).

გიორგი შატბერაშვილისათვის დედა ენა მართლაც დედაა, ქალია, რაც კარგად იკვეთება დედაენისადმი მიძღვნილ ლექსში: „შენ ის ქალი ხარ, ვინც მე დამბადა“... „შენ ის ქალი ხარ, ვინც მე პირველად სალამურის ხმა სულში ჩამბერა“ („დედა ენა“). გიორგი ლეონიძესთვისაც ხომ მშობლიური ენა არის „დედის ძუძუ მეორე“ („დედა ენა“). რომ აღარაფერი ვთქვათ იაკობ გოგებაშვილის უკვდავ „დედა ენაზე“.

ამ შემთხვევაში ისინი ერთხმადიზიარებენ ილიასეულ პოსტულატს, რომლის თანახმადაც, „ქართველი ღვიძლ ენას დედა ენას ეძახის“.

„სიტყვის პაპასთან“ და „სიტყვის დედასთან“ ერთად გიორგი შატბერაშვილის სამწერლობო ენის დამამშვენებელი იყო მამალხინეს ტკბილი ქართული. მამალხინესაც დედისაგან გამოჰყვა სიტყვის მადლი. „ო, რა ტკბილი იყო მამალხინე, რა ჯადო ჰქონდა მის სიტყვას, რა მარილი, რა თავბრუდამხვევი ეშხი; ვინ იყო მისი დედა, ვინ ჩაამღერაყურში ეს ქართული, საიდან ჟონავდა მისი ენის ძუძუ?“ (1972, 195).

მამალხინეს „ტკბილი ქართულითაა“ გაჯერებული „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“, მწერლისეული პროზა და, ცხადია, მით უფრო მოთხრობები: „მამალხინე“, „მამალხინეს ბიჭი“ და „მამალხინეს სიკვდილი“.

და მაინც, ვინ იყო მამალხინე? ვინ იყო და: მწერლის კალმის ერთი მოსმით ჩვენს წინაშე წამოიმართება სიჭარმაგეში შესული გლეხიკაცის კოლორიტული სახება: „ჭადარა თმა-წვერი, ოდნავ პირქუში სახე, ზოგჯერ ღიმილით დამშვენებული“ (172)... „ლურჯი სა-

ტინის ჯიბეებიანი ხალათი ჩაეცვა მამალხინეს, შავი შარვალი წვივებამდე ჩატანებინა ღაზლის ჭრელ წინდებში, ჩიტის ბუდის მსგავსი შავი პატარა ნაბდის ქუდი ჩამოერქვა გათეთრებულ თავზე, ხელში კომბოსტოს ფოთოლგადაკრული მანეულის კალათი ეჭირა და მსუბუქად, ჭაბუკური სილადით მოაბიჯებდა“ (180).

გიორგი შატბერაშვილი განაზოგადებს მამალხინეს სახებას: „სახელი პირობითია. პირობითია მას აქეთ, რაც ნამდვილი მამალხინე მოკვდა, ვისაც მისი შეცვლა შეუძლია..., ყველა მამალხინეა.“ (შატბერაშვილი 1975, 312); მწერალი იქვე გვაფრთხილებს: მისი შეცვლა ადვილი არ არის, ვინაიდან წარმოსადგეობასთან ერთად „მამალხინე ცოცხალი ლექსიკონია თქმისა და სიტყვის, მისი ნათქვამი ლურსმანივით იჭედება ხსოვნაში. აბა, სცადე და დაივიწყე! არა, ვერ დაივიწყებ... თვალწინ გიდგება მისი ჭროლა, ოდნავ მონუსხული თვალები, ჭაღარა წვერ-ულვაშში ტყვიისფრად გამოძკრთალი ხორციანი ტუჩები და ჩამძიული, ჯერ ისევ საღი კბილები.“ (იქვე, 177-178).

ჩვენი მხრიდან კი მოკრძალებით ვიტყვით: თავად გიორგი შატბერაშვილია „სიტყვის მამალხინე“, ვინაიდან მის ხელში მართლაც დალხენილია ქართული სიტყვა. ამიტომაცაა, რომ ერმანეთს შერწყმია მწერლისეული და პერსონაჟისეული „ანკესმოდებული“ სიტყვანი, რომელთა უმრავლესობა ავტორს შეუტანია მის მიერვე რუდუნებით შედგენილ ლექსიკონში – „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“. თუ როგორი გულისყურით არჩევდა გიორგი შატბერაშვილი სალექსიკონე მასალას, ამის თაობაზე თავადვე გვამცნობს: „...უყურადღებოდ ვტოვებდი ბევრ ძვირფასს, „სხვის ხელში გამოვლილ“, მაგრამ ქართლური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენას. ბოლო დროს ჩემგან მოძულეებული სიტყვებიც „შევირიგე“, დავამუშავე, ნაწილი „ჭაშნიკში“ შევიტანე, დიდი ნაწილი კი მთლიანი თვალადური ლექსიკონისათვის შევინახე“ (შატბერაშვილი 1975, 313). მწერალს სწორედ ასე „შეურიგებია“ და „ჭაშნიკში“ შეუტანია სიტყვა „**ხიხრიკობა**“, რომელსაც მოთხრობაშივე განმარტავს: „შინაურები „სუფრას შლიდნენ, ხუმრობდნენ... ასე იცის გაზაფხულმა, მშვიერმა, ადრეულმა გაზაფხულმა, **ხიხრიკობამ**, ასკილის ყვავილობამ“ (1972, 191). ამგვარ შიდაგანმარტებას მამალხინეც მიმართავს, როცა არ არის დარწმუნებული, ყველამ იცის თუ არა ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა: „ჰოდა, გაჩერდა ჩვენი თავმჯდომარე

ყანის თავში და გადმოგვძახა, აბა, პირველი ვინ გამოიტანს სვეს და **წვიპარტს** ვინ მოგვიტანსო... გაბრუებულმა უკანასკნელი ხელეური გამოვიღე, **წვიპარტად** შევკარ და წელში გავიმართე... **წვიპარტი** რაიკომის მდივანს მივართვი.“ შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი შატბერაშვილი ესოდენ დაბეჯითებით ამეორებინებს მამალხინეს სიტყვა**წვიპარტს**, რათა მკითხველის გონებაში აღბეჭდოს ნამგლის ერთი გამოსმით გამომკილი პატარა ხელეურის სახელწოდება - **წვიპარტი**. გიორგი შატბერაშვილი თუ მამალხინე ამითაც არ კმაყოფილდებიან და მკითხველსა და მსმენელს განუმარტავენ: „იქნებ**წვიპარტიც** არ იცი, რა არის? პატარა, კოხტად გამომკილი ხელეურია, რომელსაც გამვლელს მიართმევენ ხოლმე“ (1972,184). (ამ სიტყვის ვრცელი განმარტება იხილეთ „თვალადური ქართულის ჭაშნიკში“).

ამ მხრივ, შატბერაშვილის მამალხინეს ლეონიძის ჭამპურაც არ ჩამოუვარდება: „ ჭამპურამ ასეთი შეკითხვებიც იცოდა, მაგალითად: – მაშ, **დელამუტი** არ გიჭამია? არც იცი, რა არის **დელამუტი**, თუ გიყვარდე? – საჭმელია, მერე როგორი! ძროხა რომ ხბოს მოიგებს, მაშინ მოსწველიან ხსენს და იმისას აკეთებენ. აადულეებენ და გამაგრდება. მერე მარილს დააყრიან. იცი, რა გემრიელია? – მაშ **დელამუტი** არ გიჭამია? – ჩაიქნევდა ხელს გაკვირვებული და ქოთქოთით მერე ისე ხელებს გაშლიდა და ისევ გოცებული შეეკითხებოდათ: – მაშ **დელამუტი** არ იცი რა არის? აბა, რაღა ქართველი ხარ!“ (ლეონიძე 2008, 455).

საერთოდაც, საგრძნობია გიორგი შატბერაშვილისა და გიორგი ლეონიძის სიტყვათნათესაობა: მამალხინე ერთბაში კაცია, ღვინჯუა კი - ნაერთბაშევი: „მამალხინე სხვასავით **ერთბაში კაცი** არ გახლავთ“ (შატბერაშვილი 1972, 179); „ღვინჯუა კი ყურებს არ უჯერებდა, ისე იყო **ნაერთბაშევი**“ (ლეონიძე 2008, 319).

მწერლისა დამამალხინეს სასაუბრო მეტყველება ხშირად ერთურთისაგან არც კი განირჩევა; მაგალითად:

მწერალი: „რთველში ვარ... **ღანძილისფერი** ვაზის ფოთოლისახეში მცემს (1972,176).

მამალხინე: „– აგერ, **ღანძილისფრად** რომ იყურება, ის თრიმლის ბუჩქნარია (1972,180).

ორივეს ქართული სიტყვა მშობლიური მიწის მადლმოსილებითაა გაჟღენთილი.

მამალხინე: „– აქ ყველა მიწას თავისი სახელი ჰქვია. აგერ ის ტყემლის მიწებია, ის ბრილის, ის დამპალა, ის ხვლიკის (დასწყევლოს ღმერთმა, იქ ბევრი ხვლიკი იცის!), ხედავ, აი, იქ, ორი საცოდავი კვრინჩხის ბუჩქი რომ მობუზულა, ის კვრინჩხის მიწებია“... (1972, 181). ამასთანავე, გიორგი შატბერაშვილისა არ იყოს, მამალხინესაც გათავისებული აქვს, რომ ბუნებაში ყველაფერი წარმავალია და „მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი და უბერებელი“: „– ერთი შეხედე, შეხედე ბედის ბრუნვასა, თვითონ იცვლება, სიტყვას კი ძვრასაც ვერ უშვრება! აბა, უყურე, არხი გავიყვანეთ, ურწყავი სარწყავად ვაქციეთ და მაინც ურწყავებს ვეძახით.“ (იქვე).

მწერალი: „გაზაფხულის ძლიერი სუნთქვა მზის სხივებში გათქვეფილ ქარებს მოჰკონდათ, აქანებდნენ ნუშის ტოტებს... ერთმანეთს ახლიდნენ უკვე კარგად გამოხორბლილ, შევარდისფერებულ კვირტებს... ჰა და ჰა, ერთი ძლიერი შემოქროლება, ერთი დაქუხება აკლდა და დაიძახებდნენ, დასკდებოდნენ და გახეთქილი კვირტიდან ყვავილის მოვარდისფერო ნისკარტი გამოიხედავდა“ (1972,190).

მათი **თანასოფლელების** საუბარიც მიწის სუნთქვითაა გაჯერებული: „– ჰო, გუშინ ნამდვილი გაზაფხული იყო... ნუში გამოიტყუა.-ნუში სულელია, გამოიხედავს და დაბრმავდება. – დაბრმავდება და ახიც იქნება. – არა, კაცო, ატამმაც გამოიწია-ატამი ნუშის დაა... ეგეც მოტყუვდება. აბა, კაკლის ხეს შეხედე, როგორა სძინავს. აგრე ადვილად არ მოტყუვდება. ფესვი ღრმადა აქვს, მიწის სუნთქვა სცემს“ (იქვე, 190-191).

ამ თანასოფლელების გამონათქვამები ზოგჯერ საფიქრალს გაგიჩენენ: გამოდარებულ ამინდზე იტყვიან, **ჯორმა ფეხი მოიტეხაო** და მწერლის დამაფიქრებელი გაფრთხილებისა არ იყოს, მიდი, მიპყე და არკვიე, იმ ჯორმა რაღა გამოდარებულზე მოიტეხა ფეხი.

სწორედაც რომ მშობლიური მიწის სუნთქვა ასაზრდოებს გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. იგი ჭეშმარიტი მსახურია ქართული სიტყვისა; ხალხური ენით განზავებული მხატვრული სიტყვით გიორგი ლეონიძესავით მასაც „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“ და ამიტომაც ესოდენ ძალუმად ასწია ლოდი საჯილდაო სიტყვისა.

ლიტერატურა

ლეონიძე 2008 – გიორგი ლეონიძე, ნატვრის ხე; პოეზია, პროზა; გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 2008.

შატბერაშვილი 1972 – გიორგი შატბერაშვილი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, პროზა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972.

შატბერაშვილი 1975 – გიორგი შატბერაშვილი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.

ჩხეიძე 1970 – ოთარ ჩხეიძე, „გიორგი შატბერაშვილი“, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970.

ჭელიძე 1975 – ვახტანგ ჭელიძე, „გიორგი შატბერაშვილი“, ფიქრები ხვალინდელ დღეზე, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1975.

ჭიკაძე 2014 – როინ ჭიკაძე, „ხალხური მეტყველების ნაკადი გიორგი ლეონიძის ენაში“, „ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.

ROIN CHIKADZE

Folk Speech – The Language Ore of Giorgi Shatberashvili – Mamalkhine’s Georgian

Abstract

According to Giorgi Shatberashvili's deep conviction, one of the main goals of a writer should be the perception of the true nature of the native language.

An inexhaustible ore of Georgian vocabulary for him was Sul Khan Saba Orbeliani - "the grandfather of the word"; his own mother - "the mother of the word"; Mamalkhine – the master of the vernacular and the speeches of his fellow villagers.

The breath of the indigenous earth nourished the life and work of Giorgi Shatberashvili. He was a true servant of the Georgian word. With his works enriched by the folk speech "his roots, like those of Giorgi Leonidze, are anchored in the soil of his homeland".

ნინო ხახიაშვილი

ერთი იზვიათი სახელისათვის (ცქირი)

„ტბეთის სულთა მატიანე“, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ მხარეში – შავშეთში, ტბეთის ეკლესიაში შეიქმნა, ბევრ საყურადღებო ისტორიულ-გენეალოგიურ მასალას გვაწვდის, მათ შორისაა ასეთი ჩანაწერიც: „ს(უ)ლსა ჭანისძისა **ცქირი(ა)ს(ა)სა** და მეუღლისა მის(ი)სა მ(ა)რ(ია)მის(ა)სა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“... (ენუქიძე 1977, 90).

ქართულ სამეცნიერო წრეებში სიტყვა **ცქირი** ქართველური წარმომავლობის საკუთარ სახელად არის მიჩნეული. ზურაბ ჭუმბურიძის წიგნში „რა გქვია შენ?“ **ცქირი** დამოწმებულია ვაჟის სახელებში: „**ცქირი** (ქართ.) გვხვდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, შდრ. კოლხური **სქირი** „შვილი“ (ჭუმბურიძე 1987, 376).

საყურადღებოა, რომ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვით ექსპედიციაში მონაწილეობისას, სოფელ დავათში, მკვლევარ ვალერი სილოგავას ქვასვეტებიდან გადმოიწერია რამდენიმე ნაკაწრი წარწერა, ანუ გრაფიტი, მათ შორისაა – ერთი, ჩვენთვის საინტერესო წარწერა: „**მე, ცქირი შემ(ი)წ[ყალე]...**“... (სილოგავა 1999, 48). ამ ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ბ-ნ თეიმურაზ ჯოჯუას, მისი აზრით ამ წარწერაში ცქირი შესაძლოა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პერსონაჟის სახელი იყოს, ამას განაპირობებს სამი ფაქტორი: ქრონოლოგიური – დამთხვევა დროში; ტერიტორიული თანხვედრა და ამ სახელის იშვიათი ხმარება.

ამონარიდი „წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“:

„...*ხოლო შორის იფელთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი სარწებს აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმელის ძისაგან და მოციქულად მავალი ამოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩის ეპისკოპოსი გარდაცვალებული, და მიშუებითა აურაცხელად სულ-*

გრძელისა ღმრთისაჲთა საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდა-
რი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან, და რაჟამს
მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კულაად შესძინა ძვრი ძვრსა მისსა ზედა
მრავალი, რომლისა მოხსენებაჲ ამას წიგნსა შინა არა ჯერ არს შთაწე-
რად ყოველი...“ (თავი 69).

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: სიტყვა (სახელი) **ცქირი**
მხოლოდ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტში“ გვხვდება. ის
არ დასტურდება ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, არც სულ-
ხან-საბასთან და არც – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.
ლექსიკონებში შეუტანლობის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ტრადიციუ-
ლად ის საკუთარ სახელადაა მიჩნეული. სათავე ამ ტრადიციას,
ვფიქრობთ, მისმა პირველმა, ნიკო მარის მიერ გამოცემულმა და რე-
დაქტირებულმა, ტექსტმა დაუდო, რომელსაც თან ერთვოდა გამო-
კვლევა და რუსული თარგმანი, რომელშიც **ცქირს** შესაბამის კონტექ-
სტში შეესატყვისება Цкиръ (წრფელობითის ფორმით – ფუძის სა-
ხით), Недобрый Цкиръ (უკეთურმან მან ცქირმან) და ა. შ.... აგრეთვე,
ტექსტს ბოლოში ერთვის გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძი-
ებელი, სადაც, ასევე, როგორც საკუთარი სახელი, დასტურდება **ცქი-
რიც** (მარი1911, 205).

კორნელი დანელია ამის შესახებ წერდა: „ნ. მარმა შენიშნა ის
ფაქტი, რომ ნაწარმოებში ბერძნული სახელობითი ბრუნვის (-იოს)
დაბოლოებითაა ნახმარი არა მარტო ნასესხები საკუთარი სახელები:
ანტონიოს, დიმიტრიოს..., არამედ ქართული (კოლხური) ჯუედიოს-
იც..., რაც უჩვეულოდ გამოიყურება ისეთი ქართული ძირისა ან
წარმოების სახელთა გვერდით, როგორცაა კრავი (|| კრავა, შდრ.
კრავაიშვილი > კრავეიშვილი)... **ცქირი** (შდრ. **ცქირია**, გვარი სამეგ-
რელოში)“ (დანელია 1986, 176).

მიუხედავად ამისა, მაინც გვაქვს ეჭვი, რომ სახელი **ცქირი**,
რომელიც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დასტურდება, ანთრო-
პონიმი არ უნდა იყოს: საყურადღებოა, რომ სახელი **ცქირი** „გრიგოლ
ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში, საკუთარი სახელის ბრუნებასთან
დაკავშირებულ ძველ ქართულში არსებულ ყველა წესს არღვევს: ის,
განსხვავებით ნაწარმოებში დადასტურებული ყველა სხვა დანარჩე-
ნი ანთროპონიმისაგან, საზოგადო სახელისათვის დამახასიათებელი
ბრუნვის ფორმებით გვხვდება.

„ადამიანთა სახელებს რამდენიმე თავისებურება ახასიათებს, – აღნიშნავდა აკაკი შანიძე, როდესაც განიხილავდა საკუთარ სახელთა ბრუნებას ძველ ქართულში, – ა) სამ ბრუნვაში არავითარ ნიშანს არ მიიღებენ. ეს ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი, რომლებშიც სახელები ფუძის სახით არის წარმოდგენილი; ბ) სავრცობი ა (რომელსაც ნ. მარი ემფატიკურ ხმოვანს ეძახის) არ დაერთვის მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში; გ) მრავლობითი რიცხვი არ მოეპოვებათ (შანიძე 1976, 41); აგრეთვე: „განუსაზღვრელ სახელს ძველ ქართულში შეიძლება დაერთოს „ერთი“ ან „ვინმე“ („ვინმე“ მაშინ, თუ ადამიანზეა საუბარი). განსაზღვრა შეიძლება არა ყოველგვარი სახელისა, არამედ საზოგადოსი. საკუთარი სახელი (პირისა, აგრეთვე გეოგრაფიულიც) თავისთავად განსაზღვრულად ითვლება, ამიტომ მასთან ნაწევარი არ იხმარება“ (შანიძე 1976, 30). კიდევ ერთი ციტატა აკ. შანიძის გრამატიკიდან: „დღევანდელ ქართულში... პირის სახელებმა ბრუნვის ნიშნები შეიძინეს მოთხრობითსა და ნაწილობრივ წოდებითში და ამით გაუთანაბრდნენ საზოგადო სახელებს. ამას გარდა, პირის სახელები არ გაურბიან ნართულ ხმოვანს, რომელიც ძველად მხოლოდ საზოგადო სახელთა კუთვნილება იყო“ (შანიძე 1976, 30).

საკუთარ სახელთა ბრუნების ამ თავისებურებებს (საზოგადო სახელებისაგან განსხვავებით) აღნიშნავდნენ სხვა ცნობილი ენათმეცნიერებიც: ნ. მარი, ჰ. ფოგტი, ივ. იმნაიშვილი, გ. კლიმოვი, ზ. სარჯველაძე...

ივანე იმნაიშვილის მონოგრაფიაში „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“ დამოწმებულია საკუთარ სახელთა საზოგადოსთან გათანაბრების შემთხვევები და ახსნილია ამის მიზეზიც: ჩანასახი სახელობითისა და მოთხრობითის საზოგადო სახელებთან გათანაბრებისა, ძველ ქართულშივე გვაქვს... ამ მოვლენის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად ისეთი შემთხვევების არსებობა შეიძლება ჩაითვალოს, როცა ერთ წინადადებაში ორი საკუთარი სახელი გვხვდება და არც ერთ მათგანს არა აქვს ბრუნვის ნიშანი, რაც ხელს უშლის სუბიექტისა და ობიექტის გარჩევას: „*ჰეროდე შეიპყრა იოვანე...*“ (ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე არის პირველად მოხსენებული სახელი, ჰეროდე; დამატება კი – შემდეგი, იოვანე). მაგრამ წინადადების წევრთა თანმიმდევრობა ყოველთვის არ განსა-

ზღვრავს ქვემდებარესა და დამატებას, რიგი ყოველთვის ვერ გვშველის სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ამოცნობაში, მაგ.: „*მოიყვანა პილატე იესუ...*“, ამ მაგალითში მომყვანი პილატეა, მოყვანილი – იესუ. გარდა ამისა, ენაში იყო ძლიერი ტენდენცია, საერთოდ საზოგადო სახელებისა და საკუთარი სახელების ბრუნების გათანაბრებისა. ასეთი მიდრეკილება, უნიფიკაციისადმი მისწრაფება ყველა ენაში ერთობ ძლიერია და ამ შემთხვევაშიც ის გადამწყვეტ როლს თამაშობდა...

აღნიშნული გათანაბრება საზოგადო სახელებთან უფრო ადრე და უფრო მეტად სახელობითს დაეტყო, ვიდრე მოთხრობითს... საზოგადო სახელებთან გათანაბრება მოთხრობითში უფრო გვიან იკავავს გზას და ნელა მიმდინარეობს... ისეთი მწერლის ენაშიც კი, როგორც სულხან-საბაა, – წერს ივ. გიგინეიშვილი, – რომელიც ახალი ქართულის ფორმებს ფართოდ უღებდა კარებს, ხშირად ვხვდებით მოთხრობითის ძველებურად ხმარების მაგალითებს: *თქუა რუქა არაკი, თქუა ჯუმბერ არაკი, თქუა ლეონ არაკი...* და სხვ.; „მოთხრობითის ასეთმა (უნიშნოდ, ფუძის სახით) ხმარებამ დიდხანს შეინახა თავი და აქა-იქ ახალ ქართულშიც გვხვდება ხოლმე, – შენიშნავს მეცნიერი, – მე მხედველობაში მაქვს ისეთი ხალხური ლექსები, როგორიცაა: „**ავთანდილ** გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი...“ „**როსტომ** სთქვა: ერთი არა სჯობს ამ ჩემსა მოგონებასა, ერთხელ სჯობია სიკვდილი, სულ მუდამ დადონებასა...“ (იმნაიშვილი 1957, 369).

როგორც ზურაბ სარჯველაძე აღნიშნავს, ადამიანის საკუთარი სახელი სახელობითის ნიშნით გვხვდება VII საუკუნიდან, მოთხრობითის ნიშნით IX საუკუნიდან, წოდებითის ნიშნით – X საუკუნიდან. ასეთი ფორმები ასახავენ ცოცხალ მეტყველებას. ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში არ დასტურდება საკუთარ სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის **მან** ნიშნის ხმარების არც ერთი შემთხვევა.¹ პირველად **მან** საკუთარ სახელებთან თავს იჩენს „სინურ მრავალთავში“: „*დალილმან სამსონს თავი დაჰყვნა...*“; „*არამცა საჭურველისა შთაცუმა უბრძანა პავლე მან ნეტარმან...*“ (სარჯველაძე 1975, 126).

¹ საყურადღებოა, რომ დღესაც ზოგ თანამედროვე დიალექტში გადმონაშთის სახით საკუთარი სახელი უნიშნოდ დასტურდება მოთხრობითის მნიშვნელობით (სარჯველაძე 1975, 127).

მაგრამ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში მხოლოდ სიტყვა **ცქირთან** გვაქვს საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები: სიტყვა **ცქირი** „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტში“ რამდენჯერმეა ნახსენები და, რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, სხვა საკუთარი სახელებისაგან განსხვავებით, გარდა იმისა, რომ სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშნებს ირთავს, ამასთან ერთად სხვა დარღვევებიც იჩენს თავს: ახლავს ნაწევარი; აგრეთვე, ნათესაობით ბრუნვაში ერთვის ემფატიკური ა.

თვალსაჩინოებისათვის ტექსტიდან მოვიყვანთ ყველა იმ ადგილს, სადაც დადასტურებულია სიტყვა **ცქირი**:

„მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან; ...ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა; ...წინაშე ეპისკოპოსთა მათ წარმოუთხრეს ცქირისა სამართალი, უშჯულოებად მისი; ...რამეთუ ცქირმან, რაჟამს წარავლინა ერი იგი ხანცთას, მაშინ თვთ წარვიდა ქორთას; ...მღდელი ანჩელი იყო მის თანა და უფალმან გამოუცხადა ბოროტად სიკუდილი ცქირისა... და მან მღდელმან წარავლინა თვისი მოწაფე ხანცთად და დამტკიცებულად აუწყა სიკუდილი ცქირისა და ვითარცა მოიწია ცქირი ქორთას, მოკუდა ხოლო, და მუნ დაჰვლეს უფლისა მეორედ მოს[ლ]ვადმდე...“ (თ. 69-70-71).

შდრ.: „ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ...“ „მამამან გრიგოლ და დედამან ფებრონია შემოსილი საკურთხეველით შთამოიყვანეს [ცქირი] და წინაშე საკურთხეველსა განმარცუეს...“ „ხოლო ზაქარია, სასოებით მდგომარემან, ჰრქუა მათ...“ „მაშინ მირეან, დიდებულმან უფალმან, დაადგინნა წინაშე ჩუენსა...“ „ბრძნადმეტყუელებად ვეცხლი არს წმიდად, ხოლო დუმილი ოქროდ რჩეული, – ვითარცა თქუა სოლომონ...“ „...ნეტარმან გრიგოლ თქუა სიტყუად იგი დავითისი...“ „ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ...“ „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ...“ „ჰრქუა კეთილმან ბერმან წმიდასა მამასა გრიგოლს...“ „მას ჟამსა ნეტარსა გრიგოლს გულმან უთქუა ხსენებად საბან იშხნელისად...“ „აუწყა... მეუღლემან მისმან (გაბრიელ დაფანჩუღს) ნეტარისა მამისა გრიგოლის მოსვლად...“ „შრომად და მოღუაწეებად ღირსად ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი“ ... და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ ილუსტრაციებში (რომლებშიც **ცქირი** გვხვდება), ძველ ქართულში საკუთარ სახელთა ბრუნების ტრადიციული წესების გათვალისწინებით, ყველა ნორმა დარღვეულია, რაც საკმარის საფუძველს გვაძლევს, რომ **ცქირი** საზოგადო სახელად მივიჩნიოთ (ზედწოდება? ტიტული?). ის იგივე უნდა იყოს, რაც მზირი, მსტოვარი,¹ ჯაშუში, – ვინც თვალ-ყურს ადევნებს, – მეთვალყურე, მოთვალთვალე (ტერმინი? შდრ.: ძვ. და-მხედვარი; ზედამხედველი, დამკვირვებელი).

ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, აგიოგრაფიულ ლიტერატურაში უარყოფითი პერსონაჟების სახელები, ხშირად, როგორც წესი, არ იხსენიება. მაგ., თვით „ხანძთელის ცხოვრებაში“: „*სიძვის დიაცი*“ (აშოტ კურაპალატმა სასახლეში რომ მიიყვანა), „*ერისკაცი ანჩელი, ლირბი და ბილწი*“ (რომელიც ცქირმა მოისყიდა მამა გრიგოლის მოსაკლავად), „*ვინმე უკეთური კაცი*“ (რომელმაც „ემშაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა“ ზენონის და); თვით **ცქირი** „*ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი სარწებს აღმოცენებული*“... და ა. შ.

სიტყვა **ცქირი** (ხანძთელის ცხოვრების ცნობილი ეპიზოდიდან) არ უნდა იყოს პიროვნების საკუთარი სახელი, არამედ – საზოგადო სახელი – „მსტოვრის“¹, „მზირის“² მნიშვნელობით, და ისევე უნდა იყოს ნაწარმოები, როგორც სიტყვა მზირი (მზერა > მზირი...)³.

¹ თვით სიტყვა **მსტოვარი**, კ. დანელიას თვალსაზრისით, უნდა იყოს მიმღეობა უძველესი **სტ-ოვ-ს** ზმნისა (შდრ. მ-ოვ-ს, წ-ოვ-ს, თხ-ოვ-ს...) და **ხედვას**, თვალს უნდა უკავშირდებოდეს: „სტ-ოვ ძველი ქართველური ფუძე უნდა იყოს, უძველესი -ოვ მაზმნავებელი სუფიქსით დეტერმინებული, ხოლო ნეიტრალური ბერათკომპლექსი სტ- იგივე ოდენობა, რაც სახელური თუალ- ფუძის თ-. ამდენად, სტ-ოვ ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა თვალის ქმედების, ე.ი. ხედვის, მზერის გამოხატვა უნდა ყოფილიყო, რაც რეალურად ძველ ქართულში შენარჩუნებულია მისგან ნაწარმოებ მსტოვარ, განმსტორობა, სტუანვა, სამსტოვრო სიტყვებში...“ (დანელია 1988, 25-28). „**მსტუარ-ი 1. მზილველი, მხედველი** (ἐπίσκοπος): *გული მსტუარ ქემშარიტ, და ენაჲ მსმენელ* (სიბ. სოლ. 1,6; 7,3); 2. **მოთვალთვალე, ჯაშუში**: [შშვილობასა] შინა განმაქარე მე [უფალმან]; მიჰყურნა მე თმანი ჩემნი და დამდებურნა მე და დამადგინა მე ვითარცა მსტუარი (იობ. 16,13)“ (დანელია 1987, 423).

² ხანძთელის ცხოვრების ტექსტში თვით სიტყვა **მზირიც** არის: ცქირის მოსყიდული კაცი „წარვიდა **მზირად** ტყესა მას ხანციისასა“.

³ ცქირი უნდა მომდინარეობდეს ცქერა ზმნისაგან (მსგავსი ვარაუდი, – როგორც უფროსმა კოლეგებმა, ბ-ნმა მურმან სუხიშვილმა და ქ-ნმა იზა ჩანტლაძემ გვითხრეს, – ბაქარ გიგინეიშვილსაც ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილი, სადაც ეს თვალსაზრისია გამოთქმული, ვერ ვიპოვეთ): ცქირი < ცქერა, შდრ.: მზირი < მზერა,

საქართველოში **მეთვალყურე – მსტორის** არსებობა (სამწუხაროდ) გასაკვირი არ იყო. ასეთი შემთხვევა (პრეცედენტი) თუ ტრადიცია მეფის კარზე მართლაც არსებობდა. აქ შეიძლება გავიხსენოთ პავლე ინგოროყვას ერთი საგულისხმო ინფორმაცია: აშოტ კურაპალატის მიერ წარმოებულ ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ ბიზანტია თანაგრძნობით ეკიდებოდა, ამ კავშირში დაინტერესებული იყო ორივე მხარე. მიუხედავად ამისა, ბიზანტიის იმპერატორების არაერთ მცდელობას, ქაჯის ციხეში შემოეყვანათ გარნიზონი, ქართველი მეფე-კურაპალატები არ თანხმდებოდნენ („ქაჯის ციხე“ მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ საზღვართან, რომელსაც „ქართლის გზა“ ერქვა, შემდეგდროინდელი „გურჯი ბოლაზის“ ზონა). „მათ განუცხადეს ბიზანტიის იმპერატორს, რომ ისინი ნებას ვერ დართავდნენ ქაჯის ციხეში ბიზანტიელთა გარნიზონის შეყვანაზე, ხოლო ბიზანტიის იმპერატორს **შეუძლია გამოგზავნოსო თავისი ხელისუფალი, ... ან ერთ-ერთი თავისი დაახლოებული პირი, რომელიც იცხოვრებსო ქაჯის ციხეში და შეასრულებს მეთვალყურის როლსო**“ (ინგოროყვა 1954, 61).

ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი მისია ჰქონდა ცქირსაც, მხოლოდ – არა მეგობარი ქვეყნის ხელისუფალისაგან, არამედ – დამპყრობლისაგან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ერთის თქმა შეიძლება: მიუხედავად იმისა, რომ **ცქირი** ანთროპონიმის სახით დასტურდება ქართულში, „გრიგოლ ხანძთელის“ ტექსტში ხსენებული სიტყვა **ცქირი**, ძველი ქართულის ნორმების გათვალისწინებით, საზოგადო სახელი უნდა იყოს (შესაძლოა, ზედწოდება) და არა – ანთროპონიმი, საკუთარი სახელი. მით უფრო, რომ ეს სიტყვა ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის ინფორმაციით¹, დღესაც ცოცხალია „ჩვენებურების ქარ-

შდრ.: ჩინი/ჩენა, ცქვიტი/ცქვეტა, ლხინი/ლხენა, ჩხირი/ჩხერა... და ა. შ. **ეი** ხმოვანმონაცვლეობა ისტორიულ ფუძემეზში კარგად არის ცნობილი აბლაუტის სახელით. სახელურ ფუძეთა გარკვეული ნაწილი უშუალოდ ჩანს დაკავშირებული ზმნური ფუძის აბლაუტთან, რომლის მექანიზმიც ქართველურ ენებში კარგად არის ცნობილი (თოფურია 1936, 232, გამყრელიძე - მაჭავარიანი 1965, 312, არაბული 2001, 146...). წარმოდგენილი დერივაციული მიმართებები ვლინდება უძველესი ფონდის ლექსიკაში და ენა ხშირად იყენებს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ძველ „გამოცდილებას“ (არაბული 2001, 92).

¹ ეს ინფორმაცია ქ-ნმა შუშანა ფუტკარაძემ მოგვანოდა 2012 წელს ქ. ბათუმში გამართულ II საერთაშორისო კონფერენციაზე „ტაო-კლარჯეთი“ (2012 წ.), სადაც

თულში“ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში „ჯაშუშის, მზირის“; „ფლიდი, მატყუარა ადამიანის“ მნიშვნელობით.

ამასთანავე, ისიც არის ცნობილი, რომ ქართულში არსებობს საზოგადო სახელებთან (ზედსართავებთან, სოციალურ ტერმინებთან...) დაკავშირებული საკუთარი სახელები (მაგ.: დევი, შმაგი, ოქროპირი, საჩინო, წყალობა, მესტუმრია [გვარი: მესტუმრე], და ა.შ.).

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

არაბული 2001 – ავთანდილ არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთექმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001

დანელია 1986 – იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამება“; გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ, კ. დანელიამ და ე. გიუნაშვილმა, თბ., 1986.

დანელია 1987 – კორნელი დანელია, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), ტ. I ნაწ. 1; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ, თბ., 1987.

დანელია 1988 – კორნელი დანელია, ძველი ქართული ლექსიკიდან 5. მსტოვარი და მასთან დაკავშირებული ფუძეები, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1988.

ენუქიძე 1977 – ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977.

თოფურია 1942 – ვარლამ თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, სმამ ტ. III.NN#5, თბ., 1942.

იმნაიშვილი 1957 – ივანე იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კა-

წარმოდგენილი გვქონდა მსგავსი მოხსენება „ცქირ- სიტყვის ისტორიისათვის“.

თედრის შრომები 4, თსუ გამომც., თბ., 1957.

ინგოროყვა 1954 – პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

მარი 1911 – Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII. Г. Мерчул, Житие св. Григория Хандзийского, груз. текст, введение, перевод Н. Марра, С.-ПТБ. 1911.

მარი 1925 – Марр Н., Грамматика древне-литературного грузинского языка, М.-Л. 1925.

სარჯველაძე 1975 – ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.

სარჯველაძე 1995 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1995.

სარჯველაძე 2004 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 2004.

სილოგავა 1999 – ვალერი სილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.), პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბ., 1999.

სულხან-საბა 1991, 1993 – ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, I, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991, 1993.

ფუტკარაძე – შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული (წ. 3), ხელნაწერი.

ქეგლ V, 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, თბ., 1958.

შანიძე 1976 – აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 18, თბ., 1976.

ჭუმბურიძე 1987 – ზურაბ ჭუმბურიძე, დედა ენა ქართული, თბ., 1987.

On the History of the Word **ckiri**-

Abstract

The word **ckiri** is rarely used nowadays. In old Georgian manuscript texts it is only attested in “The Life of Grigol Khandzteli” where it is thought to be a proper name. Considering the grammatical norms of Old Georgian, we believe that the word **ckiri** mentioned in the text of “The Life of Grigol Khandzteli” is a general name and not an anthroponym as it is considered in the scientific circles. We suppose that it means **mziri**, **mštovari**, **metvalčure** “a spy, a look-out” and was derived from the verb **ckera** “to look at”: **ckiri** < **ckira** < **ckera** (cf.: **mziri**<**mzera**, **čini**<**čena**...). According to Shushana Putkaradze, this word is still alive in the Georgian speech of “Chveneburebi” (Georgians living in historical Tao-Klarjeti) meaning a spy or a deceptive person.

გზინა ხახუტაიოვილი, ნანა ცაცხლაძე

ქობულეთელ გუჰაჯირთა შთამოგავლების იუმორის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები

დღესდღეობით ანთროპოცენტრისტული პარადიგმა ლინგვისტიკის აქტუალური მიმართულებაა. თანამედროვე ენათმეცნიერებაში სამყაროს აღქმას ისტორიულსა თუ კულტურულ კონტექსტს უკავშირებენ და საამისოდ იკვლევენ ამა თუ იმ „ეროვნულდისკურსს, რომელიც სოციალური ქცევის ფორმაა. სწორედ ამით ემსახურება იგი სოციალური ნორმებისა და წესების დაცვას“ (ომიაძე 2006, 39).

დისკურსის სოციოლინგვისტურ ტიპთაგან (ინსტიტუციონალური, საყოფაცხოვრებო, პრაგმალინგვისტური, ინტენსიური) იუმორისტული დისკურსი უკანასკნელს მიეკუთვნება. იგი შეიცავს სპეციფიკურ ტექსტებს. მასშინათლად წარმოჩნდება ერის კულტურული კოდი.

იუმორი უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულებაა რაიმესადმი. ის ამბავს, ნაკლს, ზადს ან ხარვეზს სასაცილო, კომიკური სახით წარმოგვიდგენს; ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებში კი საგანგებო დანიშნულების მხატვრული ხერხია. იგი ჰგავს რეალიზმს: „სინამდვილის უარყოფითი მხარეების კრიტიკული ჩვენება სატირისა და იუმორის თვისებაა“ (იოვანავილი 1983, 8).

საზოგადოდ იუმორისადმი ინტერესი საუკუნეებს ითვლის. კომიკურს, როგორც კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონცეპტს, ჯერ კიდევ არისტოტელეს პერიოდში შეისწავლიდნენ. იუმორისტული დისკურსის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება და ცხოველდება. მიდგომა ინტერდისციპლინურია: მას ინტენსიურად შეისწავლის ანთროპოცენტრისტული პარადიგმის მეცნიერებები: ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფოლკლორისტიკა და სხვა. იუმორს იკ-

ვლევენ გენდერულ ასპექტშიც. საკითხი აქტუალურია, რადგანსირ-
თულისა და მრავალასპექტიანობის გამო ყველაზე ნაკლებად არის
შესწავლილი. სიცილის ინდუსტრია მეცნიერების ახალისფერია,
ახალი მეცნიერება – სიცილის თეორია კი იკვლევს კომიკური ეფექ-
ტის წარმოშობის ტექნოლოგიებს, მის მექანიზმს. კომიზმის არსს
ქმნის ერთი შინაარსის ორპლანიანი აღქმა, ორი აზრის შეჯახების
ნიადაგზე წარმოშობილი გაცრუებული მოლოდინის ეფექტი და შე-
უსაბამობის დოზა. მომხდარსა და რეალობას შორის არსებული შეუ-
საბამობა იწვევს სიცილს. სატირაცა და იუმორიც ამ სასაცილოსადმი
დამოკიდებულებას ასახავს. „ის შესაძლებელია ერთ შემთხვევაში
იყოს მკაცრი, მეორე შემთხვევაში კი – ლმობიერი...თუ ეს დამოკი-
დებულება მკაცრი და აზუჩად ამგდებია, მაშინ იგი სატირულია, ხო-
ლო თუ გაკიცხვას თანაგრძნობაც ახლავს, მაშინ იგი იუმორისტუ-
ლად უნდა მივიჩნიოთ“ (კიკნაძე 1972, 17; 11).

ჩვენი საანალიზო მასალა ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყვე-
ლების ნიმუშებია. მათი შთამომავლები დღეს უმთავრესად თურ-
ქეთში, ორდუს ველაიეთში სახლობენ. განსაკუთრებით კომპაქტუ-
რად კი მათ ქალაქ ფაცის მიმდებარე ოცდაერთ სოფელში შეხვდე-
ბით.

თ. შიომვილი წერს, რომ „განმაკურნებელი მხილების ტრადი-
ცია ქართველ მუჰაჯირთა წინაპრებს საქართველოდან წაუღიათ,
ადგილობრივიც შეუთვისებიათ და ცინცხალი, თანადროული სოცი-
უმის სულიერების გამომხატველი სიუჟეტებიც შეუქმნიათ, რომ-
ლებშიც თავჩენილია ჩვენებურთა ლაღი, ჯანსაღი დამოკიდებულე-
ბა ცხოვრებისეულ პრობლემათა მიმართ“ (შიომვილი 2014, 29).

საქართველოს ფარგლებს მიღმა გახიზნული, ე.წ. მუჰაჯირე-
ბის მეტყველება დამატებითი საშუალებაა აჭარული დიალექტის
სიღრმისეული კვლევისთვისაც. მართლაც საუკუნე-ნახევრის წინან-
დელი კონსერვირებული მეტყველების შესწავლა მნიშვნელოვანია
იმდენად, რამდენადაც ის მოწყვეტილია სალიტერატურო ქართულს
და განიცდის თურქულის გავლენას.

ნაშრომის მიზანია ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების
მეტყველებაში დაცული ფოლკლორული იუმორისტული ტექსტე-
ბის სტრუქტურული და სემანტიკური ნიშნებისლინგვოკულტურო-
ლოგიურიკვლევა; მათი პრაგმატიკული ფუნქციები, კომიკური

ეფექტის შექმნის ლინგვისტური და მხატვრული საშუალებების ანალიზი.

მიგრირებული მოსახლეობის იუმორში ვლინდება ენაში დალექილი წარსული, ისტორიული მეხსიერება, ეთნომენტალობა, მსოფლხედვა, სოციალური სტერეოტიპები, ყოფითი რეალიები, სოციუმისთვის პრიორიტეტული ღირებულებები.

იუმორისტული ტესტი შეიცავს მინიმუმ ორი ტიპის ინფორმაციას: ერთი მხრივ, ამბავს, მეორე მხრივ კი – ინფორმაციულ-ხატურ გზავნილს, რომელიც ეპოქისა და სოციუმის მიხედვით განსხვავებულია და სხვადასხვა მიზანს ემსახურება.

კარგი იუმორის გრძნობა ხშირად არის ადამიანის მნიშვნელოვანი სოციალური მახასიათებელია, რომელიც მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და გემოვნებას გვიჩვენებს. ეს არის უნარი, ცხოვრებისეულ ფაქტებსა და მოვლენებში დაინახოს სასაცილო, კომიკური, მხიარული მხარე, განტვირთოს სიტუაცია, გააცინოს ან გაართოს ადამიანი. იუმორის საშუალებით შესაძლებელია ადამიანი გამოვიდეს უხერხული სიტუაციიდან, თავი დააღწიოს არასასურველ ვითარებას და შეინარჩუნოს ფსიქიკური ბალანსი; იუმორი ფსიქოლოგიური დაცვაა. იუმორით მას შეუძლია თავიდან აიცილოს კონფლიქტები და მიუთითოს ადამიანს ნაკლზე, ისე რომ არ მიაყენოს შეურაცხყოფა. ის აადვილებს კომუნიკაციას სხვა ადამიანებთან, ამიტომ კარგი იუმორი წარმატებული კომუნიკაციის წინაპირობაცაა. მნიშვნელოვანია სიცილის გამაჯანსაღებელი ფუნქციაც. მოკლედ, სიცილი საუკეთესო თერაპიაცაა და მაკიაჟიც.

ცნობილია, რომ „იუმორის აღქმასა და გაგებაზე ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ადამიანის ასაკი, განათლება, რელიგია, კულტურა, სოციალური კუთვნილება, გეოგრაფიული გარემო, ინტელექტი და გარემო, კონტექსტი, რომელშიც ყვებიან სასაცილო ანუ იუმორისტულ ამბავს.

იუმორის ფორმებია: ირონია, პაროდია, სატირა, ანეკდოტი, ხუმრობა, კალამბური და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, მუჰაჯირთა იუმორისტულ დისკურსში საყურადღებოა კულტურული ინფორმაციის შემცველი დანაშრევი. „ეს დანაშრევი ყოველთვის იყო ქართულ კულტურაში, როგორც

„უნივერსალურ-კულტურული, ისე ეროვნულ-კულტურულის სახით“ (ომიამე 2006, 39).

მაგალითად, ისტორიული მეხსიერების დასტურია სიტყვა „კინიაზი“ (Князь – რუს. – თავადი), რომელსაც ახსენებს მუჰაჯირი ქობულეთელი (ჩურუქსუელი) ეთნიკური იმუნიტეტის დასამტკიცებლად, თუმცა ბოლომდე ვერ ახერხებს მოსაუბრეს დაუმტკიცოს, რომ მისი „დიდებულება“ სწორედ ისაა, რომ „კინიაზია“, „დაჰა კინიაზია“ (daha - თურქ. ძალიან):

-რეიზა იცი? სიფთე, ძალიან კინიაზი არიან, კას ჩეიცმენ, კას დეიხურვენ, კას დეელაპარიკებიან. ყოლისფრათ შემკული ქორწილი, ჯანაზა, იანე კაცი რუმე მოკტება, იმაზე შემკული არიან.

- ჩურუქსუელები რაფერი ხალხი არიან? (მ. ჩ)

- ად სოველი ჩურუქსუიდანაა. რა გითხრა ახლა, ჩურუქსუელები დაჰა კინიაზი...

- ჯო, ეს კინიაზი სიტყვა ჰაიდან წამოვდა? (მ.ჩ.)

- იქიდან გამოსულა.

- რაით არიან ჩურუქსუელები შემკული კინიაზები?

- დაგაჯერონდა მე შენ ახლა! ახლა შენ რაფერ მიგახტინო მე? ყოლისფერში რუმ შემკულია, წაღანად ვთქვი ხუმ კი? ვჩივი იმას, თქვენ ახლა გამობძანებული იქიდან სტუმარი ხართ, მად სტუმრობა აქანად ძნელი არაა. საცხა რუმ მიხვიდო, კარქა შემკული, კარქა ყოფნობა, სხვად რა გითხრა?

აღნიშნულ შემთხვევაში საინტერესოა სიტყვის სემანტიკა, რომელშიც არა მისი პირდაპირი მნიშვნელობა, არამედ ეთნიკურ, კულტურულ, ყოფით თავისებურებათა ერთობაა, რომლებიც სხვათაგან გამიჯვნის საფუძველს უქმნის მთქმელს, თუმცააქვე შეიძლება ითქვას, რომ სადიფერენციაციო ნიშნების დასახელება უჭირს მთქმელს.

ქობულეთელ მუჰაჯირთა იუმორში კარგად ჩანს ეთნიკური და ენობრივი თვითგამიჯვნის ტენდენცია. ენობრივი კოლექტივისთვის უცხო სიტყვაფორმები დასტურია იმ კილოკაური სხვაობისა, რაც, როგორც ჩვენს, ასევე სხვა მეცნიერთა კვლევებშია ასახული. მოსაუბრენი კარგად გრძნობენ მეტყველებრივ სხვაობებს და იუმორის ხიბლს თან ურთავენ. საამისოდ მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს:

მაჭახელი, აჭარელი, ქობლეთელი სამი ხალხია, იანე იქიდან გამოსული. **პაწაღ ლაპარიკობაში სხვაია. ლაპარიკი სხვაფერებულია** (კრებული 2013, 236).

„იქა აჭარლები არიან. აქ აჭარლები და მაჭახლელები არ არიან“ – აღნიშნავს მთქმელი. მუჰაჯირთა შთამომავლებმა დღემდე იციან, რა არის „**ჩურუქსულოზა**“ (ჩურუქ – დამპალი, სუ-წყალი – ქობულეთი).

„საუკუნენახევრის წინ, როცა აჭარის მკვიდრნი მუჰაჯირად წავიდნენ, მათ ეთნომენტალობაში უკვე იყო, რომ **„აჭარა სხვაა, ჩურუქსუ სხვა, მაჭახელი სხვა“**. ასეთი გაგებაა დღესაც აჭარის მკვიდრთა შორის: ქობულეთელისათვის ყველა აჭარელია, გარდა ქობულეთელისა; ბათუმელისათვის აჭარელია აჭარისწყლის ხეობის (ქედა, შუახევი, ხულო) მკვიდრი. ბათუმელი გამოყოფს ასევე ქობულეთელს, მაჭახელს, ბათუმელს. აღნიშნული მენტალობით წავიდა მუჰაჯირი ემიგრაციაში, იგივე გადასცა შთამომავლობას“ (ფაღავა 2013, 14).

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალნი ცდილობენ ქობულეთელთა განსაკუთრებულობა ლექსიკური საშუალებებით დაასაბუთონ: „**აჭარელი სხვა არის, მაჭახელი სხვა არის, ჩურუქსუ სხვა არის. ჩვენ თხილს ვჩივით, იგინი კაკალს ჩივიან; ჩვენ ნიგოზს ვჩივით, იგინი კაკალს ჩივიან. იგინი ყოლიფერზე კაკალს ჩივიან, სიმინდიც კაკალს ჩივიან** (ფაღავა 2013, 180). **აჭარლები ასე იტყვიან: ჩვენ ბაწარს ვიტყვით, აჭარლები -თოკვიო//თოკვი იტყვიან.**

მთქმელები შეგნებულად განარჩევენ თავიანთი კილოკავისთვის ნიშანდობლივ ლექსიკურ ერთეულებს. როგორც ბესარიონ ჯორბენაძე აღნიშნავს: „ეს ხელს უწყობს დიალექტურ თავისებურებათა მდგრადობას“ (ჯორბენაძე 1989, 39).

ყველასათვის ცხადია, რომ დიალექტებს გარდა ურთიერთზე გავლენისა, ურთიერთგამიჯვნის ტენდენციაც ახასიათებთ. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მეტყველებით არ ვლინდება. ბ. ჯორბენაძის თანახმად, იგი თავს იჩენს სხვა ეთნიკურ მოვლენებშიც... დიალექტების შესწავლისას ამ ფაქტს სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს (ჯორბენაძე 1989, 37). ზემოთ აღნიშნულს მუჰაჯირთა იუმორნარევი მოსაზრებაც ხდის ნათელს:

– ახლა აქ რომ ვიარებთ, უნივერსიტეტით, ფაქტობრივად ვიარებთ, არიან აქარლები, არიან მაქსხლელები, არიან ჩურჩუქსულები.

– ახლა მითხარი ცალ-ცალკე: აქარლები რაფერი ინსტრუქციები არიან, მაქსხლელები – რაფერი და ჩურჩუქსულები რაფერი (მ. რ.)

– იმას გეტყვი, აქარლები არის **ინათი**, **ჯირეკსავენი**. იგი და ჯირეკი?

– კუნძი, ხის გადანაჭერი (მ. რ.)

– მაქსხლელები აგინში ბრევილი არ არის, ამა რაცხამდენიმე კვირა მაქსხლელები სუფთა არიან.

იუმორისტულ ტექსტებში ჩანს ქობულეთელთა სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც. ერთი ასეთია ურწმუნობა. ორდულელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში მ. ფაღვამ, მ. ბარამიძემ და მ. ცინცაძემ გამოავლინეს იუმორის ასეთი ნიმუში:

„ერთი ყოფილა ქილისეს ფაფაზი, მიორე-ჯამის ხოჯა. ახლოს ყოფილა ერთმანეთზე ჯამე და ქილისა. ჩხიკვი ჯამეში ღინოს დალევედა მეგემ, ქილისეში დაპილწავდა მეგემ. ხოჯა და ფაფაზი მისულან ერთ ძერზე, უთხრობიან: აი ჩხიკვი მუსლიმანი იყოს, ჯამეში ღვინოს არ დალევეს, ქრისტიანი იყოს, ქილისეს არ დაპილწავს. ეს იყოს, იყოს, **ქობულეთელი იქნებაო**“ (ხასან ალიოღლი, ექრემ მახარაძე) (ფაღვა 2013, 223).

თურქეთში, ფაცის სოფლებში, გაიგონებთ ამაყად ნათქვამს: „მე ცეცხლაიფხე ვარ, მე ინაიფხე...“ ჩემი გელინის ბაბა ანე ჯინჭარაფხე იყო, ქათამიფხე, შაქარაფხე არიან... (კრებული 2014, 211); „შაბანის ცოლი მჟავანაფხე იყო; აი, ფატმა ხაბაზიფხეს ჯეიზიდანაა (თურქ. მზითევი)“.

ფხე- სუფიქსი ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში ცოცხალი მორფემაა. აღსანიშნავია, რომ ქალის გვარობრივი წარმომავლობის გადმოცემა ქართველურ ენათა უძველესი ვითარების ამსახველია (ჩანტლაძე 2008, 76-78).

ფხე- ტრადიციულად მამისეულ გვარს ერთვოდა. მაგალითად: ინაიფხე, ხახუტაფხე, ცეცხლაიფხე... და გადმოსცემდა გათხოვილი ქალის ნათესაობისადმი კუთვნილებას, მამის გვარეულობიდან წარმომავლობასა და ვინაობას (მგელაძე 1998, 3). ინაიფხე მნიშვნელობით იგივეა, რაც ინაიშვილის ასული (ქალი). დღეს ქობულეთში **ფხე**-თი ნაწარმოები გვარები გამოიყენება ქალის კაპასი ხასი-

ათის გამოსახატავდაც, რაც აღნიშნული ფორმანტიისათვის მეორეული დატვირთვაა (შდრ. ჯორბენაძე 1989, 568). „მა სხვანაირი ცეცხლაიფხეა“ – რასაც მუჰაჯირთა მონათხრობში იუმორნარევი ქვეტექსტი ახლავს (ხახუტაიშვილი 2011, 278).

ხარბი რძალია გაკილული მუჰაჯირთა მონათხრობში. რძალი (გელინი – თურქ.), რომელსაც შემოეჭამა საჭმლის კეთებისას კერძი, დაცინვის ობიექტი გამხდარა. მიქმელი ცდილობს მას „დანაშაული-გაუქარწყლოს“, საამისოდ კი ირონიას მიმართავს:

– ერთ სახში გულუკეთებთან საცივო, თავ-ფეხი. გელინი ხარჩავს. ხარჩვაში შემოსჭამია. ოთხი პაკაპუკი, ორი ტაკატუკიო, ერთი ენაო, ორი და პურიო. ამ გელინმა ამფერი რა შეჭამა, რომ დიგიჩემებთან გელინმა შეჭამაო.

გაუმადღრობაა გაკილული მომდევნო ნიმუშშიც:

– ხახვს ჭადს, კვერცხს წეიღებდენ საქმეში – ბუიარუმ სუფრა-ზეო. მოსულა კაცი დამჯდარა. ვორი კაკალი კვერცხი, ვორი კაკალი ხახვი. კვერცხი შეჭამა კაცმა – ახლა რა გაქ კიდვენო. მეო, სამი დღეა ვარუნიეფო და იმიტომ მაქო, შენ მალე შეჭამე, ახლა მადღარი ხარ და წაი გზათო.

მუჰაჯირთა იუმორში კარგად ჩანს ის ღირებულებები, რომლებიც სოციუმისთვის უმნიშვნელოვანესია. მუჰაჯირთა მიერ ერთი უცნაური, სიცილისმომგვრელი მონათხრობითსხვისი **ნაშრომის მითვისება** ადამრახული:

– ბეთინამ (საკუთარი სახელია) იყო. ზრუგში მეიკიდა შევექიე და შეიპარენ და დაწიკვეს კიტრები; დოდობილო, შევსულიყო ფეხები დამატყტესო – თქვა შევექიემ (საკუთარი სახელი); ბეთინამ უთხრა: დოდობილო, მე თუ შენ ბაღჩაში კიტრი მომეწიკვოს, ხელუბი მომატყდესო. დეიჯერა დოდობილმა და წევდა.

იუმორის ერთ-ერთი ფუნქციაა, მოხსნას შიში, დამაბულობა და გაანეიტრალოს სიტუაცია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ნიმუში:

– საქურდებელში მიდის კაცი, ბნელა, თავში მოხთა ხაპი, წევდა წინ, კიდვენ მოხთა თავში ხაპი. მის თავს უთხრა: **არ შეგეშინდოს თავო, ხაპია, ხაპიო.**

ეროვნულ-კულტურულ დანაშრევთა შორის საყურადღებოა „ცხენის პარვა“, რომელიც ვაჟკაცობა იყო ძველ საქართველოში.

ამაზე 78 წლის უმიან შავიშვილი მოგვითხრობს: „ცხენის მოპარვა ვაჟკაცობა იყო“. ჩვენთვის საინტერესოა ის ირონია, რომელიც ლექსადაა გამოთქმული და დაზარალებულს უკავშირდება:

– თინაო და თინაო,
შენ გძინავს და გძინავსო,
შენი ცხენი ასი კილო ჭვირთის ქვეშ,
ფრინავს და ფრინავსო.

მსგავსი ჟღერადობის სიტყვების თამაშს ემყარება იუმორი, რომელშიც აღწერილია თუ რა დაემართა მუჰაჯირად გადახვეწილს თურქული ენის არცოდნის გამო. ასეთ ფაქტს არაერთი იუმორი უკავშირდება.

სიტყვები, რომლებიც აგებულებით ჰგავს ქართულს (**საქალ-ლი (თურქ.) - წვერებიანი// სათალი(სარი); ათ(თურქ.)-ცხენი//ათ-ი**) დაცინვის ობიექტს უხერხულობაში აგდებს და აზარალებს კიდევ.

– *ერი ბერი კაცი ყოფილა ბათუმიდან გამოსულა, არუნიეფს სარებს, ყიდის. თურქა არ იცის. დუქანჯიმ (მედუქნემ) დუღახა: საქალლი (თურქ, წვერებიანი), საქალლი, მეიხედეო. გედეი ხოთოღლის ტყეში, ნახე რანაირია სათალიო;*

– *რაფრათ ყიდო, ათ ფრათ მომეციო, მეო, არ ვიცი ონ ფარა, ერ ფრათ ვყიდო... ცხენს სთქვია „ათ“ სულ დეეკარქა ცხენი. ხელში ცალში დუღუკავია ფუშხი, მიერეში თივა და თურქული რუმ არ იცის, თურქებს უგნება: ამას რუმე ჭამს, ამას რუმე იქს დემეკარქაო:-ააო, დეეკარქაო?*

– *ათი კი არა, ერი მხავდა ცხენი და იგიც დემეკარქაო.*

მუჰაჯირთა შთამომავლების მონათხრობში კარგად ჩანს ისტორიული მეხსიერება და იუმორით გამოხატული გასაჭირი. კეჟერა, იმავე შავი ფხლით მომზადებული კერძები აჭარაში ფრიად გავრცელებულია, თუმცა არც თუ ისე ყუათიანია, ამიტომ მისი ჭამით ძალაგამოლეულია ადამიანი. ოჯახი, რომელსაც ხორცეულის შეძენისა და მომზადების შესაძლებლობა არ ჰქონდა, აშკარად დაცინვის ობიექტი გამხდარა:

– *ეი კიდი ფხალო, ჭამე ფხალი, ყლიპე თვალიო.*

ჭამე ფხალი, გამომელია მუხლებში ჰალიო.

აფხაზოლებს არ ქონიან საჭამადი ფხალი...(უმიან შავიშვილი-ცეცხლაძე, 78 წლის.სოფ.თახთაბაში).

კომიკური სიტუაციის აღწერა ზოგჯერ ემყარება გარკვეულ მეთოდს: „ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში შეინიშნება თხრობის ერთი ასეთი ხერხი: მთქმელიროცა რაიმეს იტყვის, ფრაზის საკვანძო სიტყვას გაუწყობს რითმას და ტაეპებს მი-აყოლებს, თუნდაც ეს უკანასკნელი საპირისპირო სემანტიკას გადმოგვცემდეს. მთხრობელი ამ ფრაზას, სადაც დამრიგებლური აზრია გადმოცემული, რომ ფხლის ჭამით ადამიანი გაჯანსაღდება, უძებნის ანტონიმურ ტაეპს. ამგვარი დაპირისპირება ქმნის კომიზმს.

აქვე უნდა დავასახელოთ შემდეგი იუმორისტული ლექსიც:
მაგ.: „გუმში ახმედას შევეყარე.

ზენგინი იყო, ტანზე ტილები არ ექნებოდა...“ (ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე 2009, 188).

ამას მოჰყვება სრულიად საპირისპირო მნიშვნელობის ტაეპე-ბი, რომლებიც იწვევს სიცილს:

ტანზე ქონდა ტილებიო,
უცუფათაჲ რუმ შევხედე,

მეგონა ვერცხლის ღილებიო (იქვე, 186).

მუჰაჯირთა იუმორი დასცინის ადამიანთა სიმუნწესაც. მახვილსიტყვაობის ამგვარი ნიმუშები ემოციურობითა და ექსპრესიულობითაც იქცევა ყურადღებას. ის ალეგორიას ემყარება. ძუნწი კაცი ფულს ათქმევინებს საკუთარ სათქმელს:

ვინცა მისულა ფარაზე კენჭიშვილთან – ერთი მითხარო ფარას ვკითხავო, მოვკითხო ერთი რას ჩივა ფარაო. შუუხედია ჯიბეში, მუუკითხია: – ფარავ, მიქვე მაგასო, მემრე ვეყიყინოო, თუ აქ ექნები და გიჭიტინოვო. ფარა უგნება: – ჯიბეში ვიქნები და მიჭიტინეო (იქვე, 204).

კენჭიშვილმა მოსწრებული სიტყვა-პასუხით გაუშვა სხვაგან ჩალის მთხოვნელი, ისე, რომ „დაუსაბუთა“ კიდეც:

ერი კენჭიშვილთან მისულა: ჩალა მინდაო.

– ჰელობეთ მოგცემო.

– ახლაო რომ დემელევაო, მე გავხაზირდენაო სათხოვნელათო. შენ გახაზირებული გამოსულხარ, ბარელამ სხვაგან წაა და ითხვეო.

მუჰაჯირთა შთამომავლები არაერთ ლექსშიყვებიან პოზიტიურიემოციების, სასიყვარულო ისტორიების, საიდუმლო ტრფია-

ლისშესახებ. ქვემოთ დასახელებულ იუმორისტულ ლექსში გაკი-
ლოვლია ლაზზე გათხოვება:

*გედევხედე ბახჩაში,
ვარდსა ვიკრეფ კალთაში,
ერი ბიჭი მოვძიე,
ქი წამოვეყვანე სახლში,
შეერის ფაფას უმზადებდი,
გავასუქე ჭამაში;
სკივრის ყურში დავმალავიდი,
ქი მომიკტა ლებ-საბანში.
აფრენილა ფუტკარი,
წაი და ფემბეს უთხარი,
ლაზ ოსმანას რუმ წახვი,*

ემინელას რა უთხარი? (კონცელიძე ახმედი, 100 წლის, სოფე-
ლი დუაიერი).

მუჰაჯირთა შთამომავლების ანდაზებში კარგად ჩანს ღირებუ-
ლებათა სისტემა: **ქართველი ტრახახობიდან და ლაზი ფულიდან
კმაყოფილი იქნებაო**. მთქმელი გვმოდვრავს, რომ ეთნოსს მხოლოდ
სიყვარულის გაცემა-გამრავლება გადაარჩენს: **რაც საქართველოში
სიყვარული გექნება ბევრი, ერთმანეთში დაანაწილონა და გეიზ-
რდებაო; ფული რომ დაანაწილო, დაპატარავდებაო**.

ცხოვრებაში ხშირად პირიქითაა: ადამიანს ავიწყდება ღმერ-
თი და ყველაფერიფულზე, კერძოდ, დოლარზეა დამოკიდებული.
ხუმრობაში ფორმალურად ჯერ ღმერთია ნახსენები, **შუქური გა-
მჩენს**,მას ერთიმება საპირისპირო მნიშვნელობის ფრაზა,**დოლარი
გადამარჩენს**.

*შუქური გამჩენს,
და დოლარი გადამარჩენს.*

ირონია ჩანს ფრაზეოლოგიზმში, რომელშიც გაკრიტიკებუ-
ლიამემთვრალეობა, სმის სიყვარული. სვი, სვი, **დაბუყებული ჭკვით**
რას იხამ! (ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე 2009, 196).

აქვე გაკილოვლია ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობე-
ბის გაზვიადებულად წარმოდგენაც: **პუწუწამ ჩიტს უთქმია, დუნიაშ
და დეიქცეს და ზრუგზე დაწოლილა, ტოტებით ცაი-და დეკვაგოო**
(იქვე).

იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ყველა, რომერთი კაცისთვის არჩევნებში საკუთარ ცოლს არ მიუცია ხმა. სასაცილოა კომენტარი: *მის ქალმაც არ მიცა ხმა, ერი ხმა ქონდა მას.*

იუმორისტულ ტექსტში სასაცილო ელფერს იძენს მძიმე ისტორიული ამბავიც. ასეთებია ჩვენი და შ. ფუტკარადის მიერ დადასტურებული ფრაზეოლოგიზმები, ისტორიულ რეალიებს რომ ასახავენ:

– *რაზე მირბიხარ, რუსი ხუმ არ მოგდევს? ეტყვის მუჰაჯირი მუჰაჯირს.*

„1977-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარის მოსახლეობას უმძიმესი ვითარება შეექმნა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რუს ხელისუფალთა მმართველობის ბარბაროსული ფორმები გახდა მუჰაჯირად წასვლის მიზეზი, რაც დაიბრუნა ერთი ფრაზეოლოგიზმის სემანტიკამ“ (ცეცხლაძე 2018, 239). **რუსი ხომ არ მოგდევს** ფაქტობრივად ლოგოეპისტემა, ლინგვოკულტურემია.

მეორე ფრაზეოლოგიზმი თურქულ რეალობას უკავშირდება: „*ჩაუშის ნაჯახსავით დარჩენილია. უკან ვეღარ გაავ ზანი*“ (ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე 2009, 210).

Çavuşun baltası gibi kalmuş, geriye gönderemezsin (მამულია, 2016) **ჩაუშის ნაჯახსავით დარჩენილია** (საუბარია ცოლზე, რომელსაც ადვილად ვერ გაეყრებოდაქმარი) (ცეცხლაძე 2018, 240).

თურქულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვა **ჩაუში** (თურქ.) ასე განმარტებული: 1) ისტ. მაცნე; 2) სამხ. შიკრიკი 3) სერჟანტი, უნტეროფიცერი; ზღვ. ზემდეგი; 4) უფროსი ზედამხედველი, ზემდეგი, ინსპექტორი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების იუმორისტული დისკურსი მრავალფეროვანია. თემატურად ის ეროვნულ-ქართული მოვლენა და მისიმატარებელი ხალხის იდენტობის ერთ-ერთი მკაფიო გამომხატველია. მასში კარგად ჩანს ეთნოსის ისტორიული მეხსიერება (მუჰაჯირად წასვლა, **რუსი ხუმ არ მოგდევს**), ეთნიკური იმუნიტეტი, საკუთარი უპირატესობანი, ტრახახი (კინიაზი), მიგრაციასთან დაკავშირებული სიმწელებები (ენის უცოდინრობა), მუჰაჯირობის კვალი (**ჩაუშის ნაჯახსავით დარჩენილია, დოლარი გადამარჩენს**). ეს კულტურული და-

ნაშრევები, ზონები ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია. იუმორშივე ჩანს ღირებულებები, რომლებიც მოცემულ სოციუმს ახასიათებს. აქ დაგმობილია ქურდობა, სიძუნწე, გაუმაძღრობა, სიღარიბე, კაპასობა, საკუთარი შესაძლებლობების არასწორი შეფასება, თანადგომის უნარის არქონა, ურწმუნობა. აღნიშნული დისკურსი მძლავრი იარაღია ამ მანკიერებების დასაგმობად.

ლიტერატურა

თურქულ-ქართული ლექსიკონი 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი **ლია ჩლაიძის** რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წრეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი, საქართველო-თურქეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, სტამბოლი. 2001.

იოვაშვილი 1983 – იოვაშვილი დ., სატირა და იუმორი თანამედროვე ქართულ რომანებში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1983.

კიკნაძე 1972 – კიკნაძე გრ. ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ. 1972.

მამულია 2006 – მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ. 2006.

მგელაძე, ფაღავა 1998 – მგელაძე ნ., ფაღავა მ., ფხე-ხე – ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, ბსუ, შრომები II, ბათუმი, 1998.

ომიაძე 206 – ომიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება, თბ. 2006.

ფაღავა, ბარამიძე, ცინცაძე 2013 – ფაღავა მ., ბარამიძე მ., ცინცაძე მ., ორდულ მუჰაჯირთა მეტყველება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი. 2013.

ფაღავა 2013 – ფაღავა მ., ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2013.

შიომვილი 2014 – შიომვილი თ., ქართველ მუჰაჯირთა მახვილსიტყვაობა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული IX. გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი. 2014.

ჩანტლაძე 2008 – ჩანტლაძე ი., კიდევ ერთხელ – ფხე-ხე სუფიქსისათვის ქართველურ ონომასტიკაში, არნოდდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესია, თბილისი, 2008.

ცეცხლაძე 2013 – ცეცხლაძე ნ., ხატოვანი სიტყვა-თქმები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2013.

ცეცხლაძე 2018 – ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიზმთა კვლევისას სპექტები, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი. 2018.

ხახუტაიშვილი ფუტკარაძე 209 – ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ., ქობულეთური კილოკავის მასალები (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით). შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI; გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი. 2009.

ხახუტაიშვილი 2011 – ხახუტაიშვილი მ., ქართველი მუჰაჯირიდედები, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, II, ბათუმი, 2011.

ჯორბენაძე 1989 – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ. 1989.

**Linguistic-Cultural Aspects of the Humor of
Descendants of Migrants from the
Kobuleti Region**

Abstract

The linguistic cultural research of folkloric humoristic texts of migrants from the Kobuleti region, their pragmatic functions, and analysis of means for creating comical effects are given in the article.

The historical memories, ethnical mentality, world views, social stereotypes, popular realia, values prioritized by the society are revealed in the migrants' humor; the following has been denied: theft, greediness, insatiability, poverty, protervity/ill nature, the incorrect assessment of one's capabilities, the inability to support others, unfaithfulness.

სალექსიკონო მასალა. ტექსტები

გიორგი ცოცანიძე

რელიეფის ლექსიკა თუშურ დიალექტში

თუშეთისფერაც მთაგორიან ქვეყანა საქართველოში არად. სი-
დალ არ ვარ ნამყოფი: ფშავ-კვესურეთ ხო ფეკქვეშ მაქვის დაგებულბ, რაჭა-ლეჩხუმ გინდა, გურია-სამეგრელოი, აფხაზეთშიაც ნამყოფ ვარ სტუდენტობას, აჭარაში მაღლითა ვარ გადასრულბ, გოდერძიკითად, თურქეთის საქართველოიც – მთელ ტაო-კლარჯეთ – დავლილ მაქვის, იმერკველელების საზაფხულო მთაზე, საქორიაცუეაც კი ვარ ნამყოფი, იქითა გადმომხედავ აჭარისად, მაგრ თუშეთისფერაც მთიან ქვეყანა ცხვაკ არასი მინახავ. ახლ შენ მკითხავ, რაცაც ავთაყოდეც, რო სუ ცხვებურაცავ, იქნებ, რაკი შენიავ, მით გეჩვენებავ, მაგრ არ, არ მეჩვენებ. საქართველოში ისთაც კუთხე ერთიც არა, რო ბართა, ერთსიდისკითა მაინც, პირდაპირ შესასვლელაც არ ხქონდეს – ერთ რომელიმ ჯეობას ახყებბ, თანთანაც მაღლე-დ მაღლ წახვა-დ იგრ შეხვ, რო მთას გადავლა არ გინდ. ახლ შენ მეტყვ, კვეში რო გადახვიდეც, ხო ჯვრის მთა უნდ გადიყაროვ. ხო, მართალბ, ეგ საქართველოთა კი, მაგრ რუსეთისკითა ხო თერგს უნდ ამოხყვბ, დარიალის ჯეობასა-დ პირდაპირ სტეფანწმიდაში ამოხვ, ყაზბეგში. მაგრეც პირიქით კვესურეთაც – დათვის ჯვრის ღელე უნდ გადიყარო-დ იგრ გადახვიდ აქისკითად, მაგრ იქისკითად, ქისტეთის მჭართა, ჯარეგა უნდ გამიყარვ, არღუნს შემოხყვედ შატილ ამოხვალბ. აბა თუშეთ ნახე: კახეთისკითა რო თუშეთ გადახვიდბ, რამდენ ცერები-დ ღელეებ უნდ გადიყარვ (თქვენ რო მთაზე გადასავალაც ადგილს უღელტეხილს ეტყვი, ჩვენ იმას ღელე გვიქვიან): სამ-ოთხ გადასავალაც მართო აბანოსთავითა იყვ წინითგნივბ: აჯაეტისად, საცხვრე ჯორჯისად, ორწყლისად, ისივ საგომეწროდ, სამცორნოსაი-დ საყორნისად. ხო, ცოტაქეწ არ დამავიწყდ, კეპნისკითად, **ზეთავისად** (ამ ზეთავისა ერთ

კარგაც სიმღერა მომაგონ, აბა ბარემად იმასაც აქავ გეტყვი: ზეთავის მთას, თოვლიანსა/ზედამც ვინა გადამკიდა./ზედ მაწვიმდეს, ზედ მათოვდეს/ზედაც ნაქარს მომაყრიდა./უბეს მეჯდეს ჭრელი გველი./შავი ყელზე ჩამომკიდა/სუყველყველას ავიტანდი/უნდაურსამც არ ამკიდა). ახლა დიდოეთისკითა რო შემოხვიდნ, ჯერ ხო ყადორის მთა უნდ გადიყარვ, თავად დიდოეთ რო შეხვიდნ, მემრ ხუფრის მთად, ველკეთიკი-დ ბოლოს ჯარაყისწყაროთა გადახვ ორეთ, ქუმელაყურთისთავ; დიდოეთითა, ხუშეთისკითა რო შეხვიდეც ხუშეთის ღელეზე უნდ გადახვიდნ, მაღალაყ მთარ, ჭეროთა ფიჭებ გახვალი-დ ფიჭებისკითა შეხვ დიკლოს. ახლა ქისტეთისკითა რამდენ **ღელერ** კიდე გადმოსავალაყრ: ხულანტი, ქაჩუი, ქერიგოი, უყურეჩო. ყველაყზე მაღალაყ **ღელეებ** ეგენრ, ქისტეთითა რო გადმოდის. ახლა ჳევსუღეთითაიც, შატილ-არდოტითად, აწუნთა უნდ გადმიყარო-დ ანდაქისკითა კიდე – ბორბალო. იგრე ამ მაღალაყ მთებით თუშეთ შეკრულ, რო კაც იტყვის, გალავან არტყიაგ. მითარ რო თუშეთ თათარს არცროდის არ შჭერი, იქ თათარ ვერ შედიოდ. თავად თუშებ კი, კახეთ რო თათარს ეჭირ, ეცემოდესა-დ სუტრუბაში აძვრენდეს. მე გამგონრ, ერთ დროსავ თათრებსავ კახეთის მეფისადავ კახეთ წუყრთავამავავ, მეფეივ კიდე იმერეთს გახვეწილავ. თუშებსავ რუსეთავ კაცებ წუყლალებვანაო-დ რუსთ ჳელმწიფისადავ წერილ მიუწერავავ: ჩვენავ მაგარ ალაგას ვცხორობთავ, ჩვენ ქვეყანაშიავ თათარ არ შემოგვიშვიავ, არც შემუყშვებთავ, თუ სადმე მოგვიტანებავავ, ჯარ გაგვიწყვეტავაო-დ იმათ ბელადივ კიდე გამოგვიფრენავავ. მახლავ ჩვენ მეფეივ თათარმ დაზძლიავ, კახეთითა გაყგდოო-დ აღარავინაავ, რო გვალაშქროსა-დ გვაომოსავ. ამის მემრევ შენ ყმებ ვიქნებითავ, შენ გვალაშქრეო-დ გვაომევ. მამ! აი მაგთავ შავყვერავ ბიჭებ იყენეს წინანდელ თუშებრ, მახლინდელთ კი არ ღვანდეს, ყვერნაცრიანებს, ყანწის უკვენ ჯდომის მეტ რო ვერა იციან.

გითხარიწ, თუშეთივ მთიან ქვეყანაიაგ. სუ მთებ, მთები-დ მთებრ. ერთ მთა რო თავდებ, ახლა ცხვა იწყებ. წაზდიხარრ, წინ მთა გიყუდავ. გგონავ, რო ემაგას რო გადავალვი, მემრ გავივაკებავ; გადახვა-დ ახლა ცხვა მთა აგეყუდებ, ხან უფრეც მაღალაყრ. მთა რაყიაგ რო მკითხვ, ვერ გეტყვრ, ეგ ხო ყველაყმაც იცის, რაყიცად, მთა მთარ. დიდ, მაღალაყ ადგილრ მთად. სიტყვაზე ბუხურთას ან ილიყურთას

ხარი-დ წინ გახედავ, მარცხნისაკ მკარეს, საჯეოს მთა გიყუდავ, მარჯვნისაკ ვესტომთისი-დ საალმისი-დ ნარღვევთის მთებრ, წინ გახედავა-დ კეხის მთარ. იმასავ აბენან საბუემ, სამერცხლეი-დ შავკილდე. საბუე-სამერცხლენი-დ შავკილდენრ ბუხურთითან არ ჩინან, მაგრ ვესტომთაზე რო ახვალრ, სუყველყველაც გონთ ჩინს.

ახლა, თუ გინდ, რო თუშეთ კარგადაყ დიყნახავ, ნუ დიყზარებ, შედ წუყათას, ეთელთის გორს ახყევრ, ედ, ედ სუ მალლ. ქუჩიანებს რო აყთავდება-დ ქვიშიანებს რო მეყმებერ, იყ გაჩერდრ, შემობრუნდი-დ გახედ წინ. მთელაყვი თუშეთ თვალთ აგიჩინდებ. ისთაყ სანახობარ, რო ტანში გაგაყრიალებს. მარცხენა მკარეს პირიქითის მთებ ჩინს, თოვლიან ცერებით, სუ ზენ, ჰაწუნთის თავითა მოკიდებულ დიკლოს მთამდინასრ. წინ დიდოეთის მთებია-დ ისეყენ კი გონთ არ ჩინს, ბუნდრშია გახვეულებერ, მარჯვნისაკ გახედავა-დ სუ ქვენ კახეთის მკარის მთებ ჩინს, მემრ ბულანჩოს თავიც, სამერცხლე-შავკილდეიც, სხამოანაყის თავი-დ სამცორნოიც, ახლოს კიდე საჯარე-სამყურის **თავებერ**, სვილობ-საჯიკვის **თავებერ**, საყორნეი-დ ბორბალოიც. შენ უკვენ კიდე წუყათის თავის ალესილკდიან მთებრ. პატა წინ ვაშკოლთის თავი-დ ყადოანაყრ. წინ გახედავა-დ ისრე დატალღულ მთებთ მთელ ადგილ, რაყსაც თვალ სწვდების, გეგონებ აღელებულ ზღვას გახედავა, ის მთებ ტალღებად მოგეყვენებ, ხან გეგონებ იმვრინანაწავ. ვერც ერთ სოფელს ხედავა-დ ვერც ერთ ვაკე ალაგს, სუ მთებ, მთები-დ მთებერ, აბოყირებულ მთებერ. შორითა აღელებულ ზღვა გეგონების, მთაგორებად აღელებულერ. თვალს რო დაყშტერებ, ხან მოგეყვენება, რო ეს მთა-გორებად აბორგებულ არემარეიწ იმვრისავ.

ახლა სახელებ რაყებ ხქვიან. რო ვის ხკითხვ, მთა რაყია, მთა რაყს ხქვიანისავ, მთა მთაია, გეტყვის, მთას მთა ხქვიანავ. მართლევ მთა მთარ თუშისადაც, კახისადაც, იმერლიზდაცა-დ ყველაც ქართველიზდაც. აი მთის ნაწილებს კი სუ თავ-თავად სახელებ გვიქვიან თუშებს. სუ დაბლ, სიდითაიც მთა იწყებ, ის ციყმ მთის **ძირრ**. ან ერთრომელ ალაგის ძირრ. ამ ძირს, **ჰალაყსაც** ვეტყვით, მაგრ **ჰალაყ** უფრ დაბლითა, წყლის ახლოაყს რო ადგილრ, ციყმისად ვიცით: **ბუხურთის ჰალაყვი, ვესტმოს ჰალაყვი, ზელელაყის ძირით-დ ზელელაყის ჰალაყვი**. წინავ ალაგ ყოფილ **ხისოს ჰალაყრ**. მემრ ხახაბოთ გაყრილ მურთაზაყნ დასახლებულან. ქისტეთითებ ამანათად მო-

სრულეხ ხახაბოელებს არ მიუღრ, ხისოელებს მიუღია-დ ალაგ **ჭალაყში** მიუცრ. სოფელ გაკეთებულა-დ ახლ ჭალაყვი ვიციტ, მურ-თაზაყნივ, გოგოთიანივ, ჯამრულიანივ, ქუჯაყანივ **ჭალაყელებიავ**. მთის შუა ალაგს **წელ** გვიქვიანიის. სოფლის მალლ რო ადგილებრ, ციყსენ **თავებრ: ღოჭუს თავი, ბეღელაყის თავი, ჯვარბოხლის თავი**. მთის სუ მალლითიოდ ადგილ **ცერ**. თქვენ რო ქედსა-დ თხემს ემა-ხიტ, ჩვენ იმას **ცერ** გვიქვიან. თქვენ რო იტყვიტ, გზაივ ქედს ან თხემს გაზდევსავ, ჩვენ იმისად ვიციტ, რო გზაივ **ცერ-ცერ** წადისავ. მამ ცერ მთის სუ ზედა ნაწილრ. **ცერებზე** ალაგ-ალაგ კდიან ადგი-ლებრ ამომალალაყებულებრ, ისეყენ **კუნჭრუხაყებრ** – კუნჭრუხაყრ. თუ აგრიავ ამობურცულ ადგილრ, ის **კუჭიტაყრ**, ხან **კუჭიოც** ვიციტ, სიმღერა არ გაგგონია. ჩემ ბალღობას ერთ მომღერალავ ქალ იყვის, მახარაძე, ტატინაყ ექვივნის, იმამ იმღერის: „ბორბალოს **კუჭზე**, სანგალში ფხიზლობს დარაჯი მთებისა, გამოხვეულა ნაბადში, გულს უხევს ჯავრი მტრებისაივ“. მთის **ცერებითა ჭალაყებისავ ფერდებ** ეშვებ, მთის **კალთაყებრ**. ეს კალთაყებ ზოგ დიდრ, მტყელია-დ, ზო-გიც იწრუაყრ. ამ მთის ჭალაყითა თავამდინას სუ **გვერდრ**. ზოგ ფერ-და მეტაყ **ცერაყრ, გვერდალავებრ**, იქ საქონ ფეკს ვერ მიყვიდებს, მით საძოვრად ვერ ვიყენებტ, **უჭმარ**. ერთ თხებ კი შედიანა-დ ზომენ. თხებს მეტაყეც მოსწონს ავთაყ ალაგებრ. მამ ასთაყ დაქანებულ ად-გილებს **გვერდალავს** ვეტყვიტ. ეს **გვერდალავებ** მეტწილად კლდიან-ნიცად **ქარაპიანიებრ**. **ქარაპ** ხო იც, რაყიცად კდე რომე, ლიპ კდე, მე-ტაყ დაყუდებულრ, **ქარაპ** ციყსრ. ასთაყ კდიან ადგილებში ზოგჯერ ცუტუნ-ცუტუნაყ მინდორაყებსავიტე, მწვანიანიებრ, იმას **ფარაგაყ** ხქვიან. მთის ნადირებ – ჯიკვები, ფსიტები, შუნთანები – ავგთაყ **ფარაგაყებზე** გადიან ღამ-ღამე-დ იქ ზომენ. დღის-დღის კი კდეებში იმალებიან, **მეტაყ** მაგარ თვალ უნდ გქონდეს, რო ისეყენ ღნახვ, გინ-დაც – დურბინდით. მინდორში, ბეღენა არა, ფერდა იქნება თუ ვა-კე, აქა-იქ ჩინს ბარჯღალავ ქუდებსავიტ ამობერილებრ. ზოგ კი ჯინჭველაყების ბუდეებრ, ჯინჭველაყებითა სამსვიაყრ. იმისად **ჯინ-ჭვლის ქუდურივ** ვიციტ: ზოგ კი ბორტვრ, ისიც დიდ ბარჯღალავსა-ვით მირგველავ, მწვანიან ბორტვრ. იმას **ბორტვის ქუდურ** ხქვიანიის. მთის **გვერდის** შუა ნაწილ **წელ**. გზები-დ ბილიკაყებ ამ **წელებზე** გადის. გზაივ **წელთ** გამოდისავ, **წელთ** გამოედითავ ვიციტ. ფერდა-ზე ზოგან პატარა მოვაკებსავიტე, ვაკიაყ ალაგრ, იმას **დალაოგაყ**

გვიქვიან. თუ ეს **დალაოგაც** ჩაღრმავებულსავით, ან გინდაც აგრიაც ვაკემ, იმისად **ტაფივ** ვიცით, **ტაფიაც**. მთებში რო დიდაც გამო-ვაკებულეებ, ვაკიაც გორ-გურებ, იმისად **ჯვაფი** ვიცით. ეს **ჯვაფებ** კარგაც სამოარ ალაგებ. ზოგან ეს **ჯვაფებ** ადგილები სახელებად ნაქევერ. ვესტმოს წინა აგთაც ალაგად იმას **ჯვაფ** უქვიან ვესტმო-ელთ. ერთკვადს ხვითხავენ, – ცხენებ ხო არასი გინახვანავ, სილამ არიანაო-დ – ვერ ვიცვი, გუშინას კი **ჯვაფს** იყენესაო-დ მახლაც იქ ან იქნებიანავ, ეტყვიან. **ალაზნისთავისაკ** წამოალაც **საჯინჭკელეს** რო კარგადაცუე გასცდებ, ერთ დიდ მოვაკებაზე გახვალ, იმაზე გადის გზად. ამ ტაფიაცს **ლანგისჯვაფ** ხქვიან. იმის მემრ კარგაც დალდე გორ-გურებიან სამოარია-დ მთელ იმ სამოვრისადაც **ლანგისჯვაფი** ვიცით. ახლ შენ იმასაც მკითხავ, ეგ **დალდე** რაყილაავ. აბა რაყგვერემ გითხრ, **გორებ რომქ**, დაბალაყებ-დ, გლუყებ, ციყმას ხქვიან **და-ლდე**. შირაქისად ივიან **დალდე** გორებიან ალაგავ. შირაქში **ელ-დარ** ხო ივრ, სოფელ **კასრისწყალ**, იყმასაწ მარცხენა მჭარეს ერთ დაბალაც მთა აქვის, **დლუზაყ**, ზედ ციყმ მთის თავზეაწ ერთ აკაკის ხე დგას, ხო გაჯონს, **საკამის აკაკს** ემახიან, მითამდე ირანში წამო-ალაც სააკამიეც ციყმ ხესთანითა დეყმშვიდობავ თავის ქვეყანასავ. ციყმ აკაკსთან რო გახვალი-დ ციყქითა გახედავ გარეშემოს, არც სვი-ოდ ვაკე მიწდვრებია-დ ვერც იმას იტყვ, რო **მთავორიან** ალაგავ, მა-ლალ-დაბალაყ, ზოგან გორებ, **დლუზაყ** გორებ, აი ციყსთაყისად ივიან **დალდე** გორებიან ალაგავ. **გორი**, გორებიც ვამზობთა-დ ის კი აღარ გვითქვამავ, რო **ბარში**, ვაკე ალაგას მცხოვრებლისად **გორ** ცხვია-დ მთებში მაცხოვრებლისად – ცხვად. თქვენდ, ბარელებისად გორ ისივ ცუტუნაც მთარ, ჩვენდ კიდე ეგეც ხო გორ, მაგრ უფრ კი მთის ფერდების შეყრის ადგილზე სუ მალლითა დაბლამდინას ფხა-სავით ჩამოზდესა-დ **იყსრ გორ**. მთა ხო მთაია-დ ამ მთებითა ჭა-ლაყებისაკე დაყუდებულ **გორებ**, ამ გორებს სუ თავ-თავად სახე-ლებ ხქვიანის. ჩემ სოფლის გასადევარში რო **გორებ**, იმაყების სახე-ლებს გეტყვ: **ფშვინდისგორიო**, **კაბარჭგორიო**, **ნაყანობის გორიო**, **საკახეთოს გორიო**, **მწვაქეს გორიო**, **იგრეც შუბლის გორიო**, **ჩოდ-ლაყთის გორიო**, **ხოლიკბოსლის გორიო**. გორებისი-დ გორების შუა-ზე ღრმა ადგილებ ჩამოზდევს, ისენიც სუ მალლითა, კინად მთის ცე-რებითა, ჭალაყებამდინასრ. ისეყენ **კევებ**. ამ კევებზე წყლებ ჩამო-დისა-დ იმ წყლებსაც **კევებ** ხქვიან. თუ წყალ არ მოდისა-დ აგრიაც

მშრალ ადგილებ ჩამოიდევს, ისენ **რუხები**, უწყლოა **რუხები**. იმაგებისად იციან **მშრალ კევიავ**. წყალ რაცზეაც მოდის, ის წყლიან კევრ. ახლა ბარემ ისიც ვთქვათ, რო თუშეთ წყლებს, იმის კვალობაზე, მომდინარაც წყალ დიდია თუ ცუტუნაჲრ, თავ-თავად სახელებ გვიქვიან. წყალ რო კდითა გამოდის, ან მიწითაჲ, ციკმ გამოდენის ადგილზე წყალ **წყარორ**. ახლა ეს წყაროს წყალ რო დაღმ ჩადის, ცუტუნაჲ როჲ, ან ბალახიანში მიძვრებ, ან ქვა-ქვიშიანებშია-დ რუხზე მიწანწკარებს, ის **ჭურულაჲრ**. ახლა ქოქვესე-დ ქოქვეს ხო ამ **ჭურულაჲს** ცხვაი-დ ცხვა წყლებ ერევ, ზოგ დიდადებ-დ, ზოგ ცუტუნაჲებ. ეს ერთად შეყრილ წყლებ **კევად** გაკეთდებ, ეს კევებ ქვენა-დ ქვენ იმსიდიდობებ, კეთდებ, რო წისქვილებსაც კი აბრუნებს. იმ ადგილებს, სიაც წისქვილებ კეთდებ, **წისქვილკევეს** ეძახიან. ეს **წისქვილკევებ** თუშეთ ბევრგანჲ, ბევრ სოფლისთან. თავ-თავის **წისქვილკევებ** აქვის შენაქოელთაც, ბოჭორენელთა-დ, დოჭუელთაც, ვერხოვენელთა-დ დადიკურელთაც, ალიზგორელთა-დ ჯვარბოსლუელთაც. ზოგ კევ იმსიდიდორ, რო გადაკდომითაც ვერ გადახედებ, უნდ გუყრივ. მემრ ეს კევებ რო შეერთდებად უკვე ვაკედ მიდის ჭალაჲზე ან კეობაზე, იმას **წყალ ხქვიან**, წყალ უკვე მდინარერ, შიგ ვედარ გუყრევ, ცხენით უნდ გახვიდ, თუ კიდ არაჲ. მემრ ეს **წყლებიც** რო ერთკვადს შეყრევა-დ გადიდდებ, **ალაზნად** გაკეთდებ. თუშეთ სამ **ალაზან**: **გომეწრის ალაზანი**, იმას **თუშეთის ალაზანსაც** ეძახიან, **პირიქითის ალაზანი-დ ჭანჭახოვნის ალაზან**. გომეწრის ალაზან ბორბალოსძირითა გამოდის. სათავეში დიდ არაჲ, მაგრამ მაინც **ალაზან** ხქვიან. ქვენა-დ ქვენ ერევ **კევები-დ წყლებ**: **მიჯნის კევიო**, **სვილობის კევიო**, **საჯინჭვლის კევიო**, **ალიზგორის კევიო**, **ვაკიზძირის კევიო**, ისივ **წისქვილკევებ**. ესეყენ მარჯვენისკითა ერევ. ახლა მარცხნისკითაივ ჯერ ალაზნისთავშიავ ერევ ცუტუნ-ცუტუნაჲ **კევებ**, ახლა ქვენ მოზდილაჲრ ვაშკოლთის კევრ, მემრ **წუაყთის წყალ**, მემრ დათვაჲს კევრ, ქოქვესაკ ვერხოვნის **წისქვილკევი**, მემრ გუდანთის, ბელელაჲს, დოჭუსი-დ ბოჭორნის წისქვილკევებ. გოგრულთიზძირ მარჯვენისკითა **ორწყლის წყალ ერევ**, იგრ რო ბოლოში, ხახაბოსძირ, **ჭანჭახოვნის ალაზან** სიაც ერევ, კარგადაჲვე დიდ მოდის, ეს ორივ ერთად შერეულ ხო კიდევ უფრო დიდრ, მემრ პატა ქოქვეს, ქუმელაჲურთისძირს რო ჩასცდებ, **პირიქითის ალაზან** შეყრევა-დ აგეურთისძირ იმსიდილორ, რო ცხენითაც ვერ გახვ. ას-

თაყ ეს თუშეთის ალაზან უკვე დიდოეთ შედის. იქითა უკვე ანდიის ჳეობაზე მიდისა-დ სახელადაც ანდიის ყოისუ ხქვიან. ამ ანდიის ყო-ისუს მარჯვნითა ავარიის ყოისუ შეყრევა-დ კასპიის ზღვას უკვე სულაკად უერთდებ. მაშ! დაგთაყრ ეს თუშეთის წყლები-დ ალაზნების ამბავ-ხაბარრ.

მაშ კიდე მთების-დ ჳევ-ჳუვების სახელებზეაც დავბრუნდნეთ. **კუჭეტაყზე-დ კუნჭრუხაყზე** ხო ვთქვით. მთის ძირებ, სიდაც ხალხ არ ცხორობს, ჯერ **ტყიანრ**. მემრ, დაახლოებით მთის შუა წელზეითა **ღვივრიანები-დ მაჭტიანებ** იწყებ. **ღვია** ხო იც, რაყიცამ, წიწვიან დაბალაყ ბუჩქრ, კდეებზე გართხმულრ, **მაჭატ** კიდე ფოთლიან ბუჩქებრ, წვრილ-წვრილ ღეროებით, წვრილაყა-დ დატოტვილებრ. იმისას ცუტუნ-ცუტუნა ცოცხებსავით **ქოჯოებს** ხვერენ ზამთრის ტანსამოსითი-დ ფეკსამოსითა თოვლის ჩამობერტყა-ჩამოწმედად. უფრო წვრილტოტიანებს ზის გაწუხვას საწურავზე დაზდებენ, ბეწვებს იჭერს. ღვისიყ ფერაყ გართხმულ ბუჩქებრ **წყვედაიცი**, ისიც იმავე ტყიანების მალღ იზარდებ, შორითა მთელაყივე ღვიას ხგავ ისიც, მაგრ წიწვიან არაჲ, ზამთრის ისიც ისთაყივე მწვანე რჩებ, რაყგვერც ჳინაყები-დ ღვიებრ. ფოთლებ კვიპაროსს უგავ. ამ ბუჩქიან ზოლების მემრ კიდე **ბალახიანი-დ მწვანიან** ადგილებრ, სუ ზენ **ქუჩიანებ** იწყებ, დაბალაყ **ქუჩკვირივიანებრ**. იმ კვრივე ქუჩს ცხენებ ზძონენა-დ ხან **ცხენის ქუჩიოცი** იციან. ეს ქუჩკვირიანებ ათავდებად მემრ იწყებ **ქვიშიანებრ**. სუ მალღ უკვე მწვეტაყ წვერებრ, თოვლებითა-დ ზვავ-ნაპრალეებით. ეს ისთაყ ადგილებრ, სიაც მზე ყველაყზე მალღ ამოდისა-დ ყვილაყზე გვიანაყ ჩადის, მაგრ მაინც ცივრ, სუ ქარები-დ ცქრიატებრ. ამ წვერებსაც სუ თავ-თავის სახელებ ხქვიან: **ქომიტიოი, თებულოიო, დიკლოს მთაიო, ჳაწუნთაიო, უყერეჩიოი, წიოს წვერიო. ახლა კახეთისაყ: ბულანჩოს წვერიო, ზეთავის მთაიო, შავკილდეიო, სამცორნოიო, ბორბალოიცი** ხო სუყველაყმ იცის.

დიიდაყ, გადასავარდნაყ კდეებ რომე, მალალაყებრ, იმას **ქანჩახ** ხქვიანის, ისივე ქარაპრ. წყლებზე კიდე მალალაყზე რო გადადისა-დ გადმოქუხს, ყიყს **ჩხატრ**, მეტაყ ჩქარ წყლისად **მცემარეივე** ვიციო, მორევე რო ტრიალებსა-დ შიგ ჩავარდნილს ძირისაყ ატრიალებს, იმისა-დ **ჭურჭუმეივე** იციან.

მთის ფერდებ მეტაყ დაქანებულებ როა, თქვენებურად დამრეცრ, იმისად ჩვენ **გვერდალაყივე** ვიციო, **გვერდალაყ** ალაგებიაყ.

გვერდლაყებში ბალახ კი კარგაყ მოდის, მაგრ ავდრებში, მონა ამინდებში საქონის გადაყრად საშიშრ, თან მეტაყ **საგორავმაყ** იცის მოდენად.

ახლა გზებ რაყგვერითაყებრ: **საცხენეებრ** მთავარ გზებრ, ცხენით სავალაყებრ. მიხ-მოხვეულ გზას **ჭირკვანაყ** ხქვიან, ხან **სახვეერიანსაყ** იტყვიან. მარტო ფეკით სავლელაყ გზებ რომე, სამოკლეოებ, ცხენ რო ვერ დადის, იმისად **საქვეითოივ** იციან – **საქვეითოზე** მოვჭრეთავ. აღმ რო მიდის, იმას აღმიაყ ხქვიან. აღმიაყ **ყმედიცა**, მან დაყუდებული-დ **მიდებულივ**, ნაკლებად აღმიაყ რომე. ვაკედ რო მიდის – ის **სასწორაყრ**, თავქვ რო მიდის, ის **თავქვიაყრ**. ზოგ ალაგას გზაზე მეტაყ კდიანებრ, კიბე-კიბესავით ასავალაყი-დ ჩასავალაყრ. მაგთაყ ადგრლებს გზებზე **კიბორჭაყებ** ხქვიან. თუ **კიბორჭაყ** მეტაყეოდ მონა ასავლელაყრ იმისად **აწრუჭაყივ** იციან. კდის ერთიაყ საფეკურ რომე ასაწდომაყრ, ციყმას **შესაწედაყ** ხქვიან. კარგაყ, ჭკვიან ცხენს, **შესაწედაყ** რო შეხვდებ, მით უფრო, თუ ბალდიან ხუნჯირ ხკიდავ, ან დიაყვ ზის ზედ, შესაწედაყს ჯერ ტოტით მოშინჯავსა-დ მემრიად შეკდებ. თუ ზედ კაც ზის კი შორითაივ გაქანდება-დ შეფრინდების. აგრეე იცის **კიბორჭაყებზეაყ**, ბალდიან-დიაყციან როცარ, მიხილად ციყვლის, სუ შინჯვა-შინჯვითა-დ თუ კაც ზის კი სუ ნალების ჭახ-ჭახით ციყრბენს მთელ კიბორჭაყს. ჩვენ გვეყვანდის ჩემ ბალდობას ერთ საღარ ცხენრ. მგზავრობას თუ ჩვენ ბალდებ ვისხდნიდით ზედ, ან ჩემ დედად, მაგრ მიხილად შეკდის შესაწედაყზე-აყა-დ კიბორჭაყებზეაყ, ჩემ მამა რო იჯდის, არც კი შეკერდის, ისრ ფეკჩყარა ციყარის მთელ კიბორჭაყებრ.

სოფლით გამავალი-დ სოფელში შემავალ გზებიც ცხვადაცხვარ: **სადროხეიო** – დროხის სამოვრებისაყ რო გადის, – **სავირეიო**, – ტყისაყ რო მიდის, რაყზეაყ ვირებით შემას იღებენ; **სამარკილეიო** – მარტილ რაყზეაყ მიდ-მოდის. ახლა ადგილებიც დაყოფილებრ: **საწნაურებრ**, რაყიც იკვენებ. სუ დაბლ საიფქლეებრ, ხორბალ რო ითესებ. ეგ ყველაყ სოფელს არც აქვ – ხორბალ გინდსიაყ არ მოდის, იმას დაბალ, თბილაყ ადგილ შჭირდებ. ხორბალს თუშებ **პურს** ემახიან. პურის ჯიშებითაივ თუშეთ იფქლიაყ ითესებოდ, ცხვა ჯიშებ იქ ვერ ხარობს. **საქერეებ** ყველაყ სოფელს ხქონდ, ის გინდსიაყ მოდის, დაბლითა **საწნაურებში**. სვილიც გინდსიაყ მოდის, მაგრ იმას რაკი სიცივე იმდენად ვერ აშინებს, სუ მაღლ, კინალამ **ქუჩიანებამდინას**

სთესდეს. საქერებ უფრ სოფლები ახლუაყებში იყვ, სოფლი ს გარშემო – მადლ, დაბლ, გასწ-გამოსწირაყი. სვილს კი ხან შორ-მარაყებსაც სთესდეს, მთა ადგილებში. ადგილების სახელებიყ: **სვილოანიო, სა-სვილეთანიო, სვილობიო**. რაკი სვილის ჩალაყ, ყარტრ, ძროხის ჭამად არაიმთენ სანიაზორ, სვილს რო მოხმკიდეს, ციყლებდეს (თუ-შებთ მომკაიყ არ იციან, ყანების მომკას **ალეზას** ეძახიან, **ავილეთაყ** – ქერებ **ავილეთაო-დ** სვილებ **ასალებიყ** გვაქვაყ), ციყქვაყ ადგილზე გაყკეთებდეს **საბერტყელაყ კალოს**, გაღბერტყედეს, ყარტს იქვაყ გასწირეყდესა-დ მარცვალს ხაკებში ჩახყრიდესა-დ ცხენ-ვირებით მიყღებდეს შინ. საწნაურ ნაკვეთებს თუშებ **ჭაგირებს** ეძახიან, ჭაგირიყ იციან – **ზეთ ჭაგირიყ, ქვეთ ჭაგირიყ, პირველ ჭაგირიყ, მეორე ჭაგირიყ, მესამეიო-დ...** აყარეზე.

სპეციალურ სათიბ, სათივე მთებ, რაყგვერც მთიულ-მოჭვეყებსა-დ ჭვესურებს, თუშებს არ ხქონდ. სათიბდეს **ყამირებს** (ყამირ თუშურად ის არს, რაყსაც თქვენ ეძახით – უძრავაყ, მუყწნავაყ ადგილრ. ყამირ ჩვენებურად ციყხრ, წინასწელს რო ქერ ეთესა-დ მეორეს წელს რო დავასვენეთ. **ნაქერალში** კარგაყ თივა მოდის, სუ **აჭკანტაყ-სამყურაყ-ჭარნყყაყი-დ** კიდევ ცხვა კარგაყ ბალახებრ, სუყველაყის სახელებ მე ვერც ვიყრ. ის კი ვიყ, რო **ყამირის თივა** კარგაყ **ღალიანი-დ** ბარაქიანრ, საქონიყ მეტაყ შჭამს. ალბათ გემრიელიყ თურე, აბა რაყ ვიყ, მე არ მიჭამავ), ბექებსა-დ ყანების **ნაპირ-ყურთ**. სასვილეთბსაც ასვენებენ, მაგრ ნასვილარში სათიბაყ ბალახ არ მოდის, ქოსად რჩებ. სამოვრად კი ჭამ, მაგრ სათიბად – არ. ჭაგირებისი-დ ჭაგირების შუა-შუა **ბექებრ**, ჭაგირების გამყოფ გვერდალაყ ზოლებრ. **ბექებ-შიაყ** კარგაყ, **წმიდა თივა** მოდის. ბექების თივას ცალკეაყ ზდგმენა-დ ზამთრისრ **დღედღეზედამდგარ** ფურებსა-დ ჭმოებს აჭმევენ. ახლ შენ იმასაც მკითხავ, ეგ **დღედღეზედამდგარ** რაყილაავ. დღედღეზედამდგარ ციყსრ, ჭმოსი გაჩენამდე რო ბვერ დრო აღარ აქვ დამრჩალრ, სიდაცა რო უნდ გაყჩინოს. დღედღეზედამდგარ გან ფურზეაყ ითქმის – ყველაყზე ითქმის რაყიყ კი შვილს აჩენს = გინდ დიაყც იყოს, გინდ ცხვარრ, ცხენ-ვირი თუ ცხვა რაყ.

ხო, აბა სუყველაყიმ ვთქვითა ადგილების ფორმების სახელებრ, მე კი აგრ მგონავ, ანაყმეწ აღარა დავგრჩაო-დ შენ თუ გარეყ რა მოგაგონდეს, მკითხიდი-დ გეტყვრ.

რელიეფის ლექსიკონის ანბანური ჩამონათვალი

ალაზანბ – დიდი მდინარე. თუშეთში მდინარეები წყალუხვობის მიხედვით სამ კატეგორიად იყოფიან და სახელებიც, შესაბამისად, სამნაირი აქვთ. ყველაზე დიდ მდინარეს „ალაზანი“ ჰქვია. თუშისთვის „ალაზანია“ თვით კახეთის ალაზანიც, მტკვარიც, არაგვიც, იორიც, რიონიც და ა.შ. შედარებით პატარა მდინარე „წყალია“: „ორწყლის წყალი“, „ჭანჭახოვანის წყალი“, „ქვაციდის წყალი“, „ლაროვნის წყალი“ და ა.შ. ამაზე უფრო პატარა „ვევია“: „ვესტმოს ვევი“, „დაროთლოს ვევი“, „ფარსმის ვევი“ და ა.შ.

აღმიაცი – აღმართი გზა. „აღმიაცს ცაყთავება-დ გიყვაკებ“.

აჭრუჭაყ – კლდიანი, ძნელად ასასვლელი საცხენე გზაზე. „მონა აჭრუჭაყ ადის, ცხენ ძლივაც ავალის“.

აჭ-ჯაჭუნაყ – რელიეფის უსწორ-მასწორო, დაბალ-მაღალ ზედაპირით. „მონა, აჭ-ჯაჭუნაყ ალაგრ, იქ კალო არ გიყმართების“.

ბექ – 1. ციცაბო, უძრავი ადგილი სახნავ ნაკვეთებს შორის. „ბექებში კარგაც წმიდა თივა მოდის“. 2. ძლიერ დამრეცი მიწის ზოლი ნაკლებად დამრეც ფერდობზე.

ბექ-ბუქიანბ – ბექებიანი ადგილები, მთის ფერდობი: „ჩაგვიდებ ბექ-ბუქიანსა, ჩაგაფრენ მაღალ-მაღალსა“.

გვერდალაყ – ციცაბო ადგილი, პირუტყვის სახიფათო სამოვარი. „გვერდალაყებრ, იქ ძროხა ფეკს ვერ მიეკვიდებს; ცხვრის ძობად კი კარგაყრ“.

გორბ – ამაღლებული ადგილი მთის დანაოჭებულ ფერდობზე, დაქანებული ნაოჭების თხემი. შდრ. ვაჟა: „გორი რამ ჩასდგამს შუბისწვერად, მუხა-იფნებით ფარული“.

გორ-გორ – გორის ქიმზე აღმა ან დაღმა. „გზა გორ-გორ მიდის“.

დალაოგაყ – პატარა მოვაკება ფერდობზე.

დალდე – გაშლილი ველი, ადგილი მაღალ-დაბალი რელიეფით. „შირაქ დალდე გორ-გურიან ალაგრ“.

კასრისწყალბ – მიწიდან ამომდინარი წყარო, სადაც წყლის შესაკრებად კასრია ჩადგმული. შირაქში ერთი ასეთი ადგილი ტოპონიმიდაა გადაქცეული.

კიბორჭაყბ – კლდიანი კიბული გზაზე. „მონა, **კიბორჭაყებ** ადის“.

კუნჭრუხაყბ – კლდის პატარა ამოზურცული ადგილი მთაზე ან ფერდობზე. „ერთ კლდის **კუნჭრუხაყზე** შემოვჯედ“.

კუჭ – ამადლებული ადგილი მთის თხემზე. „ბორბალოს **კუჭ-ზე**, სანგალში, ფხიზლობს დარაჯი მთებისა“.

მაჭტიან – მაჭტებით (გრაკლას ბუჩქებით) დაფარული ადგილი. „მონა მაჭტიან ალაგრ, საძოვრად არ ჯამ“.

მიდებულ – არადიდი, ნაკლებად დამრეცი აღმართი. შდრ. **ყმედ**.

მშრალ ჯეგ – რუ, რელიეფის ნაოჭი ფერდობზე, სადაც წყალი არ მოდის. „მაღლითა დაბლამდინას **მშრალ ჯეგ** ჩუყდის გვერდზე“.

მცემარე – ჩქარი მდინარე. „ძირიმც დაგიშრება, წყალო, **მცემარე**“.

ნაპირყურ – სახნავი ადგილის სანაპიროები. „კარგაყ, ბალახი-ან, **ნაპირყურ** აქვის“.

რუგ – რუ, იგივეა, რაც **მშრალჯეგ**.

სავირე – ვირის სავალი ბილიკი, „გზა არაა, ერთ **სავირე** შედის ტყეში“.

სამოკლეო – გზის მოსახვევებს შორის მოკლიდ ფეხით ჩასასვლელ ბილიკი. „**სამოკლეოზე** დეყშევი-დ ხელათ ჩახვ“.

სასწორაყ – სწორად გამავალი, არა აღმართი გზა. „აღმიასყ ცაყთავება-დ **სასწორაყზე** გახვ“.

საქვეითო – იგივე, რაც **სამოკლეო**. „ღელითა ერთ **საქვეითო** ჩადის“.

საცხენე – ცხებით სავალი გზა. „კარგაყ საცხენე გადის, ცერაყ არაა“.

საძოხე – სოფლიდან საძოვარზე ნახირის გასარევი გზა. „სოფლითაივ ცაკლეაყ გადის **საძოხე**“.

საწისქვილე – წყლიანი ხევი, რომელსაც წისქვილის აბრუნება შეუძლია. „ახლუაყსავ **საწისქვილე** აქვის“.

სახვევრიან – იგივეა, რაც ჭირკვანაყბ. „გამოჩნდი იწრო ბილიკო **ჭირკვანაყ-სახვევრიანო**“.

საჯნაურებ – სახნავ-სათესი ადგილები. „საჯნაურებ უდერაყ გვაქვის“.

ტაფეი – ტაფობი, მოვაკებული ადგილი მთაზე. „ცხვარსაყენაჲსად კარგაჲს ტაფე მაქვის“.

ტაფიასრ – იგივეა, რაც **ტაფეი**.

ფარაგაყრ – პატარა, უკლდეო მდელო კლდოვან ფერდობზე. „თხეზ გამივიდნეს ფარაგაყრ“.

ფერდაი/ფერდრ – მთის ფერდობი, კალთა. „წინ **ფერდა** აქვის, მთელაყივ თვალით ჩინს“.

ქანჩახრ – გადასავარდნად საშიში მაღალი კლდე. „სუ **ქანჩახრ**, იქ არას გიყვალის“.

ქარაპრ – იგივეა, რაც **ქანჩახრ**.

ქუდურ – ქუდივით ამობურცული ფერდობზე ან ვაკეში. სულ ერთია. ზოგი ჭიანჭველების ბუდეა, ეს **ჯინჭველის ქუდურია**, ზოგს კი დიდი ბელტის ფორმა აქვს, ის **ბორტევის ქუდურია**.

ქუჩკვრივიანები – მთის სამოვრების სულ ზედა, დაბალი ქუჩით (ქუჩკვრივით) დაფარული ნაწილები.

ღელეი – უღელტეხილი მთაზე, რომელზეც გზა გადადის. „აბანოსთავის ღელეში ყოჯას დოგ იდგის“.

ყმედრ – ძლიერ დამრეცი (დაყუდებული) აღმართი გზა - „მეთაკუდაყ მეთაკ **ყმედ** ადის“.

შესაყედაყრ – ერთსაფეხურიანი კიბური კლდე გზაზე. „შესაყედაყრებში მეთაკ მთხილ ცხენრ“.

ჩხატრ – მაღალი წყალვარდნილი, ჩანჩქერი, მდინარის კალაპოტში. „მეთაკ **ჩხატიან** ალაგრ, სუ ქუხილით გადადის.

ცერრ – მთის, ქედის თხემი. „აბანოსთავის **ცერები** ქვიშებზე გასავალია, მალაქნაფუძრის ბინებსა ქოხს გამოეყარ კარია“.

ცერაყრ – 1. ციცაბო, გადასავარდნად საშიში ადგილი „მეთაკ ცერაყრები, ცხენებ გადაგვეყრებიან“. 2. გზის ან ბანის ნაპირი. „**ცერაყრზე** ნუ ხყუდიხარრ, არ გადაღვარდრ“.

ცერ-ცერ – მთის თხემის გასწვრივ. „გზა **ცერ-ცერ** გადის“.

ძირობაი – მთის სულ ქვედა ნაწილი. „ძირობაზე გამოედით“.

წელრ – მთის ფერდობის შუა ნაწილი.

წელთგზაი – მთის წელზე გამავალი გზა. „წელთგზაზე გახვიდნიდით, თავზე არ ახვიდნეთ“.

წყალრ – მომცრო მდინარე. „ორწყლის **წყალ** ადიდებულ იყვ“.

წყაროდ – ნიადაგიდან, კლდიდან გამომდინარე სასმელი წყალი „კარგაც წყარო გამუცდის დოჭუელებს“.

წყლიან კევრ – რუვი, რომელზეც ნაკადული ჩამოდის. „სუ წყლიან კევებრ, მშრალკევებ არად“.

ჭალაქრ – მდინარის ან ვაკედ მიმდინარი ხევის სანაპირო. „ვესტმოს ჭალაქ დავრჩეთ ღამრ“.

ჭირკვანაქრ – მთაზე ამავალი მიხვეულ-მოხვეული გზა. „აბანოს ჭირკვანაქრებში ამოდინ“.

ჭურულაქრ – ქვიშაში ან ბალახიან ადგილზე ჩამდინარი პატარა ნაკადული. „ერთ რაქიმ კევუნაქ ჩამუცდის, ჭურულაქრ“.

ჯაგირ – სახნავი მიწის ნაკვეთი. „ბუხურთისთავ სამ ჯაგირ ერთკვადის მიყოლებით“.

კევრ – პატარა მდინარე. „სოფლის ახლუაქს რო კევრ, იმას საწყლეველაქ გვიქვიან“.

კვაჭრ – ტაფობად ჩავარდნილი ადგილი ფერდობზე. ზოგან ტოპონიმადაა ქცეული. „ბინა კვაჭს აქვის“.

ჯურჯუმრ – მორევებიანი ადგილი მდინარეში. „ჩილოსძირ ჯურჯუმინ ადგილრ, ქუხილ გამოდის, კაც იტყვის, ცა ქუხსავ“.

მანანა ბუკია

**მასალები მებრული მწყემსური
ლექსიკონისთვის**

*სალექსიკონო მასალები ჩაწერილია 1997-1998
წლებში ზემო სამეგრელოში ენათმეცნიერების
ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილე-
ბაში შედგენილი კითხვარის მიხედვით*

აბშირყა * მაწვნის ჭურჭელი

აბშიხა * იხ. აბშირყა

ამხანაგობა * მწყემსებს შორის დროებითი გაერთიანება სა-
ზაფხულო საძოვრებზე

ართ უღუ * საქონელი ერთი წყვილი ხარი

ართ უღუ საქონელი * იხ. ართ უღუ

ართ ჭვალა * ერთი ძროხის ნაწველში ამოღებული ყველი

ართი ნოხეფი * დეკეული, რომელმაც პირველად შობა

ართნადაჭა * ერთი ცხვრის განაკრეკი მატყლი

არშია * ფეხთეთრი საქონელი

ალათია * შავ-წითელი ფერის საქონელი

ამვამკათ * მწყემსის საველე ბუფეტი

ბაზიშ ნაჩამინა * ბუზანკალით შეწუხებული საქონელი

ბატკამბეში * ღოღო, ზაქი, კამეჩის შვილი

ბაძგარია * ეკალბარდი, გამოიყენება საქონლის საკვებად

ბაჭიკი * ხორცის ფარდა, რომელიც ჰყოფს მუცლისა და
მკერდის ღრუების დიაფრაგმას

ბენდელა * ცოფიანი საქონლის ავადმყოფობა

ბეციკი * პატარა თხა

ბონდლორამი * ბანჯგვლიანი – საქონელი

ბონძორამი * ბომბორიანი – საქონელი

ბჟაშ ოწირალი * რძის საწური.

ბჟაშ წირუა * რძის გაწურვა

ბჟღალი მონტყორი * ნაცრისფერი მატყლი
ბრუყუნნი * რძის შესანახი ჭურჭელი
ბუნაგი * ღორის საზაფხულო ბუნაგი ტყეში
ბურდღინი * ყოჩების ხმადაბალი ბლავილი ნერბობის პერი-
ოდში

ბუყუნნიშ ცვალი * დიდი ყველი, ბუყუნში ჩადებული
გატყარებული * უკარება საქონელი
გაშნაგორა * მოსაშენებლად დანიშნული საქონელი
გაცახი * მსხვილბეწვიანი, უვარგისი მატყლი
გაჯაჯი * დაავადება ერთგვარი, უჩნდება თხას, ციკანს
გელაჭუა * მშიერი საქონლის მიერ ბალახის საფუძვლიანად

მომოვა

გეჭახელი * რძეში ჩაფშვნილი პური
გვერთაფუ * ცხვრის ცურის ავადმყოფობა, ცური უსივდება
გითნარაყა * ზამთარგამოვლილი ხბო
გითორაღღ გინი * ზამთარგამოვლილი ხბო
გინობურჭებული * გაბერწებული საქონელი
გინოფუნაფილი * დოს ადუღებენ ნელ-ნელა, ზევით მოექ-
ცევა ყველი და ერბო, რასაც კოვზით გადაიღებენ და ბავშვებს
აჭმევენ

გინოჯიშებული * ცუდად ჯიშეცვლილი საქონელი
გოგობი * რძის ნაღები, რძიდან სადღვებად მოხდილი ცხი-
მის ფენა

გომაშე დუყუდრი * მთიდან შემოდგომაზე დაბრუნებული
საქონელი

გოპულასკირი * ძალიან მსუქანი ღორის ქონი
გორინელი ჩხოუ * სამი წლის, ზრდადამთავრებული ძროხა
გოჭარუა * საქონლის სიმსივნეების ზოლებად დასერვა
გემამრავლებელი * გასამრავლებლად დანიშნული საქონელი
დამორჩილიშ დენაბადი * შემოდგომაზე ნაშობი საქონელი
დამორჩილიშ ნახა * იხ. **დამორჩილიშ დენაბადი**
დამორჩილიში * იხ. **დამორჩილიშ დენაბადი**
დამორჩილგ გუშულირი მონტყორი * მატყლის სახეობა,
ზედმ. შემოდგომაგამოვლილი მატყლი

დანცხი * თხელი აპკი, რომელიც აკრავს საქონლის შიგნითა ორგანოებს

დაპირებული * ხატისთვის შესაწირი საქონელი

დასარალეული * ავადმყოფობის გამო დაუძღურებული და მუშაობისთვის უვარგისი საქონელი

დაფეთილი მონტყორი * დაჩეჩილი მატყლი

დაღამაკება * დაუძღურება, დასუსტება

დაღიშ მეგამა * დამლის დასმა

დაშიებული * ცხენის სენი, უბალნო ადგილები უწითლდება, უსივდება, წვრილად აყრის და ექავება

დაცხი * თხელი გარსი საქონლის ტყავსა და ხორცს შუა

დიდ ხვანთია * დიდდუმიანი ცხვარი

დინცხი * შავ-წითელი ფერის საქონელი

დიცხე * იხ. **დინცხი**

დოხუთილი * დახუთული, დაკოჭლებული ცხვარი

დუდგ თხა * თხა, რომელიც ფარას უძღვის წინ

დუცხე * იხ. **დინცხი**

დღანარკული * უდროოდ დანერბილი ცხვრის ბატკანი

დღვირუა * ღორის ხმიანობა

დღირინი * დვრინვა, ფრუტუნი

დღირინუა * იხ. **დღირინი**

დგნაშებუ * ცუდი უღლისაგან საქონლის ზურგზე ამოსული მეჭეჭი

ელამაშუა * ოდნავ კოჭლობა

ელარჩე * ფერდზე თეთრხალიანი საქონელი

ელაჭარგა * იხ. **ელარჩე**

ენაკვათალარი * საკვეთი ჭურჭელი

ენახირიტა * ნაწლავების ქონი

ეცემ თხა * ცაავების მიერ გამოყვანილი თხის ჯიში

ეხი * ავადმყოფი, დაავადებული საქონელი

ვასკა-ჭითა * ყვითელ-მოწითალი ფერის საქონელი

ვერგი * ცხვრის ტყავის უვარგისი, მონარჩენი ნაჭრები

ვერჯი * პატარა ვერძი

ზიმსხე * საქონელი, რომელმაც დროზე ადრე მოიგო ნაშიერი

ზემსხე დამაკებული * უდროოდ დამაკებული ცხვარი

თანაქა * გამხდარი ღორი
თარი * საქონელი, რომელიც ადრე ასრულებს ზრდას, მო-
მწიფებას

თიყი * ბატკანი ნახევარი წლიდან წლამდე
თოფურა * შავ-წითელი ფერის საქონელი
თოჭუ * ბრმა საქონელი
თხაში ხვარცა * თხის ავადმყოფობა, ტუჩებზე მუწუკი უჩნდე-

ბა

იკვარტგნფერი * მეწიხლიე საქონელი
ინადიარაფალი * ბაგა
ინაკვათალარი * საკვეთი ჭურჭელი
კვაკვილი ოჩი * დაკოდელი ცხვარი
კვარაცხელიაშ ჯიშიშ საქონელი * კვარაცხელიას ჯიშის სა-

ქონელი

კვარდრიში * საქონლის სათამაშო ხტუნაობა
კვარტიხი * ტლინკაობა, წიხლის ცემა
კვერცხი მონტყორი * დაჩეჩილი მატყლის სახეობა
კვირკვალი / კვირკვილი * ნართი რგოლად
კიაფიანი * საქონელი შუბლზე თეთრი ხალით
კირიბიშ კეფა * კრავის დუმა
კირკიტამი თხა * კისერზე გამონაზარდიანი თხა
კირკიტი * ცხვარი, რომელსაც ყელში ბურთულები აქვს
კისერიშ გოშინაფა * ზამთარში გაციებული პირუტყვის თა-

ვისა და ყელის დასიება გაზაფხულზე

კისერიშ ელაფა * ცუდი უღლისაგან საქონლის ქედზე მუ-
წუკის ამოსვლა

კოპე * ხის ჭურჭელია, თლიან კაჩხუსავით
კოპუე * შუბლზე თეთრი ხალის მქონე საქონელი
კუდეღმოცხირაკილი * კუდმოკლე ცხვარი
კუმაჭია * მწყემსის სამაწუნე ჯამი, ხისა
კუჩხგიშაწყიწყინაფილი * ჩლიქდაავადებული საქონელი
კუჩხიმერჩე * ფერზე თეთრი ლაქის მქონე საქონელი
კვრგბიშ კეფა * იხ. კირიბიშ კეფა
ლეცეცი * ღორის ფალანგზე მიკრული ქონი

ლეცომარე * რძის ელარჯი. უმარილო სულუგუნს ადუღებულ წყალში ჩაყრიან, როცა დაიშლება, დაამატებენ ფქვილს, აურევენ და ცოტა ხნით გააჩერებენ

ლიფონი * ბოსელში სიპებით ან ხე-ფიცრით გაკეთებული იატაკი

მარახუ * ცუდი ზნის თხა

მარკინე * რქებით მოჭიდავე საქონელი

მალაზაში ჯიხური * სამროხე

მეჭირიე * წვრილფეხა საქონელი; საქონელი, რომელიც ტყუპებს აჩენს

მესკილი / მესკიირი / მესკილგ / მესკუაფილი / მინასკუეფი * მწერის მიერ სამატლე კვერცხებდაყრილი ხორცი

მოკვარტე * მეწიხლიე საქონელი

მონკა * ზარმაცი საქონელი

მორჩილგ ტანიში * პატარა ტანის საქონელი

მოშკუმალა * ცურის მოშვება მაკეობისას

მოჩილათირი * ფარას მოსხლეტილი ცხვრის ნაწილი

მოჭიშაფილი * ზრდადასრულებული საქონელი

მოჯერგუა * მშვიერი საქონლის მიერ ბალახის საფუძვლიანად მოძოვა

მუნოფუნაფილი * ხაჭო

მუნტიკია * საქონლის სათამაშო ხტუნაობა

ნაგვალგ * შემოდგომაზე მთიდან დაბრუნებული საქონელი

ნაგვალგ მონტყორი * შემოდგომაზე განაკრეჭი მატყლი

ნაგვალგ საქონელი * მთიდან ჩამორეკილი საქონელი

ნაგვიანერა * შემოდგომაზე ნაშობი საქონელი

ნაგოლუ ორინჯი * მთიდან შემოდგომაზე დაბრუნებული საქონელი

ნადუღიშ მუკაბუნაფალი * ბინის წინ მიწაში ჩასობილი ჩამოსაკიდებელი კაპებიანი ხე

ნათებერა * ხბოს გაჩენის შემდეგ პირველად მოწველილი რძე, ხსენი

ნალაკადუ * შემოდგომაზე მთიდან ჩამორეკილი საქონელი

ნაპირველა * ხსენი, პირველად გამოწველილი ხშირი და მოყვითალო რძე

ნარჩხი * საჭმლის ნარჩენებისაგან და ღერღილისაგან გაკეთებული საჭმელი საქონლისათვის

ნარცვი * გაზაფხულზე გაცვენილი ბალანი

ნარცხვი * იხ. **ნარცვი**

ნარხენი * ჩალის ნარჩენი ბაგაში

ნატყარგ * გაგარეულებული (საქონელი)

ოთქვაფალი * ნაღების შესადღვები ხელსაწყო

ოკაჩალიო * ნაღების შესადღვები ხელსაწყო

ონჯირე * ღორის საზაფხულო ბუნაგი ტყეში

ორთქვაფალი * ნაღების შესადღვები ხელსაწყო

ოჩინებელი * საქონლის ყურზე საცნობლად დადებული ნიშანი

ოწენაფალი * ბაკი, სადაც ბატკნებს აწოვებენ

ოჭიშჭუბრა ჩხოუ * წაბლისფერზურგიანი ძროხა

ოჭნახე * ყველის ამოსაღები დიდი ხის ჯარა კარავში

ოხვამერი * დოლის პირველი მამალი ბატკანი

პირველ გინობა * დეკეულის მიერ ნაშიერის პირველად გაჩენა

პირველ ჭვალა * ხბოს გაჩენის შემდეგ პირველად მოწველილი რძე, ხსენი

პირველგ ნაგინგ * დეკეული, რომელმაც პირველად შობა ხბო

პრუ * ძროხის ზურგის ჩრჩილი; მატლი, რომელიც ჩნდება წითელი ფერის ბზიკის კბენის შედეგად მსხვილფეხა საქონლის (ძროხა, ხარი) ზურგზე

პურპუ * მსუქანი ძროხა

ჟვეპურმუნოღალირი * ცხიმმოხდილი რძე

ჟიმუნდური * ხორცის ჭირი

რთხილი * საქონელი, რომელიც ადამიანის დანახვაზე ფრთხეზა

რინტა * თხა

რტყიპუა * მუწუკი, რომელიც ბალანს აცვენს

რუ * საქონლის ყურზე საცნობლად დადებული ნიშანი

სარსი * შედედებული რძის მოსარევი ხის გრძელი ჯოხი

საჩინება * საქონლის ყურზე საცნობლად დადებული სერი

საწყითო * ჭურჭელი მარილწყლისათვის

საჯანდრაკო * ხორცუწმინდური, საქმელად უვარგისი საქონელი

სუჯირი * რძის პროდუქტის შესანახი ჭურჭელი

ტარკადა ხვანთია * დუმის ნაწილი, რომელიც მატყლით არ იფარება

ტიგურე * ჭრელი ხარი; აჭრელებული პირუტყვი

ტემ მონწყილი საქონელი * დიდცურიანი საქონელი

ტყუე * ურქო საქონელი, დოლა

უკვაკუ ერჯი * დაუკოდავი მამალი ცხვარი

უკვაკუ თხა * დაუკოდავი მამალი თხა

უკვრებეთ მაჭვალი * უბატკნოდ მეწველი ცხვარი

უმაკელა * დაუმაკებელი, ბერწი საქონელი

ურგებელა * ხორცუწმინდური, საქმელად უვარგისი საქონელი

უფერუა * თეთრ და შავნარევ ბალნიანი საქონელი

ულულე ხოჯეფე * ერთი წყვილი ხარი

ულუხოჯი * ერთი წყვილი ხარი

უმქურანჯე * გათამამებული ბატკანი

უჩანია * შავი ფერის ძროხა და ხარი

უჩაში ჭყიში * ბინის მწყემსების უფროსი

უჩაჭარგა * წითელ-შავად ჭრელი საქონელი

უცები * დეკეული, რომელმაც პირველად შობა ხბო; დროზე ადრე ნაშობი ხბო

ფანა * ფერდზე თეთრლაქიანი საქონელი

ფაშა * მუცელჩამოშვებული, დიდმუცელა საქონელი

ფეთი მონტყორი * მატყლის ნარჩენი პარსვის დროს

ფეთილე მონტყორი * დაჩეილი მატყლი

ფეკალი * გამხმარი ფაშვის ტყავი, რომელსაც ჭურჭლის გადასაკრავად ხმარობენ

ფერია * თეთრი ფერის ძროხა

ფესვი * ღორის ფალანგზე მიკრული ქონი, რომელსაც იღებენ ფალანგიანად

ფილატი / ფილაღი * საქონლის მკერდზე ჩამოკიდებული ტყავი

ფიჟუ * ფილტვი

ფირთხი * ხორცის ფარდა, რომელიც ჰყოფს მუცლისა და მკერდის ღრუებს; დიაფრაგმა

ფირცვი * ლაში, ქვედა ტუჩი

ფიჩხი * პირუტყვის ზნე, ცხენის სნეულება

ფიცვი * ლაში, ქვედა ტუჩი

ფოლოგოჩხვატილი * გაჭრილჩლიქიანი პირუტყვი

ფორხუ * ავადმყოფობით დავარდნილი საქონელი

ფოციანი * მშიშარა საქონელი, ცხენი

ფუდა შახური * უშვილო

ფულა * უბატკნოდ მეწველი ცხვარი

ფულა * იხ. **ფულა**

ქვათილამი * დიდდუმიანი ცხვარი

ქვანთია * ცხვრის დუმა

ქინჩხი * თხის ავადმყოფობა

ქიჯი * დაკოდილი ცხვარი

ქგტა * კანძი, ერთი ცხვრის ნაპარსი

ღიტლაფში * ცუდად დაკოდილი საქონელი

ღულა ბიგა * მწყემსის ჯოხი

ღუმინუა * ხარის თუ მოზვერის ბღვერა, რქებით მიწის თხრა და სამუქარო ხმის გამოცემა

ღგტლაფგ * ცუდად დაკოდილი საქონელი

ყოყო * ზაქი

ყვაფანია * შუბლზე მოზრდილი ლაქის მქონე საქონელი

ყვალგინოქიმიწილი * გადაზელილი ყველი, სულუგუნი

ყვალიმ აკოკვათუა * რძის შედედება საყველედ

ყვარილი * დაკვეთილი, აჭრილი რძე

ყვარილი ოჩი * დაკოდილი ცხვარი

ყვასადარი * შუბლზე თეთრნიშნიანი ცხენი

ყუჯი ფართხალა * ვირი, სახედარი

შება * ცხენის სენი, უბალნო ადგილები უწითლდება, უსივ-
დება წვრილად აყრის და ექავება

შეპირებული * ხატისთვის შესაწირი ხარი ან მოზვერი

შთეფა * შემოღობილი ადგილი საღორეში, სადაც ღორი
ყრის გოჭებს

შოქუ * ღორი

შქიშქალი ხორცი * ძლიერ მსუქანი ხორცი

შხუ საქონე * მსხვილფეხა საქონელი
შხურიშ მათხილარი * მეცხვარე
შხურიშ სქუა * ცხვრის შვილი
ჩახვი * აჭრილი რძის ჩასასხმელი შრატისაგან გასაწურად
ჩახი * მოზრდილი გოჭი
ჩეკურხა * თეთრფეხიანი საქონელი
ჩინორობა * მწყემსის დაქირავება
ჩიქლორი * ღორის კისრისა და ზურგის შესაყარზე ამალღებული ადგილი კენტჩლიქოსანთა ფუნა
ჩორქომოგორადილი * ჩლიქებდაავადებული საქონელი
ჩორქომ ცორადუა * ჩლიქების დაავადება
ჩქირჩქინი * ხბო, სანამ ძუძუს წოვს
ჩქიჩქინი * იხ. ჩქირჩქინი
ჩეგრქე თუ * ჩვილი გოჭი
ჩხვატილი ცვალი * დაჩხვლეტილი, ნასვრეტებიანი ყველი
ჩხვინდამ კეტი * მეცხვარის კაუჭიანი ჯოხი
ჩხირჩხალი * დიდცურიანი ფური
ჩხოუმ სადიარე * მეწველი დედა საქონლის სამოვარი
ჩხოუმ სქუა * ხბო, ძროხის შვილი
ჩხოჩელაია * თეთრი ფერის ძროხა
ჩხუპური * თხის ავადმყოფობა ტუჩებზე მუწუკით
ცალ უღუ * უღელი, რომელშიც ერთი ხარი შეიბმის
ცალქალამი * ცალრქიანი საქონელი
ცალცვაჯა * ცუდად დაკოდილი მოზვერი, რომელიც კიდევ დასდევს ფურებს
ცანცალა * გათამამებული ბატკანი
ცარქა * ერთ უღელში შებმული საქონელი
ცირქალი * პატარა და დაბალი, ტანმორჩილი
ციციკა * საქონელი, რომელიც ადრე ასრულებს ზრდას, დასრულებას
ციცუა * უდროოდ დამაკებული ცხვარი
ცუაა * ცხენის ქეცი, აყრევიწებს ძუა-ფაფარს
ცხინტი * ფრთხილი ცხენი
ძაკალა ღეჯი * უჯიშო, გამხდარი ღორი
ძემიძვალი * ბალანჭარბი საქონელი (ზუგდიდი)
ძორი * უდანოდ, უსისხლოდ მკვდარი საქონელი

ძუგრა * გამხდარი ღორი
ძუძუ ჭუა * ცხვრის ცურის ავადმყოფობა
ძგრძე * სუნელით შეკაზმული მაწონი ან გუდის ყველი
წეწილი მონტყორი * დაჩეჩილი მატყლის სახეობა
წი * მუქ-წითელი ფერის საქონელი
წიგნაია * საქონლის ფაშვი, ოშვა
წილღნარა * ხორცის ფარდა, რომელიც ჰყოფს მუცლისა და მკერდის ღრუებს; დიაფრაგმა
წინაკე * ცხენის წელკავი; წელკავი, ცხენის ავადმყოფობა
წიქარა * მუქ-წითელი ფერის საქონელი
წიქრაქა * იხ. წიქარა
წკაპუა * ძაღლის წკმუტუნი
წრუბელა * შუბლზე მოზრდილი ლაქის მქონე საქონელი; საქონელი, რომელსაც ზურგზე სხვა ფერის ზოლი გასდევს
წყიპ ყვალი * მოუხარშავად დამარილებული ყველი
წყიწყინაფილი * ცუდად დადგმული უღლის გამო დაშავებული კისერი ხარისა
ჭანგირი * ნაღების შესადღვეები ხელსაწყო
ჭარჭულია * ვეფხვივით ჭრელი საქონელი
ჭაღარა * თეთრ და შავნარევალნიანი საქონელი
ჭაშფერი * ყვითელ-ოქროსფერი ცხენი; ჩალისფერი ცხენი
ჭაჭუე * ახლადამოყვანილი ყველი
ჭერჭე * თეთრ და შავნარევ ბალნიანი საქონელი
ჭვირთე ცხენი * სწრაფი ცხენი
ჭირამი * ფილტვებით დაავადებული ბატკანი
ჭიჭე ანგვარა * ფარეხში ვიწროდ შემოღობილი სადგომი
ჭიჭე ხვანთია * პატარა დუმიანი ცხვარი
ჭკარჭკუნტია * ჭრელ-ჭრელი
ჭრელია * ჭრელი
ჭუბურა * წითელი ფერის ცხენი; ვეფხვივით ჭრელი საქონელი
ჭურუ თხა * ურქო ან რქამოკლე თხა
ჭყერხინი * ჭიხვინი
ხაზარკიშ ცხენი * იხ. მეხაზარკე
ხაია * ისლის მსგავსი ბარის მცენარე. ჭამს კამეჩი
ხანტურია * შავ-წითელი საქონელი

ხანშემეტი * საქონელი, რომელიც ადრე ასრულებს ზრდას, დასრულებას

ხარხაცი * მამალი ღორების ხმიანობა

ხარხილი * ხარიხა ცხვრის საწველელაში

ხასლა ალაღაფირი * შიმშილისგან ფერდებჩაცვენილი საქონელი

ხასლა ხასლაშა ვემკადინენფერი * იხ. ხასლა ალაღაფირი

ხასლაენოლაფირი * შიმშილით ფერდებჩაცვენილი საქონელი

ხენდილგ ხოჯი * სამი წლის მამალი ძროხა; კარგად გახედნილი უღლის ხარი

ხეუნწყუ * უხეირო, ცუდი ფური

ხეჯაჯა * ხსენი, მშობიარობის შემდეგ პირველი უვარგისი რძე

ხეჯეჯი * იხ. ხეჯაჯა

ხვანთია * ცხვრის დუმა

ხვანწყა * ყანყრატოს ბეჭდისებრი ხრტილი

ხვაპილია * ახლად ადუღებულ რძეზე ნადები თხელი აპკი

ხვარცა * ცხვრის ქეცი

ხვატილი ყვალი * დასვრეტილი ყველი

ხვენჯგინი * საქონლის კოჭლობა

ხვერეშია * ღორის საჭმლის გობი, ხისაგან გაკეთებული

ხვეცერელი ბჟა * ცუდად შედედებული რძე

ხვიხვილი * წაქას მოდუღებამდე აცლიან შედედებულ სითხეს

ხიჯებჟა * ხსენი

ხიჯეჯი * იხ. ხიჯაჯა

ხორციმ მუკმადვალარი * ხორცის მჭერელი საქონელი

ხორცმეტი * ცუდი უღლისგან საქონლის ქედზე ამოსული მუწუკი

ხოჩა * ღორის საჭმლის გობი, ხისაგან გაკეთებული

ხოჯზაქი * ორი წლის მამალი ზაქი

ხუდუში თხა * თხა, რომელსაც წინა ნაწილი მოშავო აქვს, უკანა – თეთრი

ხუპია * ცხენის თავზე ჩამოსაკიდებელი ტოპრაკი, რომელშიც საკვებს უყრიან

ხურება * სიცხით გამოწვეული ავადმყოფობა – გადის სის-
ხლიან შარდზე

ხურზუკანსე * როცა ხარი ან მოზვერი იბღვირება, რქით მიწას
ჩხვერს

ხეზილი * იხ. ხიზილი; ქვით ამოყორილი ადგილი, საქონლის
ჩასამწყვდევი

ხეკარა * შემოღობილი ადგილი, სადაც ზაფხულში საქონე-
ლი ჰყავთ

ხენტკერი * ხრტილოვანი წანაზარდები ცხენის ნესტოებში,
რომელიც სუნთქვას უშლის

ხენწერა იხ. ხინწირა

ხერხიშ დუდი * ხერხემალი, ხერხემლის თავი

ხეშ * ცხვრის ფერი, ჭრელი

ხეწრა * სერი

ხეჭეთი * წაქის ნადუდი

ჯგერ მონტყორი * შემოდგომაზე განაკრეჭი მატყლი

ჯგერმეკერიბე * კარგი მენაშენე ცხვარი

ჯექუა * ცხენის გრძელ-გრძელი ნახტომებით სირბილი

ჯელრა * გუდის ყველი

ჯვეშ ნათიფური * ცხვრის ნადგომი ბინა

ჯილიშტი * ჭენება

ჯინქა * ზამთარგამოვლილი სახარე ხბო, მომძლავრებული,
რქოსანი მოზვერი

ჯიუშტი * ჯიუტი საქონელი

ჯორა ჩხოუ * შუბლთეთრი ძროხა

ჯორია * ურჩი, ჯიუტი ცხენი

ჯოუშტი * ჯიუტი საქონელი

ჯოდორმაგა * მთიანი საძოვარი ადგილია სამურზაყანოში

ჯღანჯღილ ხორცი * უვარგისი, მჭლე და ძარღვიანი ხორცი

ჯღარკალა * ბინის წინ მიწაში ჩასობილი ჩამოსაკვიდებელი
კაპებიანი ხე

ჯღარე თოლამი * თვალჭრელი საქონელი

ჯყვირი * სამი წლის დედალი ცხვარი

ჯგრთე * ცხენის ქეცი

ჰუშტა * კარვის უფროსის ტახტი

მთიულური ტექსტები

*(ჩაწერილია დედოფლისწყაროს რაიონში
ნინო ციხიშვილის მიერ)*

მამო კედელაშვილი, დაბ. 1934 წ. მთიულეთში, სოფ. ხევშაში

ჩვენ აქ რო ჩამუედით, მთიულაანთ გვეძახოდენ. დედაანთას რო ვიყავით, ხუთმეტი მოწილე ვიყავით ერთად. ერთ ოჯახში ვცხოვრობდით რძლებიცა, მაზლებიცა და შვილები, ვისაცა ჰყავდა. ჩვენ ისეთი გაჭირვება გავიარეთ, მოწილეები რო იყვნენ და იმათთან ვიყავით, მამაჩემი ობოლი იყო, გაიგე? დედაჩემი რო მაიყვანა, აბა, იმდენა მოწილეები იყვნენ, კერძს რო გააკეთებდა დედაჩემი, კი ვერ დაჯდებოდა, ვერა შჭამდა, ისენი რო ამოშჭამდენ ჯამებს, უნდა ეელაგებინა იმასა და რო საჭმელს ვერა შჭამდა, აი, სიმშილით ფეხები უსივდებოდა. ავდექით მერე, ცოტა რაღაცა შავძალით. მამაჩემი გაიწვიეს ჯარში. დარჩა დედაჩემს სამი შვილი. უფროსი ბიჭი, მეორე და მესამე მე ვიყავ. მომდევნო ჩემი და იყო. დედაჩემი მიდიოდა, აი, თიანეთში, სადღაცა მუშაობდა, მეეტანა ხორბალი ან სიმინდი, დეექვა და გვეჭამანა, მშვივრები რო არა ვყოფილიყავით. აესე გვიწყობდა დედაჩემი ხელსა. მოწილების ხელში კიდე ისე ვიყავით, აემდვენა პურს მოგვიტეხდა, მე მახსონს, რვა წლისა ვიყავ. ყველაფერი მახსოვდებოდა, რვა წლისა ვიყავ მე. მერე იმ ქერს დაფქვავდენ და იმას აცხობდენ, ქადასა, საჭამანდიაო, რა ვიცი მენ და აიმაზე ვიყავით, ვიხოცებოდით მშვივრები. მერე როცა ჩვენ შავძალით, მამაჩემიც რო დაბრუნდა ჯარიდან, მოიდა, მუშაობდა ისაცა, ჩვენც რაღაცას ვაკეთებდით და ცოტა სული დავიცავით. მერე დადგა ქურდობა. იპარავდენ საქონელსა, ძმარცვავდენ ხალხსა, ზოგსა მხოცავდენ, საქონელს ართმევდენ.

– ვინები ქურდობდენ?

– ქისტები გადმოცვივდენ და ისენი მხოცავდენ ხალხსა. თუ რამე გქონდა, გართმევდენ. წინასწარ გეუბნებოდენ: მამლევ რასმე?

გაქ რამე? ეტყობი: ძროხა მყავ, აი, ცოტაოდე ფული მაქ, ოღონდ ოჯახს ნუ ამიწიოკებ, ნუ მამკლავ.

– ქისტებმა ქართული იცოდნენ?

– კი, ქართულიც იცოდენ. იცოდენ ქართული. როგორ არ იცოდენ ქართული. მერე ჩვენი მეზობლები გადასახლდენ, წავიდენ, გავიდენ. ქისტები რო დადიოდენ აქა. საქონელი აღარა ჰყავდა, მშვირები იხოცებოდენ. წავიდენ მერე ყიზლარში. ხოდა, იქაც ვერ დაისვენეს. იქაც ქურდობა იყო. ერთი რამდენი ადამიანი მოკლეს, ჩვენი მეზობლები, წასულები. ჩვენაც ავდეგით, ჩვენც იქ მივდიოდით, ყიზლარში. არაფერი არ გაგვაჩნდა. თუ რამე გქონდა ტანსაცმელი, თუ რამე კარგი გქონდა, სუ იმ ქისტებმა წაიღეს. მემოკებში ალაგებდენ და მიჰქონდა იმ ქისტებსა. მერე ჩავიტანეთ ჩვენაც ბარგი, თუ რამე გქონდა. რა გქონდა, მოწნული სახლი გააკეთა მამაჩემმა, იმ მოწილებიდან რო გამოიდა. ისეთი ფინთი ისა ჰყავდა, პაპა, მამის მამა, და ბებია, სახში არ უშობდენ მამაჩემსა. ისეთი ჭირ-წვალეუბა გაატარა. წავედით მერე ჩვენც უკვე, დავსხედით მანქანაზე, ბარგი ჩავიტანეთ, მივდივართ. ჰოდა, ი ყიზლარიდან მოდის მანქანა, გვიცნეს, ჩვენი მეზობლები იყვნენ და ხელი დაუქნიეს ამ მანქანას, გააჩარეს. გაგვჩერეს მერე, ჩემი ბიძები იყვნენ, ადრე წავიდნენ ისენი. მობრუნდით, მობრუნდით, მობრუნდით, არ წახვიდეთ თქვენი ცოცხალი თავით, ისივ აქ დაიხოცენით. იქ არ წახვიდეთ, ხოცავენ ხალხს იქა და გამოიქეციოთ ჩვენცა, გამოიპარენით. იქ რო არ წავედით, ავდექით მერე, ასპინძაში წავედით. ჩვენი პაპა-ბიძანიც იქ წამოიდენ. ერთი წელი ვიყავით იქაც, ასპინძაში, არაფერი სარგებელი ვერა ვნახეთ, იქაც ქვშიოდა, იქაც ქურდობა იყო, ცვიოდენ სახლებში, ქართველებს უჭირდა იქა. ვერ ვიკეთილეთ ვერაფერი. წამუედით მერე, ჩამუედით, ისივ მოვედით ხევშაში, მანდა ვცხოვრობდით. მერე მამაჩემი წვალობდა რაღაცასა, დედაჩემიცა. დადიოდენ სამუშაოდა, ჩვენც რაღაცასა ვწვალობდით, თუ რამე შაგვეძლო. ძროხებში მივდიოდით მოჯამაგირედა. რაღაცას ვეხმარებოდით, რო ლუკმა-პური გვეჭამა. კი არ ვისვენებდით არცროგორ არა. მერე მამაჩემმა რო შამდლო მუშაობა, ბრიგადელად გაიწვიეს. სიმინდი, ხორბალი, რაღაცები გქონდა. ხოდა, მერე მამაჩემი ბრიგადელად გავიდა, იქა ვხნავდით, მამულები გქონდა. ვთასავდით. გუთანი მე მეჭირა, მამაჩემს რო არ ეცალა. ჩემი ძმა კიდე სწავლობდა, მერე სასწავლებლიდან ჯარში წაიყ-

ვანეს. მერე მე და ჩემი და ვიყავით. ჩემი და პატარა იყო, ვერაფერს ვერ აკეთებდა. განა მე კი შამემლო რკინის გუთანნი.... ხან ამითრი-ვიან ხარებმა და წამილიან რავი. ხან ვტიროდი, მიჭირდა. მარა მეტი რა გზა არა გქონდა, მამაჩემს არ გააცდენდენ. არ იმუშავებდა და ჯა-რიმას აძვიდებდენ. ერთი ხუთი დღე გააცდინა მამაჩემმა, ცუდად იყო, ვედარ წავიდა სამუშაოზე, ძროხა წაგვართვეს. წაიყვანეს ი ძრო-ხა. თავმჯდომარე ჩვენი იყო, ნიკო იყო წიკლაური. აი, თუ გაგიგონი-ათ, ვანო რო იყო ქავთარაძე ექვა, არხილოში, მაგისი ძმა იყო, თავ-მჯდომარე იყო ისა, აიმაწ წაგვართო ძროხა. გავიდა მერე მამაჩემი სამუშაოდა. მერე ჭიკაძე იყო ერთი, ამეს ეძახოდენ, ბუჩიკას ეძახო-დენ რავი. მწყემსი იყო საქონლისა. ხოდა, ფასანაურში ვარ მე, ფასა-ნაურს წავედ. ეს ბუჩიკაცი იქ შამხვდა. მითხრა: მაშოო, თქვენ ძრო-ხასაო სუ ცალკე ვაჭმევ, დიაო, და მოდი, წამოდი ერთი დილითაო და, აი, ჭევამდე გადმოგიყვანო და წაიყვანეო. ვაი, შენ გენაცვალე-მე-თქი, ძმიაო, შამუეხვიე. ერთაი ზროხია გვყავდა და ისაც წაგვართო. ჩვენი იყო (იგულისხმება თავმჯდომარე. ჩვენიანი იყო, ჩემი ნათესა-ვი იყოო. – ნ.ც.). მამაჩემი იმას ემსახურებოდა. თუკი რასმე შაუკვე-თავდა, იმის ხელქვეშ იყო და არ დაგვინდო. წამოიყვანე მერე ი ძრო-ხა, გადმოიყვანე, მოიყვანე სახში და დამიძახა ამ ნიკომ: ქალბატონო! რა არი-მეთქი, ნიკო ძია? აბა, ჩამოდი აქაო, გაგაბატონებ შენაო. ე ძროხა, რატო წამაიყვანეო? რა, არ გვეკუთნის-მეთქი, რო წამამეყვანა, – მე უთხარი, – ერთაი ძროხია გვყავდა, ესაც-მეთქი პირიდან გამო-გვაცალე? საიდანაც მაიყვანე, ეხლა შააბი თოკი, საცა იყო, იქ მიიყვან-ე და მიაბარე კე????? მწყემსსა. წავიყვანე, რო მივიყვანე იქა, ერთი ხელი ვიტირე, წამუედ მერე. ჰო, აესეთი ის გავიარეთ, წვალეზა. მშვივრებიც ვიყავით. მერე გამოიღოდა ხვნა, ხო ვხნავდით. ეს ყანები ხო მოიღოდა, შვილო. გამოიღოდა ახლა სათიბი. აბა, მამაჩემი: აბა, შვილო, ცელი დაგიწვიპე, წადი ხვალ ტეხილში და თიბე. წავიდო-დი, ვთიბავდი იქა. მერე მოვხვეტავდი, თივებს ვალაგებდი. ოცფუ-თიანი თივები ვიცოდით. იმ თივებსაც კოლექტივს ვაბარებდით. გვაწერებდენ იმასა, თივა უნდა... არ მიიტანდი და აგვასახლებდენ, სახლს წაგვართმევდენ. უიმე, ისეთი წვალეზა გავიარეთ, ძან სი-დუხჭირე. ჰოდა, ღამე იყვის-კე, მთვარიან ღამეში ყანებსა ვმკიდით. გათენდებოდა. მერე მთაში მივდიოდით, ი სახვეტელსა ვხვეტავ-დით, თივებს ვაგებდით. მერე გავიღოდა ერთი სამი-ოთხი დღე, ეს

თივები დაჯდებოდა, დაიპრესებოდა. წავიდოდით, ახლა საგულე-ბელზე ჩამულაგებდით ამ თივებს, რო თოვლი რო მოსულიყო, ეს თივები ზვავს არ გადმეფარა. აემ დღეში ვიყავით. მთვარიან ღამეზე მოვძვიდით ყანებს. ქოხი გქონდა ჩვენა, მწყემსაანთ ვეძახოდით. იქ ქოხი გქონდა, რო აქ გვაწიოკებდენ და იქ არხეინად ვიყავით, არვინ არ გვაგნებდა იქა, ტყეში იყო და შუა ტყეში ვიყავით, ღამე კი გვემინოდის-კე, მაგრამ ქოხში კი არა ვდგებოდით, ქოხის განაპირად ვიყავით. რო ვიდაცა მოსულიყო, არ შევეშინებინეთ ან არა დავეხოცნეთ. იქ ვათენებდით, იქ ვალამებდით, აი ქოხში. გათენდებოდა, წავიდოდით მთა ადგილას. აეგეთი წვალეზა გავიარე, ეგეთი ტანჯვა გავიარე. ქალობაში მე არაფერი კარგი არ მინახია. გავთხოვდი მემრე, არც დედამთილი მყავდა, არც მამამთილი მყავდა.

– რომელ სოფელში გათხოვდი, შორი იყო?

– საქერელში. შორი იყო, მარა, შვილო, სუ ფეხით იყო... თორმეტი კილომეტრი იყო რაღაც სოფლამდე. ფასანაურში წამოიდოდენ, შენთან ბოდიში, ვირით წამოიდოდენ. მარილი წეელო, ზამთრის ზაპასი წეელო, ფქვილი ეყიდნა, შეშაც ადრე უნდა მეეტანა. თოვლი რო მოიდოდა, ვერ იმოდრაებდენ. აიქ ვიყავით, მე ციცო მყავდა. მარტოკად ვიყავ ოჯახში და ციცო მყავდა. ვასილაძე ცხვარში იყო. ვინ დააყენებდა ცხვარში? ჩვენ სახლკარიანად გავგასახლებდენ სულა. ეს მთაში იყო. თოთხმეტი სული საქონელი გყავდა, მარტოკად ვიყავ. დადებდა ისეთ თოვლსა, ორი მეტრა თოვლი მოიდოდა, ავიდოდი, ბანებსა ვხვეტავდი. აესე სუ ჩავლპებოდი. ვერც ბალღს ვაქცევდი ყურადღებას, ხან ტიროდა, ხან. მეზობელი შენ არ მოგხედავდა, მეზობელს მაშინ თავი უჭირდა. ხოდა, აემაგ დღეში ვიყავით. წამულასხამდი ძროხებს, წყალზე ჩავრეკავდი, აქედან როგორც ბირჟა, ისე უნდა ჩაგვერეკნა. იქიდან თულუხს ავიკიდებდი, წყალს წავიღებდი. საქონელს თუ ვერ ჩამოვრეკავდი წყალზე, თოვლის წყალს ვადნობდით, იმას ვასმევდით, წყალი შორსა ქონდა. ხან ისეთი თოვლი დადვა, რო, ვერ გამოძკვლევედა. კაცი არ იყო იმ სოფელში. სუ ქალები ვიყავით. ვინ გამოძკვლევედა ი გზასა. უიმეე, რაც მე დღეები გავიარე, მტრისთვი, მტრისთვი. ჰოო, მერე იქაც არც დედამთილი, არც მამამთილი. ციცოს მომდევნო მერე ბიჭად მყავდა, ის ბიჭად დამელუპა. მერე ძმა მამიკვდა, რძალი მამიკვდა, მერე ძმიშვილები. ჩემმა ძმამ თავი მანქანით ავარია მაახდინა. ჰო, ორი გოგო მოკლა. რა მოკლა, ქორ-

წილში მიდიოდენ, დეიდაშვილის ქორწილში, ჰოდა, წყალში გავი-
და, ასასვლელი იყო და პაკრემკამ უმტყუნა და გადაუტრიალდა მან-
ქანა. ხოო, და, აის უბედურება გავიარე. ის ორი გოგო. ერთს კი საყვა-
რელი ჰყავდა. ისეთი გოგოები იყო, როგორც ამომავალი მზეები.
ჰოო, აის უბედურობა. კარგი კი არა მინახია რა, სუ ემაგ დღეში ვი-
ყავ. აქაც ჩამუე და აქაც, ერთად ბიჭად მყავდა, ისაც ხელიდან გამო-
გვეცალა. ისაც ეგე უცბადა. ერთი წელი სავამტყოფოში მყავდა, წი-
თელში ვიწექით სულა. კი არ მეუბნებოდენ ექიმები, რა **მშჭირ**და,
რისაგან იყო? ტიროდა, ჯერ აქ მეწვა, ხან. თურმე გულის ასთმა
მჭქონიყო დაბადებიდანა. ერთი შამეკითხა: კედელაშვილო, აბა, მო-
დი აქაო. რა არი-მეთქი, გულო ექიმო? – მე უთხარი. ამაზე რო ორსუ-
ლად იყავ, შენ ნერვიულობდიო? მე უთხარ, თუ სანერვიულო მქონ-
და, ალბათ, ვინერვიულებდი. თუ არა მქონდა სანერვიულო, არ ვი-
ნერვიულებდი. აემასაო, გული ასთმა აქ თანდაყოლილიო. საცა გინ-
და წაიყვანე, ამას არაფერი არ ეშველებო. სუ უბედური დღეები
გამოიარე. აქ ჩამუედით, შვილო, აქაც საკაცო საქმეც, აესენი რო პატა-
რები იყვნენ, საქალო საქმე, სუყველა მე დამაწვა. არ მინდოდა, რო
სხვის ხელშამეკერი ვყოფილიყავ. თუ რაღაცა შემემლო, კიდეცა
ვწნავდი, კიდეცა ვთესავდი, ჩემ შვილებს არ მო**მშვი**ნიყო. აი, დღე-
მდე ეგე ვარ, ჩემ შვილებს არა აკლია რა, რა ვიცი. გზა მივეც.

– ახლა ის მითხარი, ქორწილი, ნათლობა, სტუმრის მიღება
როგორ იცოდნენ იქა?

– ქორწილს რო გააკეთებდენ, ახლა რო დიდი ამბავი იციან,
მთელი ზაკუსკა და რამე. გამააცხოზდენ კეცში ლავაშებს, შვილო,
და**მჭკლავ**დენ ერთ საკლავს. ლავაში, ხორც-წვენი, მიიტანდენ, ჩამაა-
წყობდენ. აეგ იყო მაგათი ის, დიდი პურის ჭამა. მერე თან-თან, თან-
თან აიწივა ხალხმა და დაუწყო ზაკუსკებს... ი რო წავიდოდით
მკვდრის სუფრაზე, ზოგს იმდენი არა ჰქონდა. რო მივდიოდით, სახ-
ში ვაცხოზდით რაღაცა პერაშკებსა. ღვინო, პერაშკები უნდა მიგვეტა-
ნა იმ ოჯახში, რო ღარიბი იყო ის ოჯახი და არ შეემლო, ვეხმარებო-
დით. აე მაგას ვაკეთებდით.

(ნეფე-დედოფლის თანმხლებ პირებზე, ახალ წელზე ვეკითხე-
ბი, – ნ.ც.)

– მე დედამთილი არა მყავდა და იმათი არაფერი ვიცოდი.

– შენი ქმარი ოზოლი იყო?

– ჰო, ობოლი იყო. სამი ძმანი იყვნენ და ორი ჯარში დაიკარგა. დედა დეეღუპა ადრევე. ცხვარში იყო ჩემი კაცი. დედა რო მოკვდა, სავატყოფოში იწვა. არც მე არ ვიცნობდი დედამთილსა. დედაჩემმა იცოდა ადრე, მოაძულავდა ცომსა, ბედის კვერთხი, რავი. გააკეთებდა, ამიღებდა პურებს. მერე ხელზე ჯვარს გაუკეთებდენ ასე, გაძთვლიდენ: ეს მაშუაძსია, ეს ალესია, ეს გრიშაძსია. ვის უფრო მსუქანი გამოუიძოდდა, ის უხაროდა. ეგეთი ახალი წელი ვიცოდით.

– ახალი წელი როდის იყო იქ, 13-ში თუ...?

– ძველზე ვიცოდით, 14-ში ვიცოდით, ძველზე. ახალზე არ იცოდენ იქა ახალი წელი, ძველზე იცოდენ იქა. წავიდოდენ, დედაჩემი თაფლს იყიდოდა, თაფლი **აძქონდის კე**, ჩვენ ის გვიხაროდა. დაგვიკრავდა მერე პურზე თაფლსა. აი, ეხლა წადით, შვილო და ეს ბედი კვერი... წყლის იმეებსაც კიდე გამააცხოვებდენ. წაიღე, ეს წყალზე გატეხე, ეს იქ გატეხე. ასე, სუ ისე ვიყავით. ეს ცხვრის ბედის კვერთხი, ეს ძროხისია. მთა და ბარი... გამააცხოვებდა დედაჩემი იმასა, ამოღებულსა, აი რგვალსა ესე. ამოიხვეტავდა იმასა. ეს მთა და ბარიო. იმას მერე თოკს შაბავდენ, დაძქვიდებდენ სადღაცა კუთხეში(გრძელი ე- ნ.ც.). და გავიდოდა ერთი კვირა, ერთ ლუკმას მოძტეხენ, მშვიდობით წადი, კიდენ, აი, ასე, მშვიდობით წადი, სუ ისე გაძქონდა და ჰყრიდენ ლუკმებსა. ანდე ეგ მახსოვს მე ჩემს იმამში. აბა, იქ კი, რა ვიცი, დედამთილი არა მყავდა, იქ ვერაფერს ვერ ვაკეთებდი. ე დედაჩემისაგან ეგ მახსოვს.

– შელოცვები თუ გახსოვს, აი, მაგალითად, ავადმყოფისთვის?

– კი, აი, კი, კი. მე თვალის წყალიც ვიცოდი. აი, წყალში ცხელ ნახშირს ჩავყრიდი. ის თვალი აქ..., ცხელ ნახშირს რო ჩააგდებ, ის დაბლა მიდის, თუ თვალი აქ, თვალისაგან არი. თუ თვალი არა აქ, ნახშირი ზეითა დგება. თვალის წყალიც ვიცოდი, გულის ზმანა, ფთილები, ეგეთი რაღაცა. ფთილებს კი ვედარ ვახვევ ეხლა, ვედარა ვხედავ. აი, როგორ ვაკეთებდი, კოვზზე, აი, გაჩვენო შვილო. აი, ამხელა ფთილებია მატყლისა. მერე ამ ფთილას მოძქევაც ასე ორადა. ამ კოვზზე შამაცმევე. ემ პირს დაუსწორებ ორივესა, გაიგე? მერე გადაახვევ ესე კოვზს, გადაახვევ, გადაახვევ, გადაახვევ და იმ პირს მიუჭუჭკავ, როცა გადასახვევი??? ...(არ ამთავრებს წინადადებას. ალბათ, გადასახვევი აღარ იქნებო-ნ.ც.) დაძსტოვებ ესე შუაგულსა, ანდე ეგე. მერე თუ მიზეზია, ის გადმოვარდება, ორპირი გადმუარ-

დება, ის ორპირი გადმუა. ცალპირი არ გამაიხსნება, ის ორპირი გადმუარდება, მიზეზი თუ არის. ჰო, აი ის შიშებისაც ვიცოდი მე. რო აღარ მივდექ, ... აი, ეს რო პატარიად გუყავდა, ულოცავდი, მაგრამ მერე ვარსენიკამ მითხრა, არ შეიძლება შენი შალოცვაო, და მერე ცოცოტა გადამავიწყდა, ცოტა კი ვიცი, ჰო, არ ერგებო შენი ნალოციო. ეხლა მეტი-მეტი კი მახსონ, მაგრამ ბევრი კი რამე დამავიწყდა, ბევრი. იმბაშად რო სიმწარე მქონდა, იმას რაღაცას ველარა ვგონობდი და. ხანდახან უკან-უკან წავიდი კე სუ.

– ძველი მთიულური ტექსტი ხო არ გახსოვს, ლექსი ან კაფია?

– აი, ეგეთი რამე – არ ვიცი. ვასილამ კაი კაფიაობა იცოდა. ვკაფიაობდით მე და ისა. მე სუ დამავიწყდა. დაწერილი მქონდა წიგში და რო აღარა ვკითხულობდი, გადამავიწყდა, რო აღარ მაინტერესებდა ის და გული არა მქონდა იმაზე, ჰო. მე მარტო ჩემ იმებსა ????... იმას ვშევბოდი, ???.....ი კაფიაი და ის აღარ მახსოვდა.

– შენ არ გითქვამს, მაგალითად, „წავიდის“, „შეჭამის“. (ნ.ც.)

– ეხლა მე.... ვასილაჲ კი ხშირად ირეოდა ეგეთ სიტყვებში. მე – ვერა. მე მითხრიან კე, შენი ქმარი როგო იმებსაო, ყბებსა ფგრეხავსო და შენ ვერ იმას შვრები მაგისნაირადაო.

– ესე იგი შენ გადაგავიწყდა.

– ჰო, გადამავიწყდა, მაგრამ მე დღეს მე ისე ვგრძნობ, მე მთიულურად ვლაპარაკობ.

– „კე“-ს აღარა ხმარობ, სულ სამჯერ წამოგცდა. – (ნ.ც.)

– სამჯერა ვთქვი. კიდე მინდოდა? – (მ.ქ.)

– პირველად რომ ჩამოხვედით, აქ დასახლდით, ამ უბანში? – (ნ.ც.)

– პირველად რო ჩამუედით აქა... იქ საქერიდან რო წამუედით, შვილო, სამი დღე და ღამე ხევში ვიყავით. ჩემი ძმები უნდა ჩამოსულიყვნენ, წამელო ბარგი აქა. არ მოიდენ, ისენი სხოგან წასულიყვნენ. მერე ჩემი ბიძაშვილია, ხანდოში ცხოვრობს, გოგიას ეძახიან. იმ... გოგიად მოიდა და იმ გოგიამ ჩამოგვასახლა აქა. ჩამუედით აქა. რო ჩამუედით აქა, გარეთ ვერ გავდიოდით რავი.

– ეს სახლი? (ნ.ც.)

– ეს სახლი ჩვენ დავდგით. ეს ჩვენ ავაშენეთ ეს სახლი. აი, ქომოთა დგას. გომია, ეხლა იმას გომადა ვხმარობთ, იმ სახლს. იმ სახში ვიყავით. სამი ათასი მივეცი იმ სახში. აი, სიღუაძს ისა ცხოვრობდა,

მამა. მაგის მამა ცხოვრობდა იმ სახში შვილო, ბეჟანა ცხოვრობდა მაგ სახლში, გაიგე? მერე წამოიდა ვასილა აქა, აბა, ერთი უნდა წავიდეთ. კოლა და ეგა ალალი ბიძაშვილები იყვნენ, ვასილა. ერთიო წავალო, ჩავილი, ჩემ ბიძაშვილს მოვინახულებო. წამოიდა ის აქ, დარჩა სამი კვირა. თურმე ამ კოლამ აუგო ქარის ციხეები ამ ვასილასა. ჩამოდით, აქ სახლს გაყიდინებთ, აქ სახლი. დარჩა აქა და ეყიდინვინა, აგეი ჩამოქოხებული სახლი იყო. სამი ათასი მიეცა. აღარ და აღარ მოდის ეს კაცი სახში. მეუბნება დედაჩემი: ქალო, დაურეკე, დაიკარგა ის, მოკლეს, მოკვდა, სად არი აქამდე? გახდა სამი კვირა და მოიდა მერე. სადა ხარ, ბიჭო, მოკლეს, სად იყავ, დაგამბეს? ესე ესეო, სახლი ვიყიდეთ. უიმევე, სახლი შენ და ცეცხლი, – მე უთხარ, – მე იქ წამომსვლელი არა ვარ. წადი შენა და როგორც გინდა, ისე იცხოვრე. მე იქ არ წამულ ჩემი ცოცხალი თავით. არც მოვდიოდი მერე. აბა, ჩამოზიდეს ბარგი. მეზობლები დეცენ. ჩამოზიდეს ბარგი. განა ცოტა რამე დავრჩა იქა. ჩამოზიდეს ბარგი. ჩამუედით აქა.

– რომელ წელს ჩამოხვედით?

– რომელი წელი იყო და შემოდგომა იყო. აესე სამოცდარვა-სამოცდაცხრა. ეს სამოცდათერთმეტში დაიბადა (უმცროს ქალიშვილზე მიმითითებს. – ნ.ც.). აეგე რაღაცა იყო. ჩამუედით აქა და, ვაიმევე, არ მიდგებოდა გული. მე უთხარ: მე წავალ და შენ იყავ აქა. წავედით მერე, წაგვიყვანა ისევა. არა ვდგებოდით. ციცო მყავდა მაშინ პატარა. ესაც პატარა იყო მაშინა. მარინე დედასთან დავტოვე, არ წამოიყვანე. ჩქარე მოვბრუნდებით-მეთქი. ვნახო, რა ამბავია იქა. ჩამუედით, არც სულს მინდოდა, არც გულსა. წავედით. მერე წავედით, ბარგი ისევ წავიღეთ. დავიბარეთ გოგია, ჩამოიდა და იმან წაგვიღო ბარგი. წავედით და ჩოხელთას, ჩემი დის მაზლი ცხოვრობდა იქა, ნათესავები. მივიტანეთ ე ბარგი იმათთანა, აღარ მოვდიოდი. ისევ დედამ მერე: წადი, შვილი, წადი, ოჯახის დანგრევა არ არი კარგი, წადი, წადი. წამუედი და ე ძალღ დღეში ჩავვარდი აქაცა. იქ სუ ამეზე ვიყავით, ლამფაზე, შუქი არა გქონდა. დედაანთასა გქონდა შუქი. აი, როგორც აქა შუქი, დედაანთასაც ეგე. იყო იქ შუქი, გააკეთეს. როცა გაფუჭდებოდა, მანტიორი იმ წუთაში იქ დაიბადებოდა, აკეთებდა.

– სამანქანე გზა იყო?

– კიი, კიი. თივებსა ძვიდავდენ. ჩვენ ხო ამ მთებში ვაგულუბდით თივებს, ჩამოგქონდა სამანქანე გზაზე და მანქანებს მიჰქონდა თივები, კი, გზები კარგი იყო.

– ცოტა უკეთესი არ იყო აქ, თოვლი ხო მაინც არ იყო დიდი?

– ეხლა უკეთესობა როგორ იყო, აი, ვმუშაობდით. ჰო, თოვლი კი არ იყო, არა. ჩვენთან ძაან დიდი თოვლი იცოდის-კე. აეხლა ვმუშაობდით, პურს ანაწილებდენ აქა. აე მაგას გვაძლევდენ და გუკმაობდა. ხან მთავრობაც გვიყიდიდა, რო არ გამოგქონდა. აემ პურისთვი ჩამოვზოვდით აქა, ალბათ, იმიტო ჩამუედით. ჩემი ზიმაშვილი აქ ჩამოიდა და გადაწონვაზე მუშაობდა. ხორბალი მაიტანა, ველარცად ვერა ძტევდა. იმდენი ხორბალი შაფხვედრიყო. გადაწონვაზე იმუშავა. ქვეყანა ხორბალი მაიტანა, ურიგებდა მეზობლებსა, ჩვენაც მოქცვა ხუთი მეშოკი. იმდენი ხორბალი მაიტანა. ჰოდა, ავდეგით მერე. ახლა მერე ჩემი ძმა წამოიდა, ისაც პატარა იყო. ვერ ემუშავნა, ცუდად გამხდარიყო. მოიდა ისევ ეგე ცარიელი. აე მაგითა, პურის გულითვი ჩამოხოვდა ხალხი აქა. ეხლა მთაში ძჯობია. ეხლა მთაში ძჯობია ბევრად.

მე ციციწონანთ ძაღლმა ისე დამგლიჯა, აე მკლავი სუ გამამაცალა. სუ იქ ჩავდიოდი, სუ იქ ვიყავ. წინა დღეს ლობიო ვგლიჯეთ. მოიდა და სუ ჩემ გვერდზე იწვა. გავილიდი, მამდევდა, ჩაწებოდა. განა პირველადა მნახა. მეორე დღეს რო ჩავე, ქალო, ე რძალი მოყვანილი ჰყავდა. სუფრა გეეშალა, აქედან ჩვენ ნაჭამები წავედით. მოდი, მოდიო, – ციციწონ, – დედაო, საჭმელი ვჭამოთ და გავიდეთ და. არ მიწდა-მეთქი, თქვენა ჭამეთ. ეს წავიდა, გავჰყე მენაცა. გასვლა ჩემი იქაა. დამბულია, ნუ გეშინიანთო. რო მოიდა და მეცა, აეე, ... ??? მე ესე ხელს ვაშველებდი, ვითომ პირს დაუჭერ-მეთქი. პირს რას დაუჭერდი შაშინებული. მთელი აე მკლავი გამამფატრა. წავედით ახლა ექიმთანა, ნემსს არ მიკეთებდენ. ჯერ ის უწდა ვნახოო, რამდენია გადასახადიო. მერე გამიკეთეს შრატი. კიდენ ამოდიო ორჯელ. მე უთხარ, აეხლა შენი დანახვა აღარ მიწდა, აქედან წავიდე, აქ თულა ამულა, მე შენ დაგინახავ კიდე? – მე უთხარ, – აქ ფეხის.... ინანებო. ეხლა ვინანებ-კე კი. დამიწყებს-კე ტკივილსა და აქ გადმამცემს. ისევ მაგრა ვიყავ, სუ ამოღრუნტული ისა მქონდა. აეხლა, როგორც კენჭები, ეგე დადის აექ, საცა ნაკბილარია, ისე ძალიან იყო. აეს მოიდა მერე, მარა...ბედი უწდოდაა, რა იყო, არ ვიცი. იმის მერე სუ მეშინია. აე ბალლი იტყვის, ე ლეკვს მოიყვანო. ლეკვს არა-მეთქი, ლეკვი არა ხარ?

ტეტიანევილი ბაბალე, დაბ. 1933 წ. ფშავში, სოფ. ხომარაში

– ხომარიდან მუქუში დავდიოდი სკოლაში. ისტორიული სოფელია. სანათა ყოფილა ერთი, მრავალშვილიანი დედა და იმას დაეხოცა იქ შვილები და ერთ სასაფლაოა გაკეთებული იმისი. პატარა კარები აქვ, მეც მინახავ ისა, სასაფლაოში, იქ მეველეს რო გავექცეოდით, იქ დავემალეობოდი მეველესა, იმ საფლავში ჩავძვრებოდი მეცა. ცხოვრება, ისეთ ცხოვრება იყო იქა, რო სუ ხელით კეთება გვიწევდა სუყველაფრისა. ხელითა ვთესავდით, ხელითა ვხნავდით, ხელით მოსავალს ავიღებდით, ყანაში გავიდოდით მოსამკალადა. ისეთიც არ იზდებოდა, რო ნამგლით მოგვემკო, ხან ხელითა ვგლეჯავდით ე ყანასა და ისე ვინახავდით. სხვა რა ვიცი, აბა, საქონელი გვყავდა, იმ საქონელს მთაში სამთოში გავრეკავდით, იქა გვქონდა ქოხები, იქა ვწველავდით, იქა ვდღვებავდით. აესეთი ცხოვრება გვქონდა ცხოვრება მთაში, მაგრამ კმაყოფილები ვერ ვიყავით, ბოლოს იქაც გაჭირდა ცხოვრება და გადავწყვიტეთ მერე, რო წამოვსულიყავით, 1952 წელში ჩამოვსახლდით წითელწყაროს რაიონში. მაშინ იყო წითელწყაროს რაიონი. ეხლა აქაც დაგვხვდა სხვანაირი ცხოვრება, იქაურსა იჯობდა, მაგრამ ეხლა კი გაჭირდა ისე აქაც, რო ის ცხოვრება გვენატრება ისივა, სადაც დავიბადენით და გავიზარდენით. დედ-მამა მშრომელი გვეყვანდა, იმათ ძალით ვიყავით აქამდე აქაცა და როცა ისენი აღარა გვეყვანან//გყავ, სუყველა სხვანაირად წაგვივიდა, აღარავინ აღარა ვართ ბინაზე, თავის ბინაზე.

– ბავშვობა, სკოლა, ტრადიციები, ქორწილი?

– ბავშვი მაინც სუყველგან ბავშვია, არაფერი მაინდამაინც სახარბიელო ჩვენ იქა არც კინო გქონდა, არც კონცერტი გქონდა. რასაც თავად...ერთ პატარა ბუზიკა გქონდა, იმას ავიღებდით, გავიდოდით, აი, გორებზე სადღაცა და იმას ვაჭყმუტუნებდით, დავიწყებდით თამაშობასა, დავრბოდით, აესეთა ბავშვობა გქონდა. ხატობა იყო კიდე, ხატში, იმის, ხატობის მოსვლა გვიხაროდა, რო მაშინ ან ტანსაცმელს გამოგვიცლიდენ ახალსა, თუ რამე გვექნებოდა, გაგვიყვანდენ, ან წაიყვანდენ საკლავსა, დააკლავდენ, დააკლენებდენ ჯევისბერსა, ის იყო ჩვენი ქეიფი. ხალარჯობეები იყო, ხალარჯობაში კიდე იცოდენ ქადებისა გამოცხოვა, სასაფლოებზე გასვლა, ი სასაფლაოსთან ახლო იყო ერთი, ადგილის დედას ემახდენ, იქ შაქუჩდებოდა მთელი, თუ ვინ იყო ი სოფელში, იქ მივიდოდენ, ე ბალებიც

იქ ვიყავით და ერთი ისა გვყვანდა, ბებერ კაცი, ნაკვეთაური, ის მააქუჩებდა ი კვერებსა და დაისროდა, დაისრ-მაისროდა, ბაღებს გადაუყრდა, დავესეოდით, ზოგი ერთმანეთსა ვცემდით ი კვერების გულსთვი, ზოგი ბევრსა ვკრეფდით, ზოგი – ცოტასა...

– ახალი წელი, შობა?

– ბერაკები იცოდენ, ორად უნდა ყოფილიყვნენ ბერაკანი, ერთ მხარეზე ერთი წავიდოდა, მეორე მხარეზე მეორე ჯგუფ წავიდოდა, შამხვდებოდენ ერთმანეთსა ეს ბერიკები და დეეროდენ ერთმანეთსა, რომელიც დააჭარბებდა და დაიწყებდენ ჭიდაობასა, რომელიც წააქცევდა, მეეროდა, მეორე იმის მონაკრეფსაც იმას მისცემდენ, მეტი გზა არ იყო, უნდა წეერთვა იმისთვინა და დარჩებოდა ის პირველი, წაქცეული, რომელიც დამარცხებული იყო, ის დარჩებოდა ცარიელია. აქ ჩვენ ვეძახდით ალილოობასა და იქ კი ბერიკაობას ვეძახდით, შააქუჩებდა... ტიკი ჰქონდა, არაყს შააქუჩებდენ, აბა, იქ ღვინო არ იყო, არაყსა, შააქუჩებდენ თხილ-კაკალსა, ხინკლეებსა, ხილსა, სხვადასხვა ხილსა...ახალ წელი კიდე...ახალ წელს ისე, რო ხინკალი აუცილებელი იყო. თაფლ-ერბო უნდა ყოფილიყო, ქადა უნდა ყოფილიყო, კეცულები უნდა ყოფილიყო და თაფლერბოიან ჯამი, ბაღებს რო გაგვეღვიძებოდა, დედა მობოდა და კოვხით თაფლს გვაჭმევდა, თაფლერბოიან კოვხს შაგვაჭმევდა, ის დაგვაბერებდა ტკბილადა. ისენი იცოდენ კიდე, საახაწლოდ გამაცხოზოდა დედა გოგასა, ბედის კვერებსა, ყველას თავ-თავის სახელს დაარქმევდა და იმ გოგაზე, ძროხები რამდენი იყო, ცხვრები რამდენი იყო, ბაღლები რამდენი ჰყავდა, იმას ჩამნიშნვდა კოვხის პირითა, და როგორ გამოცხვებოდა, რო გამოცხვებოდა, თუ ძროხები ნაკლებად იქნებოდა და ზარალი იქნებოდა, ის არ აიწევდა ი კვერზედა, ი გოგაზედა, და ი იბაღლები კიდე, თუ ნამატი იქნებოდა, კიდე რაღაც ემატებოდა, ჰო, და ი მეკვლე იცოდენ კიდე, მეკვლე რო მოიბოდა, კარებში დაახვედრებდენ გოგასა, გოგა უნდა შეეგორებინა სახში მეკვლესა, წაღმა უნდა დამდგარიყო ისა, სამჯერ შაგორებდენ, შამობოდა მემრე ის მეკვლა და იტყოდა: ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისაო, დიდი გიმატებიათ და დიდი გიმატოსთ ღმერთმაო.

– დედაშენი როგორ დაილოცებოდა ან შენდობისას რას იტყოდა ხოლმე სუფრასთან?

– სუფრას გამშლიდა დედა, მკვდრებსაც მაიხსენებდენ, რა თქმა უნდა, ი მკვდრებისთვი რო დაადგამდა სუფრასა, სახელს შე-
დებდა, ხო, შანდობას ეტყოდა, იტყოდა: ღმერთო, დიდება შენდაო,
ღმერთო, მადლი შენდაო, ღმერთო, ცოცხალნიც შენ გეხვეწებიან და
სული წმინდანიც შენ გაბარიან. მერე მაიხსენიებდა სახელებითა
ვისთვი, თავის მამის სახლის წასულებისთვი უნდოდა თუ ქმრეუ-
ლების წასულებისთვი უნდოდა ის სუფრა, ცალ-ცალკე იდგმებოდა
სუფრეები. წყალკურთხებას კიდე წყალზე გამგზავნიდა მე დედა, წა-
მაღებინებდა თაფლურბოიან პურსა, წყალში ჩავაგდებდი იმასა და
მერე ავიღებდი ი წყალს კრანიდანა, ი კრანი ჰქონდა გაკეთებული
კედელში, და ისე გადმოდიოდა სხვაგანიდან, დინება ჰქონდა ი
წყალსა და ისე გადმოდიოდა გუბეში წყალი. წყალს ვითომ ისე და-
ვიხსნიდი და წამოიღებდი სახში, თუნგით წავიდოდი და მოიტანდი
წყალსა.

– წყლის წისქვილს როგორ ამუშავებდნენ?

– წისქვილი არაგვის პირზედა გვქონდა, წავიდოდიოთ, წავი-
ღებდით ხორბალს ტომრითა და ჩავყრიდით ჯვიმურში, ჯვიმურსა
ჰქონდა ნაჭლიკად, იმ ნაჭლიკას – სარეკელად, სარეკელად კიდე ი ქვა-
ზე დარბოდა, ქვა რო ტრიალებს, ის კიდე ერთ ადგილზე იყო და-
მბული და ის აძლევედა ი ხორბალსა ყელში ი წისქვილს, ი ქვასა და
იფქვებოდა. იქ დაუდგებოდიოთ ი წისქვილსა მერე, რო ფქვილი არ
დაფანტულიყო, ფქვილი ქვიდან გადმოდიოდა, ალატს ვემახდით
იმასა, ალატჩი ჩადიოდა ი ფქვილი და ის იყო კიდე, რა ჰქვია, აი,
წისქვილს რბილად დავაფქვეინებდით, თუ საფაფედ სიმინდს და-
ვაფქვეინებდით, იმას სამაქნეთ ვემახდით, იმას აუწევდით, დაუწევ-
დით, ღერძე იყო ის მიმაგრებული, რო წისქვილი მაღლა აწეულიყო,
ან დაწეულიყო.

– წერა-კითხვა როგორ ისწავლე?

– ისივ ქვითა ვწერავდით, ქვა იყო, სიპები იყო ისეთი რო, ...მე
ჩემ სახელის დაწერა დავიწყე, ვითომ მინდოდა, რო მესწავლა და ვა-
კავებდი იმეებსა, ი ასოებსა და ვერ ვაკეთებდი, მერე დავიწყე ტირი-
ლი და უთხარ მამასა, რო, მამაო, ვერა ვწერ, ვერ ვაკეთებ, ეს რო-
გორ გავაკეთო და ხელ დამიჭირა ი მამამა და მითხრა, რო, აესე გაა-
კეთე, ესრე გააკეთე, აი, ეგრე არი შენი სახელის პირველი ასოო. მარ-
თლა ეგრე გააკეთა, ჰო, და მერე ცხვრებში რო წავიდოდი, ცხვრებში

დავდიოდი, აბა, ცხვრები იყო და ძროხები იყო, იმეებს ერთად გაუშვებდით, ისეთ ადგილზე გაუშვებდით და გავრეკავდი, სადაც უფრო ისეთა ქვებს ვიპოვიდი, რო ნაწერი გამოჩენილიყო, ისე ვისწავლე. მუქოში იყო ჩვენი სკოლა და იქ ვიარე ოთხი წელი, ოთხწლიან სკოლა იყო, მეოთხე კლასს იქ ვამთავრებდით, სხვა დროს დავდიოდით ზამთარ-ზაფხულს, სანამდე დაგვითხოვდენ. ერთ ზამთარს, ალბათ, მაშინ უფრო პატარა თუ ვიყავ, თავის, დეიდად ეკუთნებოდა მამასა, იმათას გამაჩერა მამამა, იქ კიდე იმათ ბალღმა, ი ლევანამ, წოწკურთ ლევანამ ჯელი მკრა, გადმამაგდო მაღლიდანა და იმის მემრე, არ ვიცი, ერთი თვე დავრჩი სახში თუ რაღაცა, ვეღარ დავდიოდი, თავი მქონდა დაკრული და ვერ დავდიოდი. მერე აღარ წავედ მე იმ სკოლაში, ეთქვა მემრე, ვინა მყვანდა მაშინ მასწავლებელი, ხულიაშვილი თუ შუშიაშვილი იყო, არ ვიცი. ჰო, ის იყო, ხულიაშვილი იოსები მყვანდა მასწავლებელი, თან ისეთი ავ მასწავლებელი იყო, რო კიდეცა გვცემდა.

– ისეთ ზღაპარს, თქმულებას, ლეგენდას ხომ არ გაიხსენებდი, რაც იქ მოგისმენია, აქ ქორწილი როგო ჩატარდებოდა ხოლმე?

– მაშინ ძალიან პატარა ვიყავ, ჩვენ მეზობელმა მაიყვანა ბეტიჩთ ილითა ქალი, სახიფხლოე გორთან რო ამოჩნდენ, ცხენის გავაზე ეჯდა ი ბიჭსა ი ქალი და დატყვრა თოფები სოფელშიითა, რო მახარობელი იყო ვითომ, წინ სხვა ბიჭი მოიდა, კაცი მოიდა, და დაიმახა, რო, მოდიან, მოდიანო. კაცსა შეეგებნენ, პატარძალი ქალებმა ჩამაიყვანეს, ქალებმა შაიყვანეს სახშია. იქ ვიყავ მენაცა, ი ფოცხვერთ ბანზეითა. ბაღლო, შე რაღას უყურებ აქაო, რატო არ დაიკარგებო, კაცმა რამამა მკრა ჯელი, ე ნაცარში გადმამაგდო, რას უყურებო, გაგჰყლეტენ, მთვრალეები მოდიანო, გაგჰყლეტენ ეგეებო, მამკიდა მწარზე ჯელი, გადმამაგდო ი გარეთ, ისე ჰქონდა, კერანი იყვნენ იქა, კერაში ჩამაგდო, ი ნაცარშია, დაიკარგე აქითაო. გამოედ, დავიწყე ტირილი, ამუეფარე. მოუედ მერე, დედას უთხარ, დედაო, გამომადედეს ქორწილიითაო. ქორწილი ისე იცოდენ... აბა, სტოლები არ იყო, ხეებს დააბამდენ ხეებზედა, აი, სტოლივით გააკეთებდენ და იმაზე გადშლიდენ ნაჭერსა, ჯერ ფარდაგებს გადააფარებდენ, მემრე ნაჭერსა, რო ბოთლებსა და ჯამ-ხონეებს არ ჩეეკეცა ი დაბლა. სუფრებით დადგამდენ, ხონჩები იყო გამოთლილი, ხისა და იმით აკეთებდენ ი პურ-მარილსა, რასაც გაიტანდენ. იმაზე დადებდენ. და-

ჯდებოდენ, დადსხამდენ ი პატარძალსა და ი მეფესა. ი მეჯვარე იყო, ი ქალის მდადი იყო, გვერძე უნდა ჰყოლიყო, ქალის ძმა იყო... ხან ერთმანეთს დეერეოდენ, ჩხუბი იცოდენ კიდე, და დაირეოდენ ხან-ჯლებით ერთმანეთშია. გააშველებდენ მალევე, ზოგი სერიოზულად დაიწყებდა ჩხუბსა, მეეშარებოდა ან ქალის გულისთვი ვიდაცასა, ვი-ღაცა ვიდაცასა სცავდა, სხვას არ უნდა გეეხედა იმისაკა. ა ესეთა აჯ-მობა იყო, აჯმურ ჩვევა ჰქონდა, ჩემ დას რად უყურებო, ჩემ ქალს რად უყურებო, ა ესეთ რაღაცეები. დადგებოდა თამადა კიდე, ეტყო-და, რო, აბა, ეხლო სანაწეოს ვინ რას გაიმეტებსო ნეფე-პატარძლის-თვინაო, მყევარს დააყენებდენ და ვინც რას მიიტანდა, ზოგი წინ-დებსა, ზოგი საკაბესა, ზოგი სხვადასხვა რაღაცა ნაჭრებსა. მიიტან-დენ და იმას სჩუქნიდენ ი ნეფე-პატარძალსა. იტყოდა ი მყევარი, რო, აი, ეს შესაწირავი და ეს სანაწეოო, სახელს იტყოდა, ვინც მიუ-ტანდა იმასა. ეტყოდა ისა, რო აე ჩემი თავიო ემან გაახლოო, ამა და ამ გვარმაო, ღმერთმა გაახაროს ისიცაო და თქვენც ვაჟით ვაჟიანობა მო-გცასთო, გაგახაროსთ ღმერთმაო, გილოცავსთო.

– საჭმელს რას ამზადებდენ?

– ხინკალიც იცოდენ, ხაჭოერბოც იცოდენ, დამბალხაჭოს ხა-ჭოერბო იცოდენ, ჩამაატარებდენ.

– დამბალხაჭოს როგორ აკეთებდენ?

– დამბალხაჭოს როგორ აკეთებდენ? შადღღებავენ რძეს, რო დაამჟავებენ მემრე. კარაქს ხო მამორებენ, მერე დოვს გაათბობენ. გასწურავენ იმ ხაჭოსა, ერთი დღე მაინც უნდა იყოს, რო ის კარგა გა-იწუროს. გადზელვენ, მემრე მარილს დააყრიან, გადზელავენ, შადკვე-რავენ, მობანი აქვ საბოლემში გაკეთებული, სადაც ი საცეცხლური აქ, იქა აქ მობანი, ლასტია მოქსოვილი და იმაზე დააწყობენ, ბოლში უნ-და გაშრეს, გაჯმეს ის ხაჭოები. მემრე ჩამაიღებენ იმასა, თბილ შრატ-ში გადრეცხავენ კარგა, მერე ისივ გაშრება. რო გაშრება, ცოტა მად-შორდება ისი, ჩადყრიან ქვევრში და ერთ თვეში დალბება.

– გინახავს შენი თვალით, ეგ როგორ კეთდება?

– როგორ არ მინახია, მიკეთებავ კიდეცა. ამაიღებენ მემრე ი ხა-ჭოსა, ქორწილისთვინაც დაამზადებენ, გადამფხეკვენ, თუ ისე ძალი-ან დაობებული და დამბალი არ არი კარგა, უფრო ძალიან დამბალს ამარჩევენ იმას, ერთი ოცი-ოზდაათ ხაჭოს კვერასა, გააკეთებენ

დიდ სარბევე ქობშია და გამაიტანენ მემრე ქიტითა, ჯამებში დაასხამენ, დაუსხამენ, ვინც მაჰკთხავს.

– ქიტი რა არის?

– ქიტი?- საწვწე.

– როცა ყანა შემოიდოდა.... (ქორწილიდან გადავალ სამკალშია).

– სიმღერა ხომ არაფერი იცოდნენ იმ მუშაობაში?

– მუშათ შაჰყრიდენ ი ყანის სამკალშია. მუშათ ხომარას ეძახდენ, მუშან უნდა შავყარნეო, ყანას დამისეტყვავს, თუ ეხლავე არ დავაჰქარე და არ ავიღეო, – იცოდენ. აჰკონავდენ, ხან ჰადურად გააკეთებდენ, ხან წერადა. ჰადურა იყო ხუთმნიანი, წერა იყო კიდენა – ოთხკუთხად ეგებოდა ისი და ქუთულას კიდე ვეძახდით, დიდ წერეები, ერთი ოთხ-ხუთ წერა მაინც, გადაეგებოდა. ხადურაში კიდე ხუთი უნდა ყოფილიყო, ხუთი-ექვსი ხადურაჲ, რო ერთ წერა გამოსულიყო. აი, მუშათ წაიყვანდენ, ხან მთაში წაიყვანდენ, ხან –ბარშიც, თუ მოჰწული ისა ჰქონდა იქა. შაჰყრიდენ ი მუშათა, მაჰვიდოდა, ხან ოცდაათამდე კაცი, ქალი, შაჰყრდებოდა. მერე დასხდებოდენ, აბა, ხაჰო-ერბოს რო გააკეთებდა ი მუშათ დედა, დაუძახებდა. რა დაუძახებდა, იმათ თავად იცოდენ, რო... უკვე იმათაკა ჰქონდა თვალი, ი სამხარს რო დაიწყებდენ, უნდა სამხრად დეესვენა. მოიდა, მოიდა, მოიდაო, – წინ-წინ იძახიან, სანამ ხაჰო-ერბო გაკეთდება. მემრე რო გაკეთდებოდა ი ხაჰო-ერბო, აბა, მოიდა, მოიდა, მოიდაო, – ეძახიან ერთმანეთსა. მივლენ, მერე დასხდებიან და ჯამებში დაუსხამს მუშათ დედა ი ხაჰო-ერბოსა, ზოგი ეგრე წყალივით დაჲლევდა ი ჯამითა ი ერბოსა. ჰამდენ, მერე ადგებოდენ, ნამგლებს დაჲლესავდენ.

– სასმელი რა ჰქონდათ?

– სასმელი? – წყალი, სასმელადა ზოგი ლუდსაც ადუღებდა, დიდ მუშანი როცა დყავდა.

– ეგ ლუდი როგორ დუღდებოდა?

– ჯერ ალავს გააკეთებდენ ხორბლისასა ან... ხორბლისას კი არა უფრო ქერისა. ქერი უნდა ყოფილიყო ალავ, იმის ასაფუები, ბუზალაყისი. მერე ადუღებდენ, იმას გაუკეთებდენ სვესა და ერთ კვირა მაინც უნდოდა, სანამ მუშანი იქნებოდენ, ერთ კვირას მაინც აკეთებდენ იმასა. ან ლუდი იქნებოდა, ლუდიცა ჰქონდა, წყალიცა ჰქონდა. ახლა ქალები, ზოგი ლუდს არა სომდა. ი კაცები კი მემრე

უფრო ხალისით აკეთებდენ, დეერეოდენ ი ყანებსა. მკიდენ, ცოტას დააღვედენ. არაყი საღამოზე იცოდენ, საღამოზე მუშათ დედა და-ჰკლავდა, კაცი, ცხვარსა. თუ ის იქნებოდა, ნაკვეთი დღე გვექნებოდა, იმას დაჰკლავდა, რა ჰქვიან, სანათლავსა. ზოგი თხასაცა ჰკლავდა ი სანათლავადა, მაგრამ მამამ ეგ არ იცოდა, უფრო ცხვარს და-ჰკლავდა. და საღამოზე იცოდენ ლუდითა და არაყით ქეიფი, ღამეს გაათენებდენ ა ისრე.

– არაყს როგორ ხდიდენ?

– საარაყე ქობები გქონდა. პანტის მოტანა ვიცოდით, ან ტყემალი და მაჟალო ვაშლი იყო, იმის დანაყვა, მოხარშვა, ის ვიცოდით, იმას გავაკეთებდით, იმის არაყი იყო. ე სულად ის იცოდენ, ხორბლისი, არაყი.

– თქმულებას, ამბავს რას გაიხსენებდი?

– არაფერი არ მახსონ. ერთი ის იყო, ბეკურთ მათე რო დაიღუპა, იქიდან მოვდიოდით, დავრჩით ჟინვალში. ნატირალნი იყო ერთი. ქალი იყო გათხოილი და იმ ქალს მაუკვდა თავის საქმრო. და ჯერ არა ჰყვანდა მიყვანილი. და წავიდა, რო გაიგო ი ქალმა, რო მოკვდა, დაიღუპა ი ბიჭიო. მივიდა და დაიწყო ტირილი: ამოიდა მზე, მოვჰყევ მენცაო. დედაო, განა დედამთილოო! გაურჯულეებელ გავარჯულო, უნეფოდ მუელ პატარძალიო. შვილს უთხარ, გარეთ გამოიდესო, თორო შავარცხენი, შავალ შინაო. შენ თავს მიქებდენ, დედისერთავ, არას ადგილად მიწუნებდენო. მე იმდენ ყისმათს რა მამცემდაო, მე რო მეცხოვრა ყვარაშიაო, მთაში მეთიბა სათიბები, ან ბარად მემკო მამულებიო. შაგინახავდი დედ-მამასაო, საშენჩემიოდ არ გავკდიდო, დავათხოვბდი შენებს დებსაო, ქალებს მამის სახლ ექნებოდაო. ჰო, და ი ქალი გამოიდა მემრე და წავიდა. ეს იყო ჳმით სატირალი. ერთი კიდე ის არი, აი, ოთიურის: ნეტავი, შენ ოთიუროო, იმდენ გაგზდიყო გოგიაო. პირველად ისე ყოფილა, რო ი დედაკაცსა, ქომო ქედში, სოფლის თავში ვიდაცეებ ყოფილან და ყარაულად დაუყენებავ ვიდაცა და... ი ოთიურისა, არ ვიცი, შვილი მაუკლავ იქა და... არა, ოთიურისა კი არა, იმ თარსათ ბებრისი, მახაურთი, მგონი. ჰო, და წამოსულა ი დედა და ოთიურს არ მიუშვავ ი მკვდართანა, უკვე მეორე, მესამე დღე იყო. იტირა იმ დედაკაცმა, იქ კი არ წამოიდა, იმას შვილი მაუკვდა იმ ოთიურსა. და იმათას წამოიდა, რო ი ოთიურს უნდა აგრძნობინოს, რა გულისტკივილი ჰქონდა იმ

დედას მაშინა, როცა თავის ი შვილთან არ მიუშვა: ნეტავი, შენაო, ოთიუროო, იმდენ გაგზდიყო გოგაიო. იქამც მეეკლა, თეფაზედაო, მე ყარაულად დავეყენეო. არ მიგიშვებდი, ცოდვიანოო, შორიდან გაყურებინებდიო, შვილის ტვინ-სისხლთა, დაფანტულთაო, მესამეს დღესაო, შენ ჳელით აგაკრეფინებდიო.

– რა მოხდა სინამდვილეში?

– აი, არეულ-დარეულობა რო დაიწყო თავიდანა. აი, კომუნისტები რო მოდიოდენ, აი, მაშინდელ ამბავი იყო. რა ვიცი, ალბათ წინააღმდეგ თუ რაღაცაზე იყო, ი მახაურთ კაცი. ეგ, მგონი, იმის ძმაღა იყო, თუ...აი, მახაურთ ივანესი თუ დავითოსი, ვეღარ მაჯსონ ეგ, აღარ ვიცი. თოფით მოკლეს ისე, რო იქ შეტაკება მოხდა და ემტეესი რო იყო ადრე. მაშინ იქა ყოფილან, რავი დაძხვდრიან, და იქ დაჰკრეს თოფი, მოკლეს და დაუყენეს ყარაული, ის ოთიური, ალბათ, ის ცოტა მთავრობას ემხრობოდა და არ მიუშვეს ი დედა.

– ისეთი ამბავი ხომ არ გახსოვს, ამბად მოსმენილი, აი, ქისტები ბი რომ გადმოდენილან ფშავში?

– როგორ არა, იმისაც მომსწრე ვარ, ქისტები გადმოდიოდენ. აი, გასულები იყვნენ, თავარიდებულ ხალხი იყო, არ ვიცი, აი, ომიანობის დროს გასულები. ერთი სამოცკაციან ჯგუფიაო, იცოდენ თქმა. კი სამტროდ არ მოდიოდენ, თუ ისე არ ექნებოდა, რაი ჰქვიან, აქედან შეწინააღმდეგება. გადმოდიოდენ იმის გულისთვინა, რო საქმელი თავისთვინა რო ეშოვა და წაეღო. გადმოდოდენ ისე, რო შემოდგომაზე, ხან ისეთ დროსა, რო საქონი გაძჰყავდა საყიზლაროდა, ცხვარს გამსცვლიდენ. სანამ წაიყვანდენ, კოლმეურნეობის ფერმის გამგე იყო, თავჯდომარე იყო, ზოტექნიკი იყო, თუ ვეტექიმი იყო, სუყველა ესწრებოდა იმასა და. ისეთ დროს გადმოდიდენ ერთ დროს, მე ის მახსონ, რო უნდა გაუქეჩეს ი ცხვრებს. ვაცები იყო წინ გაყრილები, ისეებ მიუდიოდა ი ქისტებსა წინა, რო ცხვარი გაძჰყოლიყო და წაეყვანა. და სოფელშიითა, ახადიდან გადავიდა, უჰკუათ ალექსი ექვივნა იმ კაცსა. იმან იმის გულისთვინა, რო იქნება მოგვეშველოსო, მილიცია მოგვეშველოსო, მილიცისთვინაც გაგზავნილი გაიქცა კაცი, რო შეეტყობინებინა, რო მილიცია დაძმველებიყო. ის კაცი ესროდა თოფს წინა მჯარეზედა ვაცებსა, რო დამფთხვალიყო და აღარ წასულიყო წინა. ამ დროს შუაფხოში ჩამოიდა ი მამიაური იოსები. ცხენით გამოქეულიყო. მიუსწრო ი მილიციასა, დაბრუნდა ი მილიცია უკანა. მთვრალეები ყოფილიყვნენ თავადა კიდე ისენი. მივიდნენ ი

ვაკის სოფლის ბოლოსა და ი ქისტებს კიდე ი სოფლის ხალხი, ვინც იყო იქ მაცხოვრებელი, ისენი მოკრიფეს და შაყარეს ერთ სახშია, ყარაულები დაუყენეს, დაუდგნენ იქ ყარაულადა, რო არ გამოსულიყვნენ და არცა წასულიყვნენ, არ გამძღავენებიყო იმათ ის ამბავი. ბალდი იყო, ნიკო ექვივნა, მგონი, იმ ბალდსა, მამამს ნათლული იყო ის ბალდი. ის გამეყევანა ერთ ქისტის ბალდსა, დედისთვი ეერთვა ხელიდანა და ეთქვა, რო, ნუ გემინიანო, ი დედისთვი ეთქვა, ნუ გემინიან, დედიო, მეცაო ამხელა შვილი მყავო და გამოიდენ გარეთა და გარმუნს უკრავენ ისენი და თანა კივიან (– ქისტები? – ნ.ც.). ქისტები, ჰო. ამ დროს, გუმბრო ექვივნა ერთ ბიჭსა, ის სახლიდან წამოიდა, ვითომ ცხვარი უნდა გეეპარსა სოფელშია, ყიზლარიდან მოსულ ცხვარი უნდა გეეპარსა. და იმან ვერ იცოდა, რო ი სოფელში რა ამბავი იყო, ქისტები თუ იყვნენ გადმოსულები. ისენი კიდე ყარაულად იყვნენ, გზა-გზა ჩასაფრებულები, სხვადასხვა ადგილასა. ერთი ქალი წამაყევანა (იმ ქალს ნინო ექვივნა) იმ გუმბრომა და ღუდალას ეძახიან ერთ ადგილასა, სანამ იმაში გადმოიდოდენ, სოფელში, რა ექვივნა იმას, აღარ მაქსონ. სამამ იქ გადმოიდონ, ი ღუდალას, თურმე გზის თავზე იელი, ივლები იყო, იქა ყოფილა ი ქისტი ჩამალული, ი ყარაული. გაჩერდიო, თურმე დაუძახა და ამ გუმბროს, ნისლიანი დღე იყო, თოფი გამაუყოლებავ, რო სანადიროდ გასულიყო. იმან რა იცოდა, რო ი გზაში რა დაახვდებოდა. ამან თოფი მაიგლიჯა, რახან, გაჩერდიო, რო დაუძახა და თან თურმე ი ზატორის ხმაც გაიგონა, ქისტმა, ალბათ, შაყენა ფეხზედა ის თოფი. და ამანაც ისა ქნა, რო მაიმარჯვა, იმან ესროლა ამ გუმბროსა (– ქისტმა? – ნ.ც.) ჰო, ქისტმა გუმბროსა. ეს გუმბრო დაიჭრა და გზის ბოლოს გადაუფრინდა, გაიქცა მითომა, მაგრამ და მერე შამოწვა, რო ველარ შადსძლო. სიარული რო ველარ შადსძლო, შამოწვა გვერპედა და ი ქალთან მივიდა გზაში ისა და ჩავიდა, გაიგო, რო ცოცხალიც იყო ის გუმბრო, ჩავიდა და დააჰკრა, იმან კიდე ესროლა და მოკლა იქა, ადგილობრივა. და ეს ქალი წამაყევანა და იქ გადმაყევანა იმ ყარაულთან. თავად ხო ყარაული იყო იელთან, სადაც იჯდა. ზემოთა ყოფილა კიდე ერთი ღვია, ი სანამ ი ჩალახევს გამოიდოდა. (– ამ მკვლელმა ქისტმა წამოიყევანა ქალი? – ნ.ც.). ჰო, ქისტმა წამაყევანა, მეორე ქისტს მიდგვარა, იმ მეორე ქისტმა მესამე ქისტს მიდგვარა, და ი მესამე ქისტმა კიდენა იმ ყარაულებს დაუწყო სტვენა, თავის სიგნალი ჰქონდა იმათა. და ერთი ის იყო, რა ჰქვიან, საყდარი იყო ერთ ადგილასა, იქ იყო კიდევ ყარა-

ული, იმან გაიგო და იმ მეოთხე ყარაულმა მიიყვანა ხალხთან, სადაც დამწყვდეულ ხალხი ჰყვანდა, ეს წინო. იმან არა თქვა ის, თუ ი გუმბროს რა დეემართა. ჰოდა, ამ დროს ეს ხევსურები ხო გაიქცნენ, წავიდნენ... მეოთხე ყარაული იყო საყდრებთანა.

– ეს ხევსურები ვინ იყვნენ? მილიციელები?

– მილიცია იყო. ადუაჲ, და ხთისო და ერთი კიდე ი გიგაჲ, მე რო მცემა. ისენი ციხეგორაზე იყო, მეხუთე ყარაული. მეხუთე ყარაულმა შაატყობინა იმ მეოთხესა. რო მილიცია მოდიოდა არაგვის პირ-პირა. დაბლაც იყო გზა და პირდაპირ ასე შეუცვივდენ, როგორც ლუკმა, აი, შაიგდო პირში, ასე შეუცვივდენ ი ქისტებსა. ისენი კიდე გაიქცნენ ი ხალხთან, ვინებიც იყვნენ, ორნი იყვნენ იქიდანა. და ამ ზემოთა საყარაულო რო იყო, მეოთხე ყარაული რომელიც იყო ი საყდართანა, ისი და ის კაცი და ქალი იყო, იმათთან ვინც იყო, ერთი იქიდანა, და ერთი კიდე იქიდანა, ასე როგორც აე, როგორა ვთქვა, ესე წაუწვნენ ი ბექის პირზედა, მაღლა იყო ის ადგილი, ისე წაუწვნენ და ესროლეს ამ ხევსურებსა, მილიციასა. მაშინავ გადმოყარეს ი ცხენებზეთა და ერთი გეექვა (– დახოცეს? – ნ.ც.). ჰო, მაშ. ერთი გაიქვა და წყალში გადაფრინდა, გიგაჲ ექვივნა თურმე. თურმე კი არა, გიგაჲ ექვივნა იმ კაცსა. და წყალში რო გადაფრინდა, ქვას ეეფარა, დიდ ქვასა და ესროდენ იმ ქვასა, მაგრამ იმას ვერ არტყამდენ, ეხლა ი ქვა მანც აცილებდა იმ ტყვიასა. ჰოდა, იქ იყო ის ხევსური, ისეები ხო იქ დარჩნენ. ამათ ისა ქნეს, გავიდნენ მემრე, რო დაღამდა, გავიდნენ ეს ქისტები, წავიდნენ ისენი თავის გზაზედა და. ამათ მემრე ჰმა გატყდა, რო დაჯოცეს ის ქისტები...ქისტები კი არა, ის ხევსურები. ხევსურები, მილიცია დაჯოცეს. ეს ხალხი კიდე გამოუშვეს. ეს რა დრო იყო და...ხალარჯობები იყო, ჩვენ ხო ხოშარას იმაში ვიყავით, სასაფლაოზე ვიყავით.

– როდის არის ხალარჯობა?

– აღდგომიდან, არ ვიცი, მეხუთე კვირა არი თუ მეშვიდე კვირა არი. აღარ მაქსონ. ხო, ზაფხულში. ჰოდა, ისენი თავის გზაზე წავიდნენ, მილიციას კიდე...

(ვთხოვ, გაიხსენოს პაპამისის გაკულაკების ამბავი და რამდენადაც შეუძლია, თურმეობითის ფორმებით მომიყვეს. – ნ.ც.)

– მწყემსად აუყვანავ პაპასა ვიღაც კაცი, იმას საბუთებ მაუპარავ იმისთვინა, იმის ძმასა, იმ მწყემსის ძმას მაუპარავ საბუთები ჩემ

პაპადსი და წაუღავ მილიციაში. დაუბარებავ ეს ჩემ პაპად იმ მილიციასა და უთქვავ, რო შენ ეს-ეს კაციო დამალული გყოლიაო. არაო, – პაპას უთქვია, – არაო, კაცო, რა დამალულიო. მაგრამ თავად ხო იცოდა, რო სხვისა გვარ-სახელით იყო ისი ჩაწერილი. მაშ, ვინ არი ესაო, – უთქვია, – შე მამამაღლო, შენაო, – რო გადმაულო ეს საბუთები. წადიო ეხლაო და ჩააბარეო იმას თავისიო. წამოსულა ე ჩემ პაპად და უთქვია, რო... ი თავის ცოლისთვი უთქვია, რო მეო... არაო, უთქვია ი მილიციისთვინა, რო მე ნუ გამიშვებთო, ნულარ გამიშვებთო. რატოო, – იმას უთქვია, – წადიო, იმას თავისი ჩააბარეო. მე კაი საქმეს არ გავაკეთებო, თუ გამიშვებთო. კარგ საქმეს არ ვიქამო. თურმე წამოიდა ეს პაპად, წამოიდა, მოიდა. უთქვია მემრე ი თავის ცოლისთვინა, რო... უთქომ, ჰო, რო ემდენიო ერგება იმათაო და, ერგებოდაო და ის მისცოდიო. ჰოდა, ე პაპად წამოსულა. წამოსულა და ... (– რა მისცოდიო? – ნ.ც.). ცხვრები, ე ნაფასურიო, ნაფასური, რაც იმ ერთი თვისა ეკუთნოდა კიდევ, სხვა დანარჩენი მიცემული ჰქონია. მისცოდი ესაო და შენ შენთვი იქნები, ისენი თავისთვი იქნებიანო. წასულა ე პაპად და მითომ იქავა, მაგრამ გადასწევია იმას, ი თავის დამბიზღებლებსა, ვინც დააბიზღა და... პაპას ვერ შაუკავებავ თავი. ჩემ სულიო შენ გებარებოდესო, – თურმე თქვა, – წმინდაო გიორგიო, იქვით შეეხვეწა. ჰოდა, იმისთვი უსროლავ, იმ ძმისთვინა, იმისთვი კი არა, ი თავი მწყემსისთვინა. იმის მოკლვა მინდოდაო, მაგრამ ი ძმას მადხვედრია, იმას კი არა, ი რომენიც უნდა მეეკლა. მაშინ თავიც ხო მაიკლა.

– ის კაცი რომ მოკლა, მერე გააკულაკეს? წაართვეს ის ცხვარძროხა?

პაპად ხო აღარ იყო, იმან ხო თავი მაიკლა. და ი რაც დარჩა საქონელი, პატარად ჰყავდა, ორი წლისა თუ წელ-ნახევრისა პატარა დედიძმა. და იმას (– ბებიას – ნ.ც.) დაუტოვეს, ათი სული ცხვარი და, არ ვიცი, ერთ ძროხა თუ ორ ძროხა. და დანარჩენი სუ წაიყვანეს, გარეკეს.

– ნინო ბებია როგორ გახსოვს?

– ბებო როგორ მაჯსონ და თავად იყო სუყველა. აი შვილიშვილები ხო დადრჩა, ი ქალები, ორი. იმ სახლიდან არ გამოიდა ისი. თავადა ძქნავდა, თავადა მიჰყვებოდა გუთანსა, თავადა სთესავდა, თავად იღებდა მოსავალსა, ისე დაზარდა ი შვილიშვილები. მემრე რო-

ცა აღარ შეეძლო, დაბრმა, აღარც თვალები ჰქონდა, დაბრმა და ვედარ აკეთებდა ვედარაფერს თავისთვი და წამოიყვანეთ მემრე ჩვენ, ჩემ მამამ წამოიყვანა თავისთანა და ჩვენა გვეყვანდა.

– აქ ქედში რატომ წამოხვედით? რომელ წელს წამოხვედით?

– ორმოზდათერთმეტ წელში მე წამუედ, გამამგზავნა მამამა, დედამა. დეიდასთან ვიყავ და მერე ი ცამეტ წელში კიდე ოჯახით ჩამოიდა, ჩამოიყვანა მამამ თავის ცოლ-შვილი, სხვები ჩამოიდენ. ქვემო ქედში იყიდა ერთი პატარა ქოხი, იმაში ვიყვენით. მამამ ისივ ყიზლარში წავიდა, კოლექტივის ცხვარში. იქიდან რო დაბრუნდა,... თურმე არ უშვებდნენ მამასა ცხვარშიით, იქიდანა, მაგრამ აქ კიდე სახლის გაკეთება უნდოდა, აქ უნდოდა მუშაობა.

– პირველად რომ ჩამოხვედით, ქედელები როგორ დაგხვდნენ, კეთილგანწყობით?

– ჰო, რა თქმა უნდა, კარგი მეზობლობა იყო, კარგად ვიყავით სუყველა. დავიწყეთ მუშაობა სუყველამა, ბალები სკოლაში დადი-ოდნენ. მამა ცხვართან იყო აქაცა, თან კიდე, აი, ლეკის წყალს ეძახი-ან, იქ იყო, თან სახლის მასალაზე ფიქრობდა, ტყეში დადიოდა, ხე-ებსა შჭრიდა, სახლის მასალას ამზადებდა, იქიდან ამამჰქონდა წვა-ლებ-წვალებითა.

(ვცდილობ, საუბარში ვათქმევინო ხოლმეობითის ფორმები – ნ.ც.)

– ვასთავდით, ვჩეჩდით, ჩავასთავდი, ხან დავჩეჩდი, ხან ჩა-ვასთავდი, დავძახდი, მერე დავიწყებდი მოხიფვასა, ან შავლებავ-დით, საფარდაგე გვინდოდა, უფრო ისე ვიყავით სუყველა იქა, რო სუყველას უნდა ჰქონიყო, ქალსა, ან გათხოილსა, ან გასათხოარსა, სამზითვოდა თუ მზითვადა, წინდები მაყრებისთვინა, ერთი ოცი-ოცდახუთი მაინც უნდა ჰქონიყო, შიბადან წინდები, და ხურჯინი, ფარდაგები. რა ვიცი, ესეთ რაღაცეებსა, სუ ღამეებს თეთრად ვათე-ნებდით. (– ნახატებს როგორ უკეთებდით? – ნ.ც.) საშიზავებსა? – ზე-დავა ვშიზავდთ ისევა, ვქსოვდით და თავად გამოდიოდა ი დახატუ-ლი. (– ფერადი ძაფები საიდან მოგქონდათ? – ნ.ც.) მღებვარები იყ-ვნენ და იმეებს ვაღებვინებდით. თავად, აბა, იმას წამოსვლა უნდო-დათ ქალაქში, ყიდვა უნდოდა, იმას ჩვენ ვერ გავაკეთებდით. აი, იყ-ვნენ ისივ ე ხევსურები იყვნენ, შუაფხოში ოჩიაურები, ისენი ძღებავ-დნენ. ოჩიაურთას ჩამოილოდი, იქ დობილი მყვანდა, ლამარაჲ.

– ლამარად რა გვარი იყო? (ნ.ც.)

– ბალიაური.

– შენ იცნობდი იმ ლამარა ბალიაურს? (ნ.ც.)

– ერთი გოგო ჰყავდა იმ ბალიაურსა, ბალიაურ ლადოსა. მე ლადოს კი ვერ ვიცნობდი. (– ის მერე კომუნისტებმა მოკლეს. – ნ.ც.)
– ჰო, კომუნისტებმა მოკლეს და თავის დებმა მაიპარეს, მათარვინეს ისიც, ციხეში მოკვდა ისა. და მერე მათარვინეს, ამათხრეინეს. იცოდნენ იმ პატიმრებმა, სად იყო ის დამარხული და ამათხრეინეს. თავად მაიპარეს დებმა, თეთრქალმა და ნათელამა. (– თეთრქალი სახელია? – ნ.ც.) ჰო, თეთრქალი ნათელას და იყო. იმის ქმრის გვარი იყო მაკალათია, იმ თეთრქალისი. ეს ხო ბალიაური იყო, ე ლამარას მამა, ლადო ბალიაური. მაშინ ხვარ იყო, ე თეთრქალი რო გეეტაცა? (ცდილობს, გაიხსენოს. მე კი ვუყვები, თუ საიდან ვიცნობდი ლამარა ბალიაურს და რა ვიცი მის შესახებ). იმას ბებო ჰყვანდა, იმ ნათელას და თეთრქალის დედა. ერთხელა მკითხა, იქ ვიყავ ჩამოსული, იმათასა და...აი, დასაღებავებ რაღაცეებ წამამაღებინა დედამა და იქ მივედ და ი ბებომა მკითხა, რო...იმ ლამარას ბებომა, ძროხანი ვითანი გყვანთაო? მე დაუწყე ყურება. (– ფშაველი იყო? – ნ.ც.) – არა, ხევსური. ვითანი გყვანთაო ძროხანო? მე კიდე ი ლამარას მივხედე და რამდენი გყავთო, იმას გეკითხებაო. მე ვერ ვიცოდი, იმ სიტყვის მნიშვნელობა რა იყო. ჭოჭყნივ რამდენიაო ან მეწველიო? – ასე მეკითხებოდა. მე არ ვიცოდი, ჭოჭყნივ რა იყო, ისიც არ ვიცოდი.

– ლამარას საიდან იცნობდი?

– მედობილებოდა, იქ რო ჩამოიდოდი, აბა, ბალდი. (– სკოლაში ერთად ხო არ იყავით? – ნ.ც.) ერთად რო ჩამოიდოდით იქა და ბალდიც ისეთად იყო, ისეთი მიმღები იყო. ი თეთრქალის ქალები კი – არა. ისენ სხვანაირ გუნებისები იყვნენ. ის უფროსი იყო თავის ი დეიდაშვილებზედაცა. დეიდაშვილებზე კი არა... (ოჩიაურებს ენათესავებოდა. – ნ.ც.) ოჩიაურს იმითა ნათესაობოდა, შვილო, რო ი ნათელად და...(ფიქრობს –ნ.ც.) ნათელად ხო მამიდა იყო იმისი, იმ ლამარასი, ალალ მამიდად და ისეები კიდე ხო, ი თეთრქალის ქალები კიდე, რა თქმა უნდა, ისეებიც ისენი იყვნენ იმისთვი, რა ბედენა იყო. ეგენი ხო გვიანობამდე მიდიოდენ, მოდიოდენ. საზაფხულოდ ხო ადიოდენ ქალაქიდან ი თავისებთანა, ოჩიაურებთანა. ერთ იმაში კი იყვნენ სრულა, დაბლა იყო, დაბალ სახლები იყო აეგრე გაკეთებუ-

ლი, როგორც... აქ მაღლა არი, რა თქმა უნდა, ეს ბელეტაჟად არი და იქ დაბლა იყო, ორსაფეხურიან სახლი იყო. გვერდ-გვერდა ცხოვრობდენ, ი ლამარაჲს დედა იქნებოდა, რა თქმა უნდა, რავი მე ი ლამარაჲს დედას ვერ ვიცნობდი, მამიდეებთან იყო ი ქალი, მამის ბინა-ზედა. იმათი ის ცალკე იყო, თეთრქალისა ცალკე იყო და ნათელაჲსა ცალკე იყო. ცალკე-ცალკე იყო ესე გამწკრეულები სახლები, ოთახები. ერთად იყო და სუ ცალ-ცალკე იყო გამწკრეივებული. ი ალექსი ექვიჲნა იმ ნათელაჲს ქმარსა, ოჩიაურ ალექსი, ირაკლისი და გოგიაის მამა. სოფო და თინაი, ქალები. (– ის მაკალათია ვინ იყო, ნეტა? ერთი იყო სერგი მაკალათია, და რომელი მაკალათია იქნებოდა ეგ? შენ რომელ მაკალათიას იცნობდი? – ნ.ც.) მე მაკალათიას, კაცს ვერავის ვერ ვიცნობდი. ვიცნობდი ქალსა, თეთრქალის გოგოსა, ფიქრიასა. (– ეგ ფიქრია მაკალათია პროფესორი იყო უნივერსიტეტში. და იქ რატომ ჩამოდიოდა ფიქრია?– ნ.ც.) იქა ცხოვრობდენ, შვილო და ი თეთრქალი თავის და-სიძეებთანა. იმას ქმარი არა ჰყვანდა თუ გაყრილი იყო? თეთრქალისა ფიქრიაჲ იყო შვილი. ისიც ბალიაური იყო, ნათელაჲც ბალიაური იყო და ე ლადო ხო ბალიაური იყო. და ოჩიაურს კიდე ჰყვანდა ნათელაჲ, ოჩიაურ ალექსისა. – გასაგებია, ერთი მამიდა ჰყავდა ოჩიაურსა, მეორე მამიდა კიდე – მაკალათიას და იმისი იყო ფიქრია მაკალათია. – ნ.ც. (მერე ვცდილობ, ვათქმევინო ხოლმე-ობითის ფორმები.)

– ხევესურები ამბობენ – დავწერიდიო, ფშავლები როგორ იტყოდნენ? – ნ.ც.

– დავწეროდით წერილები, გამოვგზანოდით. (ყოყმანისა და ფიქრის შემდეგ ამბობს. – ნ.ც.)

– შენ აღარ ხმარობ მაგ სიტყვას? – ნ.ც.

– არა, ეხლა ველარ ვხმარობ.

– აბა, რას ხმარობ? – ნ.ც.

– დავწერდი და...

– აღარ ამბობ ოდი-ს, ხო?

– ავანთოდი ფეჩიო... აღარ ამბობ?

– ფეჩს ავანთებდით, (ავანთოდით აღარ ამბობს. ნ.ც.)

– ოდ-ს აღარ ამბობ შენ. (ნ.ც.)

– ველარ ვამბობ. (ბ.ტ.)

რუსიკო ალუდაური, დაბ. 1962 წ. ხევსურეთში, სოფ. ხახმატში

მე გავჩინდ ჳევსურეთ სოფელ ჳაწმატში. დუშეთის რაიონია ესე იგ, პირაქათა ჳევსურეთში მდებარეობს ეგ ჳაწმატი. გაჩენილი ორ სამრევლოში. სამრევლო ჳქვიან, ქალს რო მუცელ ასტკვიდების, გაიყვანენ ცალკე. პატარა ოთახია ესე. ჩავას მარტო მშობიარე. გააჩენს მარტო ამ შვილს. თაოდ უნდა შაახვიას იმაში, იმ გუდანურებში ვახვე ვდიდით ადრე, გუდანურები იყო. გუდანურში შაახვევენ ამ ბაღლს. მემრეადა შვიდ კვირას ის ვერ ამავას ჯალაფთასა. სუ იქ უნდა იყვას ი სამრევლოში. საკვამნ არიან ერთ ამაწვრეტილ აესე აე, იმაშით ვაწვდიდით პურსა, სატანსა, წყალსა. გარეთ არ უნდა გამავიდეს ი მშობიარე ქალი. შვიდ კვირია რო გაუტდების, მემრე შემაიყვანენ ამ ქალს შიგათ. ჳერხოს ვემახით, ჳერხოს და დაბლა ერთ პატარა ოთაქას მაუზომავენ, აემას არ უნდა გადამასცდეს, სანამ სუ არ გაიწმინდების ეს ქალი. მერე რო გაიწმინდების, დაიბანების, მემრეად ამავას ჯალაფთას. ჯალაფთას მავას. მაშინ გააკეთებს პურ-წყალს. მაშინ მასწველავს საქონთაც. იქამდე არაფრის გაკეთება არ შაუძლავ. დავიბად სოფელ ჳაწმატს სამოცდაორი წლის ოცდეერთ მარტს. სამრევლოში ორ გაჩენილი. სამრევლოს ვემახით აე სამშობიარო სახლს. ხუთ დედმამიშვილ ვიყვენით, სამი ძმა, ორ დან ვიყვენით. ერთ ძმა ყამირ მიწებზე მამიკლეს, ერთს წითელა შაიხვდ, იმით დაიღუპ, ერთ კიდე წყალში დამეხვრჩ, ერთ ძმა, მესამე ძმა. აი, უფროს ძმა რო მამიკვდ, მერვე თვეზე მამაჩემიც დაიღუპ, გულმ დადჳკრა ი თავი შვილის სიკვდილის მერე. მემრეადა მე დავრჩი და დედაჩემ ხახმატ მარტუეები, პირაქათა ხევსურეთში სოფელ ჳაწმატ ვცხოვრობდით. არავინ არ გეყავდ. ერთ დად მყვანდ, ციცინოდ და ერთს გაიექვივნ, ყრუ-მუნჯი მყვანდ ის ძმაიც. სამნ ვიყვენით, უფროს მე ვიყავ. მე ვსწავლობდ ბარისახოს სკოლა-ინტერნატში. აიქით ავდიოდ, რო დედაისად სათიბ-საკრებში მამეხმარ, მოგვეთიბ, მოგვეტან, დაგვეყარა ი საქონლისად. ოთხ მეტრამდე თოვლ მადიოდ. ჳვაგებ მადიოდ. ხან მივდიოდ ი სკოლა-ინერნატიდან, ხან ვერ მივდიოდ შაბათ-კვირის. ძალიან ტანჯულ ცხოვრება იყო ხევსურეთ. ჳვნად, თესვად. მეხუთე კლასში ვიყავ, რო ცელ ავილე და თიბვა დავიწყე. აე, ჳელი სისხლიან მქონდია. ვთიბდიდით, ჳამთარში კიდე ბანების ხვეტად. ქოო საკვირველ იყო იქ ცხოვრება. ძალიან გაჭირვებულ ცხოვრება იყო. კამპეტკი გვენატრებოდა. კამფეტს ჩვენ კამპეტკს ვე-

მახდთ. აი, კამპეტკი რო ვინ მაიტანის, გვიხაროდის რო. უნაწილებ-
დით, პირში გამაღებულს სხვას ვაძლევდიდით, რო გემო გაიგასა,
რახელ ესავ კამპეტკივ. პირაქეთა ჳევსურეთში მანქანებ მადიოდეს,
მარა მიღმაჯევ ჳევსურეთ მანქანებ არ მიდიოდეს. აე, მიღმაჯევლებ
რო გადმავიდოდეს, როგორც აი ტყიურ ბალებ არ მადიანა, აეგრე
დადიოდინ. მანქანა რო ნახიან, გაიქციან და დაიმაღნიან მაშიადამ.
არცარა თეფში იცოდეს იმეებმა, არცარა ჳიქის ხმარება იცოდეს. პეშ-
ვით სჳამდიან საჳმელსაც. აი გუბეებში კიდე წყალს დეეწაფიან და
ეგე სომდიან ი წყალსა. ძალიან გაჳირვებული ცხოვრებაა ხევსუ-
რეთს. ვისაც არ გამოუცდავ, ...ქალი რო ცუდად გახდებოდის ქალუ-
რი წესით, ერთ კვირეს სამრევლოში იყვის ი ქალი. გარეთ არ გამავი-
დის, თუნდა პატარა ბალებ სუ იქ იყვის და პურ-ტაბლას აიქით ე სა-
კვამშიით. ეგ წესი იყვ. სტუმარ რო ვინ მავიდის კიდე, ბალებ რო
ვიყვენდით ჩვენა, არ შაგვეძლის სტუმართან მივსულიყვენით. მამა-
ჩემ წამადგის, მახვედი მშვიდობითა. იმან კიდე უთხრის: მშვიდობი-
თამ დაგვხვდებიო. მაიტანიან არაყიან კალისტრაი, ვინც მავიდის,
აიმეებმა და დადგიან ტაბლაზე. ი ტაბლაზე დავაცხოზდით კეცეუ-
ლებს. შანდობა უთხრიან ჳერ, მემრეადა დაასხიან, ამ ყანჩა გადაახ-
ვივიან ხელი და გადაასმიან. ჳირიმც შავსვივ, ეტყოდის, ვინც შა-
სომდა და ლხინივ თავისავევ, შამსმელ ეტყოდის მემრეადა. ხო
გადაასმევდა ამ ჳიქას ის მასპინძელი და ...ჳირიმც შავსვი ბეწინაო
შენიო, ლხინივ თავისაივ, ჩემო ძილაო, ის ეტყოდის, ი მამაჩემი. ხო,
ეგეთ ამბავ იყო. კიდე იცოდიან, აი, ახალ წელი რო მოიდის, ძველ
ახალ წელი. წელწადს ვეძახდით ხევსურები მაგას. აი, წელწადში მა-
მაჩემს ერთ ქინთ ჳქონდის. გადაიკიდის ე ქინთი. ქინთ ეძახდის, ე
ტყავისგან იყო გაკეთებულ, აი, ცხვრის ტყავისგან. და ყანწა ჳქონდის
ერთა პატარა, იმას დაიკიდებდ, წავიდის მასაკითხად ნათესავისა,
დეიდაშვილისა იყვა, მამიდაშვილისა...

– იმ ქინთში არაყი იყო?

– არაყ იდგის აიმაში და პურ-სატან ჳქონდა შიგ ჩავდებული
და სხვა ვეშმემოკში კიდე და ის ქინთში არაყ ჳქონდ ჩასხმული. ვინც
შაგვხდებოდა ი გზაშია ი მიმავალსა, ან ჳორმეშავ წავიდო, ან ჳიეს,
ან ბისოს, ან სხვაგან სად წავილებდ? აიქ მიოლაგო, უთხრის აი, მამა-
ჩემ, არაყით მიოლაგ. არაყით მისვლას ვეძახდით ჩვენ, არაყით მიო-
ლაგო ეხლა ამ დეიდაშვილებთან. არაყით მიოლაგ აი ჳიესავ დედი-
დუასთანავ. დედიდუას ვეძახდით დედის დას. დედიდუასთან მიო-

ლავ არაყითა. ვინთუვინ შამხვდებოდის აი, გუდანის ძირ, ან, აი, ჭორმეშავის ძირ, ან, აი, ღულის ძირ. მაიხადის აი ქინთაჲ და აი პურსატან ამილის და შასამის, გამამთვრალ მივიდოდის ბოლოს აი თავის დეიდაშვილთან და დედიღუასთან. აეგ იყო. წელწადში ვინ ჭირისუფალ იყვის, აი, ჯვართ ვემახდთ ხატობას. ჯვარში შაიყარნიან და აიქით წამავიდის ხალხი და აი ჭირისუფალთან მივიდოდ... (აქ შეყოვნდა სათანადო ზმნის მოსამებნად – ნ.ც.) მადიოდეს. კეცეულეებს დავაცხოვდით. კეცეულეებს ვემახდთ...ყველს, სატანსა და...სატანს გავხეხთ და კარტოხას გაურევთ. კარტოხას ჰქვია კარტოფილს. კარტოხას გაურევთა და აიმებს დავაცხოვთ ფეჩხე. აი ფეჩხე დამცხვრებს მემრე ორჯამიანში ამავილებთ, დავბანთ აესე. მემრეა ერბოში დავპოხთ და ესე დავდგამთ. აეგე ვხვდებოდით ჩვენ კიდე, ვინც ჭირისუფლები ვიყვენით, აი ჯვარში მასულ ხალხს.

– ქორწილი და ნიშნობა როგორი გახსოვს?

– აი, ქორწილი ისეთი იყო, რო ჯერ აკვანში ნიშნავდეს თავიდან. ეხლა აკვანში ნიშნობა აღარ ას, გადავიდ. ჩემ დროს იყო ეგეთ ამზავ, რო მავიდიან და მაგწონსავ შენ ქალიო. აკვანში არ, მარა არ იცნობდეს ქალ-ვაჟნ ერთმანეთს, მარა გაათხოვიან, მართლა არ იცნობდეს აი. არ იცნობდეს, გაათხოვიან ის ქალი. მერე არაყით მიჰყვამოჰყვებოდეს. არაყით მიყოლ-მოყოლას ვემახდთ, აი, ქინთს გადაიკიდებდეს, ჩასახემდეს არაყსა და არაყით მიყოლ-მოყოლას ვემახდთ ხევსურებ მაგას, რო მასაკითხით არაყით მიდიოდეს. მივიდ-მოვიდოდენ, მემრეად დაღნიშნიან ქორწილი. იქამდე ცოლს არ უნდა შეეხედ, არც იცნობდეს ერთმანეთს, აეგე. არ შეიძლებოდ იმასთან არც საუბარი, არც თვალთ შაყრა იმ ქმრისად. უნდა დამალულიყვ ის, მამათილი რო მოვიდის, არ უნდა შაჰყრიყო ზალი იმას. მემრეადა ქორწილი იცოდინ ეგე. ფარდაგებ ვიცოდით, აი, დაქსოილ ჰევსურულ ფარდაგები. აიმას დაღფენდიან მიწაზე. ერთ მეგარმონე დიაც იყვის, მზევინარ ერქვიან იმას. ერთ ვედრას ძირ ამაბრუნნიან და იმით წაიყვანიან და იმაზე... კეცეულეებს დავაცხოვდეს მართო. ფარდაგს დაღფენდეს შუაშიაცა და ნაპირშიაც. იქისკე ქალებ დასხდებოდეს, აქისკე კაცები. ჰოდა, როვინ უფროსი ვილაცა რო შამავიდის, დიაც ფეჩხე უნდა... (დიაცს ემახნიან იქაურებ ქალს). ვილაცა რო შამავიდის უფროსი, ის ფეჩხე უნდა ამდგარიყვის, მახვედი მშვიდობითავ? ისიც, საამდ ის არ დაჯდებოდ ის, უფროს კაცი, ის დიაციც ფეჩხე იდგ, საამდ ის არ დაჯდებოდ. როგორც ეს უფროს კაც ადგებოდ,

ი დიაციც აჰყვებოდ. უნდა ამდგარიყვ, სანამ ის არ გავილოდ, არ და-
ჯდებოდ. ეგეთი წესი იყო. კიდე წოლა-დგომა იცოდნენ, მოვესწარ
ცოტა ხან მაგას. აი, მახსონს, მამაჩემთან როგო დააწვინეს ერთ ბათუ-
რათ თინად. ბათურათ თინად ერქვივნა, ერთ ქალ იყო და. მითხრეს,
რო ეს მამაშენთან უნდა დააწვინესო, პატარად ვიყავ მე მაშინ, მე და
ჩემ ძმად, რომელიც დამელუპა, ის ძმად. მავიდეს, წამაიყვანეს ე დე-
დაჩემ. წამოუყვან, თავი ქმართან უნდა დააწვინეს ეხლა ე ქალ. შუა-
ში ჳმალს ჩაუდებდეს. აეგე უნდა ყოფილიყავ გაშეშებულ. იქ არ შეი-
ლებოდ ცუდ რადაცა, არ კეთდებოდ. ნამუსიან ქალი უნდა ყოფი-
ლიყვა. ვინც ბევრ კაცთან არ იყოა ნაწოლი, უფრო დღიან ქალს ეძახ-
დეს იმას. ჰოდა, აეგეც მაქსონ, მაგასაც მოვესწარ მე.

– აზრი ვერ გამიგია, რა იყო. არც იმ წაწლობისა, არც იმ სწორ-
ფრობისა, წოლა-დგომა რო თქვინ შენა. (ნ.ც.)

– აი, რა იყო. არც მე ვიცი მაგის აზრი. რავი, რატო... ეხლა ჩემ
ბიძად იტყოდ, რო დედაშენი რო გამაჩნდისაო, სახევესურო გზას
თურმე ეძახიან იქა, აი, პირიქითა ხევესურებში რო მიდიანა და იქ არ
იცოდეს, იქ გზა არ იყვ მაშინ, მანქანის გზა და. ლელად მადისაო, პა-
სუა ხვთისუათ ქალიო. მხესავით გამაანათაო. ლამაზ ყოფილ ას ეს
დედად. ახალგაზრდეებ თურმეო გაიკრიფებიან რო, დავხვდეთო,
პირიქით თეთრ ქალებიაო გადმამჯდრები მთასაო. ხოდა, იი პაპა-
ჩემს ეთქვ, ყირაი ექვივნ პაპაჩემს, რო რაჯელდ მაიწევთო, ახალგაზ-
რდეებო, როგორც ამარილებულ ცხვარიო მარილისკე მაიწევსო. რა-
ჯელდ მაიწევთო პირიქეთათ ქალებისკედა აქაო. დედა იყვ ჳინჳარა-
ული. კისტ ლეზისკრელთ ქალი იყვ დედაი. ჰო, ეგეთ ცხოვრება იყვ,
აი, გაჳირვებულ ცხოვრებაი. მარა სინდის-ნამუს იყვ შამონახულ ძა-
ლიან, სირცხვილ-ნამუსი. იქ ბოზობა იყვ სირცხვილი, ჩვენ სოფელ-
ში. აი, მე მაგალითად, იქ ორ გაზდილი და ისე მესირცხვილება ეხ-
ლადაც ბოზობა, აი, მთაში ისე დაგვზარდეს ჩვენ დედ-მამამ, რო...
ისე დამძობა იყვ ერთმანეთთან, გატანა, შამოტანა, აი, ისე დაგინ-
დობდეს ერთმანეთთან, რო, აი, კაც რო მაგეკლ, იქ უნდა დამრჩა-
ლიყვ. ჳორაობაო ქო არ იცოდინან ხევესურებმა. აი, წუხრიელას ვეძახ-
დი კიდე, აი, ძნას, სვილს ვეძახდით, რავი ეხლა რას ეძახიან. ის სვი-
ლი მამკიან ხოლმე ნამგლითა და ღამე ვმკიდით იი სვილს...წუხრიე-
ლათ ეძახდიან, დიაცი, კაცი, ბალდი, – სუყველა მივიდიოდით და
იმას დააწყობენ, მერე დაიწყებდეს ქეიფს. იქეიფებდეს, მთელ ღამეს
გაათენებდეს. ისეთ კაი იყვ. მერე იცოდინან, ჳამთარ კიდე ისე გადი-

ოდ, ვერც ვგებულობდით. მჩეჩელი...საჩეჩლებს დაიდგამდეს, დიდი, პატარა, ბალდი, კაცი, – სუყველა მივდიოდით, დააცხოზდეს დიდაც კეცეულებს. მერე მძახლებს ვეძახოდით, აი, ჯარა იყო ისი. ჯარა გვედგ, ჯარაზედ ძახდიან, ძახდიან, ძახდიან და გამადიოდის აი თხორ. მერე ჩამაბიან ორ ფიცარ ეგრე და იმეებს ყდას ეძახდეს, საქსოვ. ფარდაგებს...დაიწყებდეს ქსოვას, მთელ ღამეს ბრაგაბრუგ ედგა აიმასა აი. ქსოვდეს ფარდაგებს, ზოგ ვეფხვს ახატებდ, ზოგ ჭედელას ახატებდ, ზოგ რას ახატებდ იმას, ზოგ რას ახატებდ. ისეთ კაი იყო. ისე გადიოდა ე ზამთარი, ვერც ვგებულობდით, რაჯელ მავიდის აი ზამთარ აი, ვერ ვგებულობდით. ახლა მაქალო ვაშლ იცოდეს ე ხევსურებმ და პანტა. სხვა ქვო არაფერ არ მადიოდ იქ მთაში. აი მაქალო ვაშლს მავიტანდით, ჩავყრიდით თივაში ე პანტასაც, ერთ წითელ ძაფს მავაბამდით აი თივასა და გვიხაროდ ეხლ აი თივას რო ახდიდიან, პანტა-ვაშლ გამაჩნდის. აეგ იყვ ჩვენ ხილიც. აი ჟოლს ვკრეფდით, შალშავს ვკრეფდით. აიმას ბოჭკაში ჩავყრიდით, ერთ მეშოკ შაქარს დავყრიდით. ამავილებდით, ქიტეებს ვეძახდით ჩვენ აი, საწონეებს რო ეძახიან ეხლა. ხის ქიტეებ იყვის. ვემა ამადის ჩვენთან, აი, როგორც ბორჯომი, აეგეთი ვემა, მქავე წყალს რო ეძახიან. აი ვეძას დავასხამდით და აი ის იყვ ჩვენ კამპოტიც აის იყვ ჩვენი, სუყველა. აი თევზს კიდე რო დავიჭერდით, აი არაგვ რო ადიდდებოდის ძალიან. კალმახ იყვ ჩვენთან. რო ადიდდებოდა ი არაგვ, კაცებთან გავიქეცოდით ე ბალლებ. ერთ შუბი გვექონდის, გამწვეტებულ ჰქონდა. ე ხეზე იყვ დამაგრებული ის და. აე არაგვ რო უცბად ჩადგებოდ, რო წვიმას გადაილებდა, აი ხან ოთხ ფუთიან ვედრას გავავსებდი კალმახით და, სწრაფ ვიყავ მე ცოტა, ზოგიერთ ვერ ასწრებდ, მე მაინც ვასწრობდ. წამავილიდით აის აი, დავანთიდი ე ტყეში ცეცხლა. დავყარით აი ნაკვერჩხალზე, ეგე კარგა ვჭამდით, აი მაგითა ვართ დაზდილებ აი. აი ჯარებს რო დავკლევდით კიდე, მამაშაჩემ იცოდის, სპილენძის ქვაბ შაუდგამდის აი ჯარს, სისხლს აილებდა ის აი ერთ ოც ლიტრამდე. აიმაში ჩაჰყრიდ მემრე აი და მუცლის ქონიო, აი მსუქან, აი, რაც ქონია, აისე თუ რასა და. დააყრიდ ქონდარს. ხინკალში არაფერს არ ჯმარობენ ჯევისურები, მარტო ქონდარს. მინდვრის ქონდარია ჩვენთან ბევრი, იმას ვჯმარობთ. არაფერ მწვანილს არ ვხმარობდით. აი ქონდარს ჩაჰყრიდ, ადუღის აის, ადუღის, აეგეთ კაი, როგორც აი...გემოგლობინისად ყოფილა ის კაი ძალიანა და...აიმას ჩავსტენდით ხის ბოჭკაში, ამავილებდით აიმას, ერთ ჯამს

აესე, ამავეჰკრებდითა და, დავყჰრიდით ტაფაზე, ეგეთ გემრიელ საჭმელ იყვ, აი ცხიმი გაუმვის, ეგეთ კაი იყვ, როგორც აი...ეგე ვიყვენით დაწითლებულეხ სუ ე ბალღეხი, ჯანმრთელეხი. არაფრის ტკივილ არ იყვ, არ ვიცოდ სეერთოდ, სანამ ე ქედში არ ჩამოვედი. აი ყველაფერ იყვ ნატურალურ იქ, არაფერს არ ვჭამდით ჩვენ ნაყიდს., აბაბაბაბა...არაფერი არ იყვ, რო გვეყიდ რაღაც აი, კანპეტკიც კიდე სანატრელი გვეკონდ იქ. სუ მაგეეხით გავდიოდდით იოლას ყველანაირად.

– ლუდის ხარშვა ხომ არ გინახავს?

– როგორ, ლუდის ხარშვამც ვიცი. ხო, გაგვიკეთებია, თუ გინდა, იმასაც გეტყვ. ქერს მავიტანდით, ერთ მეშოკს, ერთ მეშოკს ხორბალს. აიმახ მეშოკში ჩავჰყრიდით. დავასხამდით წყალს, რო აჯეჯილღებოდა ისი, რო ამაჯეჯილღებოდ უკვე, რო ამაუმეებდა ი ღივს, აიმახ წამოვჰყრიდით მერე, ფარდაგებ გვეკონდის ბანზე, აი ფარდაგებზე გავშლიდით. მერე საფორცხვლით ვურევდით აიმახ, რო გამშრალიყვ კარგა. რო გაკმებოდ კარგა ის,... თუ წვიმა იყვის, ქვეშ შაუხვივით ე ფარდაგებ, ფარდაგებზე ვაშრობდით იმახ ძირითადად. რო გაკმებოდ, მემრეა წავიღებდით იქ, ჩვენთან იყვ წყლის წისქვილეხი. ჰოდა ი წყლის წისქვილეხზე ვფქვავდით. მემრეა აიმახ წაიღებდ წისქვილში... ჭაჭს ემახიან ჰევსურებ, რაღაცადა ეს ერთი მცენარე. ჭაჭი აქვს სუყველას სახში შენახულ. ი ჭაჭს ... ადუღიან წყალი, ჩაყრიან ეს ფქვილი და ეს ქერი და ხორბლის დაფქულან წყლის წისქვილში, ადუღიან ისა, ი ჭაჭ გაურიან შიგ და სვეს ვკმარობდით კიდე, სვე ბევრი ას მთაში. სვესა და ჭაჭს ვურევდით. საფუარს ჰქვია ჭაჭი. ერთ კვირას შაჰხვიან ისა ი ჭაჭში და იმაში სვეში. მემრეა და მეშოკებ იყვ, აი ნაჭრის მეშოკებ იყვ, ჭინჭრის მეშოკებს რო ემახიან (ი-ს არ ამბობს თითქოს – ნ.ც.). ეგეთ მეშოკებ იყო და იმეებს... ჩამაბიან ჭერხოში. დაბლა, სპილენძის ვარცლებ გქონდ ეგთებ აი, აიმეებს მიუღგამდეს დაბლა, ჰოდა სწურევდეს იმახ ი და ლუდ გამადიოდ. მეორე მკარეზე კიდე სვიანს სწურევდეს. ერთი კვირის მერე ამ სვიანსა და ამ სვენარევსა და იმახ ერთ იმაში ჩაურევდეს და ერთი კვირის მერე ლუდ გამადიოდ ეგეთ, რო პირშიით ვერ...პირიდან ვერ მაიცლდ, ეგეთი იყვ ლუდი. ი ლუდს კიდე ჯვარში ადუღებდეს ძირითადად. ჯვარს ვემახით ხატს, სადაც დაბმანებული ას...ჯვარში ადუღებდეს კაცეხი იმ ლუდს, ქალეხ არ მიდიოდეს. მემრეადა საწდეხ იყო ერთი ეგეთ რო...ზოგი ოც კილოს იწონიდა

აი...ეხლა კი მაიპარეს, აღარ ას. ვერცხლით იყვ სუ ასხმულ. ის მარტო ხუცესს ეჭირის მარტო. ის ამოგვიღებდ იქ და გადმოგვისხემდ თავის ჭიქაში ქალებს. აი იმეებს ემახდეს კიდე, პატარა ისეებ იყვ აი, ჭიქასავით იყვ. რას ემახოდეს? სახელ აღარ მაქსოვს, ქალო. იმაში გვისხემდესა და იმ დიდი იმისა ჯელის მოკიდება არ შეილებოდ, დიაცს არ უნდა მეეკიდ იმისად ჯელი. ჯვართ კარში კიდე დიაც არ უნდ მისულიყვ სეერთოდ. ჳევ ჩამადიოდ. აი ჳევის იქით კაცებ იყვნინან, ხევის აქათით ჩვენ. მერე ახალ წელ რო მადიოდ, წელწადი, აი წელწადში ჩავიარდიით ამ ჯვარში, ზენქალობა, ქვექალობა...პატარა ბალღები დაგყვავადის აკვნიით. ი კაცები იქით იყვნინან, ქალებ აქეთ იყვ. იქ მაჰხარშიან ჳორც, აი წელწად წუხრას, ცამეტ იანვარს.

– ეს ზენქალობა და ქვენქალობა მითხარი, რა არის.

– ორ ხატია ჩვენთან, ქვენა ჯვარი და ზენა ჯვარი. ქვენქალობა ქვენ ჯვარში იყვის და ზენქალობა – ზენ ჯვარში. დავსხდიდით იმ ღამეს, გავათენიდიით. მაჰხარშიან აი ჳორც, აი საჯარეს ვემახდიით ქალების დასახდომს. საჯარეში შავიყრებიდით, წახურებულ იყვის, ერთ ოთახად იყვის, ქვითა, მიწით აშენებულ. ტაშფანდურაობად იყვის მთელ ღამესა და ასმევდიან ლუდსა და არაყს. გათენდის. მემრე წამოვიდით. მეორე დღეს ზენქალობა იყვის. ახლა იქ დაიკლვებოდ საკლავები და ჩაყარიან ჳორც, კეცეულეები, აეგეთურად და გარმონ, ჩანგური და ბალაღეიკა და გადიოდ თამაშობა, თამაშობა, რო ბუნგალ ასდიოდ იქაობასა. ეხლა აღარავინ აღარ ცხოვრობს ი ხევსურეთსა. მარტო ათენგენას მივდიით. სუყველა ვიკრიბებით მთელ ხევსურები და მივდიით მაშინ იქ. ეხლა ჩვენ სოფელში ცხოვრობს ოთხი კომლი და ისენიც ზამთარში აღარ ჩერდებიან, რო გზები იკეტება და პატრონ აღარავინ აღარ ჰყავ. ბებრები დაიკოცებიან იქა. ისე მაკვდების, რო ვერ გაიგებ. შარშ მაკვდა ერთ კაცი და აი ერთ კვირად მკვდარ იყვ...ტელეფონით გაუგავ, რო მაკვდაო და ი ძლივს ავიდეს, ძლივ დაღმარხეს, ძლივ ამითხარეს. მემრეა ამამთხრელიც აღარავინ იყვ ხევსურეთ. და მადიან ზამთარში აღარავინ აღარ ჩერდება ეხლა, რო ხალხ არ ას იქა. აღარაფრის სამუშაო არ ას. უჭირს ამ ბებრებს. ახალგაზდებ კიდე არ ჩერდებიან იქ, რო პირობებ არ აქვ ხევსურებს. თუ პირობებ იქნებ, დაუბრუნდებ ჳევსურეთ იქავ ხალხი. მე მაგალითად დიდი სიამოვნებით წავიდოდ ჳაჰმატ, ეხლაც ვიცხოვრებდ იქავ, მამწონს იქაობა ე. ეგეთ ამზავ იყვ აი.

– რამე ლექსი თუ გაგახსენდება და სატირალი?

სულეთის კარმაო, ჯვარ დაგიწერასავ ე ცოლშვილებსავ, დედიოო-ოო. არაყიან ბოთლაი მამაწვადეთა, სულ მყვან შამაყრილნი.“

– რუსიკო, რომელ წელს ჩამოხვედი ქედში?

– ოთხმოც წელში დავამთავრე სკოლა. გავთხოვდი მაშინვე დედოფლოსწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში. მარა ყოველ წელს მაინც მივდიოდით იქავ ჯაკმატ. ერთი წელ არ გამიცდენავ სეერთოდ. სუ დავალ ყოველ წელს, ყოველ ათენგენობას. ზამთრის გზებ იკეტებ, ველარ მივდიორთ და ზაფხულობით სუ მივდიორ ყოველ ზაფხულს იქა. ჯვართან, ჯვარში ყოველ წელს მივდივით. ყველა ალუდაურ ვიკრიბებით. პირიქითა ჯევსურებშიაც ეგეთ ამბავი ას. პირიქითაც იციან ათენგენობა, პირაქათიაც. მე პირაქათელი ვარ. პირიქითაი ას კისტან, ლეზაისკარი და შატილი. მიღმა ხევი ას არდოტ, არქილოი და მუცოი და ხახაბო. იქ გზა არ უდგების ხახაბოს, სამანქანე გზა – არა. მუცომდე მიდის, ეხლა გაიყვანეს მუცოსაც გზაი. სხვა? – ეგეთ ამბავი ას. ჯევსურეთს ცხოვრება ძალიან ძნელი ას. იქ ცხოვრება გართულეზულია სეერთოდ.

– აი, შენ მთლიანად გაიზარდე იმ ხევსურულ გარემოში, გესმოდა მარტო ხევსურული დიალექტი. და მოხვდი უცებ აქეთ. როგორ იყო, გიჭირდა მთიულურის გაგება?

– ძალიან. აე, ჩვენთან რო ხინკალს მოვახვევთ, იციან, რო ჩაგვეშალო, მთიულური ეგეთია, ჩაიშალო. მე რო მოვედი პირველად, დედამთილმა მითხრ, ხინკალ მახხვიეო და მიტყდებო, – უთხარ, ვერ მოვახვევო. ჰოოდა, მიყურებს ეს ჩემი დედამთილი, შამამხენებს, კიდე...კაცო, ე ჩემი რძალ ვითომ ხევსურიაო და გატეხვა ქალაქელებმ იციანო და როგო უტყდებო. კიდე შამამხენებს, ე ჩემ მაზლიც შამამხენებს. მიტყდებავ, მიტყდებავ, ამათ ვერ გაიგეს. ჩვენებურად ას, ხინკალ რო ჩაიშლების ქვაბში, იმას ემახიან, ხინკალ დამიტყდაო, ხევსურულია ესე იგი. გამიჭირდ ძალიან, პირველად რო ჩამავედ. აი, ჩვენ რო ვიცით, რო წყალ დალიეო, აქ ხო ეგე იციან მთიულებმ. ხევსურებში – წყალ შასვივ. ამ ჩემ დედამთილს ექვივინ საბედაი. რო ვეტყოდ, წყალ შასვივ, სად შეგსვა, შვილო? – ის კიდე მეუბნებოდ. იმას შასმა სადღაცა ეგონ მაღლა და მე ვეუბნებოდ, წყალ დალიეო ხევსურულად. ჩვენთან სხვა წეს-ჩვეულებაა, ამ მთიულებთან სხვა წეს-ჩვეულებაა. ძალიან გამიჭირდ მე მაგალითად, შეგუებადც. იმიტო რო ჩვენთან სუ სხვანაირ წყოზა იყვ, აქ სუ სხვანაირ წყოზა დამხვდ. ჩვენთან სირცხვილი იყო, რო უფროსისად სიტყვა

რა უნდა შეგებრუნ. ეგე გაგვზარდ ჩვენ დედამ, რო არ შეიძლებოდ, იქ ზედმეტ არ უნდა გეთქვ იმ უფროსობისად, რო... აი, უფროს რო შამადიოდ შინ, ჩემ პაპა რო შინ შამავიდ, დედაჩემ ფეხზე ადგის, სანამ პაპაჩემ არ დაჯდებოდ, ის არ დაჯდებოდ ტაბლაზე სეერთოდ. ჯერ ის უნდა დეესვ. ის რო ადგებოდ, დედაჩემი ტაბლაზე აღარ დადგებოდ. ეგეთი წესი იყვ ჩვენთან. ძალიან პატივს სცემდეს...აი, ქურდ-ბოზებ არავის არ მასწონდ, ყველასს მასწონდ პატიოსან ხალხ. თუ ვინმე დააყვედრის ტყუილად, რო შე...ან ბოზობა ვინ აყვედრის იმაში ან ჭირში, ან ჩხუბში, ან იმაში, კაცნ მიულაღიან ე ჳევსურებმ, დაამტკიცევ, თუ არა და დაგვოცთაო. თუ არ დაუმტკიცის ის, წავიდთან ჯვარში მემრეადაე და აი ჯვარში დაარისხის აიმის პატრონ, რო შენ რაად მიძახივ ტყუილადაო ბოზოო, დამიმტკიცეო. უნდა დაგემტკიც იმისად, რო ბოზობა...თუ ის ბოზ არ იყო. თუ არა და არაფრით არ აპატიებდეს ხევსურებ, ეგეთები იყვნ ისენი. – რუსიკო, პირველად რომ გნახე, მთიულურად ლაპარაკობდი, მე რომ არ მცოდნოდა შენი წარმომავლობა, ვერ შეგატყობდი, რომ მთიულური შენთვის ბუნებრივი არ იყო. მეგონებოდი მთიული. მალევე მოვიდა შენთან მთიულური დიალექტი?

– პირველი შვილი რომ მეყოლა, მერე უკვე გადავედი ამათ იმაზე. ჩემი საუბარი არავის არ მისდიოდ, რას ვეუბნებოდ, ვლანძღავდი, ვაგინებდი, თუ რას ვეუბნებოდ. მერე ავითვის თავისთავად, აბა, მთიულურად ვსაუბრობდ. ჰოდა ი ხევსურებში რო არ მიოღავ ე ხახმატ ეხლა, რო ჩამოვალ იქით, ვეღარ გადმოვდივარ ამ ენაზე, მიჭირს ცოტა.

– აქ, ზემო ქედში თუ იყო ვინმე ხევსური, რომ გქონოდა ურთიერთობა?

– კი, კი, აი, ბუჩუკურ ხვთისოს ცოლ იყვ. იმასთან ჩავდიოდი ხოლმე, ეგ კულტურულ იყვ ცოტა, აი, ნასწავლ იყვ და. ქართულად ვსაუბრობდ, მერე გაუბამდით ხევსურულს. არხილოში არიან ჳევსურები. ადვილად შამიძლავ გადასვლა, ხევსურს რო ვნახავ, მაშინვე გადოვდივარ ჳევსურულზე.

– კარგია, რომ არა გაქვს დავიწყებული ხევსურული.

– არა, არ დამცილდება ეგ სეერთოდ...

*ინფორმაციათა შესახებ ცნობები
მოცემულია აქვე, გვ. 130-137.*

მეგრული ტექსტები

(ტექსტები ჩაწერილია ზუგდიდში, 2018 წელს.
ჩაიწერა და თარგმნა მანანა ბუკიაძე)

ჭიჭეთობა

1. ჭერჭეთობა სერშო ბზადებას კვირკვეში პირველ რიცხვეფშო იბჭყანდით.

2. ელეფუფცხონუდით მაყალე ბადანეფი – ჟინ სუკი დო თუ-დონ სუკი, მინ – წორო, მინ – ხვალე, გერმანეში თუ აბელიში ტომბას, თათჩაში დო კოკიშ წყურგილეფწკუმა ნაშარეფს დო გიძღონას.

3. ბშაყარანდით ხინკიში დიშკას, ჯვეში პაკრიშკეფს... ვოწვი-ზანდით...

4. ეჩი კვირკვეს ჯვეშით დო პირველ არგუსოს ახალით, ცაშა მიანჭუდუნი თიგალი დაჩხერი ოკო დუოკაკაჩეთკო.

5. დაჩხერს რზენოლას ვორზანდით, მთავარი დაჩხერს, ვარა ჭიჭე-ჭიჭე დაჩხერს არძა ცუდეში ჭიჭკარს ოკო ობარზაჩუდკო.

6. თე სერს ჭერჭეთობაში გარდა მაზაკვალობა სერი ხოლო ჯოხოდუ.

7. ვეგიზაკვიკონი თიშენი, არძა ცუდეს, ცუდეში ოლაგეს, ლობერს, ჭიშკარს, ცალკარს, ლეკუხაში ჯვარეფი გეციკუდუ.

8. ათნა ვამიჩქე – მუშენი ლეკუხა დო, ვართი ხოლო თხუმუ, ჭუბური, ვარა ჭყონინი...

9. ეკისერუდუ დო ბეზი დუმაყუნუდეს არძას დო თხირიში გურიშეზმა სანთელეფს ქაშმოჭაბუანდეს თუმაშა.

10. უსანთელოთ მითინქ ოკო ვადოსკიდუკო, ვარა გიზაკუდუ თიმ სერს დო უკული მაზაკვალი ოსურში კაბაში ნოჭკერიში ათო-ჭუაფაში მეტი მუთუნი ვახვარუდუ გოზაკვილს.

11. ნაზაკვაში შელორსა ხოლო უჩქუდუ ბეზის – ამშაშალი, დამშაშალი, უბადო შურით, უბადო გურით მიდგას ენგოჯინასენი, თის გურს ლახვარი, დუც ბორზალი...

12. (ენა უკული, გოზაკვილეფს შეილორსენთ ჩუმას, გოკონა-და).

13. სერთ ოკო ვამკოსკიდუკო გალე ნახვილეფქ, ბალანა დო დიდიში ბარგეფი, ვალასკიდუკო საქონელქ, დოკილეკო ოკო ოკარი-ეფი.

14. ვეგმიტეკო ჯას გიმაცონილ ქოთომეფი, დოფორკო ინჭა.

15. დოჯვარეკო ოკო საქონელი დო ფრინველიში სადგომეფი...

16. დიდო გვიანო, 12 საათი გინოკინელს ირზამულდუ დაჩხერი.

17. ნინა დაჩხერს მიშუ გინონჟვილუა იშო-აშო დო ეშმაკეფიში გითოფართხუა, დოლი დო გარმონიში მეგამა, სხაპუა-ბირა.

18. შკა კვათა ხანიში კათა დო მოხუცებულეფი იჩიებუდეს მუ აფედეს მინარჩილეფი ახალობას ეშმაკეფიში სერობას.

19. ჭკადუაშიში ტყალეფს, – მაფაში წყურგილეში საგანოს ტყაშე მაფას იწურუნანდეს დო ყვენდეს, მის აფულდუ ნაძირეფი, მი აფულდუ წუნაულეფი დო მიქ ენტუ თიში ეშმაკობასგნი.

20. გვიანო, დაჩხერი ქიგეშკირტუდუნი, ბალანეფს ვარა ქუდ-მარულედეს (მა დღას ვადომრულუაფუ), ვარა ძალო გემნომინანდეს ცუჩა დო ქუდმორულუნდეს.

21. გურამი ბოშეფი დო ძღაბეფი მიდეშეს მოფერდამა ეშმაკე-ფიში მარჩილაფმა დო უკული მთელ წანას იჩიებდეს, მუჟო ელურ-ქიის შარას ოქოსალს გეხუნელი კატოქ, ნამუთ მაზაკვალეფიში სე-რობაშა მიჩქარულდენი.

22. თე კატო მოხუცებული ოსური რდუ სოფელს, იჩიებუდეს, მაზაკვალი რენია.

23. თე კატო პუხა რდუ, ჩხვინდით დიხას ნთხორუნდუ ხან-დათ დო თეშით – თიჯგუა პუხა რდუ.

24. სკუაღურელი ოსური რდუ, ხილით ეფმა ეზო ულულდუ.

25. ლერჭყვას ქეგიფშვიკითიკო ბალანეფინ, სარხოს ვემმოქან-ცაფუნდეს ბალანეფს.

26. დღას პირჯვარს ვედიწერდუ დო ჩქით ვეგნობწერდეს ჯვარს.

27. ბალანეფი ხაზობანას ვლააფენდითინი, კატომ კუჩხია, ვე-ჩიებუდით ართიანს, მითინიმ ჭჷალა ქომკოდეს ლააფიმ დროს და.

*მოქმელი ფატი ნაჭყეობა 52 წლის,
ზუგდიდი*

ჭიაკოკონობა

1. ჭიაკოკონობა ღამისთვის მზადებას ივლისის პირველი რიცხვებისთვის ვიწყებდით.

2. ვფაციფუცობდით თანატოლი ბავშვები – ზემო გორა და დაბლა გორა, ზოგი – ერთად, ზოგი – მარტო, გერმანეს თუ ახელის ტბასთან, თათჩას და კოკის წყაროებთან ნაგზაურზე და ეკალნარში.

3. ვაგროვებდით ფიჩხის შეშას, ძველ საბურავებს... ვაწყობდით...

4. ოც ივლისს ძველით და პირველ აგვისტოს ახლით ცამდე რომ წვდებოდა, ისეთი ცეცხლი უნდა აგვეკაშკაშებინა.

5. ცეცხლს ვაკე ადგილას ვანთებდით, მთავარ ცეცხლს, თორემ პატარ-პატარა ცეცხლს ყველა სახლის ჭიმკართან უნდა ეგიზგიზა.

6. ამ ღამეს ჭიაკოკონობის გარდა მზაკვრობა ღამეც ერქვა.

7. რომ არ გათვალულიყავი, ყველა სახლში, სახლის ალაგეში, ღობეზე, ჭიმკარზე, კუტიკარზე ხეჭრელის ჯვარი იყო ჩასობილი.

8. ეს არ ვიცი – რატომ ხეჭრელი და არა კიდევ თხმელა, წაბლი, ან მუხა...

9. შეღამდებოდა და ბებია ჩამოგვეყვებოდა ყველას და თხილის გულისოდენა სანთლებს ჩაგვაწებავდა თმაში.

10. უსანთლოდ არავინ არ უნდა დარჩენილიყო, თორემ გაითვალეზოდა იმ ღამეს და შემდეგ მზაკვარი ქალის კაბის ნაჭრის (ქვემოდან) დაწვის გარდა არაფერი ეშველებოდა გათვალულს.

11. გათვალულის შელოცვა კიდევ იცოდა ბებიამ – ამშაშალი, დამშაშალი, ავი სულით, ავი გულით ვინც შემოგხედოს, იმას გულს ლახვარი, თავს ბოძალი...

12. (ეს შემდეგ, გათვალულებს შეგილოცავთ ჩუმად, თუ გინდათ).

13. ღამით გარეთ არ უნდა დარჩენილიყო სარეცხი („სარეცხები“), ბავშვის და დიდის ტანსაცმელი, არ დარჩენილიყო საქონელი, უნდა დაგეკეტა საქათმეები.

14. არ უნდა დაგეტოვებინა ხეზე დაბუდრებული ფრინველები, უნდა დაგეფარა ჭა.

15. უნდა დაგეჯვარა საქონელი და ფრინველების სადგომები...

16. ძალიან გვიან, 12 საათი რომ გადავიდოდა, ინთებოდა ცეცხლი.

17. ცეცხლის ალზე მიდიოდა გადახტომა იქით-აქეთ და ეშმაკების გაფერთხვა, დოლის და გარმონის დაკვრა, ცეკვა-სიმღერა.

18. შუახნის ხალხი და მოხუცებულები ლაპარაკობდნენ, რა ჰქონდათ გაგებული ახალგაზრდობაში ეშმაკების სერობაზე.

19. ჭკადუაშის ტყეებში, – მაფას წყურგილეს („მეფის წყარო“) მიდამოებში ტყაშ მაფას („ტყის მეფეს“) უთითებდნენ [ეგულებოდათ] და შემდეგ ყვებოდნენ, ვის ჰყავდა ნანახი, ვინ ჰყავდა გაფუჭებული და ვინ გაექცა მის ეშმაკობას.

20. გვიან, ცეცხლი რომ ჩაქრებოდა, ბავშვებს ან ჩაგვეძინებოდა (მე არასდროს დამძინებია), ან ძალით შეგვიყვანდნენ სახლში და დაგვაძინებდნენ.

21. გულადი („გულიანი“) ბიჭები და გოგოები მიდიოდნენ ფერდობზე („მოფერდოზე“) ეშმაკების მოსასმენად და მერე მთელი წელი ლაპარაკობდნენ, როგორ ჩაუქროლა გზაში ცოცხზე შემჯდარმა კატომ, რომელიც მზაკვარების სერობაზე მიიჩქაროდა.

22. ეს კატო მოხუცებული ქალი იყო სოფელში, ამბობდნენ, მზაკვარი არისო.

23. ეს კატო კუზიანი იყო, ცხვირით მიწას თხრიდა შრომით და ისედაც, ისეთი კუზიანი იყო.

24. შვილმკვდარი ქალი იყო, ხილით სავსე ეზო ჰქონდა.

25. ნერწყვისგან რომ დავმხრჩვალყავით ბავშვები, ახლოს არ გაგვაკარებდა ბავშვებს.

26. არასდროს პირჯვარს არ გადაიწერდა და ჩვენც არ გადაგწერდა ჯვარს.

27. ბავშვები ხაზობანას რომ ვთამაშობდით, – „კატოს ფეხიო“, ვეუბნებოდით ერთმანეთს, ვინმეს „დაწვა“ თუ გვინდოდა თამაშისას.

სარკემ ენოჯინა

1. ჩქიმ ცირობუას დგუნდეს მაყალეფი.

2. მახოლო ენომჯინუ, მარა მითა მიძირუ, ეტყობ, უქომონჯეთ ნოფრჩინუექინი თიშენი

3. შხვეფი გახარებულ რდეს – ქობძირი, ქობძირია დო

4. ელაჯინა ხოლო შილებედ შხვაშა, მარა, ელამჯინუნი თიწკმა ხოლო ვამძირუ.

5. ეტყვებ ჭიჭე მისტიკაში ოკო ქორჯერდას, ვარა შხვანერო, ცნობისმოყვარეობაშე მუთუნი ვეიშურს.

6. მოკლეთ – სუმ გვარიში ცუდეს ოკო მიხირე ინჭაში წყარი,
7. ხირუამ დროს ვართი მინჯექ დო ვართი შხვაქ თოლი ოკო ვეგობინას.
8. ქიმულე ოკო ქვრივ ოსურს, ქვრივობაში უკული კოჩიში ხეჭკუდირი ნახანტა ხოლო ვაფუდას ნაძირეფი, მიკოწაწაფა ვარ.
9. ნაგურგინა ბეჭედი აუცილებელი დო მთავარი რე.
10. მიდგა სარკეს დგუნსუნი თის ვაულუდა, შილებე შხვა ქვრივს თხუენი ნაგურგინა ბეჭედი.
11. რიტუალი ვითოჟირი საათიში უკული იტარებუ.
12. ხოლო ოკო უგუჯინუ სარკე, ორცხონდი, ჩე პილატოკი, ჩე სარწყე სკამიში, ვარა ჭიჭე სტოლიშ გინაქუნალო, ჩე ჭირქა, თინა ხოლო უხვარებუ.
13. ინმაჯინუეფი ართი ოთახის რენა ზოხო შაყარელი.
14. ქვრივ ოსური უკმელა ოთახის სანთელეფიში სინთე ხვალე დგუნს სტოლს დო რიგიში მიხედვით მინულა ახალეფი.
15. ოთახის სამარეცალი სიწყნარე ოკო რდას.
16. ჩე გინოქუნელი სტოლს გილადგი წყარამი ჭირქა.
17. თის ინომუ ნაგურგინა ბეჭედი.
18. ჭირქაში მელე-მოლე ონტუ თოფური სანთელს.
19. მარძგვანშე ალუძუ სარკე, ორცხონდი, პილატოკი,
20. ექოფუნქ სარკეს დო ინაჯინექ სკანი ბედიში ძირაფაშა სარკეთ ჭირქას.
21. თი წანაში გუმათხუ, ვარა მუმაუნაფალი უცებუ ძირუნს საბედოს, გვიანს მუმაუნაფალს ჭიჭე უკული ეშალენია, თქუანა.
22. სანთელი, წყარი, ჭირქა, ორცხონდი, სარკე, სარწყე, პლატოკი ითირუ ირი ენოჯინას, ბეჭედიში მეტი.

*მთქმელი ფატი ნაჭყებია,
52 წლის ზუგდიდი*

სარკეში ჩახედვა

1. ჩემს ახალგაზრდობაში („ქალიშვილობაში“) დგამდნენ ტოლები.
2. მეც ჩამიხედავს, მაგრამ არავინ მინახავს, ეტყობა, უქმროდ რომ დავბერდებოდი („დანავბერებვარ“) და იმიტომ.

3. სხვები გახარებული იყვნენ – ვნახე, ვნახეო და.
4. ჩახედვაც შეიძლებოდა სხვისთვის [სხვის სარკეში ჩახედვა], მაგრამ რომ ჩამიხედავს, მაშინაც არ მინახავს.
5. ეტყობა, მისტიკისაც უნდა გჯეროდეს ცოტა, თორემ სახვანაირად, ცნობისმიყვარეობისგან არაფერი გამოვა.
6. მოკლედ, სამი გვარის სახლში უნდა მოიპარო ჭის წყალი,
7. მოპარვის დროს არც პატრონმა და არც სხვამ თვალი არ უნდა მოგკრას („დაგადგას“).
8. უნდა მიუტანო ქვრივ ქალს, ქვრივობის შემდეგ კაცის ხელსაწყო ნახატიც რომ არ ჰქონდეს ნანახი, მიკარება კი არა.
9. ჯვრისწერის („ნაგვირგვინები“) ბეჭედი აუცილებელი და მთავარია.
10. ვინც სარკეს დგამს იმას თუ არა აქვს, შეიძლება სხვა ქვრივს სთხოვო ჯვრისწერის ბეჭედი.
11. რიტუალი თორმეტი საათის შემდეგ ტარდება.
12. კიდევ საჭიროა ახალი („ჩაუხედავი“) სარკე, სავარცხელი, თეთრი ცხვირსახოცი, თეთრი ხელსახოცი (ტილო) სკამის ან პატარა მაგიდის გადასაფარებლად, თეთრი ჭიქა, ისიც უხმარი.
13. ჩამხედავები ერთ ოთახში არიან ერთად შეყრილები.
14. ქვრივი ქალი ბნელ ოთახში სანთლების შუქზე მარტო დგამს მაგიდას და რიგის მიხედვით შედიან ახალგაზრდები („ახლები“).
15. ოთახში სამარისებური სიჩუმე უნდა იყოს.
16. თეთრგადაფარებულ მაგიდაზე დგას წყლიანი ჭიქა.
17. იმაში დევს ჯვრისწერის ბეჭედი.
18. ჭიქის აქეთ-იქით ანთია („უკიდია“) თავლის სანთელი.
19. მარცხნივ უდევს სარკე, სავარცხელი, ცხვირსახოცი.
20. აიღებ სარკეს და უყურებ („ჩასცქერი“) შენი ბედის ნახვამდე სარკით ჭიქას.
21. იმ წელს გამთხოვებელი, ან მომყვანი უცებ ნახულობს საბედოს, გვიან მომყვანს ცოტა შემდეგ ამოსდისო, ამბობენ.
22. სანთელი, წყალი, ჭიქა, სავარცხელი, სარკე, ხელსახოცი, ცხვირსახოცი იცვლება ყველა ჩახედვისას, ბეჭდის გარდა.

ლაზური ტექსტები

ლაზურის ათინურ-არტაშენული კილოს დუთხური თქმა გამოირჩევა როგორც ლექსიკური, ასევე ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით. ქვემოთ მოყვანილ ტექსტებში დათხურის თითქმის ყველა განსხვავებაა დაფიქსირებული.

ტექსტები ამოღებულია მეჯით ჯაკარუსტას წიგნიდან „დუთხური პალიკარი“ (სტამბოლი, 2011 წ.). ტექსტები დასაბეჭდად მოამზადა და ზედმიწევნითი ქართული თარგმანი დაურთო მარინა ჯღარკავამ.

საფანითე ოხონუ

1. ა ნდლა, ჯუმა შკიმიშკალა ხოჯეფე საფანი ქოჯებუდვითუ დო ფხონუმტი. 2. მა ხოჯეფეში ოგი ბოტი დო ჯუმა შკიმიტი საფანი დიკაჩუ დო ჯობაზგამტუ. 3. ხე ნა ოკაჩუტუ ნთხირი ჭეფხეთე ხოჯეფე მვოჯვატამტუ დო ჩუმტუ.

4. ჰიმ ნდლა დიდო მშხვაფა ორტუ. 5. უფი დოლონწერი ბოტი, შური ჰჰირდუმტი. 6. წართი დიდო მამბინუდოტუ. 7. „ე ჯუმა, წარი მამბინუ, ამციქა ქომობიშვაჯათ, ა წარი ოფშათ ბუწვარე.“-მა დო ბიდუშუთიშა ხოჯი ნა მვოჭაფხამტუ ჭეფხე უჯი დო ფიჯი მომოჭაფხუსი ნოსიშა მეებოლი. 8. ბილახიდოტუ, თი მასანთალუდოტუ.

9. ეკებიწედი დო ჯუმა შკიმი მაზირუსი ხე ნა მოკაჩუტუ დაპრანი მენჯელი შკიმითე ქომებოტოჩი. 10. დაფრანი ჯუმა შკიმიში მხუჯი ქონაწონუ დო დინცხირეფე დვაბეტუ. 11. ჰიმორა, ჯუმა შკიმი აბეჟდინუ დო დინცხირეფე გიწეტუ.

12. დიდო მაშკურინუ. 13. დულდა მეზამჰვი დო ოხორიშა ბიძტი. 14. „ჰუე მუ პარე?“-მა დო ბიდუშუტიშა, კოდა ნა ჯელებუტუ მაზიწერი ქომაზირუ. 15. ბიდი კოდაშა, ჯელაპწი ჭიშეკლული, შკა ქოგობიკორი დო გამაჭტი ბიგზალი.

16. ჯერმა გზა ქოჯებუთი. 17. ნაკუ მალუ ვა მიშკუთუ. 18. კაპინერი ბიტი დო დიდო დომანჭინუდოტუ. 19. „ა მციქა ქომობიშვა-

ჯა.“ -მა დო ქოდოფხედი. 20. „ჰუდ მუ პარე, სო ბიდარე?“ ბიდუშუნამტიშა მენდრალე ნა მიტუ ა ტულუმი ნენა ბოგნი. 21. მციქა მციქა მემახოლეთუ. 22. „პეა მი მოხტასენ?“-მა დო მჭეშუმტი.

23. მუკუ ორაშიკულე ა კოჩი ქომოტუ. 24. სელამი ქომომჭუ დო „ჰაქო ხვალა ხვალა მოდ ხერ? სო ულურ? 25. დულა ვა გილუნა მა ჭანდაშა ბულურ, ქელემაკათი დო ჭანდაშა ბიდათ. ოხობაქთათენ.“-მა მიწუ. 26. „მათი ხვალა ბორე, ქელემაკათი.“- მა მიწუ.

27. მათი ხაზი მაუ. 28. ნა ბიდარე აერი ვა მიღუტუ, ჰეშენი ქელემაკათი დო ჭანდაშა ნა ბიდათეტუ გზა ქოჯებგუთით.

29. რაკანი ებიტითუშა ნა ელვობუტუ დავული მა ქომომჭუ დო ჩემან ოჭანდინუ ქოჯოჩუ. 30. დიდო მსკვა ოჭანდინამტუ. 31. არ კალეთი ტრალუდამტუ.

32. მათი მავიზხერი ელემობუნ, ჭიშეკლული შკა გომოკორუნ, არ დო დავული ელებიბისი დიდო მონკა აუკი დომაუდოტუ დო არ დო ფსალა ქომომიხტუდოტუ.

33. ჰიმ კოჩი ბუწვი ჩი, „მა ა ქოდობოფსა. სი იდი, მა ევაკჰიშარე.“ 34. ჰიმუ ნოგზალამტუ, მათი დობოფსამტიშა ზგვალათი ქომომიხტუ. 35. დავული, მავიზერი, ჭიშეკლული გზა ჯილე ქოდობდვი დო გობიფალიშიკულე ჭიშეკლული შკა ქოგობიკორი. 36. მავიზერი დო დავულითი ქელებიბი. 37. გზა ქოჯებგუთი დო „მეპჰიშარე“-მა დო ჰიმ მონკა აუკითე ბუკაპამტი.

38. ბიდი, ბიდი დო ა მემთი რაკანი მებახოლისი ჟურ გზა მემაგუ. 39. არ მუში თიჯილე, არ მუში თიწალე იტუ. 40. ჰიქო ქოდოფსკული. 41. „პეა ჰამ კოჩი ნამ გზა ჯეგუთუ, მა ნაქოლე ბიდა?“ -მა დო ბიდუშუტი.

42. თიწალე ნა იტუ გზა დიდი გზა ოტუ. 43. მათი ჰიმ გზა ქოჯებგუთი. 44. ბიდი ბიდი, გზა ვარ იჩოდეტუ. 45. სერი დიდუდოტუ. 46. სოთი ოხორი ვარ იზირეტუ. 47. მუკუ ორაშიკულე ა ქარმატე ქობზირი. 48. ჰაქო დოთანუ გური ქოდოლობიდვი. 49. ქარმატე ნეკნა გომწი დო დოლოხე კამაჰტი.

50. დავული ნეკნაში აკრა ქელაბდვი. 51. ჭიშეკლული დო მავიზერთე ლაზუტი კაკალაფე ნა დოლვობლამან მოდდონიშა ექთი დო ქოდოლობიკირკოლი, დობინჯირი.

52. ნაკუ ორა მანჯირუ ვა მიშკუნ. 53. ა ორაგადუ დო ომლორი-ნუთე გობქუცხი. 54. ქარმატეში ფიცარეფე ჭირჭილამტუ. 55. ქარმა-

ტე ირახუტუ. 56. შკურინათე ნენა ვარ ეშკემაღუ, შური ვა მომაზდე-
ტუ.

57. თუდეღე შკიმი იბარკალინეტუ. 58. ა მციქათი ჩონა ქო-
ჯეხტუდოტუ.

59. ნა დოლომჯატი დერიშა „ქაზირანენ“-მა დო თი ვარ ემაზ-
დეტუ. 60. წულუ წულუ თი ეზხდი დო „მი ონ ნა ბარქალამს?“-მა დო
ბოწედისი ა მთუთი ომჩვერელი ნა დოლოზუტუ მჩვერეფე იმხოტუ.

61. ა მციქა ჩონა მვანზინუსი ორანწინონიში, ტანგალაში ნენა
იგნაფეტუ. 62. არ დო მჭეში მოხტუ დო დოლისპინუსი, მთუთი გა-
მაკაპუ დო იმტუ. 63. მათი ნა დოლომჯატი დერიშა მობისელი დო
ქარმატეშა გაღე გამაჩტისი მჭეში მემაგუ.

64. მეზაკაპი დო მხუჯი ქობაკნი, „სი ოკოდოხინერი, ბეჟდინე-
რი მოხტი დო მთუთი შკიმი ომტინი. 65. მა ჰიმი მთუთი სუმენეჩი
ოქროშა ეპროფიდოტუ. 66. თალიმი ბოხენაფამტი. 67. ჰუე მუ ია-
სენ? 68. სუმენეჩი ოქრო შკიმი ვა მომიდაშა ვა მეგაშკუმ!“ ბუწვისი
ობგარინუ ქოჯოჩუ. 69. „მა ა მჭეში ბორე, ჰიკუ ოქრო ჟურ წანა ვარ
ოკომადენ. 70. ვა მაჭინდრენ. 71. ეჩიდოხუთ ოქრო მიღუნ. 72. ჰანი
ქომექა დო მა ოხომიშკვი.“

73. ა კალეთი ჩიშეკლული დო ნა ელემობუტუ მავიზერიშა
თოლი ვა ქოწვადეტუ, თოლეფე ჰენთეფე ნუზუტუ. 74. დარდალამ-
ტუ, იმგატუ, მაკალაპატუ. 75. „მა მუთუ მო მოლოდამ. 76. ბერეფე დო
ოხორზა შკიმი ნა ოწედასენ მითი ვა მიდონუნან. 77. ჰუშა ნა მაჭინ-
დრუ ეჭიდოხუთ ოქრო ქომექა დო მა ქოხომიშკვი!“-მა.

78. მათი ოქროფე ქებუჭოფი დო მავიზერი შკიმი ელაზუმერი
ოხორიშა გობიქთი.

სახნისით ხენა

1. ერთ დღეს, ჩემს ძმასთან ერთად ხარებს სახნისი დავადგით
და ვხნავდით. 2. მე ხარების წინ ვიყავი დ ჩემმა ძმამ კი სახნისი დაი-
ჭირა და აწვებოდა. 3. ხელში რომ ეკავა თხილის წკნელით ხარებს
ურტყამდა და უცდიდა.

4. იმ დღეს ძალიან ცხელოდა [დიდი სიცხე იყო]. 5. ოფლით
გაჟღენთილი ვიყავი [ოფლად ვიწურებოდი], სული მიწუხდა. 6. წყა-

ლიც ძალიან მწყურდა. 7. „ე, ძმაო, წყალი მომწყურდა, ცოტა მოვისვენოთ, ერთი წყალი დავლიოთ ვუთხარი“. - მეთქი და სანამ ვიფიქრე, ხარს რომ ურტყამდა [გადაჰკრავდა] წკნელს, ყურსა და სახეში რომ მომარტყა [გადამკრა], ჰკუიდან გადავედი [აზრი გამეფანტა = გრძნობა დავკარგე]... 8. ვიჯექი, თავი მიკანტალებდა [ვაკანტურები].

9. გავიხედავდი და, ჩემი ძმა რომ ვნახე [მომეჩვენა], ხელში რომ მეჭირა ცელი, ჩემი ძალით [მთელი ძალით] ვესროლე. 10. ცელი ჩემი ძმის მხარში ჩაესო და სისხლი სდიოდა [ისხმოდა]. 11. მაშინ ჩემი ძმა აზღავლდა და სისხლს უყურებდა [დახედავდა].

12. ძალიან შემეშინდა. 13. საქმეს შევეშვი და სახლისკენ გავიქეცი. 14. „ვაი, რა ვქნა“-მეთქი და ვფიქრობდი, კედელზე, რომ ეკიდა მაუზერი, დავინახე.

15. მივედი კედელთან, ჩამოვხსენი იარაღი [სავაზნე], წელზე შემოვიკარი და გამოვედი, წავედი.

16. ტყის გზას დავადექი. 17. რამდენი ვიარე [რამდენის გავლა შევძელი], არ ვიცოდი. 18. ჩქარა ვიარე და ძალიან დავიღალე. 19. „ერთი ცოტა მოვისვენო“-მეთქი და დავჯექი. 20. „ვაი, რა ვქნა, სად წავიდე?“ რომ ვფიქრობდი, შორიდან რომ მოდიოდა, ერთი გუდასტვირის ხმა გავიგონე. 21. ნელ-ნელა [ცოტა ცოტა] მიახლოვდებოდა. 22. „ნეტა ვინ მოდის?“-მეთქი და ვუთვალთვალე [ვმწყემსავდი].

23. რამდენიმე [რამდენი] ხნის შემდეგ ერთი კაცი მოვიდა. 24. სალამი მომცა და სალამი მომცა და „აქ მატო მარტო რატომ ზიხარ? სად მისიხარ? 25. საქმე თუ არ გაქვს, მე ქორწილში [ქეიფში] მივდივარ, შემომიერთდი და ქორწილში წავიდე. შევიდე“-ო, მითხრა. 26. „მეც მარტო ვარ, შემომიერთდი“-ო, მითხრა.

27. მეც გამიხარდა. 28. წასასვლელი [რომ წავსულიყავი] ადგილი არ მქონდა, ამიტომ შევეუერთდი და, ქორწილში რომ მიდიოდა, გზას დავადექით.

29. ფერდობზე ასვლამდე, რომ ეკიდა დოლი, მე მომცა და ჩემანეთი [ორსიმიანი საკრავით] საქორწილო დაუკრა [მისცა]. 30. ძალიან ლამაზად უკრავდა. 31. აქეთაც [ერთკენაც] მღეროდა.

32. მეც მაუზერი მივიდია, ტყვიები წელზე მაქვს შემორტყმული, ერთი და დოლი რომ ჩამოვიკიდე, ძალიან მძიმე შეიქნა, შემექნა, და ერთი მოფსმა მომინდა [მომიხდა].

33. იმ კაცს ვუთხარი რომ, „მე ერთი მოვფსამ. შენ წადი, მე წამოგეწევი.“ 34. ის მიდიოდა, მე სანამ მოვფსამდი, დახრა მომიწია. 35. დოლი, მაუზერი, სავაზნე გზაზე [გზის ზევით] დავდე და რომ გავიწმინდე [გავთავისუფლდი], სავაზნე წელზე შემოვირტყი. 36. მაუზერი და დოლიც ჩამოვივიდე. 37. გზას დავადექი და „მივუსწრებ“-მეთქი და ის რომ ამძიმდა [მძიმე გახდათი] მივრბოდი.

38. ვიარე, ვიარე [წავედი, წავედი] და ერთ აღმართ მაღლობს რომ მივუახლოვდი, ორი გზა შემხვდა. ერთი მის ზემოთ, ერთი მის ქვემოთ მიდიოდა. 40. იქ გავჩერდი [დავრჩი]. 41. „ნეტა ეს კაცი რომელ გზას დაადგა, მე საით [რომლით] წავიდე?“-მეთქი და ვფიქრობდი.

42. ქვემოთ რომ მიდიოდა გზა, დიდი გზა იყო. 43. მეც იმ გზას დავადექი. 44. წავედი, წავედი, გზა არ თავდებოდა. 45. დაღამდა [ღამე გახდა]. 46. არსად [სადმე] სახლი არ ჩანდა. 47. რამდენიმე დროის მერე ერთი წისქვილი დავინახე. 48. აქ დამინება გადავწყვიტე [გულში ჩავიდე]. 49. წისქვილის კარი გავაღე [გავხსენი] და შიგ შევედი.

50. დოლი კართან [კარის გვერდით/კიდეზე] დავდე [დავდგი]. 51. სავაზნე და მაუზერით [მაუზერიანად], სიმინდის მარცვლებს რომ ყრიან ყუთში, ავედი და გავგორდი [ჩავგორდი], დავიძინე.

52. რამდენ ხანს დამეძინა, არ ვიცი. 53. ერთი ლაპარაკისა და ბლავილისგან გამეღვიძა. 54. წისქვილის ფიცრები ჭრიალებდა. 55. წისქვილი რახუნობდა. 56. შიშით ენა ვერ ამოვიდე, სულს ვერ ვითქვამდი [ვერ ვიღებდი].

57. ჩემს ქვემოთ ქანაობდა. 58. ერთი ცოტა სინათლე ჩამოვიდა [ნათელი ჩამოდგა]. 59. სადაც ვიწექი იმ ადგილას „ნახავენ“-მეთქი და თავს ვერ ვწევდი. 60. ცოტა ცოტა თავი ავწიე და „ვინ არის რომ ბრაგუნობს?“-მეთქი და ვხედავ, ერთი დათვი, ნაგავი რომ ეყარა [იღო], ნაგავს [ნაფქვავს] ჭამდა.

61. ერთი ცოტა სინათლემ რომ მოიმატა, ზანზალაკის, ეჟენის ხმა მოისმა. 62. ერთი და მწყემსი მოვიდა და, რომ აუსტვინა, დათვი გამოვარდა [გამოხტა] და გაიქცა. 63. მეც, რომ ვიწექი, იმ ადგილიდან ავდექი და წისქვილიდან გარეთ რომ გამოვედი, მწყემსი შემომხვდა.

64. მივვარდი [მივირბინე] და მხარზე მოვკიდე, „შენ ძახილით, ზღავილით მოხვედი და დათვი ჩემი გააქციე. 65. მე ის დათვი სამოც ოქროდ ვიყიდე [ავიღე]. 66. ვავარჯიშებდი [ვარჯიშს ვაკეთებინებდი]. 67. ახლა რა იქნება? 68. სამოც ოქროს ჩემსას სანამ არ მომიტან, არ გაგიშვებ“ რომ ვუთხარი, ტირილი დაიწყო. 69. „მე ერთი მწყემსი ვარ, იმდენ ოქროს ორ წელიწადში ვერ შევაგროვებ. 70. ვერ მოვკრებ. 71. ოცდახუთი ოქრო მაქვს. 72. ამათ მოგცემ და გამიშვი.“

73. ერთგანაც [ერთ მხარესაც] სავაზუნესა და, რომ მეკიდა, მაუზერისთვის თვალს ვერ აშორებდა თვალები იქ ჰქონდა [იქ ედო]. 74. უაზოდ ლაპარაკობდა, ტიროდა, მეხვეწებოდა. 75. „მე ნურაფერს მიზამ. 76. ბავშვებს და ცოლს ჩემსას რომ მიხედოს/მოუაროს, არავინ გყავს [ვინმე არ გყავს]. 77. აქამდე რაც შევაგროვე [რისი შეგოვებაც შევძელი], ოცდახუთ ოქროს მოგცემ და მე გამიშვიო!“

78. მეც ოქროები გამოვართვი და ჩემი მაუზერიანად [მაუზერით ჩემი ჩამოკიდებულით] სახლში დავბრუნდი.

დუთხური პალიკარი

1. ა ნდლა, ნოღაშა ჯეჭტარე-მა დო გზა ქოჯეგუთუ. 2. ნოღაშა ხუთ სატიში ილეტუ. 3. ჰიმ ჭუმანიში მციქა ლეზა მვასელუდოტუ. 4. ნოღაშა (ათინაშა) ჯეხტასეტუ. 5. მუთუ დვაჰინ იინდრასეტუ დო ჰიმ ნდლა ოხორიშა გიქთასეტუ.

6. ნოღაშა კოჯეხტუ. 7. ნა იინდრუ მუთხაფე ტიკინა ქოდოლოკრეხუ დო ოხორი გზა ქოჯეგუთუდოტუ. 8. „ოხორიშა ოლვა ლეზა მასენ, სერი იმასენ, მწუფი მასენ!“-მა დო ხემინერი, კაპინერი იგზატუ.

9. დვანჰინუდოტუ. დუკითი მონკა ულუტუ. 10. სერი დვაუდოტუ. 11. ხე სვალერი იგზატუ. 12. თოლი ვარ იზიტუ; 13. თუთათი ვარ ოტუ, მთუთასტე სერეფე ონდლერისტერი იმენ, ჰიმორა ჩონა ვა დიჰინ.

14. ჰიშოფეთე გზალინერი რაკანიშა ქეხტუ. 15. რაკანი კაპულა ა ლივადი კოტუ. 16. ლივადი, არ კალივი ქოტუ. 17. ოხორიშა ოლვაშენი დიდო გზა ულუტუ. 18. „ლივიშა ელაჭტა დო ჰიქო დობოთანა“-

და დო კალივიმა ქელახტუ. 19. კალივი ეხტუსი, ოწედუ თიფიში ენჭილეფე კოჯობდესდოტუ.

20. თიფეფე ელაზდუ დო ქომეშკინჯირუ. 21. ა თიფი ენჭილითი მასტული დიხენუ. 22. დიდო ნჭინერი ოტუ დო დვანჯირუ. 23. მუკუ ორაშიკულე ოსინაფაფე ოგნუ. 24. ჰიმ ნენაფე წულუ წულუ ნახოლეტუ. 25. ნენაფემა არ ბიჭი დო არ ოხორზა ნა ოტუ კოხვოწონუ. 26. სინაფერი სინაფერი ჰინითი კალივი ვარ ეხტანი! 27. „ჰუდ მა მუ პარე?“-და დო იდუშუტუ.

28. კალივიმა ეხტეს დო ქოდოხედეს. 29. ზიცამტეს, ზიცინერი ისინაფამტეს. 30. ნა ოხობოწონი-ში-კუ ჰინი იოროფეტეს.

31. ბიჭი ბოზომოთა უწუ ჩი, „ქოგმუნი, შკუ წარი პიჯი ბიჩინიტუდოტუ?“ 32. ბოზომოთა, „ჰიმორა შიკულე ჯოჭუ ოროფამკუნნი.“-და უწუ. 33. ნა ნჯატუ დერიმა თიფეფე ელაზდუ დო იხოსდატუ.

34. ოხორზა ა ბოხჩა, კოჩითი ა კუკმინა წარი ოკაჩუტუ. 35. ქოდოხედეს დო ჯარი ოშკომუ ქოჯოჩეს. 36. ნა გოლილუ ნდღალეფე ისინაფამტეს. 37. ბიჭი ჰიმ ნდღალეფე გვამინუსი, გური ეახაშკალუ დო ხე ნა ოკაჩუტუ ბიგა ჰიმ დუთხური თი ნა ჯუზუტუ დერი ჯოჯვატუსი, დუთხური ბეტი ამდორინუ, აბეჟდინუ. 38. ჰიმდო ოხორზა დო ბიჭი ოდი უტვაცეს დო შკურინერი ჰიქოლე იმტეს.

39. დუთხურითი ამშკორინუდოტუ. 40. ჰინი ნა ნამკვეს ჯარეფეთე ა ვროსი ქორბა დიდდუ დო ტიკინა მუში მიბუ დო დუთხემა იგზალუ.

დუთხელი ვაჟკაცი

1. ერთ დღეს, ქალაქში ჩავალ-ო და გზას დაადგა. 2. ქალაქში ხუთ საათში ჩაისვლებოდა. 3. იმ დილას ცოტა სიარული მოუხდებოდა [სიარული ექნებოდა]. 4. ქალაქში (ათინაში) ჩადიოდა. 5. რაიმე საჭიროს [რომ სჭირდებოდა], იყიდიდა და იმ დღეს სახლში დაბრუნდებოდა.

6. ქალაქში ჩავიდა. 7. რაც იყიდა რაღაცეები კალათში ჩააწყო [ჩაკრიბა] და სახლის გზას დაადგა. 8. „სახლში წასვლა დაგვიანებული შემექნება, ღამე იქნება, სიბნელე შემექნება“-ო და დატვირთული [ხელსავსე] სირბილით მიდიოდა.

9. თავს არ იზოგავდა. ტვირთიც [ჩამოკიდებულიც] მძიმე ჰქონდა. 10. ღამე შეექნა. 11. ხელგაშვერილი მიდიოდა. 12. თვალით ვერ ხედავდა. 13. მთვარეც არ იყო, მთვარიანი ღამეები შუადღესავით [შუადღისნაირი] არის, მაშინ [იმ დროს] სინათლე არ იყო [არ დაიწყო].

14. ისე მოსიარულე გორაზე ავიდა. 15. გორაკის ზურგზე ერთი ყანა იყო. 16. ყანაში ერთი საყარაულო [კარავი] იყო. 17. სახლისკენ წასასვლელად დიდი გზა ჰქონდა. 18. „კარავში შევიდე და იქ გავათენო-ო“ და კარავში შევიდა. 19. კარავში რომ შევიდა, ნახა თივის კონები [შეკვრები] ეყარა [დაეყარათ].

20. თივა [თივები] ასწია და ჩაწვა. 21. ერთი თივის კონით [შეკვრით] ბალიში გაიკეთა. 22. ძალიან დაღლილი იყო და დაემინა. 23. რაღაც დროის მერე ლაპარაკი გაიგონა. 24. ის ხმები ნელ-ნელა უახლოვდებოდა. 25. ხმებით [ხმებისგან] ერთი ბიჭი და ერთი გოგო რომ იყო, მიხვდა. 26. ლაპარაკ-ლაპარაკში ისინიც კარავში არ შემოვიდნენ! 27. „უიო, მე რა ვქნაო?“ და ფიქრობდა.

28. კარავში შევიდნენ და დასხდნენ. 29. იცინოდნენ, სიცილით [გაცინებულები] ლაპარაკობდნენ. 30. როგორც მივხვდი [რომ მივხვდი, მერე], ისინი შეეყვარებულები იყვნენ [სიყვარულობდნენ].

31. ბიჭმა ქალიშვილს უთხრა [რომ], „გახსოვს, ჩვენ წყლის პირას გავიცანით ერთმანეთი [გავეცანით]?“ 32. გოგომ, „იმის მერე [იმ დროის მერე] დაიწყო სიყვარული ჩვენი-ო“, უთხრა. 33. რომ იწვა ადგილზე თივა ასწია და იჭვრიტებოდა.

34. ქალს ერთი ბოხჩა და კაცს ერთი დოქი წყალი ჰქონდათ [ეჭირათ]. 35. დასხდნენ და საჭმლის ჭამა დაიწყეს. 36. რომელიც გავიდა, იმ დღეებზე ლაპარაკობდნენ. 37. ბიჭს იმ დღეების გახსენებაზე [რომ გაიხსენა], გული დაეთუთქა [მოეხარშა] და ხელში რომ ეჭირა ჯოხი, იმ დუთხურს თავი რომ ედო, ადგილს რომ დაარტყა, დუთხელი ძალიან აყვირდა [აყვირა], აღრიალდა [აღრიალა]. 38. მაშინ ქალს და ბიჭს გული გაუსკდათ და შეშინებულები იქიდან გაიქცნენ. 39. დუთხელსაც შეეშინდა. 40. მათ რაც დატოვეს საჭმელები, ერთი კარგად მუცელი გაიძლო და გოდორი [გუდა] თავისი მოიკიდა და დუთხეში წავიდა.

შ ი ნ ა რ ს ი

მ. ბ უ კ ი ა – მესაქონლეობის პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში (მატყლი და ტყავი)3
 M. B u k i a – The Vocabulary Related to Products Made from Cattle in Megrelian (Fleece and Pelt) 16

ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი – ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურ ტოპონიმებში..... 17
 L. G i g l e m i a n i – The Vocabulary Denoting Colors in Svan Toponyms 22

გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – „ხალხური პოეზიის ენა“... (ციკლიდან: ფიქრები ანა კალანდაძეზე)..... 23
 G. G o g o l a s h v i l i – “A Language of Folk Poetry” (Thoughts on Ana Kalandadze) 36

მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი – ჰიბრიდულ ტოპონიმთა ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზისათვის სვანური ენის მონაცემების მიხედვით 37
 M. S a g h l i a n i – Phonetic-Phonological and Semantic Analysis of Hybrid Toponyms Based on the Svan Language Data 58

ნ. ფ ა რ ტ ე ნ ა ძ ე – წინადადების წევრთა გამოხატვის თავისებურებანი მარადიდულ კლარჯულში 59
 N. P h a r t e n a d z e – Peculiarities of Expression of Sentence members in Maradidi Klarjuli 71

მ. ფ ა ღ ა ვ ა – მეტსახელი გვარები ტაოდან 73
 M. P a g h a v a – Nicknames (Surnames) from Tao 89

ჭ. ქ ი რ ი ა – ნათესაობითი ბრუნვის საკითხი ქართულსა და ზანურში.....	90
Ch. K i r i a – The Issue of the Genitive Case in Georgian and Zan.....	104
ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი – საზოგადო არსებითი სახელის კუმშვის საკითხისთვის კახურსა და ფერეიდნულში	105
K h. K a n d a s h v i l i – On Syncope of Common Nouns in Kakhethian and Fereydanian	109
ბ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი – უბრალო დამატება სვანურში	110
N. S h a v r e s h i a n i – A Simple Object in Svan.....	125
ბ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი – მრავალგზისობის გამოხატვის საშუალებები ზემო ქედში ემიგრირებულ მთიულთა მეტყველებაში.....	126
N. T s i k h i s h v i l i – Ways of Expressing Recurrence in the Speech of Migrated Mtiuleitians in Zemo Kedi	140
ბ. წ ი კ ლ ა უ რ ი – კითხვითი ა' და მე' ნაწილაკისათვის სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში.....	141
N. T s i k l a u r i – On the Particles a' and me' in Georgian and the Dialects.....	156
რ. ჩ ი კ ა ძ ე – ხალხური მეტყველება – გიორგი შატბერაშვილის ენის საბადო მამალხინეს ქართული.....	157
R. C h i k a d z e – Folk Speech – The Language Ore of Giorgi Shatberashvili – Mamalkhine's Georgian	162
ბ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – ერთი იშვიათი სახელისათვის (ცქირი)	163
N. K h a k h i a s h v i l i – On the History of the Word cqir-	172

მ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, ნ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე – ქობულეთელ მუჰაჯირ- თა შთამომავლების იუმორის ლინგვოკულტუროლოგიუ- რი ასპექტები.....	173
M. K h a k h u t a i s h v i l i, N. T s e t s k h l a d z e – Linguistic-Cultural Aspects of the Humor of Descendants of Migrants from the Kobuleti Region.....	186

სალექსიკონო მასალა. ტექსტები

გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე – რელიეფის ლექსიკა თუშურ დიალექტში.....	187
G. T s o t s a n i d z e – The Terrain Vocabulary in Tushetian Dialect	

მ. ბ უ კ ი ა – მასალები მეგრული მწყემსური ლექსიკონისთვის	200
M. B u k i a – Material for the Herdsman’s Vocabulary in Megrelian	

მ თ ი უ ლ უ რ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი – (ჩაწერილია ნინო ციხიშვილის მიერ).....	212
Mtiuletian Texts (Collected by Nino Tsikhishvili)	

მ ე გ რ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი – (ჩაიწერა და თარგმნა მანანა ბუკიამ)	245
Megrelian Texts (Collected and Translated by Manana Bukia)	

ლ ა ზ უ რ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი – (დასაბეჭდად მოამზადა და თარგმნა მარინა ჯღარკავამ].....	251
Laz Texts (Translated and Prepared for Publication by Marina Jgharkava)	